

დავ. დოლიდუა.

ჩვენი მხარე

ქართლი

მხარიხმცოდნეობითი ნარკვევი.

სახელგამი

KZ

დავ. დოლიდუა.

ტფილისის I საცდ.-საჩვ. შრ. სკოლის მასწავლებელი.

ჩვენი მხარე

ქართლი

მხარისმცოდნეობითი ნარკვევი

29792

სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს
პედაგ. სექციის ძიერ მიღებულია,
როგორც დამხმარე წიგნი შრომის
სკოლის III და IV ჯგუფებისთვის.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. ბერიძაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-ცენტრალური
Библиотека-Музей
имени
акад. И. Гришашвили
Академия наук Грузинской ССР

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი
1925

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის კუჩა, № 3.

მთავლიტი № 1952 — შეკ. № 1794 ტირაჟი 5000

ლია ბარათი.

ჩემო პატარა მკითხველო,

მოხარული ვარ, რომ გარემოებამ შენთან დამაახლოვა. შენ ტფილისში ცხოვრობ, აქაურ სკოლაში სწავლობ, მეც შენი მასწავლებელი ვარ. გახსოვს—ერთხელ გითხარი: მე მინდა ჩვენი მშობლიური ქვეყანა შეგასწავლო, მაგრამ ეს არც ისე ადვილია-მეთქი. შენ გაგიკვირდა, გეგონა, რომ ჩვენი მშობლიური ქვეყანა მხოლოდ ტფილისი იყო, რაკი მშობლები აქა გყავს, აქ დაიბადე და აქვე იზრდები. იფიქრე: მშობლიური ქვეყნის შესწავლა რა ძნელი უნდა იყოს, აგერ ტფილისი ჩემს თვალწინ გადაშლილა, დავივლი თავიდან ბოლოშდე, ბევრს რასმე ვნახავ და ბევრსაც გავიგონებო.

დავიწყეთ ტფილისის შესწავლა. მე და შენ სულ ერთად დავდიოდით. რა არ ვნახეთ, რა არ გავიგონეთ. ბოლოს შენ სთქვი: აი, რამდენი რამ გავიგე ჩვენი მშობლიური ქვეყნის შესახებ, ნუთუ კიდევ დარჩა გასაგებიო.

ჩემო პატარა, მარტო ტფილისი როდია შენი მშობლიური ქვეყანა. შენი სამშობლო მთელი საქართველოა, საქართველო კი საკმაოდ დიდია. ტფილისისოდენა ქალაქი ათას ექვსასი მოთავსდება მის ფარგალში. შენ რომ მაღლიდან ტფილისს თვალი გადაავლე, გახსოვს, როგორ გაოცდი: უჰ, რამოდენა ქალაქიაო! მაშ საქართველო, რომელიც ტფილისზე ათას ექვსასჯერ უფრო დიდია, რამოდენა-ღა უნდა იყოს. ჰო-და ამოდენა სამშობლოს. პატრონს, შენ გეგონა, რომ შენი მშობლიური ქვეყანა მარტო ტფილისით განისაზღვრებოდა.

ნუ ითაკილებ და აი, რას გეტყვი: ჯერ კიდევ დიდი დრო და შრომა დაგჭირდება შენი მშობლიური ქვეყნის შესასწავლად. უნდა იარო კიდით-კიდემდე, მთასა და ბარში, ზღვის პირასა და ხმელეთზე, რასაც ვერ მიუწვდები, მას, თუნდაც შორიდან, გონების თვალი უნდა გადაავლო და ამგვარად გაეცნო ჩვენი ქვეყნის ბუნებას, მოსახლეობას, ჩვენს ყოფა-ცხოვრებას და საქმიანობას.

მაგრამ საქმის გასაადვილებლად, მოდი, ერთი ვქნათ: რაკი საქართველო დიდია, ნაწილებად დავყოთ და ყოველი ნაწილი ცალ-ცალკე მიმოვიხილოთ. ტფილისი ხომ იყოფა ნაწილებად, როგორიცაა: ვაკე, საბურთალო, დიდუბე, კუკია, ავლაბარი, და სხვ. ისე საქართველოც იყოფა ნაწილებად, მხოლოდ, რა თქმა უნდა, ეს ნაწილები უფრო დიდროვანი და მრავალფეროვანია, ვინემ ტფილისის უბნები. საქართველოში ბევრი მხარეა: ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა და სხვანი და სხვანი. ეს მხარეები სათითოოდ, და ყველანი ერთად, ფერადად შემკულ ხალიჩასავით ქარგავენ საქართველოს.

ამათ შორის პირველად გავიცნოთ ჩვენი უახლოესი მხარე— **ქართლი.**

ავტორი.

ქართლი.

ქართლის ბუნება.
ქართლელი.
ქართლელის ფრთმა.

ქართლის გუნეგა.

თრიალეთი.

საშემოდგომო შეხვედრა.

— გიას გაუმარჯოს, ხომ კარგად ხარ, ჩემო გია!—შემომეგება მასწავლებელი აგარაკიდან ახალ დაბრუნებულს.

— გმადლობთ, მასწავლებელო, კარგათ გახლავართ.—მიუგე მე ხალისიანად.

— სად გაატარე, გია, ეს ზაფხული?

— ბორჯომში გახლდით სააგარაკოდ.

— კარგი დაგემართოს. მოგეწონა? სად სჯობს ზაფხულობით—აქ თუ იქ?

— რა სათქმელია, მასწავლებელო, აქ რა გააძლებინებს კაცს ზაფხულობით: პაპანებაა, ბული დგას. იქ კი ისე გრილა, რომ...

— კარგი დროება გაატარე? სულ იცელქე, თუ რამე საქმეც გააკეთე?

— თქვენი დავალება შევასრულე, მასწავლებელო, ცოტა რამ დავწერე, დღიური მაქვს,რაც ვნახე ან გავიგონე, ყველაფერი მახსოვს.

— მაშ, მალე ერთმანეთს სკოლაში შევხვდებით და იმ დღისათვის მოემზადე. ახლა კი მშვიდობით, ჩემო გია.

— მზად ვიქნები, მასწავლებელო, მშვიდობით გნახეთ.

პირველი გაკვეთილი.

მალე დაიწყო სკოლაში მეცადინეობა. ყველა ხალისით შევუდექით სწავლას. ჩვენს შორის ახლა ზარმაცი არავინ იყო. პირველი გაკვეთილი საუბარს მოვანდომეთ: ზაფხულის შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით მასწავლებელს. ზოგმა დღიურები მოიტანა, ზოგმა თავისი თავგადასავალი, ზოგს რაღაც დაეხატა, ზოგს შეეკრიბა ჩვენი ბუნების ნაირ-ნაირი ნიმუშები. მასწავლებელი დიდს ფუსფუსში იყო და დაგროვილ მასალას საახალწლო ხორაგსავით თავს ევლებოდა.

მინდიასავით.

— ნაწერი წიგნი ჩვენი სიყრმის მეგობარია, ძვირფასი განძი, მაგრამ არა-ნაკლები საგანძურია დაუწერელი დიადი წიგნი—გარე-მოცული ბუნება. დროდადრო ბუნების წიგნიც გადავშალოთ, აი, თუნდ ხვალიდანვე. მოემზადეთ, აიკიდეთ გუდა-ნაბადი და, ვისაც გული გერჩისთ, კვალში მომყევით. მეც ბერ-მინდიასავით მგლის მუხლს მოვიბამ და წინ გაგიძღვებით.—გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა, როცა საზაფხულო მუშაობა უკვე აღვრიცხეთ და ზაფხულის ცოცხალი კუთხეც გავმართეთ.—მაგრამ იცით—სად წავალთ ან რა მიზნით? მოგზაურობის გეგმა და დანიშნულება წინასწარ გამოვა-რკვიოთ.—სთქვა მან და მართლაც შესაფერ სამზადისს შევუდექით.

— მაშ, უძოს ვეწვევით. ნეტავ მალე გათენდებოდეს!

უძოსაკენ.

გათენდა. მასწავლებელმა მოწაფეები ძველი ნაცნობი მთაწმიდის ძირას მიგვიყვანა და გვითხრა:



მ თ ა წ მ ი დ ა.

— აგერ მთაწმიდა, ტფილისის სიამაყე. როგორ აზიდულა ცის სივრცეში. თავისი ჩოხის კალთები ქალაქისაკენ გადმოუშვია. ვიწრო ბილიკი მიიკლაკნება მის ციცაბ კალთაზე. მაგრამ, რაკი წინ შორი გზა გვიძევს, ახლა ფუნიკულერით ავიდეთ თხემზე.

ასედაც მოვიქეცით. ფუნიკულერმა მაღლა-მაღლა გაგვაქანა და სულ მალე თხემზე გავიშალენით.

— ახლა კი დასავლეთის მხრივ გავემართოთ, ნელა ვიაროთ, სვენებ-სვენებით.—გვირჩია მასწავლებელმა.

გავყევით მთაწმიდის თხემს. ბევრი ხევ-ხუვი გადავიარეთ, უწყლო ხრამები. ზოგი მათგანი თავისი უფსკრულებით გვხიბლავდა კიდეც და შიშსაცა გვგვრიდა. უძო უკვე რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ აღიმართა ჩვენს თვალწინ პირდაპირ შორს, შორს მთაწმიდის თხემის გასწვრივ. მის მწვერვალზე გუშაგებივით იდგა ორიოდე მწვანედ შეფოთლილი ხე. სამხრეთით მისგან სავარცხელს ჰგავდა კოჯრის მთაზე აყრილი ტყე. სხვა მწვერვალები თითქმის ყველა უტყეო იყო, მხოლოდ კალთები ჰქონდათ ბუჩქნარიანი.

მივდივართ. უძო ზოგჯერ თვალს ეფარება, როცა ღრმა ხევში ჩავიმალებით. მაგრამ მეტნაწილად ჩანს და უხილავი ძაფებით გვიზიდავს თავისკენ, მიახლოების სურვილს გვინერგავს და თითქო მანძილსაც გვიმოკლებს. ირგვლივ ბუნება უფერულია. თითო-ოროლა ხე და ბუჩქი მიმოფანტულა ამ სიცხისაგან გადატრუსულ თხემზე. შემოდგომაა, ისიც მაღლობზე დავდივართ, მაგრამ მაინც ცხელა დღეს, ასეთი ამინდი დაგვესწრო. წყალი ყველას გამოგველია. არც წყაროა სადმე, არც ნაკადული.

მივუახლოვდით უძოს. ბუჩქნარი გახშირდა. მიდამო ამწვანდა ქოჩორა ტყით. ზღმარტლი, კუნელი, პანტა, მაჟალო ყოველი მხრიდან გვაწვდიან სასუსნს. გული მათკენ მიიწევს, მაგრამ მასწავლებელი თავს გვადგას და გვაფრთხილებს, მოდი და აბა ხათრი გაუტეხე.

ტყეში შევედით. აგერ ცივი, ანკარა წყარო მოჩუხჩუხობს. ეს ლეგოს წყაროა, ლეგოს მთიდან გამომავალი.

ამ ცივ წყაროსთან გავგრილდით. ერთხელ კიდევ დავისვენეთ, შემდეგ მივადექით უძოს ძირას ერთს ნანგრევ ნიშს და აქედან ჟრიამულით შევესიეთ უძოს დამრეც კალთას.

ნეტავ რათ გვიყვარს ბავშებს მთებში ბობღვა? რამდენი მთა და ხევი გადავლახეთ და სამოგზაურო ხალისი მაინც არ შენელდა. ჩვენი მასწავლებელი დინჯად მოაბიჯებს. ჩვენ ცოტა გავუსწარით და უძოს ზედ წვერზე მოვექეცით. სულ მალე მასწავლებელიც ამოვიდა. ნიშიდან, რომელიც უძოს ძირას არის, მწვერვალამდე მეტად მცირე მანძილია, ამდენი, რამდენიც ჩვენი მთაწმიდის ძირიდან მთაწმიდის ეკლესიამდე.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ მიზანს მივაღწიეთ. ჩამოვსხედით. არე-მარეს თვალი გადავავლეთ. კაშკაშა დღეა. პირდა-



ნ ა ტ ა.

პირ, თითქო ხელის გულზეაო, ისე კარგად მოჩანს მთელი ტფილისი; მტკვრის ხეობა მცხეთიდან მოყოლებული შორს იკარგება ყარაიას

გაშლილ ველზე, სადაც მკრთალად მოჩანს ყარაიას ტბა; არაგვის ხეობას თვალი ვერ სწვდება, თუმცა მცხეთისაკენ კი შეამჩნევ; წავკისისა და ვერის ხევი საკმაოდ კარგად ჩანს; აგერ კუმისის ტბა, ლისის ტბა, მლაშე ტბები მახათას ქედზე; აი, სოფლებიც: წავკისი, ოქროყანა, შინდისი, ტაბახმელა, წყნეთი, ბაღები, ავჭალა; კოჯორიც ხომ გვერდითაა, აგარაკების ერთი ნაწილი ჩანს კიდეც მეზობელ მთაზე; თვითონ ეს უძოც, და ტყეში რომ ლეგოს წყარო ვნახეთ, კოჯორს ეკუთვნის. მაგრამ საოცარი ისაა, რომ ჩრდილოეთით, თვით შორეული კავკასიონის ქედიც თავისი მწვერვალებით თეთრად ბრწყინავს ცის დასავალზე. აი, ჩვენი ნაცნობი მყინვარწვერი, რომელიც მთაწმიდიდანაც ასე მკაფიოდ, ცხოვლად მოჩანდა. მასწავლებელმა დაგვანახა და გაგვაცნო აგრეთვე კავკასიონის ქედის სხვა ზოგიერთი მწვერვალიც, მაგალითად—ბორბალო და ბრუტსაბძელა. აგრეთვე თვალი მოვავლეთ ღვთაების მონასტერს იალნოს ქედზე, ზედაზენს და შავნაბადას.

თრიალეთის ქედი.

— გავხედოთ ამ თხემს დასავლეთისაკენ,—მოგვმართა მასწავლებელმა.—უჩანს განა ბოლო?

— არა.

— მთაწმიდიდან კარგა დადი მანძილი გამოვიარეთ უძომდე, და თხემი კიდევ არ თავდება, თვალუწვდენელ სივრცეზეა გადაჭიმული. მთაწმიდიდან უძომდე პირდაპირი ხაზით რაღაც 7 კილომ. მანძილია და, თუ ამ თხემის დასასრულამდე მოვიწადინეთ მოგზაურობა, ამისთანა მანძილი თითქმის 16-ჯერ კიდევ უნდა გადავლახოთ. ამ თხემს პირდაპირი ხაზით დაახლოებით 120 კილომ. აქვს სიგრძე. შვიდიოდე კილომეტრი ძლივს გამოვიარეთ და 120 კილომ. გავლას ფეხდაფეხ როგორ-ღა შევძლებთ! მარდად მოსიარულე მგზავრსაც რამდენიმე დღე დასჭირდებოდა ამისათვის. მერე ისიც მთის თხემზე! ვინ იცის რამდენი ასავალ-დასავალი, ხევ-ხუვი შეგვხვდება გზაგზა, ზოგან ხომ ადგილი შეიძლება გაუვალიც იყოს. ხედავთ უძოდან მთაწმიდამდე პირდაპირ ხაზზე არც ერთი მაღალი მწვერვალი არაა აღმართული და ამ ორ მწვერვალს შორის მთის თხემი ჩაზნექილია, ისიც ისე, რომ გეგონება—მთლად ვაკეა ამ თხემის ზედაპირიო. თვალი გვატყუებს, თორემ აკი ჩვენ თვითონ გამოვცადეთ დღეს—რა ხევ-ხუვებიცაა ამ თხემზე, თუნდაც ამ მცირე მანძილზე. უძო და მთაწმიდა ერთს ხაზზე მდებარეობენ. ამათ გარდა თხემზე სხვაც ბევრია მწვერ-

ვალები. აი, აგერ სარი-კლდე ანუ **ნიშნის მთა**, რომელიც უძოზე უფრო მაღალია. ნიშნის მთა მთაწმიდიდანვე მოჩანდა ულის უკანა მხარეზე, დასავლეთით. მაგრამ არა მარტო მწვერვალები, მთებიც მრავლადაა გაწოლილი ამ თხემის გასწვრივ, სიგრძისად დასავლეთისაკენ და აგრეთვე განდაგან ჩრდილოეთითა და სამხრეთით. მთაწმიდიდან რომ გავყვეთ, აი, რა უმთავრესი მთები შეგვხვდება: **სხალნარა** რომლიდანაც კოჯრის მახლობლად სამხრეთისაკენ მიიმართება **სამადლოს მთა**; სხალნარა უერთდება **დიდგორის** მთას, რომლიდანაც აღმოსავლეთისაკენ მიიმართება **სხალდიდის** მთა, ამ უკანასკნელისაგან კი ჩრდილო-აღმოსავლეთით, მცხეთისაკენ, მიიმართება **სათოვლიას მთა**; დიდგორის მთა უერთდება **არჯევანის** მთას; დიდგორისა და არჯევანის მთებს შუა არჯევანიდან სამხრეთისაკენ მიიმართება **ლაკვის** მთა, რომელსაც სამხრეთის ბოლო ნაწილში **ბენდერის** მთა ჰქვიან; არჯევანის მთას სამხრეთ-დასავლეთით გვერდზე მიუყვება **თორის** მთა, რომელიც ემხრობა **ბაკურიანის მთას**; ამავე არჯევანის მთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მიიმართება **რაზმითი**, **მთა**, ჩრდილოეთისაკენ **საცხენის** მთა, დასავლეთისაკენ **ჯამჯამას** მთა და უკანასკნელ მთას დასავლეთით ჰქვიან **ყერძენის** მთა. ამათ გარდა კიდევ არის სხვა სახელწოდების მთები და ფერდობები, მაგრამ იმის საბუთად, რომ ეს თვალუწვდენელი თხემი მრავალი მთისა და ფერდობისაგან შედგება, ესეც კმარა. თქვენ კი გგონიათ, რომ ეს თხემი მარტო მთაწმიდისაა. მთაწმიდის გარდა აი, რამდენ მთას ვხედავთ თხემის გასწვრივ: **წავკისის** მთა, **კოჯრის** მთა, **წყნეთის** მთა, ზოგს კიდევ ვერ ვხედავთ, მაგრამ მაინც ხომ დაგისახელეთ. აი, ეს მთები ერთმანეთზე მჭიდროდ არიან გადაგრეხილი. აბა, თუ გახსოვსთ, რა ეწოდება მთების ამგვარ გრეხილს?

— მთაგრეხილი ანუ ქედი, მასწავლებელო. — მოგვაგონდა ყველას.

— ყოველ ქედს ხომ თავისი საკუთარი სახელი აქვს, ცხადია, ამ ქედსაც. ამ ქედს, რომელზედაც ახლა ვსაუბრობთ, სახელად **თრიალეთის ქედი** ჰქვიან.

— თრიალეთის ქედი, თრიალეთის ქედი! — გავიძახოდით ყველანი.

— მაშ, ჩვენ განა თრიალეთის ქედის თხემზე ვმოგზაურობდით დღეს? — ჩავურთე მე სიტყვა.

— დიაღ, თრიალეთის ქედის თხემზე მთაწმიდიდან უძომდე ვიმოგზაურეთ და ახლა კი დროა ისევ მთაწმიდისაკენ გავეშუროთ, თორემ, თუ შემოგვაბინდდა, ხევებში დავიბახდებით. — გვითხრა მასწავლებელმა და აგვაჩქარა.

არ გვინდოდა ამ წარმტაცი არე-მარის მიტოვება, მაგრამ გრძნობას გონებამ დასძლია და გავემართეთ მღერითა და ჟრიამულით ისევ მთაწმიდისაკენ. ახლა უფრო ადვილი გზა შევარჩიეთ და შინ მშვიდობიანად დავბრუნდით.

მეორე დღეს ყველა გამოვცხადდით სკოლაში და უძოზე შედგენილი გეგმა აქ უფრო სწორად დავიმუშავეთ.



ზღვის ფონედან!

— რაკი თრიალეთის ქედი მრავალი მთისაგან შედგება, მის თვალუწვდენელ თხემზე, ცხადია, მრავალი მწვერვალი იქნება აღმართული. აი, ერთერთი მწვერვალი — მთაწმიდა, აგრეთვე, ჩვენ რომ ვინახულეთ: უძო, ნიშნის მთა. ამათ გარდა სხვა მწვერვალებს ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ. ზოგი მწვერვალი მეტად მაღლაა ცაში აღმართუ-

ლი, ზოგი კი დაბალია. ვისაც ქედის სიმაღლის გამორკვევა სურს, იგი მწვერვალების სიმაღლეს უნდა გაეცნოს. მაგრამ როგორ გავიგოთ—რომელი მთა რა სიმაღლისაა?—გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა.

— რომ გადავხედავთ, განა ვერ შევატყობთ? აი, მაგ., ტფილისის მთებში თვალითაც ვამჩნევთ, რომ მთაწმიდა ყველაზე უფრო მაღალია.—სთქვა სიკომ.

— კი, მაგრამ შორს მდებარე მთებ- რომ თითქო დაბალია! აი, მაგ., კაცი რომ ძალიან შორს არის, დაბალი გეჩვენება ტანად. მთაწმიდის თხემიდან რომ გადმოვხედეთ ქალაქს, ხომ გახსოვსთ, ჭიანჭველასავით პატარა მოჩანდენ გამვლელ-გამომვლელნი. სიშორე ყოველ საგანს აპატარაჭებს ჩვენს თვალში. მაშინ რაღა ვქნათ, რომ დიდი და მაღალი მთა შორიდან პატარა და დაბალი გვეჩვენება.—გვითხრა მასწავლებელმა.

— მეტი რა გზაა, ახლო უნდა მივიდეთ!—სთქვა ვასომ.

— კარგი, ვთქვათ მივედით იმ მთის ახლო და შევამჩნიეთ, რომ მახლობელ მთებთან შედარებით ის უფრო მაღალია, ან თუნდაც დაბალი. მაგრამ როგორ-ღა შევადაროთ ამ მთის სიმაღლე შორიშორს მდებარე მთის სიმაღლეს, აქ ხომ თვალი გვიმტყუნებს.

— გავზომოთ, მასწავლებელო, და ეს ზომა შევადაროთ მეორე მთის სიმაღლის ზომას, რომელი მთის ზომაც მეტი იქნება, ის მთა იქნება უფრო მაღალიც.—მოისაზრა შაქრომ.

— მერე და როგორ გავზომოთ, საიდან?

— ძირიდან მწვერვალამდე!—სთქვა შაქრომ.

— ძირიდან?—გაბმით სთქვა მასწავლებელმა.—აბა, მიცქირეთ, რა მაგალითს გიჩვენებთ.

მასწავლებელმა გამოიყვანა შაქრო და ქეთო, შაქრო ქეთოზე უფრო მაღალი იყო; შაქრო მაგიდასთან დააყენა, ქეთო კი იქვე ახლო სკამზე შესვა. შემდეგ მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— აბა, გაზომეთ ესენი ძირიდან ე. ი. ფეხებიდან.

გასაზომად გავიდა ვასო. გამოირკვა, რომ შაქრო 10 მტკაველი იყო ფეხიდან თავამდე, ქეთო კი 9 მტკაველი.

— შაქრო უფრო მაღალია, მასწავლებელო,—სთქვა თამამად ვასომ,—მთელი ერთი მტკაველით უფრო მაღალია.

მასწავლებელი მოწაფეებს მოგვიბრუნდა და გვკითხა:

— რას იტყვით, რომელი უფრო მაღლაა ჰაერში აღმართული?

— ქეთო, ქეთო!—გაისმა ხმები.

— აკი შაქრო 10 მტკაველია სიმაღლით და ქეთო კი მხოლოდ 9, ცხრამ როგორ გადაამეტა ათს!—მიმართა მასწავლებელმა ვასოს, რომელმაც ველარაფერი სთქვა.

— სკამზე უდგას ფეხი და... აბა, იატაკზე დადგეს ჩემსავით,— ნიშნის მიგებით სთქვა შაქრომ.

— ახლა მთებზე გადავიტანოთ ეს მაგალითი.—სთქვა მასწავლებელმა.

მთაწმიდის ძირას რომ დავდგეთ და მთაწმიდის მწვერვალს ავხედოთ, თვალი ძლივს ასწვდება; მთაწმიდის სიმაღლე ძირიდან მწვერვალამდე 230 მეტრს უდრის.

უძოს ძირას რომ ვიდექით, ნანგრევ ნიშთან, უძოს მწვერვალი ძალიან ახლო ჩანდა; უძოს სიმაღლე ძირიდან მწვერვალამდე 60 მეტრს უდრის.

— უძო მართლაც დაბალი იყო, მასწავლებელო, კიდეც გამიკვირდა, შორიდან მაღალი ჩანდა, მაგრამ ძირიდან რომ ავხედეთ, არც ისეთი მაღალი გამოდგა.—ჩამოერია ოთარი.

— ძირიდან მწვერვალამდე უძო ბევრად უფრო დაბალია, ვინემ მთაწმიდა,—დაემოწმა მასწავლებელიც.—მთაწმიდის ძირიდან (ფუნიკულერის ქვედა სადგურიდან) მთაწმიდის ეკლესია 60 მეტრის სიმაღლეზეა, ასე რომ უძოს სიმაღლე ძირიდან მწვერვალამდე უდრის მთაწმიდის სიმაღლეს ძირიდან მხოლოდ ეკლესიამდე, ეკლესიიდან მწვერვალამდე კი კიდევ რჩება 180 მეტრის სიმაღლე. ამგვარად, მთაწმიდა ძირიდან მწვერვალამდე მთელი 180 მეტრით უფრო მაღალია, ვინემ უძო. მაგრამ, თუ გახსოვსთ, მთაწმიდის მწვერვალზე რომ დავდექით და უძოს მწვერვალისაკენ გავიხედეთ, განა მთაწმიდის მწვერვალი უფრო მაღლა იყო ცაში აღმართული, ვინემ უძო?—იკითხა მასწავლებელმა.

— რა სათქმელია, მასწავლებელო, მთაწმიდის მწვერვალიდან რომ უძოს მწვერვალს გავხედეთ, იგი ისე მაღლა იყო ცაში აშვერილი, რომ საეჭვოდაც მიმაჩნდა მასზე ასვლა.—სთქვა ოთარმა.

— უძოს მწვერვალიდანაც რომ გადმოვხედეთ მთაწმიდის მწვერვალს, მთაწმიდის მწვერვალი მეტად დაბლა იყო.—დავსძინე მეც.

— მაშ, უძო ცაში ბევრად უფრო მაღლაა აღმართული, ვინემ მთაწმიდა, მაგრამ, თუ ძირიდან გავზომავთ—მთაწმიდა ბევრად უფრო მაღალია, ვინემ უძო.

— უძო ქეთოს მოგვაგონებს, მთაწმიდა კი შაქროს.—ჩამოერია სოსო.—ალბად უძოს მაღლა აქვს ძირი შედგმული.

— მართალია, მაგრამ როგორ და საიდან გავზომოთ, რომ რიცხვობრივადაც აშკარად ჩანდეს უძოს უპირატესობა სიმაღლის მხრივ. შაქროსა და ქეთოს აღმართულობის გამოანგარიშებაში ხომ შევცდით, როცა ისინი ფეხებიდან გავზომეთ, ისე მთაწმიდისა და უძოს აღმართულობის გამოანგარიშებაშიაც ვცდებით, როცა მათ ძირიდან ვზომავთ. რა ვქნათ? მოდი ერთი შაქროსა და ქეთოს აღმართულობა მათი ფეხებიდან კი არა, საერთო დონედან გავზომოთ. რა არის ამათი საერთო დონე, იატაკია ხომ? აბა, გავზომოთ ამ საერთო დონედან, იატაკიდან.

გავზომეთ და საერთო დონედან შაქრო 10 მტკაველი გამოვიდა, ქეთო კი 12.

— მერე, რომელი ზომა უფრო მეტია, 10 თუ 12 მტკაველი?

— 12 მტკაველი,—ვთქვით ყველამ,—ქეთო უფრო მაღლაა აღმართული.

— დიაღ, ქეთო უფრო მაღლაა აღმართული, ვინემ შაქრო, ეს სიმართლეა და ამ სიმართლის გაგება იმან გაგვიადვილა, რომ მათი სიმაღლე საერთო დონედან გავზომეთ. იგივე ითქმის მთებზედაც. უძო და მთაწმიდა საერთო დონედან უნდა გავზომოთ და მაშინ დასკვნასაც მართალს მივიღებთ.

მაგრამ საქმე ისაა, მთების საერთო დონედ რა გამოდგება? შაქროსა და ქეთოსათვის საერთო დონედ იატაკი გამოდგა, მთებს რაღა ვუყოთ?—სთქვა მასწავლებელმა.

ამაზე ველარაფერი ვთქვით.

— ქვეყნიერება ფართოა,—სთქვა ღიმილით მასწავლებელმა,—ზოგან ზღვაა, ზოგან ხმელეთი. ხმელეთი წარმოადგენს მთასა და ბარს...

— მივხვდი, მასწავლებელო,—გააწყვეტინა სიტყვა შაქრომ,—მთების სიმაღლე ბარიდან, სწორი ადგილიდან უნდა გავზომოთ, ბარი გამოდგება საერთო დონედ.

— კი, მაგრამ, მაგარიც ისაა, რომ ბარსაც ყველგან ერთნაირ დონეზე არა აქვს თავისი ძირი. ზოგი ბარი მაღლაა, ზოგი დაბლა, ასე რომ ბარი საერთო დონედ არ გამოდგება. ჩვენ ისეთი ადგილი უნდა მოვნახოთ, რომელიც ყველგან ერთნაირ დონეზეა და აია ზოგან მაღლა და ზოგან დაბლა.

— მერე რომელი ადგილი უნდა იყოს ასეთი? ასეთი ადგილი ხმელეთზე არ ყოფილა და...—არ ცხრებოდა შაქრო.

— მართალია ხმელეთზე არ სად არაა, მაგრამ ზღვაზე კი არის... აი, თვითონ ზღვის ზედაპირი. თქვენთვის ეს ძნელი გასაგებია, მაგრამ

მაინც ვიცოდეთ, რომ ზღვის ზედაპირი ყველგან ერთნაირ სიმაღლეზეა, ამიტომაც იგი გამოსადეგია საერთო დონედ, როგორც მთისა, ისე ბარის სიმაღლის გამოსარკვევად. ჩვენი ქვეყნის მოსაზღვრე შავი ზღვა გამოყენებულია კიდეც საერთო დონედ ჩვენი ქვეყნის ყველა მთისა და ბარისათვის.

— კასპიის ზღვაც უნდა გამოდგეს, აბა.—სთქვა სიკომ.

— კასპიის ზღვა ხომ ზღვა არ არის, იგი ტბაა, მხოლოდ არაჩვეულებრივი სიდიდის გამო დაარქვეს მას ზღვა. კასპიის ზღვა საერთო დონედ არ გამოდგება, რადგან მისი ზედაპირი სხვა ზღვების ზედაპირს არ ეთანაბრება, უფრო დაბლაა, თითქმის 25 მეტრით. ამგვარად მთისა თუ ბარის შესახებ რომ იტყვიან: ამა და ამ სიმაღლეზეაო, უთუოდ თან დასძენენ: **ზღვის დონედან!**

შავი ზღვის დონედან გამოანგარიშებულია საქართველოს ყველა მთისა და ბარის, სოფლისა და ქალაქის სიმაღლე. აი, მაგ., ზღვის ნაპირას მდებარე ქ. ბათომი ზღვის დონედან 3 მეტრის სიმაღლეზეა, ტფილისის ბარი კი 404 მეტრის სიმაღლეზე. მთაწმიდის ეკლესია ტფილისში 570 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან. ტფილისის მოსაზღვრე მთები—მთაწმიდა 740 მეტრის, მახათას ქედი 658 მეტრისა და სოლოლაკის მთა 488 მეტრის სიმაღლეზეა. ჩვენ რომ ვნახეთ უძო, ნიშნის მთა, მათ შორის უძო 1440 მეტრის სიმაღლეზეა, ნიშნის მთა 1525 მეტრის სიმაღლეზეა, იქვე ახლო აღმართულია **კოჯრის-ციხის** მთა, რომელიც 1390 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვის დონედან. ძირიდან რომ გვეანგარიშა, უძო უფრო ნაკლები სიმაღლისაა ძირიდან მწვერვალამდე, ვინემ მთაწმიდა, ასე რომ უძო უფრო დაბალი გვეგონებოდა მთაწმიდაზე! ახლა კი აბა, დავხედოთ ამ სურათს, რას გვიჩვენებს: მთაწმიდის ძირი (ფუნიკულერის ქვედა სადგური) ზღვის დონედან 510 მეტრის სიმაღლეზეა, მწვერვალი—740 მეტრის სიმაღლეზე; უძოს ძირი (ნიშთან) ზღვის დონედან 1380 მეტრის სიმაღლეზეა, მწვერვალი კი—1440 მეტრის სიმაღლეზე. თუმცა მთაწმიდა ძირიდან მწვერვალამდე 230 მეტრის სიმაღლისაა და უძო კი მხოლოდ 60 მეტრის, მაგრამ ზღვის დონედან მთაწმიდის მწვერვალი 740 მეტრის სიმაღლეზეა, უძოს მწვერვალი კი 1440 მეტრის სიმაღლეზე! ცხადია 1440 მეტრის სიმაღლე ბევრად მეტია 740 მეტრის სიმაღლეზე. და სინამდვილეშიაც ხომ უძო ბევრად უფრო მაღალია, ვინემ მთაწმიდა. ამგვარად ადგილის სიმაღლის გაზომვა ზღვის დონედან გვმართებს და დასკვნასაც მართალს მივიღებთ. სოფლების სიმაღლეც გამოანგარიშებულია, მაგალითად, ოქროყანა (იქ, სადაც სკო-



მთაწმიდის და ფეხის სიმაღლის გაზომვა.

ლაა და წყაროა) 735 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან, წავკისი 652 მეტრისა და წყნეთი 931 მეტრის სიმაღლეზე. თუ თრიალეთის ქედის მწვერვალების სიმაღლეს შევადარებთ ერთმანეთს, მათ შორის ყველაზე უფრო მაღალია არჯევანის მთა. ამგვარად არჯევანის მთა თრიალეთის ქედის უმთავრესი, უმაღლესი მწვერვალია, იგი ზღვის დონედან 2756 მეტრის სიმაღლეზეა.

შემდეგი გაკვეთილისათვის აი, როგორი ნახაზები დავიმუშავეთ.



ზოგიერთი მთის სიმაღლე ზღვის დონედან.



ზოგიერთი სოფელ-ქალაქის სიმაღლე ზღვის დონედან.

მტკვარი — თრიალეთის თანამგზავრი.

— ტფილისში თავდება თრიალეთის ქედი მთაწმიდით და სოლოლაკის მთით. აქედან რომ დასავლეთით გავყვეთ თრიალეთის ქედს და მთელ მის სიგრძეზე გადავიაროთ, მივადგებით მის მეორე ბოლოში ერთს მთას, რომელსაც სახელად **ყერძენის მთა** ჰქვიან. ამგვარად თრიალეთის ქედის აქეთა ბოლოში მთაწმიდაა, იქით კი ყერძე-

ნის მთა. თრიალეთის ქედი ყერძენის მთასთან თანდათან ეშვება დაბლა ბარში და, როგორც აქ, მთაწმიდის ძირას, მოდუდუნებს მდინარე მტკვარი, ისე იქ, ყერძენის მთის ძირსაც ეხმატკბილება იგივე მტკვარი.



— აქაც და იქაც ჩვენი მტკვარია?—იკითხა ნენემ.

— დიაღ. მდინარე მტკვარი არსიანის ქედიდან რომ გამოეშურება, მას გზაზე გადაეღობება თრიალეთის ქედის ის უკანასკნელი მთა—ყერძენის მთა, რომელსაც მტკვარი გვერდს აუვლის, დაიტოვებს მარჯვენა ნაპირისაკენ და თრიალეთის ქედს ჩრდილოეთის მხრიდან მოუყვება თითქმის პარალელურად სიგრძის გასწვრივ, როგორც ერთგული თანამგზავრი. მცხეთასთან მტკვრის კალაპოტს მთის ფერდობები ავიწროვებს. მტკვარი აქ ერთბაშად მოიქცევა ტფილისისაკენ



და ასე მოხვეული გზით მოემართება პირდაპირ ტფილისამდე. ამ მოსაზვევ ადგილს **ლევის ნამუხლარი** ჰქვიან. მტკვარი ურწყავს თრიალეთის ქედს ჩრდილოეთის კალთებს, შემდეგ აქ, ტფილისში, მთაწმიდასთან უკანასკნელ სალამს ეტყვის ამ ქედს და ზლაზვნა-ვრეხით თანდათან ეშვიდობება, ვიდრე მეტეხთან სოლოლაკის ფერდობს არ გასცილდება და აქ საბოლოოდ არ გამოეთხოვება. ტფილისამდე მტკვარი ტყესა და ღრეში სისწრაფით მოქუხს, აქ კი, თითქო ამ დიდებული და განათლებული ქალაქის რიდი ჰქონდეს, თავშეკავებით მიდის, დინჯად, დარბაისლად. გეგონება: „ტფილისის ეშხით თვრება და მისი მზერით ვერ ძღებაო. და უნდა ნახოთ მტკვარი, როცა იგი

ტფილისს გაშორდება, სულ ვეღარ იცნობთ, ისე იცვლის იერს. დაღონებული მიტბორავს, თითქო ფეხები უკან რჩებოდეს და ტფილისის განშორება უმძიმდეს. მიდის ასე გულდაწყვეტილი, ვიდრე შორს სადღაც კასპიის ზღვის მღელვარე ზვირთებს არ შეერთვება.

აი, თურმე სად მდებარეობს ბორჯომი.

— მერე, რომ იცოდეთ, რამდენად უფრო ლამაზი და მომხიბლავია თრიალეთის ქედის ის ბოლო, ყერძენის მთის ძირას. ტფილისთან შედარებით იქ ნამდვილი ედემია. აქაურ რუხსა და უფერულ ადგილებს იქ ვერსად შეხვდებით. ირგვლივ მიდამო ამწვანებულია, ტურფად შემკული. საკვირველია, რათ გაურბის ასეთს ბუნებას მტკვარი და რათ მოიჩქარის ტფილისისაკენ.

— მეტი რა ღონე აქვს,—სთქვა დიტომ.—შარშან აკი გვითხარით ადგილი ჩვენსკენ დაქანებული აქვსო, უნდა გამოექანოს აქეთკენ წყალი, რასაკვირველია.

მასწავლებელმა გაიღიმა და დიტოს მეხსიერება უქო.

ცოტა ხანს შემდეგ მასწავლებელს შევეკითხეთ:

— ცხოვრობს თუ არა იქ ვინმე, მასწავლებელო?

— ყველა, ყველა, მაგრამ, გიაც რომ ამას მეკითხებიდეს, ეს კი საოცარია.—სთქვა მასწავლებელმა და განზე გადმომხედა.

— რათა, მასწავლებელო?—დარცხვენით ვკითხე მე და საგონებელში ჩავვარდი.

— შენ ეს ზაფხული სად გაატარე?—მკითხა მასწავლებელმა და თვალი თვალში გამიყარა. მე მაშინვე მიკხვდი, რომ საქმე ბორჯომს ეხებოდა და დაუყონებლივ შევაგებე სიტყვა:

— განა იქ არის ბორჯომი, მასწავლებელო?

— დიაღ, იქ არის. ვნახოთ აბა რუკაზე.

გავშალეთ რუკა. მოვძებნეთ ტფილისი. გავაყოლეთ თითი თრიალეთის ქედს და მართლაც იქ, სადაც ეს ქედი გათავდა, ამოვიკითხეთ; **ბორჯომი**!

— ახლა მე მეტს არას ვიტყვი და ჯერი შენია, თუ რამე იცი —გვიამბე ბორჯომის შესახებ.—მითხრა მასწავლებელმა.

მე სიხარულმა ამიტაცა. თვალები გამიბრწყინდა. ამხანაგები შემომაცქერდენ, ყველა ელოდა, რას ვიტყოდი საინტერესოს.

— საიდან დავიწყო, მასწავლებელო?—ავღელდი მე ცოტა არ იყოს.

— აი, იქიდან, თუ როგორ გაემგზავრე და მერე სხვაც მოგაგონდება.

ტფილისიდან ბორჯომამდე.

— მახსოვს, მამამ მატარებელში ჩაგვსხა,—დავიწყე მე.—ოთხნი ვიყავით: მე, ჩემი დედ-მამა და უმცროსი და. დაიძრა მატარებელი და გაგვაქანა. გავიარეთ სადგურები: ავჭალა, მცხეთა, ქსანი, კასპი, გრაკალი, გორი, სკრა, ქარელი, გომი და 112 კილომეტრის გავლის შემდეგ მივადექით ხაშურს, მამამ როგორც გვითხრა—ხაშურში რკინისგზის ლიანდაგს ორი ტოტი აქვს: მარჯვნივ ჩრდილოეთით, სურამისაკენ მიდის ერთი ტოტი, მარცხნივ კი, სამხრეთით, ბორჯომისაკენ მეორე ტოტი. დავადექით ლიანდაგის მარცხენა ტოტს და მატარებელმა ბორჯომისაკენ გაგვაქანა. გზაზე მამამ გვიამბო „სურამის ციხის“ ლეგენდა, რამაც ისე გამიტაცა, რომ ჩემი შეკითხვებით მამას მოსვენებას არ ვაძლევდი. ამ საუბარში მატარებელი შეჩერდა დასასვენებლად. მამამ გვითხრა: ხაშურიდან უკვე 9 კილომეტრი გამოვიარეთ. ახლა ქვიშხეთში ვართ. ხედავთ—სოფელი ქვიშხეთი რა ლამაზად გაშლილა მთის ფერდობზე. აგერ მტკვარიც მოდუდუნებს. ქვიშხეთი პატარა აგარაკია, კიდევ ოცდოდე კილომეტრი და მალე ბორჯომსაც ვეწვევითო. მიქროდა მატარებელი. გზაში მხოლოდ ორ ადგილას დაისვენა კიდევ. გზადაგზა თვალს არ ვაშორებდი მტკვრის ნაპირებს. ძალიან მომეწონა. ლამაზი იყო. ტფილისის სილამაზე იმასთან რა შესადარებელია. მალე ბორჯომშიაც ჩავედით, სულ რაღაც 7 საათის მგზავრობის შემდეგ. ტფილისიდან ბორჯომამდე დაახლოებით 140 კილომეტრი მანძილია. მთელი ზაფხული იქ გავატარე, კვლავაც მინდა იქაურობას ვეწვიო.

— ოღონდაც, გენდომება.—სიტყვა ჩამომართვა მასწავლებელმა.—განა შეიძლება კაცის თვალი გაძღეს ამ მშვენიერი ადგილების მზერით! აი, შენ რომ ქვიშხეთი ახსენე, იმან მომაგონა ჩვენი პოეტის სილოვანის ლექსი, ქვიშხეთში მოაგარაკეს რომ მთვარიან ღამეზე დაუწერია. აი, ამ ლექსის ნაწყვეტი.

ქვიშხეთის მთებში.

„მთის წვერზე ვდგავარ, ჩემი სისწორით
სქელი ღრუბლების მოჩანს გუნდები,
და ჩემს გარშემო—მთების მწვერვალნი,
შავად მოსილი სულ მთენი, მთები...

მთა მთასა მისდევს, მთა მთას აწვება,
კიდით კიდემდე ძლივს ეტევიან,
ყელგადაჭდობით, დედაშვილურად,
დაძძურად ურთერთს გადახვევიან.

—

სძინავს დედამთას შუა გაწოლილს,
თავი ღრუბლებში აუწევია,—
მას პაწა მთები, ვით დედას შვილნი,
გარშემო ტანზე შემოსევია.

—

მძინარე მთების კალთებს და ფერხთა
ეამბორება ალერსით მტკვარი—
და ჰაერისა ციურ ნანინას
მისი დუდუნი ერთვის დამტკბარი"...

— ხომ მართალია, გია?

— დიაღ, მასწავლებელო, ქვიშხეთის მთები სწორედ ამას ათქმევინებს კაცს,— დავემოწმე მეც.

— მთაწმიდის წვერზე მდგომარესაც შეუძლია ამისი თქმა. აქაც თითქმის ასეთი სურათი იშლება თვალწინ!— სთქვა სოსომ.

— კი, აქაც არის ჩვენს გარშემო მთების მწვერვალნი, სულ მთები, მთები. და ამ მთების კალთებს და ფერხთა ეამბორება ალერსით მტკვარი, მაგრამ სილამაზის მხრივ ეს მთები ქვიშხეთის მთებს ვერ შეედრება.— გვითხრა მასწავლებელმა.

ბორჯომის ხეობა.

მეორე დღესაც განვაგრძეთ საუბარი. გამოირკვა, რომ ჩვენს შორის ერიენენ ისეთები, რომელნიც სწორედ იმ სოფელ-ქალაქებიდან იყვნენ მოსული, მე რომ გუშინ ტფილისსა და ბორჯომს შორის დავასახელე. ყველა თავის სოფელ-ქალაქს ამჯობინებდა ჩემს აგარაკ ბორჯომს, მაგრამ მასწავლებელმა მხარი დამიჭირა და ჩემს სასიხარულოდ შემდეგი რამ გვიამბო.

— თავთავის რიგზე ყველა კარგია: მცხეთაც, გორიცა და გომიც. ასე რომ არ იყოს, იქ არც არავინ დასახლდებოდა, მაგრამ სილამაზით, ბუნების სიკეკლუცით ბორჯომს ვერც ერთი ვერ შეედრება.

ტფილისიდან მატარებლით მიმავალი მგზავრი ბორჯომამდე განუწყვეტლივ ხედავს თრიალეთის ქედს და მის ერთგულ თანამგ-

ზავრს მდინარე მტკვარს. თრიალეთის ქედის ჩრდილოეთის კალთები თანდათან ეშვება მტკვრის ბარში. მტკვარსა და თრიალეთს შორის საკმაოდ ვრცელ მანძილზეა გაშლილი ვაკე ადგილები. მტკვრის ნაპირები თრიალეთისაკენ შედარებით დაბალია, ზოგან სავსებით გავაკებული, მარცხენა ნაპირი კი ამაღლებულია. ხაშურამდე მეტნაწილად ამ დაცემულსა და ვაკე ადგილებს ვხედავთ, მთები კი მოშორებით ჩანან. ბუნება ერთფეროვანია, რუხი, მოწყენილი, აქა-იქ თუ მოკრავ თვალს ამწვანებულ გორაკებს. ხაშურიდან კი ტყეებით დაფენილი მთა-გორაკები ორივე მხრიდან გხიბლავს, გატყვევებს. უახლოვდები ქვიშხეთს. აქედან ბუნება უფრო მეტად მრავალფეროვანია. ირგვლივ სულ მთები, კლდეები, გორაკები ტკით დაფარული. „სულს გიტკბობს, სევდას გიქარვებს მათი ბიბინი, შრიალი". გზა ვიწროვდება, აღმოსავლეთიდან ამ ვიწრო ბარში ამაყად ეშვება თრიალეთის ქედის უკანასკნელი მთის—ყერძენის მთის კალთები და ფერდობები; დასავლეთიდან კი ყერძენის მთის პირისპირ აყუდებულა მესხეთის ქედის ბოლო მთა—**მახვილო**.

ეს ორი გოლიათი—ყერძენი და მახვილო—ერთიმეორეს ცხვირებწაწვდილი, შუბლ-შეჭმუხვნილი და შემოღარული უღრენენ. მაგრამ მათ თიშავს ერთმანეთისგან ფაფარ-აყრილი მტკვარი, რომელიც ამ კლდეთაგან დავიწროებულ ადგილას მოქუხს განგაშით, ლოკავს ნაპირებს თავისი ტალღებით და ორსავე ამ გოლიათს ებრძვის თავდავიწყებით... იმარჯვებს მტკვარი. გზას იკაფავს. მას ამ ბრძოლაში შველიან უმცროსი და-ძმანი, პატარა შენაკადები, რომელნიც ორივე მოპირდაპირე მთიდან მორაკრაკობენ, მოაქვსთ ნაშალი ქვა და გუნდა და ამ ავლა-დიდებით ერთვიან მტკვარს მარჯვნივ და მარცხნივ-ასე ჩნდება მტკვრის ვიწრო ბარი ანუ **ხეობა**. ეს ხეობა იმდენად ვიწროა, რომ მისი განი საერთოდ რამდენსამე ოცეულ მეტრს არ აღემატება. მხოლოდ აქა-იქ მტკვრის ხვეულებში ან შენაკადების პირას ცოტათი განიერდება ივი.

მტკვარი და მისი შენაკადები უხვად რწყავენ ამ ხეობას, რის გამოც მიდამო სულ სიმწვანეშია ჩაფლული. მთები თხემიდან ძირამდე შემოსილია ნაზი მცენარეულობით; ხეობის ძირას უხვადაა ამწვანებული ხავეოდოვანი მდელო და კორდები. ხეობა იკლაკნება ხვეულებად. მთის ფერდობებზე შეფენილია ჭართული სოფლები ხშირი სიმწვანით დაჩრდილული.

ირგვლივ წიწვიანი ტყეების ტევრია, აქა-იქ ფოთლოვანი მცენარეებით შეხავებული. ლამაზი და მყუდრო აგარაკები ქოჩორს

ივარცხნიან ლაპლაპა მზის სხივებით და ანცი ნიავით შუბლს იგრილებენ. ამ აგარაკებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, ბორჯომი არის. ამიტომაც ამ ხეობას **ბორჯომის ხეობა** დაერქვა.

ბორჯომის ხეობა ქვიშხეთიდან თვით ბორჯომამდე, თითქმის 20 კილომეტრის მანძილზე, სულ ასეთი ლამაზია. და ეს სილამაზე მატულობს, რაც უფრო ბორჯომს უახლოვდები. ბორჯომს რომ გასცილდები, ეს სილამაზე ისევ თანდათან კლებულობს. ბორჯომის ხეობა 46 კილომეტრია სიგრძით და თავდება აწყურთან. რკინის გზით მოგზაურობა ამ ხეობაში გენანება, გინდა სულ ქვეითად იარო, ნელა, რომ დატკბე დიადი სანახაობით. რკინის გზის გასწვრივ



ბორჯომის ხეობა.

მტკვრის მეორე ნაპირას მიიმართება კიდეც მშვენიერი შარაგზა, რომელიც ხაშურში იწყება, გაივლის ბორჯომს და ახალციხეში თავდება. ამ შარაგზას სახელად **ახალციხის** ანუ **მცხეთის სამხედრო გზა** ჰქვიან. ძველად, როცა რკინისგზა ჯერ კიდევ არ იყო გაყვანილი ამ ხეობაში (ბორჯომის ხაზზე მატარებელი პირველად 1894 წელს ამოძრავდა), მიმოსვლა ამ შარაგზით ყარმოებდა. დღესაც სარგებლობენ ამ გზით.

ბორჯომი საგარაკო ადგილია. ტფილისელისათვის იგი ზაფხულობით სანატრელია. მაშინ, როდესაც აქ, ტფილისში, სიცხის ალშურია, ივნისში სიცხე 23,3° არის, ივლისსა და აგვისტოში კი 24,2°,

იქ, ბორჯომში, ივნისში 17,3° არის, ივლისში 19,9°, ხოლო აგვისტოში 20,4°. მაშასადამე, ბორჯომში უფრო გრილი ზაფხული იცის. ეს იმით აიხსნება, რომ ბორჯომს უფრო მაღალი მდებარეობა აქვს. ტფილისი ზღვის დონედან, როგორც ვიცით, 404 მეტრის სიმაღლეზეა (პლეხანოვის ვამზირზე, ობსერვატორიასთან), ბ. ორჯომი კი (მინერალურ წყაროსთან) 794 მეტრის სიმაღლეზეა. წვიმები ბორჯომში იმდენივე ჩამოდის, რამდენიც ტფილისში. ზაფხულის განმავლობაში ბორჯომში ჩამოდის სულ 168 მილიმეტრი ნალეკი, ტფილისში კი 162, თითქმის იმდენივე. მაშ, ბორჯომის სიგრილე ღრუბლიანობის შედეგი არ არის, იგი უმთავრესად მაღალ მდებარეობას უნდა მიეწეროს.

— მასწავლებელო, მეც ვიტყვი რასმე ბორჯომის შესახებ,— ვთხოვე მე.

— გვიამბოს, გვიამბოს.—სთხოვეს მასწავლებელს ამხანაგებმაც.

მასწავლებელი სიამოვნებით დათანხმდა. მე გადავშალე ჩემი რვეული და დავიწყე კითხვა.

აგარაკი ბორჯომი.

— ჩვენ სააგარაკოდ დავყავით ბორჯომში თითქმის 3 თვე, ივნისიდან სექტემბრამდე. ეს თვეები საუკეთესო სააგარაკო დროდ ითვლება აქ. დედას კუჭის ტკივილი აწუხებდა და ექიმის რჩევით ბორჯომის წყალი უნდა ესვა. ჩვენც ამ მიზნით ვეწვიეთ ბორჯომს. მართლაც ბორჯომის წყალი იქ უხვად დაგვხვდა; აქ რომ ასე ძვირად ფასობს და ბოთლობითა და ჭიქებით იყიდება, იქ წყაროებად მოჩუხჩუხობდა.

ბორჯომი იმ ადგილას მდებარეობს, სადაც მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან ერთვის პატარა მდინარე—შავ-წყალი.* ბორჯომი მტკვრის ორსავე ნაპირასაა გაშენებული და შავ-წყალის ნაწილიც უკავია. მტკვრის მარცხენა ნაპირას სასახლეა მისი შენობებით, ბორჯომის შამულის კანტორა, აგრეთვე სააგარაკო სადგომები. ზევით კი, მტკვრის გაყოლებით, გამართულია რამდენიმე ქუჩა, სადაც ბორჯომის მკვიდრნი სახლობენ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას სასახლის წინ არის დაჩრდილული ბაღი ე. წ. ექიმ რემერტის სახელობის პარკი. ეს პარ-

* შავ-წყალს რუსებმა ბორჯომკა დაარქვეს და შეცდომით დღესაც ასე უწოდებენ.

ავტორი.

ეზერგმი.

კი ლამაზადაა დაგეგმული და შემკულია ჩრდილიანი განიერი ხეივ-
ნებით, ყვავილნარებით და მწვანე კორდებით. ხეივნები შედგება ცა-

ცხვისა, ნეკერჩხლისა, მუხისა და სხვა ხეებისაგან. აქა-იქ დარჩენილა ძველებური ტყის ნაშთი—ასწლოვანი, დიდროვანი კაკლის ხეები და წაბლები. რემერტის პარკთან მახლობლად ბაზარია და დუქნები.

შავ-წყალის ხევში მიიმართება ყველაზე უფრო გამოჩენილი ქუჩა—ანასტასიის სახელობისა, სადაც თავმოყრილია ყველა საუკეთესო საგარაკო სადგომები, სასტუმროები და რესტორანები. ამავე ხევში არის ცნობილი მინერალური პარკი, რომელსაც ყველა პარკებს შორის პირველობა ეკუთვნის. ყველაზე უფრო ხშირად ამ პარკს ვეწვევოდით ხოლმე მოაგარაკეები. შავ-წყალი ამ პარკს შუაში ჩამოუდის. შავ წყალი პატარაა, მაგრამ გიჟმაჟი, როგორც მთის მდინარეს შეეფერება. ქვიან კალაპოტში მოაგორებს იგი თავის ტალღებს და მისი ხმაური არემარეს აყრუებს. პარკი ამ წყალს განდაგან მიუყვება სიგრძისად რამდენიმე კილომეტრის მანძილზე და შემდეგ გადადის უდაბურ ტყეში. ამ პარკს მინერალური იმის გამო დაერქვა, რომ აქაა ის წყაროები, საიდანაც ე. წ. „ბორჯომის წყალი“ მოჩუხჩუხობს. ბორჯომის წყალი კი, როგორც ვიცით, უბრალო არაა, იგი მინერალურია.

— აი, როგორც აქ, ტფილისში მინერალური თბილი ნაკადულები რომ მოჩუხჩუხობს.—ჩამოერია ლექსო.

— გოგირდიანი, მასწავლებელო.—დასძინა ქეთომ.

— კი, მაგრამ აქ ხომ აბანოებისათვის ვხმარობთ თბილ ნაკადულებს, ბორჯომის წყალი კი ცივია და ძეტნაწილად სასმელად იხმარება,—ვთქვი მე.

— მართალია, უფრო სასმელად იხმარება, თუმცა, იმ წყაროებთან აბანოებიც არის გამართული.—სთქვა მასწავლებელმა.—ცივი კი არის. ბორჯომის წყლის ტემპერატურა დაახლოებით 22,5° უდრის, ტფილისის თბილი ნაკადულებისა კი 43° ან 45°. განაგრძე, გია.

— პარკში ჩამოქუხს ჩანჩქერი. იგი მეტად ლამაზია. ამ ჩანჩქერის ნახვაზე მამამ მასწავლა მწერალი ქალის განდეგილის ლექსი, რომელიც დღემდე კარგად მახსოვს:

„კლდიდან გადმოსკდა ჩანჩქერი,
ცრემლი პიტალო სალისა,
მიესალამა მიდამოს
და გული გაახალისა;
მკერდი ჩარეცხა უდაბნოს,
ძირს მდელო ააცქრიალა,
ჩაირაკრაკა... გზადაგზა
სპეკალი ააპრიალა.

ბარს დაეპკურა, მოსწმინდა
დაკოდილ გულის იარა;
სალი კლდის შემონათვალი
ჩურჩულით გაუზიარა.

— ეს ჩანჩქერი ხელოვნურად ჩნდება იმ წყლის დენისაგან, რომელიც გამოყვანილია ელექტრო-სადგურისათვის. ჩანჩქერი პარკში 140 მეტრის სიმაღლიდან ჩამოქუხს. — დასძინა მასწავლებელმა.

— მინერალური პარკიდან დაახლოებით ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს რკინისგზის მთავარი სადგური, იქ, სადაც ნტკვარს მარჯვენა ნაპირიდან ერთვის მეორე მისი შენაკადი **თორის-წყალი***. თორის-წყალმა, ზოგჯერ ისეთი ადიდება იცის, რომ ხიდს დაანგრევს და წაიღებს. თორის-წყალში რამდენჯერმე ვითევზავე კიდეც. ხევში ხე-ტყის სახერხი ქარხანაა და შუშის ქარხანა, აგრეთვე რამდენიმე სააგარაკო სადგომიც.

— მასწავლებელო, თრიალეთის ამ ბოლოშიაც, ტფილისში, მტკვარს განა ორი შენაკადი არ ერთვის? — მოიგონა სანდრომ.

— ვერე და წავკისის-წყალი! — წამოიძახა დიტომ.

— დიაღ, ესენიც თრიალეთის მთა-გორაკებიდან მოდიან. ესენიც მარჯვენა ნაპირიდან ერთვიან მტკვარს. განაგრძე, გია. — სთქვა მასწავლებელმა.

— მთის წვერზე, რომელიც გადმოჰყურებს ბორჯომის ხეობის ნაწილს მტკვრის გასწვრივ, აგრეთვე თორის-წყალსა და შავ-წყალს, არის ზეგანი (ვაკე-გორა), რომელზედაც გაშენებულია ბორჯომის მესამე შესანიშნავი პარკი — ვორონცოვის სახელობისა. ეს პარკი სამი მხრივ ირწყვის სამი სხვადასხვა მდინარით, როგორიც არიან მტკვარი, თორის-წყალი და შავ-წყალი, და ამ მდინარეთა დონედან 140 მეტრამდე არის ამაღლებული. პარკის ამგვარი მდებარეობა გამოსადეგია ჯერ ერთი იმ მხრივ, რომ აქედან შეიძლება თვალი გადავავლოთ ბორჯომისა და მისი მიდამოების ყოველგვარ სანახაობას (აქედან მოჩანს მთელი ბორჯომი, მტკვარი, შავ-წყალი მის ხევში გაშლილი მინერალური პარკით, თორის-წყალი ტყიანი მთებით და აგრეთვე ლიკანის სასახლე, რომელიც ბორჯომიდან 3 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს (მესხეთის სამხედრო გზაზე) და მეორე — რადგან პარკი მაღლობზეა, იქ მუდამ გრილა, ჰაერი გაჟღენთილია ფიჭვ-

* თორის-წყალს რუსებმა ჩორნაია რეჩკა დაარქვეს, მაგრამ ეს სახელწოდება უმართებულოა.

ავტორი.

ნარი ტყის საამური სურნელებით, არც სინესტეა აქ, რომელიც ზოგჯერ საგრძნობია ბორჯომის ხეობაში, ამიტომაც ეს პარკი ყველაზე უფრო საღ ადგილად ითვლება ბორჯომში. ვორონცოვის პარკი ხშირს წიწვიან ტყეს წარმოადგენს, რომელშიაც ხეივნებია გაყვანილი საეტლოდ და საცალფეხოდ.

პარკებში უკრავს მუსიკა. მოაგარაკეებისათვის ბორჯომში მოწყობილია სასტუმროები, რესტორანები, აბანოები, თეატრი და ბევრგვარი გასართობი.

ბორჯომში მოსახლეობა საკმაოდ ბევრია. მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა 4-ათას სულამდე აღწევს, ამათ მოაგარაკეებიც ემატებიან ხოლმე.

ვორონცოვის პარკი.

მხიარულად გავატარეთ ზაფხული და დედასაც ბორჯომის წყალმა ძალიან არგო.

— ყოჩაღ, გია, შენ ბევრი რამ შეგიტყვია ბორჯომის შესახებ.— მომიწონა მასწავლებელმა.— ბორჯომს გარდა თრიალეთის ქედისაკენ სხვა სააგარაკო ადგილებიცაა: წაღვერი, ცემი, ბაკურიანი.

— მე ვყოფილვარ, მასწავლებელო, წაღვერში.—გამოეხმაურა დიტო.

— მე ცემი მინახავს.—დასძინა ლექსომ.

— მე ბაკურიანი. —სთქვა ნუკამ.

— მაშ, შემდეგისათვის თქვენც გვიამბეთ თქვენი მოგონება ამ აგარაკების შესახებ. ახლა კი ეს ვიკმაროთ,—სთქვა მასწავლებელმა და შევწყვიტეთ საუბარი.

ბაკურიანის ტოტი.

— მასწავლებელო, დიტომ, ლექსომ და ნუცამ თავიანთი მოგონებანი მოგვიტანეს.— ვუთხარით მასწავლებელს.

— სასიამოვნოა.—სთქვა მასწავლებელმა.—მაგრამ ჯერ მე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ.

ჩვენ სმენად გადავიქეცით.

— ბორჯომის სადგურიდან იწყება რკინისგზის ტოტი, რომელსაც მგზავრი ბაკურიანში მიჰყავს. ეს ლიანდაგი 1902 წ. გაიყვანეს ამ ტოტს ბაკურიანის ტოტი დაარქვეს. ლიანდაგი სიგრძით 34 კილომეტრია და მთლად ბორჯომის მამულებში მიიმართება. ლიანდაგი მიუყვება თორის-წყლის ხევს და თანდათან ადის მაღლა, ბაკურიანის ზეგანზე, შემდეგ მიდის ამ ზეგანზე და თავდება სოფ. ბაკურიანში. ეს გზა ვიწრო-ლიანდაგიანია, ვაგონები და ორთქლმავალები პაწიებია.

— ჭიათურის ტოტსა ჰგავს?— იკითხა სოსომ.

— სწორედ იმგვარია. მთა-ადგილებში, ვიწრო ხეებში დიდი მატარებელი ადვილად ვერ გაივლის, აქ მატარებელი პატარა უნდა იყოს და მაუბუქი. თორის-წყლის ხევი დაფენილია გზაგზა მდიდარი მცენარეულობით, ტყეებით. ხევის ძირას ლამაზი შარაგზა მიიკლაკნება, რომელიც ბორჯომიდან წაღვერამდე მიდის. ეს შარაგზაც ხშირს, დაბურულ ხეივანს წარმოადგენს. ტყე აქ მეტნაწილად წიწვიანია და ჰაერი დამტკბარია ფისის სურნელებით. პირველი სადგური დაბაა, მაგრამ ის იმდენად საყურადღებო არ არის. მეორე სადგურია წაღვერი—დიდებული აგარაკი. წაღვერიდან მატარებელი სულ მაღლა-მაღლა მიიმართება, მაგრამ, ალმართზე ასვლა რომ გაიადვილოს, ხერხს მიმართავს: ხან აქ გაუხვევს, ხან იქ, ხან უკან დაიხევს, შემდეგ ისევ წინ გასწევს, აქ ჩაძვრება და ჩაიმალება, იქ ისევ ამოყოფს თავს და ასეთი ხვეულებით ცემს უახლოვდება. პირდაპირი გზა წაღვერიდან ცემამდე 1 კილომეტრს არ აღემატება, მაგრამ მა-

ტარებელი ამ ორ სადგურს შორის 7 კილომეტრს გზას აკეთებს, იმდენად მიხვეულ-მოხვეულია ლიანდაგი. კიდევ ორი სადგური და მატარებელი მიდის უკანასკნელ სადგურს—ბაკურიანს. აბა, დიტო, რას იტყვი წაღვერის შესახებ.

დიტომ თავისი რვეული გადაშალა, ჩაახველა და დაიწყო კითხვა.

აგარაკი წაღვერი.

— წაღვერი ლამაზი აგარაკია. წიწვიანი ტყე ამკობს მას. წაღვერი ქართული სოფელია, სადაც ორმოცამდე კომლი ცხოვრობს. წაღვერი ყოველი მხრივ მთებითაა შემოზღუდული, რის გამოც მას ტაფობი მდებარეობა აქვს. სოფელი ორ ნაწილად იყოფა: ზემო-წაღვერი და ქვემო-წაღვერი. ზემო-წაღვერში უფრო კარგი ჰაერია,



წ ა ღ ვ ე რ ი.

ვიდრე ქვემოში და ამიტომ მოაგარაკეები მეტნაწილად ზემო-წაღვერში ბინავდებიან. ქვემო-წაღვერში ნაძვნარი შორსაა და თან ნაკლები სისუფთავეა. წაღვერის ნიადაგი მეტნაწილად თიხას შეიცავს და წვიმების დროს წყლით იჟღინთება. მოსავლისათვის იგი ხელსაყრელი არ არის. ადგილობრივი გლეხები უმთავრესად ზაფხულობით მოაგარაკეების საშუალებით იძენენ ფულს. აქ ისინი ჰყიდიან თავის

ჭირნახულს, ქათამს, კვერცხს და სხვ. როცა დაზამთრდება, გლეხები ქვემო-წაღვერში ბინავდებიან, რადგან ზემო-წაღვერში ტყიდან მგლები გამოდიან და გლეხობას აზარალებენ. ქვემო-წაღვერში სახლები თითქმის ერთმანეთზეა მიდგმული.

სოფელს ჩამოუდის პატარა მდინარე **წაღვერის წყალი** (თორის-წყალს ერთვის მარჯვენა ნაპირიდან), რომელშიაც ბევრჯერ მიბანავნია. სოფლიდან $^1/_2$ კილომეტრზე უდაბურ ტყეში სამკურნალო მინერალური წყაროა. ამ წყაროსთან ხშირად ვსეირნობდით მოაგარაკეები. წყაროს წყალი მჟავეა და მეტად ცივი.

— მართალია,—დაემოწმა მასწავლებელი.—წყაროს წყალი ისეთი ცივია, რომ მისი ტემპერატურა 9,6° უდრის. წაღვერიც მაღლობზე მდებარეობს, უფრო მაღლა, ვინემ ბორჯომი. ზღვის დონედან იგი დაახლოებით 914 მეტრის სიმაღლეზეა. შენ რას იტყვი, ლექსო, ცემის შესახებ, ის როგორი-ღაა?

აგარაკი ცემი.

— აგარაკი ცემი,—დაიწყო ლექსომ,—ლამაზ ადგილას მდებარეობს, მაღლა მთაში, გაშლილ ზეგანზე. ჩემი და გვყავდა იქ, ფილტვები ჰქონდა დაავადებული და ძალიან არგო. ამბობენ ცემი საუკეთესო სამკურნალო აგარაკიბო. აქ სანატორიუმი არსებობს, სადაც ექიმები ჰკურნავენ ავადმყოფებს. ჩემი დაც ამ სანატორიუმში მოვათავსეთ.

ზეგანზე ტყე თხლადაა. აქაურობას კორდი და მდელო, აგრეთვე საყანეები ფარავს. ზეგნიდან გადმოჰყურებ ღრმა ხევებს, რომელნიც უფსკრულებში იკარგებიან. ხევებს იქით, ყოველი მხრიდან ამართულია მთის ფერდობები, რომელნიც თხემზე ნაძვნარ-ფიჭვნარით არიან დაფარული.

— ცემი მართლაც მაღლობზე მდებარეობს,—დასძინა მასწავლებელმა.—უფრო მაღლა, ვინემ წაღვერი. ზღვის დონედან იგი 1116 მეტრის სიმაღლეზეა. მაგრამ ბაკურიანი ამ აგარაკებში ყველაზე უფრო მაღლაა, იგი ზღვის დონედან 1830 მეტრის სიმაღლეზეა. აბა, რას იტყვი, ნუცა, ბაკურიანის შესახებ.

აგარაკი ბაკურიანი.

— ბაკურიანიც ლამაზი აგარაკია, მასწავლებელო.—დაიწყო ნუცამ.—ბორჯომში ვიყავით სააგარაკოდ და ბაკურიანისაკენ მოვინდომეთ გამგზავრება. დილის 8 საათზე მე და ჩემი და ჩავსხედით მატარებელში და წავედით ბაკურიანს. ბორჯომს რომ გავცილდით

მე დავინახე მშვენიერი ჩანჩქერი, ბამბასავით თეთრი წყალი შხუილით ჩამოდიოდა მაღალი კლდიდან.

— ეს ის ჩანჩქერია, მე რომ ვახსენე,—გავაწყვეტინე ნუცას სიტყვა.

— მე ეს სურათი ძალიან მომეწონა,—განაგრძო ნუცამ.—ლიანდაგის ორსავე მხარეს ნაძვისა და ფიჭვის ტყე იყო. ბაკურიანს რომ მივუახლოვდით, აღმართები დაიწყო და მატარებელი ნელა მიდიოდა. მწვანე ხეებს მზის სხივები ეალერსებოდა. თვითონ ბაკურიანი ვაკე ადგილია, რომელსაც ირგვლივ მაღალი და მუდმივ-მწვანე ტყე



ბ ა კ უ რ ი ა ნ ი.

აკრავს. ჩვენ დავათვალიერეთ მახლობელი ტყეები. ტყეში დავკრიფეთ ყვავილები და შევკარით თაიგულები. მერე ვნახეთ ცივი, ანკარა წყარო, რომელიც მიწიდან გამოდიოდა. ორს საათს დავყავით იქ. შემდეგ ჩავსხედით მატარებელში და ისევ ბორჯომისაკენ გამოვემგზავრეთ. ბაკურიანში ისე გრილოდა, რომ თითქმის შეგვციოდა.

—მართალია, ბაკურიანში შუა ზაფხულში — ივლისში — ტემპერატურა 13,5° არ აღემატება.— დაემოწმა მასწავლებელი.

— აი, სიგრილე იქა ყოფილა-და!—წამოიძახა მიხომ.

— ადგილის სიმაღლეს დიდი გავლენა აქვს ჰავაზე, ჩემო მიხო. —უთხრა მასწავლებელმა.—ჩვენ რომ ზაფხულობით მთაწმიდის თხემზე

ვიგრილებთ თავს, როგორ გგონია, რათ გრილა იქ, მაღალია და იმის გამო. თუმცა ბაკურიანთან აბა რა შედარება შეიძლება: მთაწმიდის თხემი ხომ 740 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან, ბაკურიანი კი 1830 მეტრის სიმაღლეზეა: ბაკურიანი თითქმის $2^1/_2$-ჯერ უფრო მაღლაა ზღვის დონედან, ვინემ მთაწმიდის თხემი. ბაკურიანშიაც ჩამოდის პატარა მდინარე—**ბაკურიანის-წყალი** რომელსაც ბაკურიანისავე მთაში აქვს სათავე და ერთვის თორის-წყალს მარცხენა ხაპირიდან.

დავკმაყოფილდით.

— მასწავლებელო, თრიალეთის ქედი განა ყველგან ასეთი მომხიბლავი სანახაობისაა, როგორც ბორჯომის ხეობის მიდამოებში?— აღმეძრა ცნობისმოყვარეობა.

— არა, ჩემო გია,— მომიგო მასწავლებელმა.—ხომ ხედავ, ტფილისისაკენ თრიალეთი როგორი ერთფეროვანია, რუხი, მოწყენილი, ტფილისის შორიახლო ორიოდე აგარაკის დასახელება თუ შეიძლება, როგორც მაგ., კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, და ისინიც სილამაზით ჩამოუვარდებიან ბორჯომის ხეობის მიდამოებს. კოჯორი, კიკეთი და მანგლისი ლამაზი აგარაკებია, ტყეებით არიან შემკული და მაღალი მდებარეობის გამო იქ ზაფხულობით გრილა. მაგ., კოჯორი, როგორც ვიცით, ზღვის დონედან დაახლოებით 1440 მეტრის სიმაღლეზეა. იგი სულ სიმწვანეშია ჩაფლული. კოჯრის ნიავი ძველადანვე განთქმული იყო და ახლაც შენატრის მას ყველა. მაშინ, როდესაც კოჯორში 25° სიცხე არის, კოჯრის ნიავი ამ სიცხეს იმდენად ანელებს, რომ ჩრდილში თითქმის ცივა კიდეც. ნიავი მუდამ დაჰქიქინებს მწვანე მინდვრებსა და ტყეებში. განსაკუთრებით ბავშებისათვის არის კოჯორი მარგებელი. ამიტომაც დაარქვეს მას საბავშო ქალაქი. კოჯრის უმთავრესი ნაკლი ისაა, რომ სასმელი წყალი იქ არ არის კარგი ღირსების. წყაროები იშვიათადაა და წყალიც მცირეოდენი გამოდის. უმთავრესად ჭებიდან ამოაქვსთ წყალი, მაგრამ ჭის წყალიც უგემურია და უსუფთაო, ცივი კი არის, სასიამოვნო სასმელი რომ იყოს. საბანაო ადგილი კი კოჯორში სულაც არ არის. კოჯორში აგარაკები ერთმანეთისაგან შორიშორს მდებარეობენ, რის გამოც ყოველ სააგარაკო სახლს მშვენიერი და ვრცელი ტყე ან მწვანე კორდი ახლავს. მხოლოდ შარაგზის პირას მდებარე აგარაკებს მტვერი აწუხებს ყოველი ავტომობილის გავლაზე. მკვიდრი მცხოვრებნი კოჯორში ცოტაა, 300-მდე სული. მოაგარაკეთა რიცხვი კი ძველად

6.000-მდე ადიოდა. კოჯორი ყოველთვის მთავრობის წევრთა აგარაკი იყო, რადგან ტფილისთან მეტად ახლოა, მოკლე გზით 7—8 კილომეტრის მანძილზეა, შარაგზით კი 18 კილომეტრის მანძილზე. ავტომობილი ერთ საათში ადის კოჯორში და $^1/_2$ საათში ჩამოდის. უძველეს დროში ქართველი მეფეების აგარაკი იყო იგი. რუსეთის დამკვიდრების შემდეგ მეფისნაცვალთა აგარაკად ითვლებოდა, ეს ღეს კი მუშა-მოსამახურეთა ოჯახებისა და ბავშთა ახალშენებისათვის არის უმთავრესად გამოყენებული.

მანგლისი და კიკეთი განთქმული არიან თავისი პატარა ფიჭვის ტყეებით. მანგლისი ზღვის დონედან 1220 მეტრის სიმაღლეზეა.

ამ ლამაზ ადგილებს თუ გამოვაკლებთ, თრიალეთის ქედი საერთოდ უტყეოა, მხოლოდ გაზაფხულზე, როცა იგი დაიფარება მწვანე ბალახით და შეიმკობა ფერადი ყვავილებით, გალამაზდება მისი კალთები. წყაროები ბევრგან მოჩუხჩუხობს და სანადირო ადგილებიც არის ტყეების მიდამოებში. უტყეო ადგილებში კი წყარო იშვიათადაა. სამწუხაროდ ბევრგან თრიალეთის ქედზე დაუზოგავად არის აჩეხილი ტყეები და ქედის კალთები გამელოტებულ თავს მოგაგონებს.

თრიალეთის ქედიდან რამდენიმე მდინარე გამოდის, ზოგი მათგანი ჩვენ კიდეც დავასახელეთ. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია **მდ. ხრამი** და **მდ. ალგეთი**. კოჯრის ციხიდან კარგად მოჩანს ალგეთის დაცემული ჭალები. ალგეთი გამოდის კლდეკარიდან, მოიმართება აღმოსავლეთისაკენ, ჩამოუვლის მანგლისს და მტკვარს ერთვის მარჯვენა ნაპირიდან. მდ. ხრამი კი გამოდის თრიალეთის საშუალო ადგილას, შარაშეთის მთიდან, მოიმართება სულ აღმოსავლეთისაკენ და მარჯვენა ნაპირიდან ერთვის მტკვარს. ხრამში ბევრი კალმახი იცის, რომელსაც ხრამული ჰქვიან. ხრამული ჩვენში განთქმულია, მას იჭერენ ხრამში. მებადურეებს იქვე მდინარის პირას აქვსთ გაჩაღებული ცეცხლი და მარილიან წყალს ადუღებენ. დაჭერილ თევზს ცოცხლად ჰყრიან მდუღარეში, მოხარშავენ და შემდეგ იქვე აწყობენ გიდლებში ქალაქს ჩამოსატანად და გასაყიდად.

ამგვარად თრიალეთი მრავალმხრივ არის საყურადღებო და ჩვენც გვმართებს ამ ცნობების დახსოვნება. ზოგიერთი ცნობები შემდეგისათვის გადავდე და თავის დროზე მოვიმარჯვოთ.

— მასწავლებელო, და შეიძლება განა კიბის საფეხურებივით დავხატოთ სურათი იმისა, თუ რა სიმაღლეზეა ზღვის დონედან ესა თუ ის აგარაკი, რომელიც ჩვენ ვახსენეთ?

— ამას რაღა აჯობებს, რაც მე გითხარით, ის გამოგადგებათ ამისათვის. ვნახოთ, როგორ შეძლებთ ამის დახატვას. ამას გარდ-

კარგი იქნება, თუ პატარა რუკას შევადგენთ და ზედ აღვნიშნავთ იმ მთასა და მდინარეს, რაც აქ დავასახელეთ. ეს გაგვიადვილებს ცნობების დასსოვნებას.

ჩვენც ეს გვინდოდა. შემდეგი გაკვეთილისათვის უკვე მზად ვქონდა ესენი.

ამ მუშაობამ ჩვენ ყველანი დაგვაკმაყოფილა.



ქართლის აგარაკების სიმაღლე.

ნაბიჯი წინ.

დამშვიდდით, გიამბობთ.

ბევრი რამ გავიგე ბორჯომში ყოფნის დროს და კიდევ უფრო მეტი სკოლაში. გონება თითქო გამეხსნა. მაგრამ გრძნობით ისევ სურამის ციხეში ვიყავ ზურაბთან ერთად დატანებული.

— ნუთუ მართალია სურამის ციხის ამბავი?—ვკითხე ერთხელ მასწავლებელს.

— ლეგენდაა, ვინ იცის, მართალია, თუ გამოგონილი.—მომიგო მასწავლებელმა.

— როგორ გაიმეჭეს საპრალო ზურაბი კედელში ცოცხლად დასატანებლად?—არ ვისვენებდი მე.

— როგორ თუ ცოცხლად? რომელ კედელში?—აიშალენ მოწაფეები.

— დამშვიდდით, გიამბობთ.—გვითხრა მასწავლებელმა. სმენად გადავიქეცით. მთლად გავინაბეთ.

— შორიდან მოვუაროთ.—სთქვა მასწავლებელმა და დაიწყო.

სურამის უღელტეხილი.

ხაშურიდან, როგორც ვთქვით, ჩრდილოეთით მიიმართება რკინისგზის ლიანდაგის პატარა ტოტი, სიგრძით 4 კილომეტრი, რომელსაც მგზავრი პირდაპირ სურამს მიჰყავს. სურამი მთების ძირას მდებარეობს. ზღვის დონედან იგი 698 მეტრის სიმაღლეზეა. ცოტა უფრო მაღლა, 1.190 მეტრის სიმაღლეზე, არის მთების თხემი. მაგრამ თხემი მხოლოდ ამ ადგილასაა ასეთი სიმაღლის, სხვაგან კი გაცილებით უფრო მაღალია, ზოგან 1912 მეტრამდე აღწევს. ძაშასადამე მთების თხემი სურამის ზემოთ ჩაზნექილია. მთებში ამისთანა ადგილს **უღელტეხილი** ეწოდება. უღელტეხილებს ყველას თავთავისი საკუთარი სახელი ჰქვიან. რაკი ეს უღელტეხილი სურამის მეზობლადაა, ამის გამო მას **სურამის უღელტეხილი** დაარქვეს. ამგვარად სურამის უღელტეხილი ზღვის დონედან 1.190 მეტრის სიმაღლეზეა.

სურამის ქედი.

არა თუ მარტო უღელტეხილს, მთელ ამ ქედს, რომლის ძირასაც სურამია, თავიდან ბოლომდე **სურამის** ქედი ჰქვიან. სურამის ქედი **იწყება** ჩრდილოეთიდან. იგი ტოტია იმ თვალუწვდენელი ქედისა, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე თითქმის 1500 კილომ. მანძილზე გადაჭიმულა და რომელსაც სახელად **კავკასიონის ქედი** ეწოდება. კავკასიონის ქედზე, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მუდმივთოვლიანი **ბრუტსაბძელას** მწვერვალია, იწყება ეს სურამის ქედი, მოიმართება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თანდათან დაბლდება სურამისაკენ, აჩენს სურამის უღელტეხილს, შემდეგ ისევ მაღლდება და თავდება **ვახანის ფერდობით** (მდ. ჩხერიმელას სათავესთან). აქვე აღმართულია მახვილოს მწვერვალი, ის **მახვილო**, რომელიც ბორჯომის **ხეობას** გადაჭყურებს და ყერძენის მთას პირისპირ მიჩერებია. მახვილოს მთიდან ქედი დასავლეთისაკენ **უხვევს მესხეთის** ქედის სახელწოდებით. მესხეთის ქედი გადაბმულია **აჭარის ქედზე** და თავდება შავი ზღვის პირას **ციხის-ძირის** კონცხით. აჭარა-მესხეთის ქედი,

მაშასადამე, დასავლეთით თავდება შავ ზღვასთან ციხის-ძირის კონცხით, ხოლო აღმოსაელეთით ბორჯომის ხეობაში ჩამოდის მახვილოს მთის ციცაბი კალთებით. რომ ბორჯომის ხეობა არ ჰყოფდეს და მახვილოს მთა ყერძენის მთას უერთდებოდეს (როგორც ალბად ძვე-



ვახანის ფერდობი

ლად იქნებოდა, სანამ მტკვარი გათხრიდა ამ ხეობას), ციხის-ძირიდან მოყოლებული ეს ქედი გადაჭიმულია ტფილისამდე თითქმის 250-ზე მეტი კილომ. სივრცეზე. (აჭარის ქედი დაახლოებით 70 კილომ.სიგრძით, მესხეთის ქედი—60კილომ., თრიალეთის ქედი კი, როგორც ვიცით,



120 კილომ.). ამგვარად თრიალეთის ქედი შესაძლებელია ჩაითვალოს აჭარა-მესხეთის ქედის გაგრძელებად და ამ ვეებერთელა ქედს აკავშირებს კავკასიონის ქედთან სურამის ქედი. სურამის ქედი თითქოხიდია მათ შორის.

სურამის ქედი არც თუ ისე მაღალია. მისი თხემი და ციცაბი კალთები თითქმის ძირამდე შემოსილია მცენარეულობით. სურამის ქედს დაახლოებით 120 კილომ. აქვს სიგრძე.



ქართლის ქედი.

სურამის ქედიდან პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ რომ ვიაროთ, გადავლახავთ რამდენსამე დიდსა და პატარა მდინარეს და დაახლოებით 70 კილომეტრის მანძილზე მივადგებით ერთს ქედს, რომელსაც სახელად ქართლის ქედი ჰქვიან. ქართლის ქედი კავკასიონის ქედის ტოტია. კავკასიონის ქედიდან იმ ადგილას იწყება ქართლის ქედი, სადაც ბორბალოს მწვერვალია. ბორბალო ზღვის დონედან 3.297 მეტრის სიმაღლეზეა. ჩრდილო ნაწილში ამ ქედს მეორენაირად კუხეთის მთაც ჰქვიან. კავკასიონის ქედიდან გამოსვლისას, იქვე ახლო-მახლო ამ ქედს აქვს უმაღლესი მწვერვალი, რომელსაც სახელად ჩიჩოს მთა ანუ მთაწმიდა ჰქვიან.

— ჩვენს მთაწმიდას იქ რა უნდა?—იკითხა მიხომ.

— რა ვუყოთ, ერთი მთაწმიდის მწვერვალი აქაა, თრიალეთის ქედის ბოლოზე, ტფილისთან, მეორე კი ქართლის ქედის სათავესთან. მოხდება ხოლმე, რომ ერთნაირი სახელწოდების ადგილი სხვადასხვა მხარეშია, აი, მაგალითად, „ხიდისთავი“ ქართლშიაც არის სოფელი და გურიაშიაც; „ახალქალაქი“ ქართლში სოფელია, ჯავახეთში კი ქალაქი.—განმარტა მასწავლებელმა და თავისი სიტყვა განაგრძო.

— ქართლის ქედის მწვერვალი მთაწმიდა ზღვის დონედან 3047 მეტრის სიმაღლეზეა.

— ბევრად უფრო მაღალი ყოფილა, ვინემ ჩვენი მთაწმიდა, ჩვენი მთაწმიდა ხომ 740 მეტრის სიმაღლეზეა, სად 3047 და სად 740.— ჩამოერია ლექსო.

— ქართლის ქედი ჩრდილოეთიდან მოუყვება პარალელურად ერთს მდინარეს, რომელსაც სახელად ფშავის არაგვი ჰქვიან, ამ მდინარეს თავის დროზე გავეცნობით; ფშავის არაგვს რომ გამოსცილდება, შემდეგ მტკვარსა და მდ. იორს შორის გამოემართება; ტფილისს რომ მოუახლოვდება აქ აჩენს **სამგორის მთას.** ამ მანძილზე მას 100 ვერსი აქვს სიგრძე. თიანეთთან სწრაფად დაბლდება. სამგორის მთიდან მიიმართება მტკვრისა და იორის შუა მდინარეებამდე სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. აქ მას სახელად **გარეჯის მთა** ჰქვიან. გარეჯის მთასთან კიდევ უფრო დაბლდება იგი. გარეჯის მთა ქართლის ქედის შუა ნაწილად ითვლება. დასასრულ ქედი უერთდება ივრის ვაკეს, სადაც მას ვაკე ზედაპირი აქვს.

ქართლის ქედი განიერი არ არის. მისი ჩრდილო ნაწილი, უმაღლესი მწვერვალები, დაფარულია მინდვრებით, დანარჩენ სივრცეზე კი, როგორც თხემი, ისე კალთები ტყიანი აქვს. გარეჯის მთასთან იგი თითქმის სრულიად უტყეოა.

ტფილისიდან მტკვრის მარცხენა ნაპირისაკენ რაც მთებს ვხედავთ, ყველანი ქართლის ქედის გატოტიანებაა, აი, მაგალითად, ტფილისის მოსაზღვრე **მახათას ქედი,** მახათას ქედის იქით — **დიდი ლილო** და **მცირე ლილო,** უფრო ჩრდილოეთით **ნორიოს ქედი, იალნოს მთები** და სხვ. იალნოს მთები საგურამოს ქედის უმაღლესი კვანძია. იალნო ზღვის დონედან 1094 მეტრის სიმაღლეზეა.

— მაშ, ქართლის ქედი ტფილისში მახათას მთით თავდება?— სთქვა მიხომ.

— კი არ თავდება, მაგრამ აქ მახათას მთის ტოტით ეშვება, თვითონ კი განაგრძობს გზას. ქართლის ქედი და მისი ბოლო ნაწილი გარეჯის მთა რომ გადავლახოთ, იქით არის საქართველოს ერთ-ერთი მხარე, რომელსაც სახელად **კახეთი** ჰქვიან. ამგვარად ეს ქედი ქართლ-კახეთის საზღვარზეა გადაჭიმული, რის გამოც მას მეორენაირად ქართლ-კახეთის ქედი ჰქვიან. ქართლის ქედს დაახლოებით 180 კილომ. აქვს სიგრძე.

ქართლის ტაფობი.

— სულ ქედებსა და მთის მწვერვალებს მოუყრიათ თავი ჩვენში.—შევნიშნე მე.

— მართალია. ქედები, მათი შემადგენელი მთები, ამ მთების მწვერვალები ბევრის ბევრია ჩვენში, მაგრამ ბავშებმა რომ უმთავრესი დაიხსოვნოთ, ისიც საკმარისი იქნება. აი, წარმოვადგინოთ ცხოვლად იმ ქედების მდებარეობა, რომელნიც ჩვენ დავასახელეთ. მოგროვდით ჩემთან,—გვითხრა მასწავლებელმა.

ჩვენ სიხარულით ავიშალენით. მასწავლებლის ჩვენებით გავმწკრივდით რამდენიმე მოწაფე მხრებზე ხელგადაწყობილი და წარმოვადგინეთ თრიალეთის ქედი; ტფილისის მხარეზე ერთ-ერთი მოწაფე მთაწმიდას აღნიშნავდა, ბორჯომის მხარეზე კი—ყერძენის მთას. შემდეგ დავტოვეთ თავისუფალი ადგილი ბორჯომის ხეობისათვის და მეორე ნაპირიდან თრიალეთის ქედის პირისპირ გავამწკრივეთ რამდენიმე მოწაფე აჭარა-მესხეთის ქედის წარმოსადგენად. ამ მეორე მწკრივში ბორჯომის ხეობის მხარეზე ერთ-ერთი მოწაფე მახვილოს მთას აღნიშნავდა, შავი ზღვის მხარეზე კი, სულ ბოლოში, ციხის-ძირის კონცხს. შემდეგ გადავძახეთ ერთმანეთს ჩვენზე დარქმეული მთის სახელები. მთაწმიდა!—მოისმა ტფილისის მხრივ, თრიალე-თის ქე-დი, მივბანეთ გაბმით ამ მწკრივში მდგომარეთ; ყერძენის მთა!—მოგვძახა მეორე ბოლოში ვითომ ბორჯომის ხეობასთან გადაყუდებულმა მოწაფემ. მახვილოს მთა!—დაიყვირა მეორე მწკრივის იმ მოწაფემ, რომელიც ბორჯომის ხეობასთან გადმომდგარიყო. აჭარა-მე-სხე-თის ქედი.—გაბმით გაიძახოდა მეორე მწკრივი; ციხის ძირის კონცხი!—დასძინა ამ მწკრივის უკანასკნელმა მოწაფემ, რომელიც ვითომ შავი ზღვის ნაპირას იდგა. მალე მტკვარმაც გაირბინა ხეობაში!

ამ წარმოდგენამ ჩვენ გაგვახალისა.

— კავკასიონის ქედი სადღაა?—მოიკითხა ქეთომ.

— კავკასიონის ქედი რათ არ ჩანს?—ავხმაურდით ყველანი.

— კავკასიონის ქედი აი, აქ იქნება!—სთქვა მასწავლებელმა და დააწყო მესამე მწკრივი ჩვენს გასწვრივ ჩრდილოეთის მხარეზე.—ბრუტსაბძელადან ბორბალომდე კავკასიონის ქედს 110 კილომ. აქვს სიგრძე და ასეთი დიდი მთა, რა თქმა უნდა, არ დაგვრჩება უყურადღებოდ. მაშ, ასე. დიტო ბრუტსაბძელას მწვერვალს აღნიშნავს,—სთქვა მასწავლებელმა.

— ბრუტსაბძელადან ბარემ სურამის ქედი გავმართოთ!— ვთქვი მე.

— ძალიან კარგი, მართლაც ხიდი გვაკლია რომ ეს ქედები გავაერთიანოთ და სურამის ქედიც სწორედ ხიდად გამოგვადგება.

მასწავლებელმა გაამწკრივა მეოთხე მწკრივი ჩრდილოეთიდან ბრუტსაბძელადან სამხრეთისაკენ მახვილოს მთამდე და ამ მწკრივის ბოლოში მდგომ მოწაფეს მახვილოს მთასთან დაარქვა ვახანის ფერდობი.

— სურამის უღელტეხილი სადღა იქნება?—იკითხა შაქრომ.

— აი, აქ, სურამთან, ორმა მოწაფემ ხელი ჩამოართვით ერთმანეთს და ქედი დადაბლდება. აი, ამ ხელის ჩამორთმევის ადგილას ვიგულისხმოთ სურამის უღელტეხილი.—სთქვა მასწავლებელმა.— ახლა აღმოსავლეთის მხარე არ დაგვრჩეს გაშლილი, აქ ქართლის ქედი გავმართოთ.



უცნაური სანახაობა წარმოდგა ჩვენს თვალწინ: არემარე სულ მთებით შემოიზღუდა, მხოლოდ ოდნავ დარჩა გასავალი ბორჯომის ხეობაში და დევის ნამუხლართან. მასწავლებელი შუაში ჩადგა, ხელი შემოავლო ამ არემარეს და გვითხრა:

—აი, ამ მთებით შემოზღუდულ არემარეში მდებარეობს საქართველოს ის მხარე, რომელსაც სახელად ქართლი ჰქვიან.

—ჩვენი ქართლი, დედა - ქართლი!-ხარობდენ ქართლელი ბავშვები.

— მოითმინეთ, წყნარად, თქვენიცაა და ჩვენიც!—შეეზიარა ილმილით მასწავლებელი და თავის სიტყვას დაუბრუნდა.—აბა, თუ

გახსოვსთ: რა დავარქვით ჩვენ ამგვარი მდებარეობის ადგილს, რომელიც მთებითაა შემოზღუდული? მოიგონეთ თუნდაც ტფილისის მაგალითი!

— ტაფობი, მასწავლებელო, ტაფობი!—შეეძახეთ ყველამ.

— მართალია. ქართლს ტაფობი მდებარეობა აქვს. მერე როგორი ნაპირები და შუაგული აქვს ტაფობ ადგილს?

— ტაფობ ადგილს ნაპირები ამაღლებული აქვს, შუაგული კი დაცემული, ვაკე.—მივუგე მე.

— ტფილისის ტაფობიც ხომ ასევე შუაგულში დაცემულია და ნაპირებზე ამაღლებული, ტფილისის ტაფობის სიღრმე საშუალოდ 243 მეტრს უდრის.—თქვა მასწავლებელმა.—ქართლის ტაფობსაც შუაგული დაცემული აქვს ვაკე, ნაპირებზე კი თანდათან მაღლდება. ამაზე შეიძლება სთქვას კაცმა: გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა!

— გარს გალავანი არტყია, ცა ახურია თავზედა!—იმეორებდენ გახარებული ბავშები.

— მასწავლებელო, ტფილისი ქართლში ძევს?—იკითხა დიტომ.

— დიაღ, ქართლში ძევს ტფილისი. ტფილისის მაზრის დასავლეთი ნაწილი ქალაქ ტფილისიანად ქართლს ეკუთვნის, აღმოსავლეთი ნაწილი კი უტფილისოდ გარეჯის მთის იქით კახეთს ეკუთვნის.

— იმიტომ ვიკითხე, რომ ტფილისი ხომ ტაფობი ადგილია და, თუ ქართლიც ტაფობს წარმოადგენს, როგორაა, რომ ტაფობი ტაფობში ყოფილა მოქცეული.

— მერე რა? განა არ შეიძლება დიდ ტაფაში მომცრო ტაფაც მოთავსდეს? ტფილისისთანა ტაფობი ადგილები ქართლის ვეებერთელა ტაფობში მრავლადაა, თითქო ვეებერთელა ტაფაში მრავალი მომცრო ტაფებია მოთავსებული. მთიან ქვეყანაში ტაფობი ადგილები ბევრი გვხვდება. ქართლშიაც, როგორც მთიან მხარეში, ტაფობები ბლომადაა და ამავე დროს თვითონაც ერთს უშველებელ ტაფობს წარმოადგენს. მოსახლეობაც ტაფობ ადგილებშია მეტნაწილად თავმოყრილი, ცხადია, იმის გამო, რომ მათი სამოსახლო შემოზღუდულია მთებით, შესაძლოა ყოველი მხრივ არა, მაგრამ რამდენიმე მხრივ მაინც და ამით დაცულია დაუპატიჟებელი სტუმრისაგან.

ქარეებიც ისე მძლავრად ვერ თარეშობენ ტაფობში. გაშლილ ველებზე კი ისე ჰქრიან, რომ, რაგინდ მდიდარი იყოს სოფელი, დიდ ზიანს აყენებენ. დილმის ველზე მდებარე სოფ, დილომზე აი, რას ამბობს ხალხი.

ბალდადი არის დილომი,
რომ არ იცოდეს ქარია.

კარგი იქნება, თუ ამ რუკის მზგავსად, რომელსაც ახლა ვეცნობით, თქვენც შეადგენთ ქართლის ტაფობის რუკას, მთიანი საზღვრების აღნიშვნით.—გვირჩია მასწავლებელმა.

— მაინც რამოდენაა სივრცით მთელი ქართლი? — დაინტერესდა დიტკი.



ქართლისა და საქართველოს შედარებითი სიდიდე.

— ქართლი საქართველოს უდიდესი ნაწილია, თითქმის საქართველოს მეოთხედია; მას დაახლოებით 15000 კვ. კილომეტრი სივრცე უკავია, საქართველო კი დაახლოებით 60000 კვ. კილომეტრია სივრცით. ტფილისისოდენა ქალაქი (ტფილისი 40 კვ. კილომეტრია სივრცით) ქართლში ბარე 380 გაიმართება! თუ გინდათ, ამ შედარებითი სიდიდის გამოხატვა ისედაც შეიძლება, რომ უსიტყვოდ ნათელი იყოს ჩვენთვის.

ამის შემდეგ მასწავლებელმა აგვიხსნა, თუ როგორ შეიძლება შედარებითი სიდიდის გამოხატვა უსიტყვოდ და შეგვიდგინა ერთი სურათი, რომელსაც დიაგრამა დაარქვა. აი, ჩვენი დიაგრამა.



ტფილისისა და ქართლის შედარებითი სიდიდე.

სურამის ციხე.

— აი, ამ ქართლიდან სურამის უღელტეხილი რომ გადავლახოთ, საქართველოს მეორე მხარეში ჩავალთ, სახელდობრ იმერეთში. ამიტომაც სურამის ქედს, რომელიც ქართლსა და იმერეთს ჰყოფს ერთმანეთისაგან, მეორენაირად ქართლ-იმერეთის ქედსაც უწოდებენ. თუმცა იმერეთი განთქმულია სტუმარმოყვარეობით, მაგრამ ახლა იმისათვის ვერ მოვიცლით. ჯერ ქართლი მოვინახულოთ, როგორც რიგია, და შემდეგ სხვა დროს იმერეთსაც ვეწვევით.

ქართლ-იმერეთის საზღვარზე, სურამში, ძველად ციხე-სიმაგრე ყოფილა აღმართული, რომელიც დღეს ნანგრევებს-ღა წარმოადგენს. ეს ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერ კიდევ. ამ ციხეს სახელად **სურამის ციხე** ჰქვიან. ახლა კი ლეგენდასაც გიამბობთ.

უხსოვარ დროში სურამში ციხის აშენება განიზრახეს. შეუდგენ კიდეც შენებას, მაგრამ რა! რამდენსაც ააშენებდენ, იმდენი ინგრეოდა. გამოირკვა, რომ საძირკვლის შესამაგრებლად საჭირო იყო ერთი ქვრივის დედისერთა ვაჟის—ზურაბის ცოცხლად კედელში დატანება. ასედაც მოიქცენ. მოიყვანეს ამ ქვრივის დედისერთა ვაჟი, წარმოსადეგი ჭაბუკი—ზურაბი, დაატანეს ცოცხლად კედელში და ამოკირეს, კედელს რომ აშენებდენ, იმ დროს თურმე დედა იქვე იდგა და ჯავრისაგან გაოგნებული შვილს ასე შესჩივოდა:

დედა. შვილო, ზურაბ, სადამდე?
შვილი. გულამდე.
დედა. შვილო, ზურაბ, სადამდე?
შვილი. მხრებამდე.
დედა. შვილო, ზურაბ, სადამდე?
შვილი. ვაიმე, დედავ, გავთავ...

ვეღარ დაასრულა ჭაბუკმა სიტყვა, უმალ კირწყალი თავს გადაასხეს და მთლად დაფარეს. საბრალო დედა შეიშალა. მთვარიან ღამეში მუდამ მოდიოდა ციხესთან და მწარედ მოთქვამდა:

სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემი შვილი ზურაბი
კარგად შემინახეო!

ახლაც დანესტიანებულია ციხის კედლები ცრემლებითო,—ამბობს ხალხი.

ამ ლეგენდამ მოწაფეები დაგვალონა.



ეკლესია ტბეთში

სურამის წარსული.

— ეს სურამი რა ყოფილა, რომ მისი სახელი დარქმევია ყველაფერს—ქედსაც, ულელტეხილსაც და ციხესაც; ან ამ ციხის აგება რაღა მაინცდამაინც სურამში იყო საჭიროო; თუ აქ ინგრეოდა, სხვა ადგილი გამოენახათ, სადაც არ დაინგრეოდა. ან ქვრივი შებრალებოდათ, ან ჭაბუკი დანანებოდათ.—ითქვი მე და თავი ფიქრებს მივეცი.

— ვინ იცის, იქნებ ზურაბის ამბავი მართალი არ იყოს, მაგრამ ყველაფერს რომ სურამის სახელი დარქმევია, და ციხე-სიმაგრეც უთუოდ აქ აუშენებიათ, ეს კი მართებულია.—სთქვა მასწავლებელმა. —სურამის მდებარეობა ისეთია, რომ მის ულელტეხილზე, რომელიც სურამის ქედზე ყველა ადგილზე უფრო ადვილი გადასალახია, გად-



სურამის გვირაბი.

მოდიოდა გზა შავი ზღვიდან კასპიის ზღვისაკენ. ეს გზა აერთებდა არა მარტო ამ ორი ზღვის სანაპიროებს, არამედ მთელს ევროპასა და აზიას. ამ გზაზე, რომელიც ახლაც გადადის სურამის ულელტეხილზე და რომელსაც სახელად იმერეთის სამხედრო გზა ჰქვიან, გადაჰქონდათ ყოველგვარი საავაჭრო საქონელი. და ამ საქონლის საწყობად სურამი იყო გამოყენებული. რკინისგზის გაყვანამდე ამ გზას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ თავისი მნიშვნელობა დაჰკარ-

გა. თუმცა პირველ ხანებში რკინისგზის ლიანდაგიც ამ ულელტეხილზე გადადიოდა, მაგრამ ამ 30 წლის წინათ ულელტეხილის ცოტა სამხრეთით მთაში **გვირაბი** გაიყვანეს (სიგრძით ოთხიოდე კილომ.) და მატარებელიც მას აქეთ ამ გვირაბში გადი-გამოდის. სურამის ულელტეხილზე, რომელიც, როგორც მოყვრისათვის, ისე მტრისთვისაც ადვილი გადმოსალახია, ცხადია, უნდა აეშენებიათ ციხე-სიმაგრე, რომ საჭირო შემთხვევაში მტრის მოგერება და მისი დამარცხება გაადვილებულიყო. ააშენეს კიდეც სურამის ციხე. სურამის მიდამოებში ქედზე მრავლადაა გაფანტული სხვა ციხე-კოშკებიც. ასეთი დიდი წარსული ჰქონდა სურამს და, ცხადია, მისი სახელი შორი-შორს იყო განთქმული.

სურამი დღეს.

დღევანდელი სურამი არც სავაჭრო და არც სამხედრო მიზნით არ არის გამოყენებული. სამაგიეროდ აქ ახლა აგარაკია. სურამი, როგორც ვთქვით, მაღალ ადგილას მდებარეობს. ირგვლივ მას ტყით დაფენილი მთა-გორაკები აკრავს. ეს მთები დასერილია ლამაზი ხევებით. ჰავა საღია. ცივი, ანკარა წყაროებიც მრავლადაა. ხილის ბაღებიც ბევრია. თუმცა აქ არც მინერალური წყაროებია, არც ისეთი სააგარაკო მორთულობა, როგორც, მაგალითად, ბორჯომში, მაგრამ სურამი, როგორც დასასვენებელი აგარაკი მაინც მოსაწონია. მოაგარაკეთა გასართობად აქ მოწყობილია პატარა პარკი, არის თეატრიც. ქუჩები აქ განიერია და სუფთა. არის ბაზარი, კარგი მაღაზიები, აფთიაქი, სამკითხველო და სხვ. სურამში ოთხი ათასამდე სული ცხოვრობს — ქართველები, სომხები და ებრაელები. სააგარაკო დრო აქ შუა ივნისიდან იწყება, მანამდე კი აქ სიცივეებია; მაისში ხშირი წვიმები იცის, ზოგჯერ თოვლიც. ზაფხულობით სურამი მოაგარაკეთა წყალობით ილვიძებს. დანარჩენ დროს კი მას თითქო სძინავს.

ხან ავია, ხან კეთილი.

— ბორჯომის ხეობა რომ ღიაა, განა იქიდან საშიშროება არ მოგველის? — იკითხა სიკომ.

— არც ის ივარგებს, ჩემო სიკო, რომ ქვეყანა სულ ჩამწყვდეული იყოს და არსაიდან არ ჰქონდეს გასავალ-შემოსავალი. მართალია, მაშინ მტერი ვეღარ მოგვადგება კარს, მაგრამ მოყვარემ რაღა დააშავა, რომ იმისთვისაც კარი ჩაკეტილი იქნება. მთებით შემო-

ზღუდული ქვეყანა არ არის სასურველი მთლად ჩაკეტილი იყოს ყოველმხრივ. რამდენიმე უღელტეხილი ან ხეობა მაინც უნდა იყოს, რომ მიმოსვლა ხერხდებოდეს. უღელტეხილები და ხეობები აადვილებენ მთების გადალახვას. როგორც სურამის უღელტეხილი გვიადვილებს ქედზე გადასვლას და იმერეთისაკენ მიმოსვლას, ისე ბორჯომის ხეობაც გვიადვილებს მესხეთ-ჯავახეთისაკენ გასვლას. ბორჯომის ხეობა ქართლის გასავალი კარია იქითკენ. მართალია, მტერსაც შეუძლია ამ გზით ისარგებლოს, მაგრამ ამ ხეობაშიაც ხომ იყო აგებული, ამის ნაშთი დღესაცაა, ციხე-კოშკები და სიმაგრეები. ბორჯომის ხეობას ომიანობის დროს უდიდესი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა.

ამგვარად ხეობა და უღელტეხილი ხან სიავეს შეამთხვევს კაცს და ხან სიკეთეს, მტერს მტრულად ეხვდება და მოყვარეს მოყვრულად, ხან ავია, ხან კეთილი.

— თრიალეთისა და ქართლის ქედზე უღელტეხილები არ არის?—ვიკითხე მე.

— არის. თრიალეთის ქედზე **ცხრაწყაროს უღელტეხილია** (2390 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან), რომელზედაც გადადის გზა ქართლიდან მესხეთისაკენ; ქართლის ქედზე კი **საბადურის-ყელია** უღელტეხილად (1480 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან), რომელზედაც გადადის გზა ქართლიდან კახეთისაკენ.

— კავკასიონის ქედზე არ არის უღელტეხილები ან ხეობები?— იკითხა სოსომ.

— არის და ამის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი. ახლა კი ეს ვიკმაროთ.

— მასწავლებელო, რამდენი რამ გავიგე, მთელი ქართლი შევისწავლე და ისიც ასე მალე.—ვთქვი მე.

— მთელი ქართლისა რა მოგახსენო და ნაბიჯი კი წავდგით წინ ქართლის შესასწავლად.—მომიგო მასწავლებელმა.

— ნაბიჯი წინ და მეტი არა?—გამიკვირდა მე. და ასე გაკვირვებული დავბრუნდი სკოლიდან შინ.

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი.

მზიანი დღე.

შემოდგომის მზიანი დღეა. მთელი ტფილისის მოსახლეობა გარეთ გამოფენილა. უცნაური ქალაქია ეს ტფილისი: შემოდგომა, რომელიც თითქმის ყველგან სევდის მომგვრელია, აქ, წინაუკმო, გაზაფხულივით ხალისიანია და წელიწადის საუკეთესო დროდ ითვლება. გა-

დატრუსული მთაწმიდა, რომელიც მოკლე დღიანმა გაზაფხულმა აამწვანა, ხოლო მცხუნვარე ზაფხულმა მსწრაფლ გაახუნა, ახლა შემოდგომაზე ისევ შეიმოსა მწვანე ქათიბით. ზაფხულის პაპანებისაგან მოთენთილი ქალაქი კვლავ წელში გაიმართა. მის მღიმარ პირისახეს გრილი ნიავი დაჰქიქინებს.

ბავშების გულშიაც ხალისი ბუდობს ამ დროს. ოთხკედელში რა გვედგომება, გვინდა გამოვმზეურდეთ.

მასწავლებელმა ალღო აგვართვა და გვითხრა:

— დაეწყვეთ და მეც წინ გაგიძღვებით.

მივხვდით—რასაც ნიშნავდა ეს სიტყვები, სიხარულით დავეწყვეთ და მასწავლებელს კვალში ავედევნეთ.

გავიარეთ მოძრავი და ხმაურა ქუჩები. ეს ქუჩები ერთადერთია საქართველოში, რომელნიც გამვლელ-გამომვლელს ფიქრებს უფრთხობენ. ვერც ერთი წუთით ვერ ჩაფიქრდები, გულისხმას ვერ მიეცემი, თორემ უეცრად თავს წამოგადგება რამე ფათერაკი: მოქრის ავტომობილი, ბღავის, ბობოქრობს, აგერ ტრამვაი მოსრიალობს გუგუნ-რახრახით და ეს მოძრაობა მეტად სწრაფია, თავბრუდამხვევი.

მასწავლებელი ყოველ გადასავალზე და გზა-ჯვარედინზე გვითვალთვალებდა, რომ ჩვენი ჯაჭვივით გაბმული ქარავანი სამშვიდობოს უმსხვერპლოდ გასულიყო.

გამოჩნდა მყინვარწვერი.

გავყევით კოჯრის შარაგზას და ჩვენს ნაცნობ სოლოლაკის ქედს თხემზე მოვექეცით. აქ დაკბანაკდით. ქალაქი ხელის გულზე მოჩანს. ცოტა ხანს ვიმასლაათეთ ბავშებმა. დასვენების შემდეგ მასწავლებელმა თითი გაიშვირა ჩრდილოეთისაკენ და გვითხრა:

— გახსოვსთ—წინათაც მიჩვენებია თქვენთვის, რა მოჩანს იქ ჰორიზონტზე?

— მყინვარწვერი, მასწავლებელო!—შევძახეთ ბავშებმა.

— ორთავიანი ბებერი,—გაიხუმრა ლექსომ და ყველა გაგვაცინა.

— მყინვარწვერი ერთ-ერთი მწვერვალია იმ კავკასიონის ქედისა, რომელიც ქართლს ჩრდილოეთიდან გუშაგობს. აქედან იქამდე ასოციოდე კილომ. მანძილია და იმიტომ მოჩანს ასე პატარა,თორემ. ზღვის დონედან იგი 5040 მეტრის სიმაღლეზეა, ე. ი. 7-ჯერ უფრო მაღლაა, ვინემ ჩვენი მთაწმიდა.

— აი, სიგრილე იქ იქნება და აგარაკადაც ის გამოდგება!—თქვა ლექსომ.

— რისი სიგრილე, რა აგარაკი! იქ ისე ცივა, რომ თოვლი არაოდეს არ დნება. აკი გვითხრა ეს მასწავლებელმა.—შევნიშნე მე.

— ვითომდა მე არ ვიცოდე,—სთქვა ლექსომ.—რა შენი თქმა მინდა, მე თვითონ არ ვხედავ, რომ დათოვლილია, განა მარტო ახლა, შუა ზაფხულშიაც, მუდამ და სამარადისოდ. ივლისის თვეში რომ გავხედე აქედან, მაშინაც ასე თეთრად მოჩანდა მისი ორივე კონუსი, კიდეც ამიტომ დავარქვი ორთავიანი ბებერი.

— მართალი ხარ, ლექსო, მართალი.—დაემოწმა მასწავლებელი.—მხოლოდ შენ ეს მითხარი: თოვლიანი ადგილი მთის ძირიდანვე იწყება, თუ როგორ?

— ეს აღარ ვიცი, მასწავლებელო,—სთქვა ლექსომ.

— ეს კი მე მკითხეთ. ჩემი ძმა იქ გახლდათ შარშახწინ, ზედ წვერზე ავიდა, ბევრი რამ მიამბო საინტერესო.—ჩამოერია გიგლა.

— ტყუის, მასწავლებელო, ვის შეუძლია მასზე ასვლა,—შეეჭვიანდა მიხო.

— მართალს ამბობს, მასწავლებელო, მე თვითონ ვიცი, რომ ავიდა გიგლას ძმა მყინვარწვერზე.—გამოვესარჩლე მე.

— როგორ არა, ბევრჯერ ასულან მყინვარწვერზე. ძნელი კი არის, ვინ იცის, რა ფათერაკი შეემთხვევა იქ ამსვლელს, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. მაშ, ყური ვუგდოთ—რას გვეტყვის გიგლა.—სთქვა მასწავლებელმა.

— გვიამბოს, გვიამბოს.—შემოვეხვიეთ ყველანი გიგლას. ჩამოვსხედით ქვებზე და გიგლამ შემდეგი რამ გვიამბო.

მყინვარწვერზე ასვლა.

— ზაფხული იყო,—დაიწყო გიგლამ.—ჩემი ძმა და მისი ამხანაგები სწორედ ამ ადგილას შეიკრიბენ, სადაც ახლა ჩვენ ვართ. მყინვარწვერზე ჩამოაგდეს თურმე საუბარი და გადაწყვიტეს: რათაც უნდა დაგვიჯდეს, იმ მყინვარწვერზე ავიდეთო. იშოვეს თბილი ტანისამოსი, აიკიდეს საგზალი, ჩასხდენ ავტომობილში და იმ შარაგზას დაადგენ, რომელიც საბურთალოში იწყება.

— საქართველოს სამხედრო გზა რომ ჰქვიან, არა?—ჩავურთე შე-

— ჰო-და ამ გზით იარეს. მიადგენ მაღალ ქედს, რომელზედაც ერთს ადგილას ულელტეხილი იყო და გზაც ამ ულელტეხილზე გადადიოდა.

— ეს ქედი შუა ნაწილია იმ კავკასიონის ქედისა, რომელიც შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე განუწყვეტლივ მიიმართება და ეს

ულელტეხილიც **ჯვრის ულელტეხილია**,—სთქვა მასწავლებელმა.— ამ ზე უფრო დაბალი ადგილი შუა კავკასიონზე სხვა აღარაა და ესეც ზღვის დონედან 2380 მეტრის სიმაღლეზეა. განაგრძე, გიგლა.

— გადაიარეს ეს ულელტეხილი, დაეშვენ დაღმა და მიადგენ მყინვარწვერის ძირს. აქ, სოფ. სტეფანწმიდაში დაბინავდენ. სოფ. სტეფანწმიდა 1940 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან.

— ჩვენი მწერლის ალ. ყაზბეგის სოფელია, მეორენაირად ამ სოფელს ამავე გვარეულობის სახელი ჰქვიან —ყაზბეგი, და მყინვარწვერსაც აგრეთვე ყაზბეგის მთას უწოდებენ.—შენიშნა მასწავლებელმა.



— მგზავრებს თან ჰქონდათ კარავები, წერაყინები (ყინულის სატეხი წერაქვი), ჯოხები, მგზავრების ერთი-მეორეზე გადასაბმელი თოკები, აგრეთვე ბანდულები და წრიაპები. რომ კარგად ევლოთ, ფეხი არ გაცივებოდათ, არ დაზრობოდათ და არც დაცურებოდათ, გაიყოლიეს გამოცდილი მხლებლები და გზას გაუდგენ. ჯერ დაბინავდენ **დიდებულიძის ნაბინავარში**, იქ ღამე გაათიეს. შემდეგ დილა-ადრიან განაგრძეს გზა. მიადგენ **შევარდნის ბუდეს**. აქამდე თოვლიანი გზა არ შეხვდომიათ, მხოლოდ ერთი ვეებერთელა ყინული გადაუვლიათ, რომელიც გზაზე დევივით ყოფილა გაწოლილი. შევარდნის ბუდიდან კი მთის კალთები დათოვლილი ყოფილა, ისიც, ნუ დაგავიწყდებათ, ზაფხულში, როცა აქ, ტფილისში სიცხის ალმური დგას.

— ალბად შევარდნის ბუდე ისე მაღლაა, რომ სიცივე ზომაზე მეტია და თოვლი ვერ დნება.—'მევნიშნე მე.

— დიაღ, შევარდნის ბუდე ზღვის დონედან 3660 მეტრის სიმაღლეზეა,—სთქვა მასწავლებელმა.—ასეთს მაღალ ადგილას კი უფრო თოვს, ვინემ წვიმს, თანაც თოვლი აქ ნელა დნება და, რაც დადნება, ახალ-ახალი ისევ ემატება, ასე რომ თოვლი არაოდეს არ გამოილევა. ამ მიწისა და თოვლის საზღვარზე რომ მთაზე ადგილია, ასეთს ადგილს თოვლის ხაზი ანუ **თოვლის მიჯნა** ეწოდება. მაშ,

შევარდნის ბუდე თოვლის მიჯნაზე ყოფილა, რაკი იქიდან იწყება მთაზე მუდმივი თოვლი. განაგრძე, გიგლა.

— აქ ბანდულებში ჩასაფენად ბლომად დაკრიფეს ერთგვარი ბალახი. ამ ადგილას თურმე კარგი ბალახი ბიბინობს.



წერაყინი.



წრიაპი.

ბანდულები.

— დიდი ხეები არ არის იქ განა?—იკითხა ლექსომ.

— არ ყოფილა თურმე.—მიუგო გიგლამ.

— მერე და რატომ?—ჰკითხა მასწავლებელმა.

ამაზე ვერავინ ვუპასუხეთ.

— დიდ სიცივეში დიდი მცენარე ვერ გასძლებს, — სთქვა მასწავლებელმა.—მყინვარწვერის ძირამდე, სადაც არ ცივა, ტყეები არის, მაგრამ, რაც უფრო მაღლა ადიხარ, სიცივე თანდათანობით მატულობს, ამის გამო მცენარეულობაც იერს იცვლის. ფოთლიან ტყეს (მუხას, წიფელას და სხვ.) ზევით სცვლის წიწვიანი ტყე (ნაძვი, ფიჭვი და სხვ.), რადგან ეს უკანასკნელი უფრო არის სიცივის ამტანი. გახსოვსთ ცემი რომ ვისწავლეთ, ცემიდან ბაკურიანისაკენ რომ ავდივართ, მუხა და წიფელა აღარსად გვხვდება, სულ ნაძვნარ-ფიჭვნარებია. წიწვიანი ტყის ზევით კი, რაკი სიცივე მეტი იქნება, დიდროვანი ხეები სრულიად აღარ არის, ტყე ისპობა და იწყება ჩირგვნარები. ჩირგვნარის ზევით ბალახია, შემდეგ ხავსი და ბოლოს იწყება თოვლით დაფარული ადგილები. მაშ, შევარდნის ბუდესთან, რომელიც თოვლის მიჯნაზეა, ცხადია, ტყე ვერ გასძლებს და ამიტომ არც არის. იქ მხოლოდ ბალახი და ხავსეულობაა. განაგრძე, გიგლა.

— შევარდნის ბუდეში მოგზაურებმა ღამე გაათიეს. მეორე დღეს, დილის 4 საათზე განაგრძეს ისევ გზა. ბნელი სათვალე გაიკეთეს, რომ სპეტაკ თოვლზე თვალი არ ატკივებოდათ.

— ერთი მითხარი, გიგლა, ვისაც თოვლიან ადგილებში უხდებათ სიარული და სათვალის შეძენა კი უსახსრობის გამო არ შეუძლიათ, იმათ რაღა უნდა ჰქნან?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— უსათვალოდ ივლიან, მასწავლებელო!—მიუგო გიგლამ.

— არა, ჩემო გიგლა, როგორ შეიძლება, ხომ დაუსივდებათ თვალები, იქნებ დაბრმავდენ კიდეც. იცი, რას შვრებიან: გაიმურავენ თვალის ქუთუთოებს, თუნდაც თოფის წამლით, და ისე მგზავრობენ თეთრს თოვლსა და ყინულებში. თოვლის სითეთრე და ბრჭყვიალი ძალიან სჭრის თვალს, გამურული ქუთუთოები კი თვალს იფარავს ამ ხიფათისაგან. აბა, განაგრძე შენი სიტყვა.

— მხლებელი წინ მიუძღოდათ, გზას უჩვენებდა მათ და, სადაც საჭირო იყო, ყინულზე ნაკიბურებს აკეთებდა. სულ 1200 ნაკიბური გააკეთეს თურმე. მიდიოდენ ნელა, სვენებ-სვენებით, ისე ნელა, რომ შევარდნის ბუდიდან კენწერომდე 1380 მეტრი მანძილი 11 საათში გაიარეს. მაღალ ადგილებში ჰაერი არ ყოფნიდათ თურმე, სუნთქვა გახშირებიათ, ზოგს ქოშინი ატყდომია და ცხვირიდანაც სისხლი წამოსვლიათ. ზოგმა ვეღარ გაუძლო თურმე ასეთს მოგზაურობას და უკანვე დაბრუნებულა. ვინც შესძლო, იმათ განაგრძეს გზა და ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით, მყინვარწვერს ზედ კენწეროზე მოექცენ თურმე.

— ვაშა, ბიჭებო—შემოვკარით ბავშებმა ტაში.

— რატომ ბიჭებო, ვაჟებს გარდა ქალებიც ავიდენ: 11 ვაჟი და 5 ქალი.

— მართალია,—დაემოწმა მასწავლებელი. — მათ მეთაურობდა გიორგი ნიკოლაძე, ეს ასვლა მოხდა 1923 წელს, ზაფხულში.

— ბარაქალა იმათ მამაცობას,—წამოიძახა მიხომ.

— აკი არ გჯეროდა და ცილი დამწამე,—მიუბრუნდა მას გიგლა.

— რაკი მასწავლებელიც გემოწმება, რაღა ჯანი მაქვს, არ დაგიჯერო.—სთქვა მისომ.

ამ სიტყვაზე ყველას გაგვეცინა.

— მერე რა ცუდი ამინდი შეემთხვათ თურმე, მასწავლებელო. ავდარსაც არ შეუშინდენ. ასვლა ხომ ძნელი ყოფილა, ჩამოსვლა კიდევ უარესი. რამდენი დაგორებულა და ისიც ისეთს საშიშარ ადგილებში, რომ ბედი, ორორემ უფსკრულში გადაიჩეხებოდენ. არავინ არ დაღუპულა, შინ მშვიდობით დაბრუნდენ. დღესაც ჩემი ძმა სიხარულით მოიგონებს ხოლმე მყინვარწვერზე ასვლას და ძალიანაც ამაყობს, მასწავლებელო.—დაამთავრა გიგლამ.

— რას ემართლები, საამაყოა და მეტი არა!—სთქვა მასწავლებელმა.—როგორც ილია იტყოდა, ის იქ ასულა,

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან,
სად წვიმა-თოვლი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ შთენია.

— ამავე წლის ზაფხულში მყინვარწვერზე სამეცნიერო ექსპედიციაც ავიდა, რომ დაკვირვებდენ მყინვარწვერს და მეცნიერულად შეესწავლათ იგი. ამ ექსპედიციას მეთაურობდა პროფესორი ალ. დიდებულიძე, რომლის სახელიც დაერქვა მის ნაბინავარს. ამ ექსპედიციიდან მყინვარწვერის წვერზე ავიდენ 6 ვაჟი და 1 ქალი. მყინვარწვერზე 1925 წლის ზაფხულშიაც მოეწყო მეცნიერული ექსპედიცია იმავე პროფესორის მეთაურობით და წვერზე ავიდენ 9 ვაჟი და იგივე 1 ქალი. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა. დღემდე ჩვენს კავკასიონს უცხოელები თუ ეცნობოდენ, დღეიდან კი ქართველებიც შევუდექით მის ყოველმხრივ შესწავლას.

— რატომ ჩვენც არ აგვიყვან, მასწავლებელო, იქა?—უსაყვედურა ქეთომ.

— ბავშები იქ ვერ ავლენ, ვერც ისინი, ვისაც გული სუსტი აქვსთ.—სთქვა მასწავლებელმა.

— გული აქ რა შუაშია, თუ მუხლი არ უმტყუნებს კაცს.—გაიკვირვა სოსომ.

— ხომ იცი, რაც მაღლა ახვალ, ჰაერი თანდათან თხელდება, ამის გამო ჰაერი არ გყოფნის კაცს, სუნთქვა გაგიხშირდება, გული სწრაფად აგიძგერდება და მაშინ მუხლიც გიმტყუნებს, ჩემო სოსო.—აუხსნა მასწავლებელმა.—მაგრამ ვინც საღი აგებულებისაა, ის გაუძლებს და ამაზე უფრო მაღალ მწვერვალზედაც ავა. აი, მაგალითად, კავკასიონის ქედზე არის ერთი ისეთი მაღალი მწვერვალი, რომელიც ამ ქედის მწვერვალზე უფრო მაღალია, სახელად მას იალბუზი ჰქვიან.

იალბუზზე ასვლა.

— ჩვენს სოფელს რომ თავს გადმოსცქერის?—იკითხა ქართლელმა მიხომ.

— არა, ჩემო მიხო. ქართლს რომ გადმოსცქერის, ის იალბუზი ნამდვილი იალბუზი როდია. მართალია ქართლელები იალბუზად სთვლიან, მაგრამ ის ბრუტსაბძელაა. ბრუტსაბძელას უწოდებენ ქართლელები მეტსახელად „იალბუზს“, რადგან ბრუტსაბძელა ქართლის არე-მარედან თოვლით დაფენილ ერთერთ მაღალ მწვერვალად მოჩანს.—განუმარტა მასწავლებელმა.

— მაშ ჩვენი იალბუზი ბრუტსაბძელაა, ეს კი არ ვიცოდი.— გაიკვირვა მიხომ.

— ჰო-და, ნამდვილი იალბუზი კი სხვა არის, იგი ქართლიდან სულაც არ მოჩანს. ის იალბუზი ზღვის დონედან 5629 მეტრის სიმაღლეზეა. აი, ამ სიმაღლის მწვერვალზედაც ასულან ბევრჯერ. 1925 წ. აგვისტოს 12-ს 19 ქართველი ქალვაჟი ავიდა იალბუზის წვერზე გიორგი ნიკოლაძის მეთაურობით. ზოგს, მაშასადამე, არ გაუჭირდება მაღალ მწვერვალებზე ასვლა, ზოგს კი, ძალიანაც რომ უნდოდეს, არ შეუძლია ასვლა.

— გიგლას ძმასაც არ გასჭირებია მყინვარწვერზე ასვლა, ავდარსაც კი არ შეუშინებია იგი.— ჩავურთე მე.



კავკასიონის ზოგი მწვერვალისა და მთაწმიდის სიმაღლე ზღვის დონედან.

— ავდარი მყინვარწვერზე მართლაც ხშირი მოვლენაა და შიშს ჰგვრის ადამიანს. საერთოდ მაღალი მთა ამ მხრივ დაუნდობელია. აგერ რომ მოწმენდილია ცა, ერთბაშად წარბს შეიკრავს და გაავდარდება ხოლმე. აი, ყური მიგდეთ, როგორ გაუავდარდა მოულოდ-

ნელად ერთხელ ერთს მწყემს-ქალს, როცა იგი მყინვარწვერის ახლო ცხვარს აძოვებდა. ეს ამბავი მე ილიას ნაწერებიდან ამოვკრიფე თქვენთვის.—სთქვა მასწავლებელმა, გადაშალა თავისი რვეული და შემდეგი რამ წაგვიკითხა.

მყინვარწვერი.

მწყემსი-ქალი და მყინვარწვერი.

I

ამობრწყინდა მზე დიდებულათა
და გაანათა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაფინა ოქროს ნათელი.

აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.

ქვესკნელ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად ამოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.

მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით.

თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს;
სოფელს დაეცეს, მერე ქვესკნელსა,
თვით დაიღუპოს, იგიც დაღუპოს.

II

მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადალმა არ დასულიყო
და მთის წვერზე ვით ცეცლის ბორბალი
ირგვლივ სხივ-გაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი ვით ნაკვერჩხალი
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში თრთოდა.

III

უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდან ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაეშვა მძიმეთ.
დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზე განერთხო და გაიშალა
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჰექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მაღელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ,
და წამოვიდა სეტყვა შხეილით.

IV

მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზე
ცხვარს ვაძოვებდი მამიჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყე ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა რიგ შვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.

სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი,—
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ ბზე ადგას, უცებ გაწყრება,
და წამოხეთქავს ციდან ნიაღვარს.

მაგრამ რას იზამ? მოდი გულს უთხარ,—
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი...
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა შრისხანედ წარბი.

ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდანა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიან-ღა იყო, ვერ მოვასწარი.

უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფთხა, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.

მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.

— მართლა დაუნდობელი ყოფილა ეს მყინვარწვერი,—სთქვა თანაგრძნობით ნუცამ.

— მაშ, მყინვარწვერის თავს ხან ჯანღი და ბურუსი ფარავს, ხან კი ბრწყინვალე მზე აკაშკაშებს.

— ყველაფერი კარგი, მასწავლებელო, მაგრამ ის ყინულის დევი რალაა, გიგლამ რომ თავის ამბავში ახსენა?—ვკითხე მე.—დევები მე ზღაპარში გამიგონია და ისიც ბანჯგვლიანი, ყინულის დევი რალას ჰგავს, ნეტავი? აი, უფრო დაუნდობელი ის იქნება!

— ყინულის დევზე შემდეგ ვისაუბროთ, ახლა კი ეს ვიკმაროთ, — სთქვა მასწავლებელმა და ჩაიცინა.

ჩამოვედით მთიდან და დავიშალენით.

— ნეტავ ის ყინულის დევი რასა ჰგავს? ან ამ კითხვაზე მასწავლებელმა რათ ჩაიცინა?—ვფიქრობდი მე გზაგზა.

ამ ფიქრებში გზა ისე დამიმოკლდა, რომ ჩემი სახლის ბჭეკარს შეუმჩნევლად მივადექი.



ი ა ლ ბ უ ზ ი.

ყინულის დევი.

— მუდმივ-თოვლიან მთაში, ბრტყელსა ან ჩაღრმავებულ ადგილებში, თოვლი გროვდება დღითი-დღე, წლიდან წლამდე.—დაიწყო მასწავლებელმა ერთხელ და თან რამდენიმე სურათი ჩამოჰკიდა ჩვენს თვალწინ. ერთზე ეხატა მუდმივ-თოვლიანი ქედი, მეორე კი, ვერ მიცხვდი რა იყო, თეთრი თოვლი იყო მგონი, დაღმართზე დაქანებული, როგორც მომავალი მდინარე.

— თოვლი იქ შეუმჩნევლად დნება, ისიც მხოლოდ დღისით, როცა მზის სხივები დააცხუნებს. მაგრამ გადაიხრება თუ არა მზეცის დასავალზე, წამსვე აცივდება და დღისით გამდნარ თოვლს ღამის სიცივე იქვე გაჰყინავს. დღე ღამეს სცვლის, ღამე დღეს და თოვლის დნობა და გაყინვაც განუწყვეტლივ გრძელდება. თოვს და თოვს: დღისით მზემ თოვლი გაადნო, ღამის სიცივემ იგი გაჰყინა, ისევ და ისევ თოვს და თოვს. ამგვარად გაყინული თოვლი, ანუ **თოვლყინულა** თანდათანობით სისქით მატულობს, რაკი ფენა ფენას ემატება დროთა დენაში.

თოვლყინულას ქვედა ფენები ზემოდან დაწოლილი ფენების სიმძიმეს ისე მძლავრად განიცდიან, რომ ისრისებიან, იზილებიან და-

მთლიან ყინულად გადაიქცევიან, ასე ჩნდება თოვლქვეშ სქელი, ბროლივით გამჭვირი, მოცისფრო ყინული. ამ ყინულის სისქეც მატულობს ახალახალი გაყინული ფენების დამატების გამო.

ვთქვათ, ამ ადგილას მთის კალთა დაქანებულია. ასეთს ადგილას სქელი ყინული, რაკი მძიმეცაა, თავს ვერ შეიკავებს, ჩამოცურდება და დაბლა ბარში დაეშვება. მოდის ზანტად, მოიზლაზნება. რაც უფრო დაქანებულია ადგილი, მით უფრო ჩქარა წამოვა იგი. ჩვეულებრივ კი იგი ისე ნელა, შეუმჩნევლად იძვრის, როგორც საათის ისარი. ამაზე იტყვიან: მთაში ყინულის მდინარე გაჩნდაო. ამგვარ ყინულის მდინარეს სახელად გლეჩერი ანუ **მყინვარი** ეწოდება. აგერ სურათიც,—მიგვითითა მეორე სურათზე.—გიგლამ რომ თავის ამბავში ყინულის დევი ახსენა, რომელიც დიდებულიძის ნაბინავარიდან შევარდნის ბუდემდე ასვლის დროს გზაზე ყოფილა გაწოლილი, ეს დევი მყინვარია და მეტი არაფერი.

დევდარაკის მყინვარი.

— მე კი რაღაც საშინელება მეგონა,—ვთქვი მე.

— საშინელი რათ არის, დიდებული სანახავია. გიგლას ყინულის დევს სახელად **დევდარაკის მყინვარი** ჰქვიან. დევდარაკის მყინვარი მყინვარწვერზე ჩნდება და დაბლა ენასავით ეშვება ნელანელა: 13 წლის განმავლობაში 220 მეტრი მანძილი გამოუვლია, მეტი არა.

— ძალიან დიდია?—ვკითხე მე.

— არც ისე დიდია, დევდარაკის მყინვარი სიგრძით დაახლოებით 3 კილომეტრს უდრის, განი საშუალოდ 402 მეტრი აქვს, სის-

ქე კი 80 მეტრამდე. კავკასიონზე გაცილებით უფრო დიდი მყინვარებია, მაგალითად, ისეთი, რომელსაც სიგრძე 17 კილომეტრი აქვს. მყინვარწვერზე 8 მყინვარი ჩნდება, სხვა მწვერვალებზე კიდევ უფრო მეტია. როცა მყინვარი დაბლა ეშვება, იგი გზა-გზა კლდეებს ამტვრევს, ზურგზე დაიწყობს ამ კლდის ნამსხვლევებს, მოდის და მოაქვს ეს ტვირთი. დაღმართში ეს ნამსხვლევები დაგორდებიან მყინვარის ზურგიდან და განგაშითა და რახრახით ხეებში ცვივიან, აი, შიშს მაშინ კი იგრძნობ იქ მყოფი! მყინვარის ზურგი დახეთქილია ღრმა ნაპრალებად.

ამგვარად კავკასიონის ქედი თოვლისა და მყინვარების სამყაროა. მაგრამ კავკასიონის ქედი მთელ თავის სიგრძეზე როდია თოვლითა და ყინულით დაფარული, ქედის მხოლოდ მეხუთედი ნაწილია თოვლ-ყინულიანი, დაახლოებით იალბუზიდან მყინვარამდე სხვა ადგილებში კი მთის სიმაღლე თოვლის მიჯნამდე ვერ აღწევს (თოვლის მიჯნა აქ საშუალოდ 3 კილომეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან), და, მ შასადამე, მუდმივი თოვლი ამგვარ მთაზე არც იცის. ჩვენი ნაცნობი ქედებიც—თრიალეთისა, სურამისა, აჭარა-მესხეთისა, არ არიან მუდმივი თოვლით დაფარული, რატომ? ცხადია, ალბად მათი მწვერვალები თოვლის მიჯნამდე ვერ აღწევს.

— მასწავლებელო, ერთხელ მგზავრობის დროს თრიალეთის ქედის მწვერვალებზე თოვლი ვნახე იმ დროს, როცა ტფილისში თოვლი კარგა ხნის აღებული იყო, მგონი ზაფხულის დამდეგი იყო. — შევნიშნე მე.

— მერე რა? შენ გგონია ამის გამო თრიალეთის ქედი მუდმივ-თოვლიანი უნდა იყოს! აქ ადრე დნება თოვლი, იქ გვიან. ვთქვათ, ზაფხულის დამდეგისათვისაც ქედზე თოვლი დარჩენილა, რაც უფრო მაღალია მწვერვალი, მით უფრო დაგვიანდება იქ თოვლის გადნობა, მაგრამ, თუ მწვერვალი თოვლის მიჯნამდე ვერ აღწევს ზაფხულის სიცხეებში მისი თოვლი უთუოდ გადნება. სულ დიდი, თუ სადმე მაღლა, დაჩრდილულ ხევში ჩაწოლილი ცოტაოდენი თოვლი ზაფხულშიაც დარჩეს! საერთოდ კი ქედის თხემზე თოვლი გადნება. მუდმივ-თოვლიანი კი იმ ქედს ეწოდება, რომლის თხემი თოვლის მიჯნაზე უფრო მაღალია და, მაშასადამე, წლებისა და საუკუნეების განმავლობაში, სამარადისოდ თოვლით არის დაფარული.—განმარტა მასწავლებელმა.

— მასწავლებელო, ამდენი თოვლი და ყინული ბოლოსდაბოლოს სად მიდის, თუ სულ ემატება და ემატება, მაშ, რა სიმაღლისა უნდა დაგროვდეს მთაზე, განა მთაზე მოიკიდებს ფეხს?—ვკითხე მე-

— თოვლი და მყინვარი, თუ თოვლის მიჯნას ჩამოსცილდა, დნობას დაიწყებს. მყინვარის ენის წვერი გამოიქვაბება და ამ გამოქვაბულიდან რაკრაკით გამოედინება პატარა ნაკადული, რომელიც გზაგზა იმატებს და შემდეგ მდინარედ გადაიქცევა. მყინვარწვერის მყინვარებიდან მრავალი მდინარე გამოდის, რომელთაგან ყველაზე უფრო დიადი სანახაობის თერგი არის,—სთქვა მასწავლებელმა და საუბარი თერგზე გადავიტანეთ.

მდინარის სათავე მყინვარში.

თ ე რ გ ი.

თერგის კალაპოტი სათავეში ჩაღრმავებულია ბუმბერაზ კლდეთა შორის და მოფენილია ვეებერთელა ლოდებით. გააფთრებული თერგი ეხლება კიდე-ნაპირებს, მიაგორებს თავის მძლავრ ტალღებს და ფაფარ-ყრილი, აქაფებული ქუხს და ღრიალებს. აი, როგორი ლექსი დაგვიწერა კავკასიონის მთებისა და თერგის შესახებ ჩვენმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა:



თ ე რ გ ი.

„მზე ჩაესვენა, მაგრამა მის შუქი ჯერეთ კავკასსა
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა.
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდე აყუდებულნი
სხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გულთა შავადა ღრუბელნი ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ხილვითა ტყე შემოსილი სიმწვანით
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ცვივიან,
თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!“

და ძლევამოსილი თერგი კავკასიონის ქედის ერთერთ პარალელურ ტოტს აპობს, რომ ჩრდილო-კავკასიისაკენ გზა გაიკაფოს. ამ ადგილას არის სილამაზით და სიდიადით სახელგანთქმული ხეობა, რომლის სახელიცაა **დარიალის ხეობა.**

დარიალის ხეობა.

ტფილისიდან დარიალის ხეობაში გასვლა ვისაც სურს, იგი უნდა დაადგეს საქართველოს სამხედრო გზას, რომელიც აქვე ერთ-ერთ უბანში—საბურთალოში იწყება.

ტფილისიდან გასული მგზავრი დაახლოებით ასმეათე კილომეტრზე მიადგება კავკასიონის უმთავრეს ქედს, რომელიც, როგორც ვიცით, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე განუწყვეტლივ მთლიან ჯაჭვად მიიმართება; აქ გადაივლის ჯვრის უღელტეხილს და ასორმოცდამეჩვიდმეტე კილომეტრზე მიადგება სოფ. **სტეფანწმიდას** (ანუ სადგურ ყაზბეგს).

უმთავრესი ქედის გადალმა, ჩრდილოეთით, უმთავრეს ქედს 10-დან 30 კილომეტრის მოშორებით პარალელურად მისდევს კიდევ ქედი იმავე კავკასიონისა (კავკასიონის ქედი რამდენისამე პარალელური ქედისაგან შედგება, რომელთაგან ერთია მხოლოდ თავიდან ბოლომდე განუწყვეტელი და, მაშასადამე, უმთავრესი). აი ამ ჩრდილოეთის პარალელურ ქედზე, სოფ. სტეფანწმიდასთან, ხელმარცხნივ აღმართულია მყინვარწვერი (სხვათა შორის იალბუზიც ამ პარალელურ ქედზეა აღმართული, მხოლოდ, რასაკვირველია, მყინვარწვერიდან დასავლეთის მხარეზე. ამ პარალელურ ქედს 500 კილომეტრი სიგრძე აქვს).

მყინვარწვერის მყინვარებიდან გამომდინარე თერგს, რომელიც სათავიდანვე მთებსა და კლდეებს შორის მობლაოდა და ხან აქ გაუხვევდა, ხან იქ, რომ თავს წამომდგარი ბუმბერაზი მთებისათვის გვერდი აევლო, სოფ. სტეფანწმიდასთან თითქო გუნება ეცვლება: არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, პირდაპირი გზით—ჩრდილოეთისაკენ, აი, საით მიიმართება იგი. მაგრამ ამ მიმართულებით რომ პარალელური ქედი ელობება წინ! თავს არ უყადრებს! აპობს მას გაბედული კვეთებით და 15 კილომ. მანძილზე დაუცხრომელი ბრძოლის შემდეგ გადალახავს მას სიგანეზე.

აი, ეს 15 კილომ. მანძილი, რომელიც თერგის დაუცხრომელი ბრძოლის ასპარეზია და რომელიც იწყება სოფ. სტეფანწმიდასთან, ხოლო თავდება სადგურ ლარსთან, არის **დარიალის ხეობა.**



ტიალა დარიალაო,
კლდენი ხარ ცარიალაო!

ამბობს მოხევური სიმღერა და მართლაც ცარიელი კლდეებისა და ლოდების დერეფანია იგი.

ხეობის დასაწყისი შედარებით განიერია. აქ ვრცელი ტაფობი ადგილია, რომლის შუაში სოფ. სტეფანწმიდა მდებარეობს (1940 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან). მაგრამ, რამდენადაც უფრო შორდები ამ ტაფობს და სოფ. სტეფანწმიდიდან ხეობაში შედიხარ, თანდათანობით ხეობა ვიწროვდება და მგზავრი კლდეებს შორის ემწყვდევი. მზის სხივებიც ველარ ატანს თავისუფლად ხეობის სიღრმეში, ცა ვიწრო ზოლად მოჩანს მაღლა, დაბინდულია ხეობა არც მცენარეა აქ, არც რაიმე სულდგმული. მხოლოდ არწივი თუ გადაევლება მაღალ მწვერვალებს ან კუდმაკრატელა მერცხალი თუ შეჰკრავს ცაში კამარას. სამარისებური დუმილი დამკვიდრდებოდა აქ, რომ შმაგი თერგის დრტვინვა და ყეფა არემარეს არ აფხიზლებდეს. მოგაგონდება ჩვენი პოეტის ვახტანგ ორბელიანის სიტყვები:

„ეს არის გვამი უსულო, მკვდარი!
მაგრამ მათ შუა მოკუხს მდინარი,
მოქუხს, ღრიალებს, შესძახებს მთასა,
დულს და რისხვითა ცვარს ასხამს ცასა,
ქაფის ზვირთებსა სცემს თავის კიდეთ
და შიგ ჩაწოლილთ ნანგრევთ სალა კლდეთ-
მირბის, ვით გველი მიიკლაკნება,
ვრცელ ზღვას შევრთვის, მას ესწრაფება.“



დარიალის ხეობა.

სტეფანწმიდიდან მეათე კილომ. მეტისმეტად ვიწროვდება ხეობა. მთელ მის 15 კილომ. სიგრძეზე ამაზე უფრო ვიწრო იგი არსად არაა. აქ თერგს საშუალოდ 30 მეტრი აქვს განი. გაოგნებული ხარ ამ დაღვრემილი სალი კლდეების ნაპრალში მიმავალი მგზავრი: უსუ-

სურობას გრძნობ. ნამეტურ, თუ მოგაგონდა, რომ აი, აქ, სწორედ ამ სივიწროეში (სტეფანწმიდიდან მე-7 კილომ.) დევდარაკის ხევიდან თავზარდამცემმა ზვავმა იცის ჩამოწოლა. წინა საუკუნეში სამჯერ ჩამოწოლილა ამ ადგილას ზვავი. მესამეჯერ (1832 წ. 13 აგვისტოს) უჩვეულო სახის იყო: უზარმაზარი ყინული, თოვლი, ქვა და გუნდა-გრიალით ჩამოვიდა ხევში და დაფარა დარიალი 2 კილომეტრის სიგრძეზე და 100 მეტრის სიმაღლეზე. აღბორგებული თერგი მიაწყდა ამ დაუპატიჟებელ სტუმარს, ჯერ ვერა დააკლო-რა, 8 საათის განმავლობაში ყალყზე იდგა მის წინაშე, რის გამოც აქეთა მხარეს ვეებერთელა ტბად დადგა, იქით კი ისე გათხელდა, რომ ფონი გაკეთდა. შემდეგ მდინარემ თოვლი გათხარა, ზვავს ქვემოდან მოქქცა, მოიგდო ზურგზე და გააქანა დაღმა ხეობაში. ცხადია, ამ საშინელმა ზვავმა და თერგის გააფთრებამ დააზიანა გზა და ხიდი. მართალია, ასეთი ზვავი იშვიათია, მაგრამ ხომ მოსალოდნელია, რომ ჩამოწვეს უეცრად, ერთი თვალის დახამხამებაში! ამგვარ ფათერაკიან ადგილს წარმოადგენს ხეობის ეს ნაწილი. ვახტ. ორბელიანის ლექსით ასე შეიძლება ამ ხეობის დახასიათება:

არის ხეობა ვიწრო და მწირი,
იმის დანახვა თვალს არ ახარებს;
არსად არა ჩანს ბუჩქისაც ბწკირი,
ყვავილს და მდელოს არსად აგვარებს.
ორის მხრით მთანი ცამდე ასულან
და მათი წვერნი იქ დამალულან:
შავს ღრუბლებშია, ნისლში და ბუნდში,
ყინულში, თოვლში და წყვდიადს ბუქში.
მის წიალია ნანგრევი კლდისა
და ნატამალი და ქვიშა მთისა.
... თუმცა მაინც კი მშვენიერია,
მაგრამ შვენებით სხვაგვარით შვენის;
მის შვენების წინ კაცი შიშით ძრწის.
მისი შვენება დიდი, ველური
მას ამხელს—არის მის წინ უძლური.
და მას ხეობას ვიდრე გააწევს,
იგი შვენება გულს ლოდად აწევს.
ვიყავ ჭაბუკი და არემარე,
ხეობავ, შენი ჩამოვიარე.

... შენის საშინლის შვენების წინა
მგზავრს აღარა აქვს სიტყვა და ენა,
და მხოლოდ გიმზერს, მიდის და გიმზერს,
გიმზერს და შიშით გული კი უძგერს.

სტეფანწმიდიდან მეთორმეტე კილომეტრზე დარიალის სიმაგრეა, მე-13 კილომ. დარიალის ხიდი. გაივლი ამ ხიდს და მეთხუთმეტე კილომ. ჩახვალ სადგურ ლარსში. აქ თავდება დარიალის ხეობა და მასთან აგრეთვე საქართველოც. (თერგს საქართველოს ფარგალში 48 კილომ. აქვს სიგრძე).



სადგ. ლარსი.

ლარსიდან თერგის ბარი თანდათან გაშლილი, დაცემული და ვაკეა. კავკავთან, სადაც საქართველოს სამხედრო გზა თავდება (ტფილისიდან კავკავამდე ამ გზას 200 კილომ. აქვს სიგრძე), თერგის ბარი უკვე ისეა გავაკებული, რომ წყალი მდორედ მიდის. აქედან თერგი ის აღარ არის, რაც იყო. აბა, მოვუსმინოთ—რას ამბობს ილია ამის შესახებ:

თერგი კავკავთან.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მომკვდარა, რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევ-გმირული ხმა ჩაწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის არ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან“...

იქ ისე დამდოვრებულა, ისე მომკვდარა, თითქო ან როზგ ქვეშ არის გატარებულიო. ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდთ არ ახლავს, ის კლდენი, რომლის

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც და მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჰექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვა-კლდეღრეესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყურია შენში, ჩვენო დაუმონაო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა, ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!...

გუდამაყარი და ბურსაჭირი.

კავკასიონის ულელტეხილის გასწვრივ, აღმოსავლეთით, კავკასიონის უმთავრეს ქედს მეორე საყურადღებო ულელტეხილი აქვს, რომელსაც სახელად ბურსაჭირის ულელტეხილი ჰქვიან.

ამ ულელტეხილისაკენ მიიმართება გუდამაყრის ხეობა, რომელიც კავკასიონის ქედს ნაწილობრივ აპობს, მაგრამ ბურსაჭირის ფრიალო კლდეს რომ წააწყდება, შუაზე ვერ ჰყოფს მას და ქედში ღრმად შეჭრილი რჩება. მგზავრი, მაშასადამე, ხეობით ველარ განა-

ტრიობს გზას და ხეობის ნაცვლად ბურსაჭირის ფრიალოზე ბურსაჭირის უღელტეხილს გადაივლის, რომლის იქითაც ბურსაჭირის ღელეში დაეშვება.

ვუდამაყრის ხეობა და ბურსაჭირის ღელე თვალწარმტაც სანახაობას წარმოადგენს.

აი, როგორ აგვიწერს ამ სურათს ჩვენი მწერალი ალ. ყაზბეგი.

„ვუდამაყრის ხეობას თითქოს განგებ გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწრო ხეობად შიგ შეჭრილა. ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრავს, მაღლობიდან ჩამონადენ ქვას და ღორღს უშველებელი ლოდებით გაუვსია და მეტისმეტად ძნელ გასავლელად შეუქმნია. ხშირი დაბურული ტყე, რომელიც ხეობის აქეთ-იქით ფერდობზე მისდევს, გახლართულა სხვადასხვა ბარდიანი მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია. ხეობა თავდება თვალმიუწვდენელი ფრიალოთი, რომელიც, თითქოს განგებ გზის მოსასპობად სიგანეზე გაჰხირებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებს. პირველისავე შეხედვით ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულის დამხურავად და სევდის მომცველად გეჩვენებათ, რომ ნება-უნებლივ გაღონებთ, ამგვარის მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ. მუდამ დაბურული, დაღრეჯილი და შეკუმშვილი ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთადერთ ბილიკსაც ჰფარავს, რომელიც ქარსა და ავდარს გაუკვლევია. მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გადმოიყურება უზარმაზარი ფრიალო და თითქოს განრისხებული ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს. ხშირი ბურუსი, მეტისმეტად ვიწრო ბილიკი და ნესტი ფრიალოს წვერებს ანოტიებს, ზლის და ურიცხვ ხალხს და საქონელს ამსხვერპლებს ხოლმე. მაგრამ, თუ ასეთის უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენია ეს ფრიალო, სამაგიეროდ, რა წამს გადასავალს გადასცდებით, თვალწინ მთელი ედემი გადაგეშლებათ. თქვენ დაინახავთ საკმაო მანძილზე გადაჭიმულ ღელეს, ნაზისა და სურნელოვანი ბალახით და ყვავილით შემკულს. ვაკე ტაფობი, იმ საშინელის, გულის დამნაღვლებელის გზის შემდეგ, მიგიწვევს და მიგიზიდავს კეკლუც პატარძალივით, თავბრუდამხვევის ალერსით შეძოგხარით ნაზითა და დამყვავებელის ჰაერით, ვერცხლის გველივით მინდორზე დაკლაკნილი მდინარის ჩუხჩუხს კი ტკბილს, დამამშვიდებელს ნანად შოგასმენთ.

ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს. ძნელად შეს-

ძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთს მაინც არ შესდგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზე და მეტის სიამოვნებით დაქანცულმა წუთს თვალი მოტყუებას არ მისცეს...

ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულიად გაიგოს და იგრძნოს მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ის ადამიანს გაუღვიძებს!... ეღტაცებაში მოჰყევხართ ხავერდოვან მწვანეს, სურნელოვანი ყვავილების ყნოსვა გათრობთ და ტკბილი ძილისაკენ მიგიზიდავთ, მაგრამ თვით თვალებ დახუჭულსაც კი განუწყვეტლივ ედემის კეკლუცნი გეჩვენებიან, გიალერსებენ და სიცოცხლის სიტკბოებას გაგრძნობინებენ!

ამ ღელეს, თითქოს განგებ, დასამშვენებლად ორ ჯარად მისდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები, რომლებიც ამ წალკოტს დარაჯად შემოსდგომიან, რომ უღირსი არ მიაკაროს და უწმინდურის ფეხით არავის გააქელვინოს".

უმზირეთ!

საერთოდ კავკასიონის ქედი თავისი სიდიადით მხილველს აოცებს. მოხდენილად აუსახავს ამ მთების სიდიადე რაფ. ერისთავს:

რას ვხედავ უზარმაზარსა?
შევცქერი დადუმებული.
ცას ესწორება თხემებით
მთა, მთაზე აკიდებული!
აქ ლოდი, სიპი, პიტალო
სატანას მოუთრევია,
კაჟი, ქვა, ქარწბი, კირკალი
შეუძრავს, შეურყევია.
ასვრილა მიწა ლენჭებში
და გოხის მონანგრევია,
ესენი ნუთუ ჯოჯოხეთს
ურთ-ერთში აურევია!
მთა-მთაზე, გორა-გორაზე
შეუსვავს, დაუკვერცხია,
მზეს უხრავს მათი გვერდები,
ნიაღვარს ჩაურეცხია!
მოჰსხმიათ ნაძვის ძაგარი,
სპეტაკის ჩადრით მოსილან,
მათი ხევ-ხუვი ლრადონიც,

ვეჰვ, ქარ-გრიგალმა მოჰსილა!
ესაა კავკასიის მთა,
ტურფა და დიდებულია,
ვაქო, ვით ვაქო, რომ ენა
ოცნებისაგან ბმულია?!..
ეს საოცრება რამ შეჰქმნა?
ამართა ვისმა ძალამა?
ცას ვინ ამოყვრა ვეშაპი,
ან წარღვნამ რად არ წალამა?..
ქედს ვუხრი კავკასიასა,
დიდებულს—ჩემგნით დიდება!
ქედს ვუხრი, რადგან სულს და გულს
თავისკენ მიეზიდება!
უმზირეთ! კავკასის მთანი
ცის კამარასა სწვდებიან,
ყინვარის ჯავშნით მოსილნი,
ბარს დანთქვას ემუქრებიან!
ახლავან ორბნი, არწივნი,
ჯიხვებიც ეხიზნებიან,
და შხირად შავნი ღრუბელნი
მოჰბურვენ, ესტუმრებიან;
მაშინ ელვანი მრისხანედ
გრგვინვენ და იკლაკნებიან,
მათ ჰექა-ქუხილს კლდე-ღრენიც
საზარლად ეძრახებიან!
ინათებს, დილის მზის სხივზე
ღრუბლები აიყრებიან,
აქ დაიბერტყვენ კალთებსა—
თვალ-მარგალიტი ჰკრთებიან!
შეჰყურებ, თხემნი კავკასის
ისევ სპეტაკად ჩნდებიან
და მედიდურნი, ტურფანი
ლაჟვარდ ცას ებჯინებიან!

არაგვის ხეობა.

მცხეთისაკენ.

— ხვალისათვის მოემზადეთ და მცხეთას გავემგზავრით.—გამოგვიცხადა ერთხელ მასწავლებელმა.

— ჩვენი ქვეყნის ძველ დედაქალაქს ვნახავთ!—სიხარულით წამოვიძახე.

— აგრეთვე სხვასაც,— დაურთო მასწავლებელმა.

ამ სიტყვამ საგონებელში ჩამაგდო: მცხეთას ვნახავთ, აგრეთვე სხვა რასმე.

იმ ღამეს სანახევროდ არც კი მძინებია, სულ გათენების მოლოდინში ვიყავი. როგორც კი ინათა, წამოვხტი ზეზე, მოვემზადე ზურგზე ჩემი ჩანთა ავიკიდე, რომელშიც დედამ საგზალი ჩამიწყო, მოვიმარაგე ფანქარი, ქაღალდი და სკოლისაკენ გავეშურე.

ყველაზე ადრე მივედი სკოლაში. ჩემს მერე სხვა ამხანაგებიც მოგროვდენ, მალე მასწავლებელიც გამოჩნდა. ყველანი საუცხოო გუნებაზე ვიყავით. ამინდიც ხელს გვიწყობდა. გავსწიეთ რკინისგზის სადგურისაკენ, ჩავსხედით მატარებელში და გავექანეთ მცხეთისაკენ. თან წავიღეთ საქართველოს რუკა, საქართველოს სამხედრო გზის გეგმა და სხვ.

სულ მალე ჩავედით მცხეთას. მასწავლებელი წინ გაგვიძღვა და ერთი, ჯერ ჩვენთვის უცნობი, მდინარის პირს მიგვიყვანა. აქ ჩამოვსხედით. ცოტა ხანს ვისაუბრეთ მცხეთის წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ზოგი რამ მცხეთის შესახებ წინათაც გვსმენია მასწავლებლისაგან.

არაგვის შესართავი.

დასვენების შემდეგ მასწავლებელმა მოგვმართა: აბა, რას ხედავთ აქ ისეთს, რაც თქვენთვის უცნობია და რისი გაგებაც თქვენ გსურსთო. მივიხედ-მოვიხედეთ და ზოგმა ესა სთქვა, ზოგმა ის.

— მასწავლებელო, ეს მდინარე რაა და სადაურია?—მივუთითე ჩვენთვის უცნობ მდინარეზე, რომელიც მცხეთას აღმოსავლეთით ჩამოუდიოდა და ერთვოდა მტკვარს აქვე.

— სწორედ ამ მდინარის გასაცნობად ვართ დღეს აქ მოსული.—სთქვა მასწავლებელმა.—ამ მდინარეს სახელად არაგვი ჰქვიან.

— მაშ ჩვენ ახლა არაგვის შესართავთან ვიმყოფებით?—ჩამოეკითხა ბოსო.

— დიაღ, არაგვი მცხეთასთან ერთვის მტკვარს. მტკვარი მცხეთას სამხრეთით უვლის, არაგვი კი აღმოსავლეთით. მცხეთა მათ შორის ისეა შეჭრილი, როგორც ნახევარკუნძული.

— მასწავლებელო, მაშ, არაგვი მტკვრის შენაკადია, - სთქვა ქეთომ.

— დიაღ, მტკვრის მარცხენა შენაკადია,—დაემოწმა მასწავლებელი.

— მასწავლებელო, არაგვს თითქმის იმდენივე წყალი მოაქვს, რამდენიც მტკვარს,—შენიშნა ლექსომ.



მტკვრისა და არაგვის შეერთება.

— მართალია.—სთქვა მასწავლებელმა.—არაგვი შორი გზიდან მომდინარეობს, მას დაახლოებით 107 კილომ. აქვს სიგრძე და ვინ დათვლის გზაგზა რამდენ შენაკადს იერთებს და როგორ ივსებს წყლით თავის კალაპოტს.

— მასწავლებელო, არაგვის წყალი რა სუფთაა, მტკვრისა კი რა მღვრიაა,—სთქვა ნუცამ.

— მაღალი მთებიდან გამოსული არაგვი სულ მთა-ადგილებში მოქუხს ქვიანსა და კლდოვან კალაპოტში, ხანგრძლივ ზამთრიან ადგილიდან მოდის და მისი წყალი მეტნაწილად გამდნარ თოვლსა და ყინულს წარმოადგენს. სუფთაა, მოლურჯო. ზოგჯერ მოთეთრო-მღვრია, თანაც მეტის მეტად ცივი.

არაგვის ორი სათავე.

— მაინც სადა აქვს არაკვს სათავე? — ვკითხე მე.

მასწავლებელმა გაშალა საქართველოს რუკა და სთქვა:

— ორი სათავე აქვს არაგვს: ერთი უმთავრესი სათავე ჯვრის უღელტეხილთან აქვს, მეორე კი ბურსაჭირის უღელტეხილთან. პირველი სათავე იწყება მთიულეთში სადგ. მლეთის ზევით მეცხრე კილომ. მანძილზე, მლეთსა და გუდაურს შორის, და მას სახელადაც **მთიულეთის არაგვი** ჰქვიან; მეორე სათავე კი იწყება ბურსაჭირის ფრიალო კლდის ძირას, გუდამაყარში, რის გამოც მას სახელად **გუდამაყრის არაგვი** ეწოდება. შემდეგ ეს ორივე სათავე სადგ. ფასანაურთან



არაგვის სათავე.

ერთდებიან და იქიდან მოყოლებული აქამდე, მცხეთამდე, ერთი მთლიანი არაგვი მომდინარეობს. დ. შეოის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სოფ. ჟინვანთან, არაგვს ერთვის **ფშაკის არაგვი.** აგრეთვე უთვალავი სხვადასხვა სახელწოდების შენაკადი ერთვის მას მარჯვნივ და მარცხნივ.

ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი.

— ქართლის ჩრდილოეთით თერგისა და არაგვის სათავეებში მდებარეობენ ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი. **ხევი** ქართლის იმ ნაწილს ჰქვიან, რომელიც თერგის სათავეშია, დარიალის ხეობაც ხევის ფარგალშია, იქაურ მცხოვრებთ მოხევეები ეწოდებათ. **მთიულეთი**— მთიულეთის არაგვის ხეობაში, ფასანაურიდან ჩრდილოეთით და დასავლეთით ვრცელდები: ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის უმთავრეს ქედამდე, დასავლეთით ქანის-ხევამდე. **გუდამაყარი**—გუდამაყრის არაგვის ხეობას წარმოადგენს, რომელიც ფასანაურიდან ბურსაჭირამდე მიდის. მთიულეთში მთიულნი ცხოვრობენ. მთიული არ უნდა შევრიოთ მთიელში. მთიელი ყველას საერთო სახელია, ვინც კი მთა-ადგილებში ცხოვრობს, თვითონ მთიულიც მთიელია; მთიული კი განსაკუთრებული მხარის—მთიულეთის მცხოვრებს ჰქვიან.

მგზავრის შთაბეჭდილება.

საქართველოს რუკა აღარ ვიკმარეთ, გავშალეთ საქართველოს სამხედრო გზის გეგმაც.

— ვინც საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობს და ტფილისისაკენ მოდის, იგი ჯვრის უღელტეხილზე გადმოსვლისას სადგ. გუდაურიდან სადგ. მლეთისაკენ დაღმართზე ჩამოსვლის დროს არაგვის სანახაობით ტკბება. უძირო უფსკრულში მიიკლაკნება ხმატკბილი მთიულეთის არაგვი ვერცხლის გველივით. გზაც მას მოსდევს. მლეთის კლდის ძირას გზა შესამჩნევად ეკვრის მთიულეთის არაგვის მარჯვენა ნაპირს. არაგვის ხეობა ამ ადგილას ისეთს საუცხოო სურათებს გვიშლის, რომ გინდა გულის ფიცარზე აღიბეჭდო სამარადისო სახსოვრად. მგზავრს უკან რჩება ჩრდილოეთის სუსხი, სიბნელე და ტიტველი კლდეები, წინ კი ეშლება მზის სხივებით გამთბარი, გაბრწყინვებული, მომხიბლავი ბუნება.

მლეთიდან ფასანაურამდე არაგვის ხეობა თანდათან უფრო თვალწარმტაცი ხდება; ხეობას ორსავე ნაპირას მიუყვება მშვენიერი ტყეებით დაფენილი მთები. აქ ყველგან სიცოცხლე ჩქეფს, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთის ადგილები ბევრად უფრო მკაცრი და უსიცოცხლო იყო. ჰაერიც კი როგორი თბილია და მოალერსე! ჯვრის უღელტეხილზე თბილ ქურქში ეხვევოდი, ისე ცივოდა, აქ კი გინდა მთლად შილიფად იყო. წყაროები და ნაკადულები უხვად მორაკრაკობენ ბარში.



საქართველოს სამხედრო გზა.

უახლოვდები სადგ. ფასანაურს, რომელიც საქართველოს სამხედრო გზის სადგურებს შორის ყველაზე უფრო ლამაზია. აქ ყველაფერი სიმწვანეშია ჩაფლული. ტფილისისათვის ფასანაური მშვენიერ აგარაკად გამოდგება, მაგრამ სიშორის გამო (იქამდე 90 კილომ.) იქ თითქმის არავინ მიდის საგარაკოდ. ფასანაურთან მთიულეთის არაგვს მარცხენა ნაპირიდან ერთვის ამავე მდინარის მეორე სათავე — **გუდამაყრის** არაგვი, რომელიც აქამდე გუდამაყრის ხეობაში მომდინარეობდა. *

* გავრცელებულია აგრეთვე რუსული სახელწოდების გავლენით „თეთრი არაგვი“ და „შავი არაგვი“. მთიულეთის არაგვია თეთრი არაგვი, გუდამაყრის არაგვია შავი არაგვი.

ავტორი.



მთიულეთისა და გუდამაყრის არაგვის შეერთება.

ფასანაურიდან გზა მოიმართება სადგ. ანანურამდე (ამათ შორის 21 კილომ. მანძილია, უდიდესი, რაც სხვა სადგურებს შორის). ანანურიც ისეთივე მომხიბლავია, როგორც ფასანაური, მაგრამ სამწუხაროდ, ტყეები აქ თითქმის მთლად აჩეხილია. ნაკადულები აქაც ბევრია. ანანურთან გზა განზე სტოვებს არაგვის ხეობას, ამოდის დუშეთის მთებზე და ჩამოდის დუშეთს (ანანურიდან აქამდე $16^1/_4$ კილომ. მანძილია).

დუშეთის მახლობლად ბუნება უკვე ჰკარგავს თავის სილამაზეს და, რაც უფრო აქეთ მოდიხარ, არე-მარე თანდათან უფერული ხდება: შიდამოები მოტიტვლებულია, ტყეები თითქმის მთლად აჩეხილია, რომლის ნაცვლად ყანებია გამართული. მაგრამ ამ ადგილებშიაც საკმაოდ ბევრგანაა მომხიბლავი ბუნება.

დუშეთის მიდამოებში გზიდანვე ხელმარჯვნივ მგზავრი ბაზალეთის ტბას ხედავს. 30—35 წლის წინათ ეს ტბა გზიდან არ მოჩანდა, რადგან ტბის გარშემო აყრილი იყო დიდი ტყე. ახლა კი ირგვლივ ყველაფერი მოტიტვლებულია, ჩირგვებსაც კი ჰკაფავენ და ყანებს მართვენ. დუშეთის ცოტა მოშორებით, სოფ. შაბურიანთკარის ახლო მოჩხრიალებს გზის პირას საშაბუროს წყარო.

დუშეთის გაშლილ ველებს რომ გამოსცილდები, გზა არაგვის ხეობას ისევ უახლოვდება და მიდამოებიც უფრო ხალისიანი, ამწვანებულია,—გზას ვენახებიც კი ამშვენებს აქა-იქ. როცა გზა ხეობაში გადმოვა, ბუნების სილამაზე კვლავინდურად გხიბლავს. ირგვლივ მთები ერთი მეორეს მიჩერებიან და მათს კალთებზე დაფენილი ტყეები თითქო ლამაზ არაგვისაკენ მიისწრაფიან. ცოტა მანძილი კიდევ და გზა ისევ ფართო ველზე გადმოიშლება. მწვანე მთები განზე იწევიან, არაგვი მარცხენა კალთებს ეკვრის და გზა გადმოდის მოწყენილ მიდამოებში, რომელთაც მხოლოდ გარეული ეკლიანი მცენარეულობა თუ ასუდგმულებს. ამ ადგილას არაგვის მარჯვნივ არის სოფ. ნაოზა, მარცხნივ კი ვენახებით შემკული სოფ. ჭოპორტა.

კიდევ ორიოდე კილომეტრი და ნგზავრი ჩამოდის სადგ. წილკანს (ამჟამად სადგური გაუქმებულია). აქ თვალწინ იშლება წილკნის განიერი ველი, რომელიც წილკნიდან თითქმის 10 კილომეტრზეა გადაჭიმული. ამ ველზე მდებარე სოფლები ვენახიანია, რომელთაგან ერთი, სოფ. ნატახტარი, გზას აკრავს ხელმარცხნივ. აი, გათავდა ეს 10 კილომეტრიც, გზა, რომელიც აქამდე არაგვის ცოტა მოშორებით იყო, ახლა მას უახლოვდება და მდ. ნარეკვავზე გადავლის შემდეგ ისევ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მიუყვება მის მარჯვენა ნაპირს. თუმცა კი მდ. არაგვი გზიდან არ მოჩანს თვით მცხეთამდე, რადგან იგი ღრმა კალაპოტშია ჩამძვრალი. ეს ადგილი ქართლის ველზე, რომელიც არაგვის მდიდარი მცენარეულობითაა შემკული, ისეთი მომხიბლავია. რომ მისი მცოდნე ტფილისელები ხშირად მოდიან აქ, რომ ბუნების სილამაზით დატკბენ და ღამით ბულბულების ტიატიას ყური უგდონ. მაგრამ ეს ლამაზი ადგილები არაგვთან ერთად დაბლა რჩება, გზა კი მიიმართება მთაზე, რომელიც ან ჩირგვითაა დაფარული, ან ტიტველია. ერთს ადგილას გზას ავიწროებს ორივე მხრიდან ციცაბად დაშვებული კალთები ნახევრად კირნარი და ნახევრად თიხნარი ბორცვისა, ცოტა აქეთ კი გზას ამაყურად თავს წამოდგომია ხელმარცხნივ კლდეზე აღმართული ნაციხარის სიმაგრე. ნაციხარი ნანგრევებს-ღა წარმოადგენს. ციხე-კოშკები საერთოდ მრავლადაა არაგვის ხეობაში. მათი დანიშნულება ის იყო, რომ ხეობას შესავალ კარებში დარაჯობდენ და მტერს გზას უხშობდენ. ახლა კი მათ თავისი მნიშვნელობა დაჰკარგეს და მხოლოდ-ღა ძველი დიდების ნაშთს წარმოადგენენ.

ჩვენი მცხეთა! მგზავრმა უკვე მცხეთამდე ჩამოაწია.

როგორი რუხი და უფერულია მცხეთა. ძველად, დაახლოებით 15 საუკუნის წინათ, აქ ცხოვრება დუღდა, ყველაფრით შემკული და

მცხეთა (სოფ. სამხ. გზა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადადის)

შდიდარი ქალაქი იყო, გზაჯვარედინზე მდებარეობდა, სადაც თავს იყრიდენ გზები, როგორც საქართველოს ყოველი მხრიდან, ისე მეზობელი ქვეყნებიდანაც. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავისი პირველობა ტფილისს დაუთმო, მცხეთა მოდუნდა, თითქო ძილს მიეცა. მხო-

ლოდ მტკვარი და არაგვი, მისი წარსული დიდების მემატიანე, არ ივიწყებენ მას, გულს უხალისებენ თავისი მშობლიური ალერსით.

ლამაზად აქვს აწერილი არაგვის ბუნება ჩვენს პოეტს ნიკო ბარათაშვილს:

მორბის არაგვი.

მორბის არაგვი არა გვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილ ჭალებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს გამწვანებულ მთებს
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

საუბრის შემდეგ ავიშალენით და ჩვენი ქვეყნის ძველ დედაქალაქს შევესიეთ. დავათვალიერეთ, რაც კი შესანიშნავი რამ იყო, და საღამოს ისევ ტფილისისაკენ გამოვეშურეთ.

კრებულს ვკითხულობთ.

— ბორჯომის ხეობა უფრო ლამაზია, თუ არაგვის ხეობა? — ვკითხე მეორე დღეს მასწავლებელს.

— ორივე დიდებულია, მხოლოდ არაგვის ხეობა ყველგან ერთნაირად მომხიბლავი არაა, ზოგან მის ახლომახლო, როგორც ვთქვით, ბუნება მწირია, მაშინ, როდესაც ბორჯომის ხეობა ნთელ თავის სიგრძეზე ატყვევებს მგზავრის გულს თავისი სიკეკლუცით.

აი, ამ ზაფხულში, როდესაც შენ ბორჯომში იყავი საგარაკოდ, ჩვენი სკოლის უფროსი მოწაფეები დუშეთს წავიყვანეთ დასასვენებ-

ლად და იქ ჩემის ხელმძღვანელობით მოწაფეებმა არაგვის ხეობის ერთი ნაწილი დაათვალიერეს, შეისწავლეს და თავისი შთაბეჭდილებები და დაგროვილი მასალები კრებულის სახით გამოსცეს. ამ კრებულს სახელად „არაგვიანი“ დავარქვით.—სთქვა მასწავლებელმა და გადაგვიშალა ხელნაწერი სამოწაფო კრებული.

— მასწავლებელო, მოგვეცით ეს კრებული წასაკითხად.— ვთხოვეთ ჩვენ.

— ძალიან კარგი,—სთქვა მასწავლებელმა.

წავიღეთ კრებული და მორიგეობით ვკითხულობდით მასწავლებლის მიერ ნაჩვენებ წერილებს. გვიხაროდა, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი უფროსი ამხანაგების მოგონებებს, თავგადასავალს, ნახულსა და გაგონილს ვეცნობოდით.

აი, რა წერილები წავიკითხეთ ამ კრებულში.

ბოდორნა და არაგვის ხეობა.

1924 წლის ივლისის 21-ს, დილით, ჩაის შემდეგ, გავუდექით გზას მდ. არაგვისაკენ. ამ მოგზაურობაში მთელმა ჩვენმა ახალშენმა მიიღო მონაწილეობა. საგზლად წავიღეთ: პური, რძე და დაკლული ბატკანი. ჩვენ ძლიერ გვიხაროდა, რომ ველირსებოდით საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და უსწრაფესი მდინარის არაგვის ხილვას. მდ. არაგვი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან ჩამოურბის ქ. დუშეთს. დუშეთიდან იგი დაახლოებით 4—5 კილომ. არის დაშორებული. ჯერ ჩავიარეთ ქ. დუშეთის ყანები და შემდეგ დუშეთის ხევის გასწვრივ დავადექით ერთს საურმე გზას, რომელიც სამხრეთისაკენ მიიმართებოდა. თვით ეს საურმე გზა დუშეთის ხევიდან აღმოსავლეთითაა. აღტაცებული ვიყავით დუშეთის ხევის სილამაზით, რომელიც ტყით იყო დაფარული; ჩრდილო-აღმოსავლეთით ეს ხევი პატარა ტყით და ბუჩქნარით იყო დაფარული, ხოლო დასავლეთის მხარეზე კარგა მოზრდილი, მაგრამ არც ისე ხშირი ტყე მისდევდა. ეს ტყე მაინც და მაინც დიდს შთაბეჭდილებას არ სტოვებდა, მაგრამ ქ. დუშეთის უტყეო მიდამოებთან შედარებით ეს ტყე მაინც ძალიან მოგვწონდა. ამ ხევს ჩვენ დიდს ყურადღებას არ ვაქცევდით, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ არაგვის ხეობა შეუდარებლად უფრო ლამაზად მორთული დაგვიხვდებოდა. ჩვენი იმედი გამართლდა. გადავადექით თუ არა მახლობელ გორაკს, საიდანაც გზა პირდაპირ მდ. არაგვისაკენ მიდიოდა, ჩვენს თვალწინ გადაიშალა მშვენიერი არაგვის ხეობა,

არაგვის ჭალები და აქეთ-იქით ჩამწკრივებული ტყით დაფენილი მთები. თუ არა ვცდებით, ეს ადგილი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმშვენიერეს ადგილად უნდა ჩაითვალოს.

ჩავედით არაგვის პირას. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აქვე ახლო მდებარე მთამ (დასავლეთისაკენ), რომლის მწვერვალზედაც ეკლესია მოჩანდა ტყეში. ეს იყო ბოდორნა. ჩვენ გადავწყვიტეთ არაგვში ბანაობის შემდეგ ავსულიყავით ბოდორნაზე. დავიწყეთ არაგვში ბანაობა. დიდს არაგვში პატარეებს არ ვუშვებდით, მათ მხოლოდ პატარა ტოტში ბანაობის ნება დავრთეთ. ჩვენ კი ქამარში გრძელი თოკი მოვიბით, რომლის ერთი ბოლო ერთ-ერთ ხელმძღვანელს ეჭირა და ასე გადავეშვით არაგვის ტალღებში. ბევრი ვეცადეთ, რომ მდინარის მეორე ნაპირს გავსულიყავით, მაგრამ ამაოდ. მდ. არაგვი ისეთი სწრაფი იყო, რომ ჩვენ გვიტაცებდა და საითაც მიდიოდა, იქით მიგვათრევდა. მდინარის მძლავრ ტალღებთან ბრძოლა შეუძლებელი იყო.

მდინარე არაგვის ერთი სათავე, რომელსაც მთიულეთის არაგვი ჰქვიან (იგივე თეთრი არაგვი), გამომდინარეობს გუდაურის ხეობიდან, მოდის სამხრეთის მიმართულებით, გზა და გზა მას მრავალი პატარ-პატარა შენაკადი ერთვის, აღწევს სადგ. ფასანაურამდე და აქ კი მას უერთდება არაგვის მეორე სათავე—გუდამაყრის არაგვი (იგივე შავი არაგვი), რომელიც ბურსაჭირის მიდამოებში გუდამაყრის ხეობაში იწყება. გუდამაყრის არაგვი სათავიდან მოდის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, მერე უხვევს სამხრეთით, შემდეგ ისევ სამხრეთ-დასავლეთისაკენ მოდის და ფასანაურში, როგორც ზემო ვთქვით, უერთდება მთიულეთის არაგვს. მთელი მანძილი არაგვის დენისა სათავიდან მტკვარში შერთვამდე დაახლოებით 107 კილომეტრს უდრის. სად. ფასანაურიდან მდ. არაგვი თითქმის პირდაპირი ხაზით მოდის სამხრეთისაკენ, ვიდრე სადგ. ანანურამდე, ანანურიდან კი უხვევს აღმოსავლეთის მხრივ და მიდის ისტორიულ ქალაქ (ამჟამად უბრალო სოფელია) ჟინვანამდე; აქ სოფ. ჟინვანთან ერთდება მდ. არაგვს არაგვის ის ტოტი, რომელიც ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის შეერთებას წარმოადგენს. ფშავისა და ხევსურეთის არაგვი ერთმანეთს ორწყალთან უერთდებიან, მხოლოდ 30-ოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ისინი საერთო კალაპიტით ერთვიან არაგვს სოფ. ჟინვანის მახლობლად. შემდეგ არაგვი განაგრძობს წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, ვიდრე მტკვარს შეერთვოდეს. მტკვარში შერთვამდე მდ. არაგვს უერთდება კიდევ; პატა-

რა მდ. ნარეკვავი, ლართის-კარის ხევი მარჯვენა ნაპირიდან, ხოლო მარცხენა ნაპირიდან მირალის-ხევი.



არაგვის შეუპოვარი დენა დიდებულად აქვს ასახული ჩვენს პოეტს ვაჟა-ფშაველას:

არაგვმა ლახტი აიღო
ამირანისა, რა ხანი;
მილეწ-მოლეწა კლდეები,
მტკვარს გაადინა ჯახანი.
კართანას ფარი წაართვა.
ჟინვანს მოჰგლიჯა ჩაჩქანი;
დევები გაფთხნენ, გაიქცნენ,
გადმოუყარეს აბჯარი;
მოქიშპე არ გაუშვია,
რომ არ დაეცეს ხანჯარი.
მუხრანის ველზე მიცურავს
თავ-აღებული კანჯარი.
დამთვრალა სატიალეი,
მთას თოვლი დაულევია;
ორწყალში ჩამასწევია,
თათრის ჯარ დაულევია.
ბასრის გორდაის ცემითა
კლდეები გაულევია;
მთით ბარად ჩამოვარდნილა,
გზა მტკვრისკე გაუკვლევია.

არაგვში ბანაობა დიდხანს არ გაგვიგრძელებია. წყალი სისწრაფის გარდა არაჩვეულებრივად ცივი იყო, როგორც გამდნარი თოვლი და ყინული. როცა მზე მაღლა წამოვიდა და შუადღემ მოატანა, ჩვენ ბოდორნისაკენ გავუდექით გზას. ავუყევით ერთს თვალუწვდენელ აღმართს. რომელმაც ისე დაგვქანცა, რომ თქვენი მოწონებული. რის ვაი-ვაგლახით ავაწიეთ ეკლესიამდე და იქ ჩრდილში დავისვენეთ. ეს ეკლესია ბოდორნის ღვთისმშობლის ეკლესიაა, რომელიც განმარტოებით დგას მაღალ მთაზე. ეკლესიის შორიახლო, ჩრდილო-აღმოსავლეთიდ, არის პატარა სოფელი—ბოდორნა. ვისვენებდით მაგრამ თანაც წყურვილი გვკლავდა, არ ვიცოდით—სად გვეშოვნა წყალი. ბოლოს ავდექით რამდენიმე მოწაფე და გავსწიეთ დასავლეთისაკენ წყაროს საძებნელად. გზაზე მივადექით სოფლის მეორე ნაწილს, ისიც ბოდორნა იყო, აქ ერთს დედაკაცს მივმართეთ—სად იშოვნება აქ წყალი-თქო. მან მიგვითითა მახლობელ ღელეზე. მართლაც, გავცილდით თუ არა ამ სოფელს, მერე დაიწყო დაღმართი, იმას იქით კი მოჩანდა ყანები. ჩავედით ღელეში, მაგრამ წყალი არ დაგვიხვდა, რაც იყო, იმასაც კამეჩები და ღორები ამღვრევდენ. დავ-

ბრუნდით უკანვე. ახლა მეორე სოფლისაკენ გავსწიეთ. როგორც იქნა ერთმა მადლიანმა დედაკაცმა გვასვა წყალი, თანაც ლიტრით გამოგვატანა. ლიტრისათვის საწინდარს ვუტოვებდით, მაგრამ იოკადრისა და არ გამოგვართვა. წამოვიღეთ წყალი და ჩვენს ხელმძღვანელს მოვუტანეთ, რომელმაც წყალი ბავშებს გაუნაწილა.

მეტად ლამაზ სურათს წარმოადგენდა ის მიდამოები, რომელნიც ბოდორნიდან მოჩანდენ, აგრეთვე თვითონ ბოდორნაც. აქედან დიდს სივრცეზე მოჩანდა არაგვის ხეობა და ჰორიზონტზე გადაჭიმული მთების გრეხილები, არაგვის მარცხენა ნაპირას ქართლ-კახეთის ქედი და მისი გატოტიანება. ბუნების სილამაზით დატყვევებულებმა დავათვალიერეთ ტყე. ქალები და პატარეები დარჩენ. ჩვენი მზარეული უკვე შეუდგა სამზადისს, დავთალეთ ხის შამფურები, ამას გარდა რამდენიმე რკინის შამფური იქვე ეკლესიის გალავანში პატარა სენაკში ვიპოვეთ. მოვაგროვეთ შეშა და კარგი ცეცხლი დავაგუზგუზეთ. ველოდებოდით დანაკვერცხლებულიყო, რომ მწვადები აგვეშიშინებია. მზარეული და რამდენიმე მოწაფე წავიდენ სოფელში წყლის მოსატანად. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდენ და ორი კოკა წყალი მოგვიტანეს. თურმე ეს წყალი ბოდორნის წყაროდან მოეტანათ. მოწაფეები მაშინვე გარს შემოეხვივნენ და ერთი მეორეს ეცილებოდენ —არა მე დავლევ და არა მეო. ერთერთმა ხელმძღვანელმა რიგში ჩააყენა მოწაფეები და ყველას თითო ჭიქა დაალევინა, ერთი კოკა კი შეინახა ნასადილევს დასარიგებლად. ასე ვუფრთხილდებოდით წყალს. ამასობაში ცეცხლიც დანაკვერცხლდა და შევუდექით მწვადების წვას. მალე მწვადებიც აშიშინდა. ვისადილეთ. შედედებული რძეც გეახელით. ცოტა ხანს დავისვენეთ და შინისაკენ გამოვსწიეთ. მივუახლოვდით სოფელს, სადაც ორი გზა შეგვხვდა: ერთი გზა სოფელს შუაზე სჭრიდა, მეორე გზა კი, რომლითაც კოლონიელები ბოდორნაზე ამოვედით, სოფლის ქვევით არაგვისაკენ მიდიოდა. ჩვენ სოფლის შუა გზას დავადექით. გავიარეთ სოფელი. გზა თანდათან დაბლა დაეშვა და ჩვენ ვუახლოვდებოდით უკვე ნაცნობ დუშეთის ხევს. ბოლოს წავაწყდით ბოდორნის ცივ წყაროს. უნდა ითქვას, რომ ბოდორნის წყაროს ვერც გემოთი და ვერც სიცივით დუშეთისა და მისი მახლობელი სოფლების ვერც ერთი წყარო ვერ შეედრება, მაგალითად, ორწყარო თვით ქ. დუშეთში, თამარის წყარო კობიანთ-კარში,* ლომისის წყარო ჭონქაანთ-კარში (ანუ სოფ. ყვავილში).

* კარი ქართლში, განსაკუთრებით დუშეთის მაზრაში სოფლის მნიშვნელობითაც იხმარება: კობიანთ-კარი ე. ი. კობიაშვილთა სოფელი, ჭონქაანთ-კარი ე. ი. ჭონქაძეების სოფელი და სხვ. შეადარეთ—სახლკარი, კარ-მიდამო.

ავტორი.

განვაგრძეთ გზა და საღამოს, როცა მზე უკვე ჩასული იყო, შინ მივედით. ასე დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა არაგვისა და ბოდორნისაკენ. არაგვმა და ბოდორნამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე და ერთიცა და მეორეც გულში ტკბილ მოგონებად ჩაგვრჩა.

სხვათა შორის, ამ ადგილების დათვალიერება ჩვენ იმ მხრივაც გვაინტერესებდა, რომ დან. ჭონქაძის „სურამის ციხეში“ რამდენიმე სურათი ამათ მოგვაგონებს, მაგალითად, ოსმან-აღას სოფელი ხომ ბოდორნასა და ნაოზას შუა მდებარეობდა.

მოგზაურობის დროს ჩვენ ვკრეფდით ცნობებს, როგორც ბუნებისა, ისე მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

მოგზაურობა სოფ. არანისში.

1924 წლის აგვისტოს 17-ს უფროსი მოწაფეები და სამი ხელმძღვანელი გავუდექით გზას დუშეთიდან არანისისაკენ. დილის ათის ნახევარი საათი იყო. დუშეთს რომ გავცილდით, დავადექით ერთს საურმე გზას, შემდეგ გზის შესამოკლებლად გადავუხვიეთ ერთს ბილიკზე, რომელიც სოფელ არანისისაკენ მიიმართებოდა. ეს ბილიკი გვერდს უვლიდა დან. ჭონქაძის მშობლიური სოფლის ჭონქაანთ-კარის ანუ სოფ. ყვავილის გზას (სოფ. ყვავილი დუშეთიდან ჩრდილოაღმოსავლეთითაა ორიოდე კილომ. მანძილზე, ეშვებოდა ხევში, ხევიდან მიუყვებოდა ხვეული გზით ერთს მაღალ მთას, ამ მთის შემდეგ ისევ ეშვებოდა ხევში, შემდეგ ისევ ადიოდა მთაზე, რომლის გადაღმა ეს ბილიკი შიგ სოფელში შედიოდა. დაღმართები ისეთი ციცაბი იყო, რომ ჩვენდა უნებურად, თავშეუკავებლად მივდიოდით, აღმართებში კი ასვლა გვიჭირდა, ხშირად ვისვენებდით და ასე მივდიოდით წინ. სოფლის მახლობლად გზაზე დაგვხვდა ერთი დიდი კაკლის ხე, რომლის ჩრდილშიაც კარგად დავისვენეთ. ბოლოს განვაგრძეთ გზა და ჩავედით არანისში ჩვენი სკოლის გამგესთან.

სოფ. არანისი მდ. არაგვის პირას ერთერთ ფრიალო კლდეზე მდებარეობს. სოფელს აღმოსავლეთით აკრავს ზანდუკლის-ხევი და მდ. არაგვი, დასავლეთით და ჩრდილოეთით ტყით დაფენილი მთაგორაკებია, სამხრეთით კი ისევ ხევი. არანისი პატარა სოფელია, ოცამდე კომლი ცხოვრობს. სოფელს მეორენაირად ზანდუკლიანთ-კარს უწოდებენ, რადგან მეტი წილი იქ ზანდუკელები ცხოვრობენ. სოფელში ერთი კოშკია ამართული, სახლები მეტნაწილად უბრალო რიყის ქვისაგანაა აგებული და ღარიბადაა მორთული. მხოლოდ რამდენიმე სახლი, მათ შორის ჩვენი გამგისაც, ქვისაა; სოფლის ეს ნა-

წილი უფრო კარგრ შთაბეჭდილებას სტოვებს. სოფლის გარშემო ბუნება საუცხოო სურათს წარმოადგენს. სოფელს ამაყად დასცქერის რამდენიმე ტიტველი მოცისფრო კლდე. სოფლის მაღლობი ადგილებიდან ძალიან კარგად მოჩანს თითქმის მთელი არაგვის ხეობა მცხეთამდე. მაღლობიდან კარგად მოჩანს ძველი ისტორიული ქალაქი, აწინდელი სოფელი ჟინვანი, რომლის ახლო, ზევით, არაგვს უერთდება ფშავ-ხევსურეთის არაგვი.

არანისს ტყეები აკრავს, რომელთაგან ყველაზე უფრო შესანიშნავია ე. წ. ხატის-ტყე. ამ ტყეში საკმაოდ შენახულა დიდროვანი ხეები. ტყე რომ დავათვალიერეთ შიგადაშიგ ვნახეთ ისეთი ხეები, რომელთა სიმაღლე დახლოებით 15-ოდე მეტრს უდრიდა. ტყის იქით იწყება ბუჩქნარები, სადაც ბლომად ვკრეფდით თხილს, მაყვალს. ხატის ტყესთან არის ვრცელი მოედანი, სადაც თურმე კვირიკობა სცოდნიათ. აქვე მახლობლად ხეებსა და ბუჩქნარებში გამოჩნდა ძველი საყდრის ნანგრევები, რომლის წინ ერთს ხეზე მრავლად ეკიდა ზვარაკად შეწირული ცხვრებისა და სხვა პირუტყვის წვრილმანი მათს ყელზე ჩამოსაკიდი ზარები, ზოგიერთი ზარი საკმაოდ დიდი იყო. ჩანს ხელს არავინ ახლებს ამ ზარებს. გული კი შეგვექნა, მაგრამ არც ჩვენ დავარღვიეთ ადათი და ზარებს ხელი არ ვახლეთ. აქვე ახლო რამოდენიმე ადგილას პატარა ნიშები ვნახეთ, სალოცავი ადგილები. მოედნის ერთს ბოლოში ტიტველი კლდე იყო აყუდებული. ეს ადგილი ძალიან მოგვეწონა, სურათი გადავიღეთ, ცოტახანს ჩრდილში მხართეძოზე წამოვწექით, ვისაუბრეთ და შემდეგ სადილად მიგვიწვიეს გამგის სახლში. კარგად გაგვიმასპინძლდენ. იმ დღეს უკან დაბრუნებას მასპინძელი გვიშლიდა, გვთხოვდა ღამე იქ გაგვეთია, მაგრამ ჩვენ დაბრუნება ვამჯობინეთ. გამგემ მეორე გზით მოგზაურობა გვირჩია, რომელიც არაგვის ჭალას მისდევდა. დავადექით ამ ვაკე გზას და, თუმცა შორი გზა მოვიარეთ, მაგრამ უფრო ნაკლებად დავიღალეთ, რადგან აღმართ-დაღმართები გზაზე არ გველობებოდა წინ. ავუქციეთ გვერდი ბოდორნას, ავყევით გზას სოფ. ყვავილისაკენ და გადავედით დუშეთში. ღამის ათის ნახევარ საათზე უკვე შინ ვიყავით. ასეთი იყო ჩვენი 12 საათის მოგზაურობა, რომელიც ხსოვნაში ღრმად ჩაგვებეჭდა.

ბაზალეთის ტბა.

ბაზალეთის ტბა ქ. დუშეთიდან დაახლოებით ოთხიოდე კილომეტრზე მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთის მხრივ. იგი თითქმის ორჯერ უფრო დიდია, ვინემ ტფილისის მიდამოებში მდებარე ლისის ტბა და დაახლოებით კუმისის ტბის სიდიდისაა. (ლისის ტბას 2 კილომ. აქვს გარშემო სივრცე, კუმისისას 5—6 კილომ.). ბაზალეთის ტბას რომ გარს შემოვუარეთ, დაახლოებით ხუთი კილომეტრი ვიარეთ, თუმცა სულ წყალს ტბის ნაპირზე ვერ მივყვებოდით: ჩალამ-კალამი და ჭაობიანი ადგილი, რომელიც ტბას ნაპირებზე აკრავს, განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთის მხრივ, ამის საშუალებას გვისპობდა. ტბის სიღრმე უმნიშვნელოა. ნაპირიდან კარგა მოშორებით შევცურეთ შიგ და წყალი მხოლოდ წელამდე გვწვდებოდა (საშუალო ტანის მოწააფეებს), ზოგან კი წყალი საკმაოდ ღრმა ყოფილა. ზამთრობით ტბას ყინულის სარქველი გადაეფარება ხოლმე. დუშეთში გვითხრეს: ამ ზამთარში ბაზალეთის ტბა არ გაყინულა და ამის გამო ქალაქში ყინული აღარ გვეშოვებაო (ასე გასინჯეთ საავადმყოფოშიაც არ იშოვებოდა ყინული).

ბაზალეთის ტბაში არავითარი მდინარე არ შედის და არც გამოდის. ამგვარად ეს ტბა გაუმდინარია. ტბის წყალი ანკარაა და გამჭვირი. მაგრამ ქარში იგი იმღვრევა. ერთხელ საღამო-ხანს მოგვიხდა ტბის ნაპირას ყოფნა. ნიავი ჰქროდა. ტბა ცოტათი აღელდა. მის ზედაპირზე გაჩნდა მოზრდილი ტალღები, რომელნიც ნაპირებს ეხლებოდენ. აიმღვრა ტბა. ამ დროს მზეც ჩადიოდა და მისი უკანასკნელი სხივები ტბის წყალს ალაპლაპებდა. ეს სურათი მეტად ლამაზ სანახაობას წარმოადგენდა. მეორეჯერ ტბის ნაპირას შუადღისას ვიყავით. ნიავი არ ჰქროდა. ტბა მშვიდად იყო და ისეთი შთაბეჭდილება აღარ დაუტოვებია ჩვენზე, როგორც ამას წინათ. ტბის წყალი მტკნარია (უმარილო), მაგრამ ცოტათი მაინც მოიმლაშებს.

ბაზალეთის ტბის ნაპირები, გარდა აღმოსავლეთის ნაპირის ერთი ნაწილისა, დაფარულია ჩალამ-კალამით და ლერწმებით. ამ ადგილებში ჭაობი ბლომადაა და შიგ შესვლა სახიფათოა, ზოგან მოუხერხებელიც, თორემ ადვილად შეიძლება კაცი ჩაეფლას.

ჭაობიანი ნაპირების გამო ბაზალეთის ტბა სავსეა კოღოებით, რაც ციებ-ცხელების (მალიარიის) გავრცელებას უწყობს ხელს. ტბაში თევზები არაა, იგი ურგებია. ქვეწარმავალი და წურბლები კი მრავლადაა წყალში. ამის გამო ამ ტბის წყალი სასმელად არ ვარგა.

ბაზალეთის ტბის წარმოშობის შესახებ ბევრგვარი ლეგენდა არსებობს, რომელთაგან ჩვენ სამი დავასახელოთ.

ერთერთი ლეგენდა

ერთს დროს, იმ ადგილას, სადაც ახლა ეს ტბა არის, ერთი კარგა დიდი სოფელი იყო გაშენებული. ამ სოფელში ცხოვრობდა ქურდობითა და ავაზაკობით განთქმული ხალხი. დღე არ გავიდოდა რომ ამ სოფლის მცხოვრებთ რაიმე ცოდვა არ ჩაედინათ, ან კაცის კვლა, ან ძარცვა-რბევა დიდს შარაგზაზე. ამასთანავე ღვთის შიში არ ჰქონდათ. მათზე ღმერთი ძლიერ იყო განრისხებული. ღმერთმა მრავალჯერ გააფრთხილა ეს მცხოვრებლები, დასაჯა ისინი შიმშილით, სისხლის წვიმებით, მაგრამ ამაოდ. ამიტომ ღმერთმა მოუვლინა მათ ქარიშხალი ელვით და ჭექა-ქუხილით. ქარი და ქუხილი აზანზარებდა სახლებს. ელვამ დაჰკრა, გააპო დედამიწა და ბოროტი ხალხის სოფელი შთანთქა. იმ ადგილას კი ტბა გაჩნდა. მკაცრი ზამთარი რომ დადგება და ტბის წყალი გაიყინება, იმ ყინულზე რომ შედგეთ და გაიაროთ, ახლაც მოგესმისთ ტბის ძირიდან კვნესა-გოდება, შველას ითხოვენ დაღუპულები, თან ისმის აგრეთვე ზარების ყრუდ რეკა.

მეორე ლეგენდა.

სოფ. ბაზალეთში ყოფნის დროს ერთმა გლეხმა შემდეგი ლეგენდა გვიამბო:

იქ, სადაც ახლა ბაზალეთის ტბა არის, წინათ სოფელი ყოფილა. ერთს წელიწადს ყველა წყარო დაშრა თურმე. შეწუხდა სოფელი, რადგან წყლის ზიდვა შორიდან უხდებოდათ. შორიდან ბევრი წყალი ვერ მოჰქონდათ, რის გამოც სოფელში უსუფთაობის ნიადაგზე გაჩნდა სხვადასხვა სნეულება. ამიტომ სოფელმა საერთო დიდი ჭა ამოიყვანა და აქედან იღებდენ წყალს. ეს ჭა ბევრ წყალს იძლევოდა და, თავს რომ არ გადმოსულიყო, გაუკეთეს თურმე დიდი რკინის სახურავი, ამ სახურავს პატარა კარი დაუტანეს წყლის ამოსაღებად. ამოიღებდენ თუ არა ჭიდან წყალს, ამ კარებს მაშინვე დახურავდენ.

ერთს საღამოს ჭასთან ერთი პატარძალი მოსულა, ამოუღია წყალი და კარი კი ღია დარჩენია. მის შემდეგ იმ საღამოს წყლისთვის არავინ მოსულა. წყალმა თურმე იდინა, იდინა და ამოავსო ჭა. შუალამისას კი, როცა სოფელი ძილის ბურანში იყო გახვეული, იფეთქა წყალმა, გაივსო სოფელი ამ წყლით, ვინც მოასწრო და თავს უშველა, ხომ რა კარგი, ვინც არა და ისინი დაიხრჩვენ. ის პატარძალიც დამხრჩვალა. თანდათან იმატა ამის შემდეგ წყალმა და ასე გაჩნდა ტბა. ტბაზე ახლაც უჩვენებენ ადგილს, რომელსაც ნასოფლარს

ეძახიან. იმ ადგილას, სადაც წინათ სოფელი იყო, ნავებზე ჩანგლებით ახლაც ვიღებთ სახლის ბოძებს და ხე-ტყის მასალასო,—დაამთავრა ამით გლეხმა.

მესამე ლეგენდა.

ილია ჭავჭავაძეს ლექსად აქვს გადმოცემული ერთერთი ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ, აი ამ ლექსის ნაწყვეტი:

„ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო
და მის გარშემო წყლის ქვეშე
უცხო წალკოტი ჰყვავისო.
მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.
ვერ ერჩის თურმე მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.
წალკოტის შუაგულშიაც
ის აკვანი ასვენია
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.
მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი, გრძნეულნი,
დასტრფიან და დამღერიან.
ამბობენ—თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს“.

ამ ლეგენდებს გარდა ხალხში არის დარჩენილი გადმოცემა, რომ ტბის ირგვლივ მდებარე მთებიდან მიწის ქვეშა წყაროებს უდენიათ, ტაფობის ფსკერი მთლად გაჟღენთილა, შემდეგ წყალი ტაფობის ფსკერის ზედაპირზედაც გამოჩენილა, თანდათან უმატნია და ბოლოს ტბად დამდგარა.

ქართლის ტაფობში.

აი, რა გამოვძერწეთ.

კარგი სანახავი იყო ჩვენი სამეცადინო ოთახი სამშაბათს. შუაში განიერი, ფიხ-დაბალი მაგიდა იდგა. მაგიდაზე ბლომად იდო თიხა, რომელიც ამას წინათ მოწაფეებმა ექსკურსიის დროს ვერის-ხევში ვიპოვნეთ და სკოლაში წამოვიღეთ. კარგა ხანს ვალბობდით ამ თიხას, შემდეგ მოვზილეთ, ავაგუნდავეთ და საძერწავად გავამზადეთ.

ყველანი გულმოდგინეთ ვმუშაობდით. მუშაობის დროს უბრალო ლაპარაკი ავკრძალეთ. მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვებაასებოდით ერთმანეთს ან მასწავლებელს, თუ ეს საქმისათვის საჭირო იყო. მასწავლებელიც ხელს გვიწყობდა.

რა იყო ეს საქმე, რომელმაც ბავშები ერთის გრძნობით და ერთის სურვილით შეგვაკავშირა?

— ჩვენ დღეს ქართლის ტაფობს ვძერწავდით! დღემდე რამდენიმე რუკა გვქონდა დახატული. ახლა ეს აღარ ვიკმარეთ და მოვიწადინეთ უფრო ცხოვლად წარმოგვედგინა ქართლის ზედაპირი.

ოთახში კედელზე მიდგმული იყო დიდი ამობურცული რუკა მთელი საქართველოსი, რომელიც ყოველ ამაღლებულსა და ჩაღრმავებულ ადგილს, ყოველ ხევსა და უღელტეხილს ცხოვლად წარმოგვიდგენდა. სიმართლე ითქვას—ჩვენ ეს ამობურცული რუკა გვერჩივნა იმ ქაღალდის ბრტყელ რუკას, რომელიც იქვე კედელზე იყო ჩამოკიდებული.

მოწაფეებმა სამუშაო გავინაწილეთ. დავჯგუფდით და თითო რამე ვიკისრეთ: ერთნი თრიალეთის ქედს ძერწავდენ, მეორენი სურამის ქედს, მესამენი კავკასიონის ქედს და ა. შ. მასწავლებელი ხან ერთს ჯგუფს მიეშველებოდა, ხან მეორეს.

დამზადდა ყველა ნაწილები და ახლა ყველა ჯგუფები შეეერთდით, რომ ეს ნაწილები თავთავის ადგილას მოგვეთავსებინა. ეს მუშაობაც მალე დამთავრდა და მოკლე ხანში მოწაფეებმა ქართლის ტაფობი მთლად გამოვძერწეთ.

— ყოჩაღ, ბავშებო, ყოჩაღ.—მოგვიწონა მასწავლებელმა ნაშრომი.—რაკი ქართლი უკვე შემოვფარგლეთ, და ცხოვლად წარმოვიდგინეთ, ახლა მეცადინეობა განვაგრძოთ. მართალია ამ ტაფობს ბევრი რამ აკლია, აქ მხოლოდ მოსაზღვრე ქედებია ნაჩვენები, ხოლო ამ ქედების გატოტიანება კი არა, მაგრამ ჩვენთვის ესეც კმარა. ახ-

ლა კი გავიგოთ—ამ ქართლის ფარგალში ცხოვრების პირობები როგორია, ვინ ცხოვრობს აქა და როგორ ცხოვრობს. უამისოდ ვერ ვიტყვით—ქართლს ვიცნობთო. ქართლი ხომ უსიცოცხლო ტაფობი არ არის, ამ ვეებერთელა ტაფობში მრავალი სოფელი და ქალაქია გაშენებული, სადაც ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

— როდის დავიწყებთ საუბარს ამის შესახებ?—ვკითხე მე.

— სულ მალე. ახლა კი დავისვენოთ.

— მასწავლებელო, ჯერ ჩვენ არ დავღლილვართ და განა არ შეიძლება კიდევ გამოვძერწოთ რამე?

— რისი გამოძერწვა გინდათ?

— აი, მაგ., საქართველოს სამხედრო გზის ტფილისიდან კავკავამდე—სად როგორ მაღლდება და როგორ დაბლდება.

— ჩინებული აზრია,—გაუხარდა მასწავლებელს.—მერე რა გიშლით ხელს? მეც აქ არა ვარ! რაც ვერ შესძლოთ—მომმართეთ და მოგეშველებით.

— დღესვე შევუდგებით ამ მუშაობას, მასწავლებელო!

— კეთილი, კეთილი, მაშ მეც თქვენთან დავრჩები.—სთქვა მასწავლებელმა.

შევუდექით მუშაობას და მეორე დღისთვის ჩვენს სამეცადინო ოთახს ორი ჩვენი ნაშრომი ამშვენებდა: ქართლის ტაფობი და საქართველოს სამხედრო გზა.

ამ მუშაობით წაქეზებული ბავშები სულ თიხაში ვიზილებოდით: გამოვძერწეთ ბორჯომის ხეობა, სურამის უღელტეხილი, დარიალის ხეობა და ა. შ. ვინ იცის, როდის ავიღებდით ხელს მუშაობაზე, რომ მასწავლებელს არ ეთქვა:

— ყელაფერს თავისი საზღვარი აქვს: როგორც უსაქმურობას, ისე საქმიანობასაც. ახლა ეს კმარა და სხვა ხასიათის მუშაობას შეუდგეთო. ასედაც მოვიქეცით.

სამდურავია თუ საქებარი?

— ბევრი დიდი და პატარა მდინარე გავიცანით ქართლში,—სთქვა მასწავლებელმა,—მაგრამ მათ შორის უმთავრესი რამდენი იყო?

— ორი, მასწავლებელო, მტკვარი და არაგვი —მივუგეთ.

— ქართლის ტაფობს ამათ გარდა ორი სხვა მოზრდილი მდინარეც რწყავს, იმათ რა დააშავეს, რომ არ გავეცნოთ?

— ისინიც გავიცნოთ, მასწავლებელო, მართლა და რა უნდა დაეშავებიოსთ ჩვენთვის.

— ერთი მათგანი არის ლიახვი, მეორე ქსანი.

— ლიახვიო?—წამოიძახა კატომ.— ქსნისა რა მოგახსენოთ და ლიახვს თუ არაფერი დაუშავებია, მაშ, ვინ-ღა დააშავა! ლიახვი არ ბრძანდებოდა, რომ ლამის ჩაგვყლაპა მთელი სახლობა, როცა მისი ერთი ნაპირიდან მეორეზე ურმით გავდიოდით?

— შე ქალო, ხიდს ვეღარ მიაგენით?— შენიშნა ნუცამ.

— ისიც ურმით, ვის გაუგონია მდინარეში ურმით მგზავრობა!- დაუმატა ვახტანგმა.

— მაშ, რა გვექნა, რომ არც ხიდი იყო გადებული და გზაზე კი უთუოდ ლიახვი უნდა გაგვეევლო. ქალაქიდან სოფლისაკენ მივეშურებოდით.

— ქალაქიდანო? სად ქალაქი და სად ლიახვის გადავლა, ლიახვს აქ რა უნდა?—ჩამოერია მიხო.

— შენ, ჩემო ძმაო, ქალაქი მარტო ტფილისი გგონია, არ იქნა და ვერ შეიგნე, რომ ქალაქები სხვაცა კიდევ ჩვენში. მე გორიდან მივეშურებოდი ჩემი სოფლისაკენ.

— თუნდაც გორი იყოს, გორთან რა უნდა ლიახვს?—არ ცხრებოდა მიხო.

— მართლა სადაურია ლიახვი, მასწავლებელო?—იკითხა ნიკამ.

— ლიახვი კავკასიონის ქედიდან მოიმართება მდ. მტკვრისაკენ. აი დავხედოთ რუკას. მყინვარწვერი ხომ იცით სადაა, აი, იმის პირდაპირ, აქეთ, უმთავრესი ქედის სამხრეთი კალთებიდან. აი, ლიახვის სათავე. მაგრამ ხედავთ, აღმოსავლეთით, ერთი მცირე ტბიდან მეორე სათავეც მოდის, რომელიც პირველზე უფრო პატარაა. ამის გამო პირველ სათავეს **დიდი ლიახვი** დაარქვეს, მეორეს კი **პატარა ლიახვი**. შემდეგ დიდი და პატარა ლიახვი სოფ. შეროულთან ერთს მთლიან ლიახვად იქცევა და ასე მოიმართება სამხრეთისაკენ, ვიდრე მტკვარს მარცხენა ნაპირიდან შეერთვოდეს. ლიახვის შასართავთან, მტკვრისა და ლიახვის მარცხენა ნაპირას მდებარეობს ქ. გორი.

— აკი მიხოს ჰგონია, რომ გორთან ლიახვი არაა!—ნიშნის მოგებით სთქვა კატომ.

— მერე რა, რომ შევცდი. მე ხომ ქსნის-ხევიდანა ვარ, საიდან უნდა მცოდნოდა ლიახვი!—ითაკილა მიხომ.

— ლიახვის სათავეებში,—გაგვაწყვეტინა მასწავლებელმა მოხერხებულად, თორემ სიტყვა სიტყვას მოიტანდა და დავას ვერ მოვრჩებოდით ადვილად,—რა თქმა უნდა, ადგილი მთიანია, დაქანებუ-

ლი, ოლრო-ჩოლრო. ამ ადგილას ლიახვი დიდის სისწრაფით მოქუხს. მისი ნაპირი რიყიანია, კალაპოტიც ქვიანი, რის გამოც მდინარე ხმაურითა და ღრიალით მოდის. მდინარის წყალი მუდამ ცივია. ზამთრობით კი არ იყინება, რადგან ძალიან ჩქარა მომდინარეობს. მართლაც, რაკი კალაპოტი ძალიან დაქანებული აქვს, მოდი და ნუ აჩქარდები: რამდენ კილომეტრს გამოივლის იმდენი 8 მეტრით ეცემა დაბლა მისი კალაპოტი.



— არაგვიც ასეთი ჩქარია?—იკითხა შაქრომ.

— არაგვი უფრო მეტად ჩქარია, რადგან მისი კალაპოტი უფრო დაქანებულია: ყოველ ერთს კილომეტრზე მისი კალაპოტი 11 მეტრით ეცემა დაბლა.—მიუგო მასწავლებელმა.

— მტკვარი როგორ-ღა მოდის, მასწავლებელო?—ვკითხე მე.

— მტკვარს, როგორც ვიცით, არსიანის მთაში აქვს სათავე. ზღვის დონედან 2.025 მეტრის სიმაღლეზე აქ მდებარეობს კლდეებით გარშემორტყმული ვაკე ადგილი, ამ ვაკეზე ბევრი წყაროა და ადგილი თითქმის ჭაობს წარმოადგენს. ერთერთი კლდის ნაპრალიდან გამოდის უხვი, ანკარა წყარო, რომელსაც მარჯნის-წყარო ჰქვიან. ამ წყაროს წყალი მეტად ცივია, მისი ტემპერატურა 5,4° უდრის (რეომიუ-

რით). ეს წყარო ჯერ მდოვრედ მოდის, კალაპოტი ვიწრო აქვს, ნაპირები ჭაობის ბალახით აქვს მოსილი. ჩრდილოეთით ასიოდე ნაბიჯზე მეორე წყარო მოდის, ამას სახელად მარგალიტის-წყარო ჰქვიან. მარჯნისა და მარგალიტის წყარო რომ შეერთდებიან, ჩნდება მტკვარი. ბორჯომამდე იგი დაახლოებით 180 კილომეტრს გამოივლის, ბორჯომიდან ტფილისამდე 140 კილომეტრს. სათავიდან ბორჯომამდე მტკვრის კალაპოტი ყოველ 1 კილომეტრზე 6 მეტრით ეცემა დაბლა, ბორჯომიდან ტფილისამდე მისი კალაპოტი ყოველ 1 კილომეტრზე 2 მეტრით ეცემა დაბლა. ტფილისშიაც ასევე ეცემა მტკვრის კალა-



მტკვრის კალაპოტის დაცემა.

პოტი, ქალაქში შემოსვლისას მტკვრის ზედაპირი ზღვის დონედან 370 მეტრის სიმაღლეზეა, ქალაქიდან გასვლისას კი 350 მეტრის სიმაღლეზე, მაშ, ათიოდე კილომეტრის მანძილზე 20 მეტრით ეცემა დაბლა კალაპოტი, ე. ი. ყოველ კილომეტრზე 2 მეტრით. ტფილისიდან კიდევ უფრო ნაკლებად ეცემა მისი კალაპოტი და ასე ბოლომდე ვაკე ადგილებში მიტბორავს კასპიის ზღვისაკენ. ახლა კი ისევ ლიახვს დავუბრუნდეთ. ლიახვის წყალი სასმელად შემრგოა და გემოიანი. თევზებითაც მდიდარია იგი. სათავეებისაკენ ლიახვის ხევი მწირია, უხილო, უვენახო, აქ კი ჩვენსკენ, სარგებლიანია. ცხინვალს რომ გამოშორდება, მდინარე იშლება ვრცელ ვაკეზე, ბარში, გორთან

კი თვალუწვდენელ მინდორზეა გადაშლილი. ლიახვი თავის კიდე-ნაპირებს უხვად რწყავს და მისგან მორწყულ ადგილებში საუკეთესო მოსავალი იცის. ლიახვს ბევრი წყალი მოაქვს. სათავიდან შესართავამდე მას დაახლოებით 96 კილომეტრი აქვს სიგრძე.

— თუ კი ასეთი სარგებლიანია, მაშ რაღა სამდურავი ეთქმის კატოსაგან, სამდურავი კი არა საქებარი ყოფილა.—სთქვა ნუცამ.

— საქებარი კია, მაგრამ სამდურავზე მეტი ეთქმის, როცა ადიდდება, მოვარდება და კალაპოტიდან გადმოიღვრება. მაშინ კი ლიახვი ნამდვილ გიჟსა ჰგავს, დაუნდობელია. ტყუილად კი არ უსაყვედურებს მას მტკვარი ერთს ხალხურ ლექსში:

რას მოტუტუნებ, ლიახვო,
რა ფრთები გაგიშლიაო,
მე შენზე ბევრით დიდი ვარ—
კაცი არ დამიხრჩვიაო—!

ადიდებული ლიახვი კაცსაც ახრჩობს და მთელ სოფელსაც წაღეკავს ხოლმე მისი სარჩო-საბადებელით, ამაზეა ნათქვამი:

ადიდებულა ლიახვი,
მოუმატნია მტკვარსაო,
სამოდიანი ტომარა
თავქვე მოჰქონდა წყალსაო,

— ლიახვის სიგიჟის ამბავს მე გეტყვით, მასწავლებელო.—სთხოვა კატომ.

— გვიამბოს, გვიამბოს.—ვთხოვეთ ჩვენც.

— ძალიან კარგი, გვიამბე.—უთხრა კატოს მასწავლებელმა.

გიჟი ლიახვი.

მშვენიერი, ბრწყინვალე თიბათვის დილა იყო. ჩვენს ეზოში სამი შებმული ურემი იდგა და მეურმეები ხელზე ნაყრდებოდენ. მე და ჩემი ძმა მოლოდინლად ავრბოდით და ჩამოვრბოდით ზემო სართულიდან ეზოში და ვეჩქარებდით ეტლებს, ეროსვენებას არ ვაძლევდით:—წავიდეთ. რაღა, წავიდეთ!—ხომ ხედავთ შუა დღე გახდა, დაგვიცხება, სოფელშიაც ვეღარ მივალთ...

— ოჰ, ოჰ! რა მოუთმენელები ხართ, ყმაწვილებო!—შემოკვიტია გამდელმა იასამანამ, რომელიც ურემში ბარგს ალაგებდა.—და

— ლიახვი მოვარდნილა?.. მერე რაღა გვეშველება? როგორ-ღა უნდა გავიდეთ?—შიშით ამოიკვნესა ბებიამ...— უკან უნდა გავბრუნდეთ... ორი-სამი დღის შემდეგ წყალი დავარდება და მაშინ...

— უკან დავბრუნდეთ?.. ერთი-ორი დღე შევიცადოთ?..—გაისმა მეურმეების საყვედური.—რას გვიბრძანებ, როგორ შეიძლება. ახლა თითო დღე თითო მილიონად მიგვაჩნია, ათასი საქმე გვადგია კარზე.. მაგას ნუ გვიზამთ. ნუ მოგვაცდენთ, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებთ!

— მაშ, ზღვას მივცეთ, თავი? შვილები წყალში ჩავყარო!—შეჰყვირა ბებია-ჩემმა.

— აბა, ახლო მივიდეთ, ვნახოთ. ადამიანები არა ვართ, რისა გვეშინიან. ვნახოთ, თუ არავინ გადის, ჩვენც ნუ გადავეშვებით უგზო-უკვლოდ!—დარბაისლად დაუმატა ჩვენმა მოურავმა ნინიამ და თავის იაბო გააკუნტრუშა მდინარისაკენ. ურმებიც თან გაჰყვნენ.

წყლის ხმაურობა და თქლაშა-თქლეში თანდათან ძლიერდებოდა და გულს გვივსებდა შიშით. ჩვენ ზედ ვეკვროდით ბებიას და თან ცნობისმოყვარეობით ვუყურებდით თვალგადაუწვდენელ წყლის კიდეებს.

დიდებული სანახავი იყო ლიახვის არე-მარე. ატბორებულ ზღვას განზე გაედგა თავისი სამფლობელო და შუილ-ხუილით მოაქანებდა თავის მღვრია ზვირთებს. დიდრონი, მწვანით მოსილი ხეები, ლობეები, სახლის სახურავები საოცარი სისწრაფით მისცურავდენ მის კიდეებზე და თვალის დახამხამებამდე ინთქმებოდენ მტკვარში, შესართავთან.

მდინარის გაღმა-გამოღმა რამდენიმე ურემი იდგა, აქა-იქ ცხენოსნებიც დატორტმანობდენ. სუყველანი მოჯადოებულებივით შეჰყურებდენ ბუნების მძლავრობას და სიდიადეს. ვერავინ ვერ ბედავდა აფორიაქებულ წყალში შესვლას და უკან გამობრუნებასაც თითქო არავინ აპირებდა.

— რას იტყვით, ასე უნდა ვიდგეთ? ხომ ხედავთ ლიახვი ჯერ არ აპირებს დამშვიდებას!—სთქვა ბებია-ჩემმა.

— აბა, ბიჭებო, რას ფიქრობთ? გავბედოთ შესვლა, თუ გამოვბრუნდეთ?—შეეკითხა ნინია მოურავი მეურმეებს.

— მცურავები არიან აქ, ქალბატონო, ტინიხიდელი ბიჭები, წყალთან შეჩვეული საქონელი ჰყავთ, ასე ამბობენ სულ ხელით გავიტანთ ჩარდახიან ურემს, წყალს არ მივაკარებთო...— გაუბედავად სთქვა ერთმა მეურმეთაგანმა.

— ტინიხიდელი მცურავები?.. აბა, აბა აქ მომგვარეთ, ერთი ვნახოთ რას იტყვიან! ტინიხიდელის ცურვა ქვეყანას აქვს შეტყობილი..»

— კისრულობთ, შვილო, ჩვენს უვნებლად გაყვანას?— შეეკითხა ბებია სამს ლომივით წარმოსადეგ ვაჟკაცს, რომელთა დაკარწახებული ფეხები და მკლავები მოწმობდენ მათს ძლიერებას.—გამოცდილები ხართ?

— გამოცდილები ვართ! ჰაი, ჰაი, გამოცდილები ვართ. ჭიპი ლიახვის პირზე გვაქვს მოჭრილი და გამოცდილები არ ვიქნებით! მამა მცურავი გვყოლია და პაპა. ლიახვს ისე ჩავამტვრევთ კბილებს, რომ ხმასაც ვერ გასცემს თქვენს ურემს.

იმდენი გამბედაობა და სიმტკიცე იყო ამ ვაჟკაცების სიტყვებში, რომ ბებია-ჩემი დათანხმდა და წყალში შესასვლელად ბზადება დაიწყო: შაქრის თავი ჩარდახის გასაყარჭე ჩამოჰკიდა, ტანისამოსის ბოხჩები მუთაქებზე შეაწყო, ჩვენ კალთაში ჩაგვისხა, ფერმიხდილი იასამანა ახლო მოისვა და დაიწყო ტუტუნი: „გორიჯვარო პატიოსანო; წმინდა გიორგი ლახვრით მოსილო, ღვთისმშობელო ქალწულო, ქრისტე მაცხოვარო, თქვენ გვიწინამძღვრეთ, თქვენის მფარველობის ქვეშ შეიფარეთ ჩემი საწყალი თავი და ჩემი პატარა ობლები!“

მეურმეებმა ურმები დაათვალიერეს, გაამაგრეს, ბარგს თოკები გადუჭირეს, საქონელს აპეურები მაგრა დაუნასკვეს, პირჯვარი გადაიწერეს, სასოებით შეხედეს გაბრწყინვალებულ ცას და შევყევით ტინიხიდელ მცურავების ურემს, რომელიც ფონის მაჩვენებლად მიგვიძღოდა წინ.

ჩვენი ურემი კარგა ხანს ღრაჭა-ღრუჭით მიდიოდა, მაგრა უდგა ატბორებულ და გაგიჟებულ ლიახვს, მაგრამ მალე ატივტივება დაიწყო, საქონელს და ურმის თვლებს ნიადაგი გამოეცალათ და ცურვით იბრძოდა, აპობდა ტყვიასავით მძლავრად მონადენ ზვირთებს. მეურმე თვალებ-აჭრელებული კანკალებდა ბებია-ჩემი, ლოცვის მაგივრად, რაღაც გაუებარ სიტყვებს ლუღლუღებდა და თან მაგრა გვიკრავდა გულში მე და ჩემს ძმას.—„შვილებო, ძვირფასო შვილებო, რაზე დაგღუპეთ, წყალში რათ ჩაგყარეთ ჩემის ხელით! რა მოვიქმედე მე თვალ-დამდგარმა! მეურმეების ხათრით რათ გაგწირეთ... ღვთაება უცვალებელო, გადაგვარჩინე ამ განსაცდელს და სამღვთოს გადაგიხდი, მუხლ-მოდრეკილი მოვალ შენს კარზე...

„ღმერთო, ღმერთო. ვიღუპებით, ვიღუპებით, გვიშველეთ!“— მოისმოდა აქეთ-იქიდან მეურმეების ღრიალი. ყველამ გონება დაჰკარ-

ბა, მხოლოდ ტინიხიდელი ბიჭები იყვნენ ჩუმად და თვალს არ აშორებდენ ჩვენს ურემს. უცებ ერთი იმათგანი გადმოხტა წყალში, მას მოჰყვა მეორეც და თვალის დახამხამებამდე ორივე დაეკონწიალენ ჩვენი ურმის იმ მხარეს, რომელიც ის იყო უნდა აყირავებულიყო, და შეუტიეს თავრეტ-დასხმულ მეურმეს: „წყალს ნუ უყურებ, ყურყუტო, შოლტი, შოლტი საყევარს, შოლტი საყევარს ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა, მალე გავალთ ნუ გეშინიანთ!“.

ურემი წყლით აივსო, წელამდე წყალში ვისხედით, ბოხჩები ტივტივებდენ, შაქრის თავი შუა წელამდე ჩამოდნა, მხოლოდ ტიკჭორა იწვა განაბული, შეუნძრევლად.

იასამანას გულს შემოეყარა, ბებია სასოწარკვეთილებამ შეიპყრო და თითქო აუცილებელ ხვედრს თავი მისცა... მხოლოდ ჩვენ, ბავშვები, ვაჭყეტდით თვალებს და დაჟინებით მოველოდით ნაპირის დანახვას.

წამით სუყველაფერი მიჩუმდა, თითქო ლიახვის შფოთვაც მისწყდა, ყველას შიშის ზარმა თვალთ-მხედველობა დაუბნელა...

უცებ ურმის თვლებმა ისევ ქვიშაზე ღრიჭინი დაიწყეს. მცურავებმა ურემს ხელი მოაშორეს და სიხარულით ჩარდახ-ქვეშ შემოგვძახეს: „მოგვილოცავს, მოგვილოცავს! ახლა კი სამშვიდობოს გავედით!“.

ყველა გონს მოვედით, ყველას გულიდან აღტაცების კივილი ამოხდა. ბებია მხურვალედ გადაგვეხვია და ღმერთს მადლობა მიუძღვნა.

რამდენიმე წამს შემდეგ ურმები მშვენიერ ჭალაში გაჩერდენ, საქონელი უხვად მოფენილ ბალახზე გაუშვეს, ნარიყალით ძლიერი ცეცხლი გააჩინეს და სისველისაგან აკანკალებული სხეული მის სიცხოველეზე მალე გავითბეთ და, ვითომ აქ არაფერიაო, ისე გავიქეცით მინდორზე და ყვავილების კრეფას შევუდექით.

„კიდევა გნახავ, ლიახვო, გეხვეოდენ კოლოები,
შიგ ბიჭები ბანაობდენ და გწკუმპლავდენ გოგოები!“.

მოგვესმა მაღალი, მხიარული „სუფრული“ და ურმებისაკენ გავექანეთ. იქ ცეცხლის გარშემო მხიარულად შემომსხდარიყვნენ მეურმეები, ტინიხიდელი ჩვენი მხსნელი მცურავები და კახურით შეზარხოშებულნი ლიახვს მასხარად იგდებდენ.

ბებია, ლიახვში გაციებულის ღვინით, უხვად გაუმასპინძლდა გლეხებს. სიმღერას თამაში მოჰყვა და, თუმცა მზე ძალზე გადაწვერილი იყო, როდესაც ჩვენი ურმები კვლავ გზას გაუდგენ, მაგრამ დაგვიანებისათვის მეურმეები ბედს მაინც არ ემდუროდენ.

— ასეა ქართველი კაცის ადათი, ის გულს ადვილად არაფრით გაიტეხს და ჭირს ყოველთვის ლხინით მოიხდის.—სთქვა მასწავლებელმა, როცა კატომ ეს ამბავი დაასრულა.—მაგრამ ილბალი თქვენი, რომ ტინიხიდელ ბიჭებს გადაეყარეთ, თორემ ლიახვის ზვირთებს ვერ გაუმკლავდებოდით. ლიახვის შესახებ აი, რას ამბობს ჩვენი ხალხი:

ლიახვმა სთქვა: „ავდიდდები,
არაგვსა დავედარები,
მოვალ, მოვშხუი თავდაღმა,
თითქო ფეხს მეკრას ნალები,
აქებდენ ცხინვალის ხიდსა—
ზედ გადავხვიე მკლავები“.

ან კიდევ მეორე ხალხურ ლექსში, აი, როგორაა დახასიათებული ლიახვი:

ლიახვმა სთქვა: „ავდიდდები, არაგვსა დავედარები,
ისე მოვალ და მოვშხუი, თითქო ფეხს მეკრას ნალები“.
ცხინვალის ხიდს შეუთვალა: „ამაღამ მომეც ვალები“.
შუაღამე რომ შეიქნა, აუბნია მას თვალები.
მოასკდა დიდად, საშინლად, გამოიჩინა ძალები.
დაგლიჯა ხევი, წალეკა აქ-იქ გზა-კვალი, ჭალები.
ორი მცურავი დაახრჩო, ულვაშ-ნაღები, ლალები.
მათი ცოლები ტიროდენ:—დაგვიხრჩო ქმრები ლაღები.
მაცადე, გნახავ, ლიახვო, დაგხვეოდენ კოღოები,
ბიჭ-ბუჭნი გაჭყაპუნებდენ და გწკუმპლავდენ გოგოები.

წყალგამყოფი.

— მასწავლებელო, ლიახვი, ქსანი და არაგვი სამივენი ჩრდილოეთიდან მომდინარეობენ სამხრეთისაკენ, ალბად ეს ადგილი დაქანებულია აქეთკენ, მაგრამ მე ეს მაკვირვებს, რატომ ეს მდინარეები გზაზე სადმე ერთმანეთს არ შეერთვიან, რა უშლის მათ შეერთებას ხელს?—ვკითხე მე.

— ამ მდინარეებს ისე, როგორც სხვა მომცრო მდინარეებს, რომელნიც ჩვენ არ დაგვისახელებია, თორემ მომდინარეობენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მტკვარში შესართავად, ერთმანეთისაგან ჰყოფს სხვადასხვა მთა; ეს მთები კავკასიონის ქედის გატოტიანებას წარმოადგენენ. რაკი ეს მთები მდინარეთა წყალს ჰყოფენ ერთიმეო-

რისაგან, მათ, როგორც ვიცით, სახელათ **წყალგამყოფი მთები** ჰქვიან. აი, მაგალითად, რადარა ტოტი მოიმართება კავკასიონის ქედიდან ქართლის ტაფობში, მოვყვეთ დასავლეთიდან: **მშხლები**—დიდისა და პატარა ლიახვის წყალგამყოფი მთა; **ხარული**—მოდის პირდაპირ სამხრეთისაკენ, შემდეგ იყოფა ორ ტოტად, ერთი ეშვება **მდ. მეჯუდასა და მდ. რეხულას** შორის და ამ წყალთა გამყოფია, მეორე კი მდ. რეხულასა და მდ. ქსნის ქვეღა ბოლოს ჰყოფს ერთმანეთისაგან. მეჯუდა და რეხულა პატარა მდინარეებია, მათი სათავე ხარულის ფერდობშია, მოიმართებიან სამხრეთისაკენ და ერთვიან მტკვარს. მარცხენა ნაპირიდან, მეჯუდა ქ. გორთან, ხოლო რეხულა ს. კასპთან. ხარულიდან გამოდის აგრეთვე დასავლეთის მხრივ ტოტი—**წიფორი**, რომელიც **ბენდერის მაღლობს** აჩენს და სამხრეთით **ორბოძოლას მთით** თავდება; წიფორის ფერდობი მდინარე მეჯუდასა და

წყალგამყოფი მთა

მდ. პატარა ლიახეს შორის მოიმართება. იმ ადგილას, სადაც კავკასიონის ქედიდან გამოდის ხარულის ტოტი, აღმოსავლეთის მხარეზე მოიმართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ **მთიულეთის ფერდობი**, რომელიც ჰყოფს მდ. ქსნის ზემო ნაწილს მდ. მთიულეთის არაგვისაგან. მთიულეთის ფერდობი შედგება სამი ნაწილისაგან: დასავლეთის ნაწილია—**ლომისის მთა**, შუა ნაწილია—**ცხრა-ძმის მთა** და აღმოსავლეთის ნაწილი—**ხანდოს მთა**. ამ ფერდობიდან გამოდის სამხრეთით და მოიმართება მდ. ქსნისა და მდ. არაგვის შუა ნაწილებს შორის—**ალევის მთა**, რომელიც თავდება მუხრანის ველზე **ტინის მთით**. ეს წყალგამყოფი მთები მეტნაწილად იმ ადგილას იშლებიან ტოტებად კავკასიონის ქედიდან, სადაც ბრუტსაბძელას მწვერვალია, მათი კალთები დამრეცია, დაფარულია პატარა ტყეებით, კავკასიონის ქედთან გამოსავალში მათი სიმაღლე 3000 მეტრს არ აღემატება, სამხრეთის ბო-

ლოში კი დაბალი ტყიანი მთებით ციცაბად ეშვებიან ქართლის ტაფობში.

არა მარტო კავკასიონის ქედიდან, არამედ თრიალეთის ქედიდანაც ეშვებიან ქართლის ტაფობში წყალგამყოფი პატარ-პატარა მთები. თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთებიდან, დაწყებული ბორჯომის ხეობიდან ვიდრე მცხეთამდე, ჩამოდიან და მტკვარს მარჯვენა ნაპირიდან ერთვიან შემდეგი მომცრო მდინარეები, **შავ-წყალი, თორის-წყალი, ძამას ხევი. ატენის-ხევი,** (მდ. ტანა) **ხოვლის-ხევი, თეძამის-ხევი** და **კავთის ხევი** (მდ. კავთურა თავისი უმცროსი შენაკადით გუდალურათი), ეს ხევები გრძელი არაა და მტკვართან შეერთებისას ბოლოვდებიან მომცრო გაშლილი ვაკეებით, რომელნიც უერთდებიან ქართლის ვრცელ ბარს. ამ ხევებს ერთმანეთისაგან ჰყოფენ თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთების ფერდობები, სახელდობრ. **რაზმითი მთა** ხოვლის-ხევის სათავესთან რომ ტოტიანდება, მისი ერთი ტოტი ჰყოფს ხოვლის-ხევსა და თეძამის-ხევის ქვედა ბოლოს ერთმანეთისაგან, მეორე ტოტი, კი, რომელიც პირველის გასწვრივ მიიმართება, ჰყოფს ხოვლის-ხევს, ვერის-ხევისაგან; არჯევანის მთის აღმოსავლეთის ნაწილიდან გამოსული **ერიქალის მთა** მიდის ჩრდილოეთით და თეძამის-ხევს ჰყოფს კავთის-ხევისაგან.

— მასწავლებელო, სურამის ქედიდან არც ერთი მდინარე არ ჩამოდის ქართლში?—ვკითხე მე.

— როგორ არა, აი მაგალითად, სურამის ქედის აღმოსავლეთი კალთებიდან მტკვარს მარცხენა ნაპირიდან ერთვიან **სურამული, ალის ფრონე, ფცის ფრონე, დვანის ფრონე.** მაგრამ, მოდი, სიტყვას ნუ გავაგრძელებთ, თორემ თითქმის ყოველ სოფელ-ქალაქთან შეგვხვდება რამე დიდი თუ პატარა ხევი ან მთა, რომელთა დახსოვნება თქვენთვის ყოვლად შეუძლებელია. ესეც, რაც დაგისახელეთ, მხოლოდ იმისათვის, რომ განაგონობთ მაინც იცოდეთ მათი არსებობა, თორემ მათს დახსოვნებას აბა, როგორ დაგავალებთ. თუ რომელიმე თქვენგანმა შეიკნო თავისი მშობლიური ხევი ან რომელიმე მთა, ისიც საკმარისია, დანარჩენებისათვის კი მათი დახსოვნება სავალდებულო არ არის.

— მასწავლებელო, ტფილისიდან ბორჯომისაკენ რომ მივემგზავრებოდი, ქ. გორთან კი დავინახე დიდი მდინარე, რომელიც მტკვარს ერთვოდა, მაგრამ არ ვიცოდი, რომელი იყო, მაშ ის ლიახვი ყოფილა. იქვე ახლო, გორის პირდაპირ, ლიახვის მეორე ნაპირას რაღაც პატარა სოფელი მოჩანდა და ვერ გავიგე—რა სოფელი უნდა იყოს ის.—ვკითხე მე.

— ის სოფელი ტინიხიდია!—სთქვა მასწავლებელმა.



ბორის ციხე.

ძალიან მესიამოვნა, რომ სახელოვანი მცურავების სოფელი ტი-ნიხიდი თურმე ჩემის თვალით მინახავს შორიდან მაინც.

— გორში, თითქმის შუა ქალაქში ერთს მაღალ კლდეზე რა-ლაც ციხე იყო აღმართული, შორიდანაც კარგად მოჩანდა, ნეტავ რა ციხეა იგი? — ვკითხე მე.

— შენ შორიდან გინახავს და მე კი რამდენჯერ ავცოცებულ-ვარ იმ ციხეზე, ის ხომ გორის ციხეა. — სთქვა კმაყოფილებით გო-რელმა შაქრომ.

— გორის ციხის შესახებ ერთი ლამაზი ლეგენდა არსებობს ჩვენში, აი, როგორი. — სთქვა მასწავლებელმა. გადაშალა თავისი რვე-ული და შემდეგი რამ წაგვიკითხა.

გორის ციხე.

მოგზაურო, ვერა ხედავ
გორის ციხეს მაღლა სერზე,
ჭირნახულს და გამარჯვებულს
სუყოველთვის ქართლის მტერზე?
გარს არტყია მას ღრუბელი,
თავით მაღლა ცას ეხება;
ძირს ლიახვი გულმოსული
ეწმახნება... ეგრიხება!
მიუვალს და მიუწვდომელს
ტინი კლდე აქვს საფეხურად,
ძველის მგონი, დღესაც კიდევ
გადმოჰყურებს ამაყურად!
ერთხელ თურმე სანადიროდ
გამობრძანდა თვით თამარი
და შეჰყარა ლიახვის პირს
ყოველის მხრივ ქართლის ჯარი.
შემოჰკრეს და შემოზღუდეს
მოსარეკად მთა და ბარი,—
მაღლა ფრინველს და ძირს ოთხფეხს
უპირებენ დასცენ ზარი.
გაიმართა ნადირობა,
ამოიღეს ყველგან კვალი,
მაღლა სერზე სავსე მთვარედ
გადმომჯდარა დედოფალი.
შვილდ-ისარი, ჯიღა-შვილდი,
ხმალ-ხანჯალი, შუბ-ლახვარი

მუსრავს ნადირს ხელ-უცდენლად,—
ლიახვს ერთვის სისხლის ღვარი.
...ყველა ცდილობს გამეტებით
თავის თავის გამოჩენას
და დედოფლის ღიმილს ელის
ვით საჩუქარს... ჯილდოს ზენას!
მაგრამ იმათ ყურს არ უგდებს
დიდი თამარ დედოფალი...
ლიახვს გაღმა სერს შეჰყურებს,
მიუპყრია კლდისკენ თვალი.
სანაქებო შევარდენი
იქ შემჯდარა, გაქცეული,
არ აპირებს დაბრუნებას,
და დიდ პატრონს სწყდება გული.
შეაჩერა ნადირობა,
საყვირს სცემენ, შეკრბა ერი!
ბრძანებს მეფე: „დამიბრუნეთ
ის ურჩი და ჯადნიერი“!

ბრძანების ასრულება ყველას გულით უნდოდა, მაგრამ გონება ეურჩებოდათ, რადგან:

გიჟმაჟურად ადიდებულს
ლიახვს მოაქვს ტყე და ველი,
უფარსაგო ვერ გასცურავს
სულდგმული და ხორციელი.
შემკრთალსა და შეშინებულს,
თავჩაღუნულს კარის კაცებს
ტალღა ტალღით მინაგორი
გულს უფრთხობს და თვალსა სტაცებს.
მაშინ ბრძანა დედოფალმა:
„ვერას ვიტყვი ამის მეტსო,—
რასაც კი მთხოვს, ავუსრულებ,
ვინც მომიყვანს კაპუეტსო.“

თამარის გულის მოსაგებად

წინ წამოდგა შავთვალწარბა,
თმა-ხუჭუჭა, წელ-წერწეტა,
ეშხით სავსე ახალგაზრდა,
თავი ხელად გაიმეტა.

...ისკუპა და გადაეშვა
აგზნებული იმედითა;
ტალღებს ებრძვის, აპობს, არღვევს
მხარ-მკლავით და გულ-მკერდითა.
გასცურა და შევარდენი
ხელში იგდო და დაბრუნდა,
მეტი ღონე, მეტი ხერხი,
ხელეორედ ახლა უნდა:
ერთ ხელზე ჰყავს შევარდენი,
ცალი ხელით უსვამს მხარულს,
ითითქმის კიდეს მოატანა,
ვეღარ მალავს ის სიხარულს.

მაგრამ ბედმა უმუხთლა და:

აჩუხჩუხდა მყის მორევი,
გაიპო და ჩანთქა გმირი;
ტალღა ტალღას მიაჯახა,
ჩვეულებრივ შეჰკრა პირი.
და ლიახვი მოთქმით, ზარით
მტკვარისაკენ გაექანა,
რომ ის მსხვერპლი უჩვეულო
უფროს დისთვის მიეტანა.

თამარმა ამ ჭაბუკის სახსოვრად ააშენებინა ამ ადგილას გორის ციხე, რომელსაც „საუკუნით-საუკუნოდ ვერას აკლებდა დროთა დენა“ და დღემდე არ გაჰქრებოდა, რომ ამ ხუთიოდე წლის წინათ თავზარდამცემ მიწისძვრას არ შეერყია იგი.

უფლისციხე.

არა მარტო გორისციხე, მიწისძვრამ სახელგანთქმული უფლისციხეც დააზიანა. უფლისციხე გორიდან 8 კილომ. მანძილზე მდებარეობს, მტკვრის მარცხენა ნაპირას, კვერნაკის ქედის ერთს მაღლობზე, რომელიც მტკვარში ციცაბი კალთებით ეშვება კონცხივით. უფლისციხე წარმოადგენს გამოქვაბულებს, რომელთაც ამ კლდეზე ნაპრალებად დაუღიათ ხახა. მატარებლიდანაც კარგად მოსჩანს ეს სანახაობა გორსა და გრაკალს შორის. გამოქვაბულები სართულებადაა კლდის კალთაზე და წვერზე. ამ გამოქვაბულთაგან შედგება მთელი ქალაქი



ოფლისი.

თავისი ქუჩებით, ბაზრებით, დუქნებით, სხვადასხვა სიდიდისა და მოწყობილობის გამოქვაბულ სადგომებით, სამეფო სასახლით და მისი შესანიშნავი მხატვრულად შემკული დარბაზებით.



უფლისციხის შესავალი

ბევრი ბრწყინვალე დღე განუცდია ამ უხსოვარი დროის გამოქვაბულ ქალაქს, დღეს კი მწყემსების თავშესაფარადაა მხოლოდ გამოყენებული.

ამაზე უთქვამს ჩვენს ხალხს:

უფლისციხე, ნაციხარა,
ის ეყოფა, რაც იხარა!

დაგვამწყრალა.

— მე რომ ვიმგზავრე, ლიახვი დამშვიდებული იყო, ასე როდი გიჟობდა, როგორც კატომ გვიამბო.—ჩამოერია ანა.

— როგორ თუ დამშვიდებული, განა ლიახვმა იცის დამშვიდება? —იკითხა გაკვირვებით ლექსომ.

— როგორ არ იცის, აკი, გეუბნებით, მე თვითონ გავიარე დამშვიდებულ ლიახვში ურმით, მაგრამ, თუმცა ფონს მშვიდობით გავედით, მაინც დაგვამწყრალა და ბოლოს მაინც ჩაგვამწარა.

— გვიამბოს, მასწავლებელო!—ვთხოვეთ ჩვენ.

ანამ შემდეგი გვიამბო:

თენდებოდა, როცა ჩვენ სოფ. ფხვენისიდან ქ. ტფილისისაკენ გამოვემგზავრეთ. ჩავსხედით ურემში და დავადექით გზას. მზემ თავი ამოჰყო და მთელი მიდამო გაანათა. აი, ჩვენმა კამეჩებმაც შეტოპეს ლიახვში. ამ დროს ლიახვი ადიდებული არ იყო, მუხლამდე თუ სწვდებოდა კაცს. დედამ გვითხრა მე და ჩემს დას: ურემს ხელი მაგრა მოსჭიდეთ, თვალი არ აგიჭრელდესთ და არ გადავარდეთ, თორემ წყალი წაგიღებსთო. ჩვენი მეურმეც გაგვეხუმრა: მერე რა, ლიახვში რომ ჩავარდები, ლიახვი გორს ჩაგიყვანს და იქვე მტკვარში შეგაცურებს, მტკვარი კი პირდაპირ ქალაქს (ტფილისს) ჩაგიყვანსო. მეურმის ხუმრობაზე ჩვენ ყველას გაგვეცინა. მე მეურმეს კოფოზე გვერდით მოვუჯექი. საუბარში გართული ვიყავით, რომ კამეჩებმა ურემი ღრმა წყალში შეაცურეს. ეს ადგილი ისეთი ღრმა იყო, რომ კამეჩები აღარც კი ჩანდენ, მხოლოდ თავი ჰქონდათ წყალზევით ამოშვერილი. უცებ ურემში წყალი შემოგვივარდა და ჩემი პატარა კალათა მოიტაცა. კალათა სულ საახალწლო ტკბილეულობით და ჩურჩხელებით მქონდა სავსე. გული კი დამწყვიტა, მაგრამ კალათას ვინ ჩივოდა, ოღონდ ჩვენ გავსულიყავით სამშვიდობოს. ამ ღრმა ადგილს მალე გავცილდით და მდინარის მეორე ნაპირას უვნებლად გავედით. ლიახვს მეორე ნაპირზე ბევრი ქვა გაერიყა და ამ რიყეზე ურემმა გვარიანად დაგვანჯღრია. როგორც იქნა ჩავაწიეთ გორს. ჩავსხედით მატარებელში და ქ. ტფილისს ჩამოვედით. ამგვარად დამშვიდებულმა ლიახვმა მადლს მარილი მაინც ვერ მოაყარა, თორემ იმ ტკბილეულობიდან თქვენც გერგებოდათ რამე.—დაამთავრა ანამ და ყველანი გაგვაცინა.

გიჟიც გამოსადეგია.

— ქსანიც ლიახვივით გიჟია, მასწავლებელო?— ვკითხე ერთხელ მასწავლებელს.

— ეს კი მიხოს ვკითხოთ, ქსნის-ხეველია და ეცოდინება.— სთქვა მასწავლებელმა.

— არც ქსანია მაინცდამაინც გულდამშვიდებული, ისიც მოუსვენარია, მაგრამ, რაც თქვენ ლიახვისა და არაგვის შესახებ სთქვით, ის თუ მართალია, მაშინ ქსანი მათთან შედარებით მშვიდი არის.— სთქვა მიხომ.

— მიხო მართალს ამბობს.—დაემოწმა მასწავლებელი.—რაკი ქსანზე საუბარი ჩამოვაგდეთ, მოდი, ისიც გავიგოთ, თუ საიდან მოდის ეს მდინარე და რა თვისებით ხასიათდება იგი.

მდ. ქსანი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე—ლომისის შთასა და ცხრა-ძმის მთაში ორი ტბიდან გამოდის ორი სათავით. ერთი სათავე მას **ყელის ტბაში** აქვს, მეორე **წითელი ხატის ტბაში.** ყელის ტბას 4 კვ. კილომ. აქვს სივრცე, სიღრმე 20—30 მეტრი; ტბის წყალი ცივია, ანკარა და მტკნარი; მდებარეობა მაღალი აქვს, დაახლოებით 3.000 მეტრის სიმაღლეზეა. წითელი ხატის ტბაც მაღლა მდებარეობს, დაახლოებით 2.700 მეტრის სიმაღლეზეა. რაკი მდ. ქსანს სათავეები ასე მაღლა აქვს, იგი სწრაფად მომდინარეობს, მაგრამ წყალი ბევრი არ მოაქვს. სათავეში ქსანს დიდებული ჩანჩქერი აქვს. ქსანი ჯერ აღმოსავლეთისაკენ მიდის, შემდეგ პირს სამხრეთისაკენ იბრუნებს, გაივლის მუხრანს და სათავიდან შესართავამდე 85 კილომ. გავლის შემდეგ ერთვის მტკვარს მარცხენა ნაპირიდან. ერთს ადგილას ქსნის ხევს თავს წამოდგომია დასავლეთის მხრიდან **ზებეყურის მთა,** რომელიც თხემზე უტყეოა, აღმოსავლეთიდან კი ალევის მთა, რომელ-



ქართლის მდინარეების შედარებითი სიდიდე.

საც მეორენაირად **მთა-უნაგირა,** ჰქვიან, რადგან მოყვანილობით შართლაც უნაგირივით არის შუაში ჩაზნექილი. ეს მთები ქსნის-ხევში აქეთ-იქიდან ცხვირებივით ეშვებიან და თავისი კლდეებით ავიწროებენ ქსნის კალაპოტს. ამ ადგილიდან ჩრდილოეთით, სათავისაკენ ქსნის-ხევი მწირია, უხილო, უვენახო; ქვევით კი, სამხრეთისაკენ მტკვრამდე ეს ხევი ვენახიანი და მოსავლიანი არის. საერთოდ მდ. ქსანი სარგებლიანია, თევზიანი. ქსანი ჯერ ქსნის ხეობაში მოიმართება, შემდეგ მტკვართან შეერთების წინ გადადის **მუხრანის ველზე.** ეს ველი გაშლილია მდ. რეხულადან მდ. არაგვამდე, რომლის გადაღმა, აღმოსავლეთით, მას ეკვრის ქართლის ქედის სამხრეთი ბილო. მუხრანის ვილის უმთავრესი მრწყველი არის მდ. ქსანი. მუხრანი ქებულია: ზამთრობით იქ თბილა, ბალახ-ჩალიანი და ლერწმი-

ანია, ზაფხულობით იქაური ბაღები და წალკოტები შემკულია ვენახებით, პურის მოსავალიც კარგი იცის, ბევრგვარი ცხოველი და ფრინველი ბუდობს იქ, სანადირო ადგილებიც გამოულეველია. წყაროები ცივი იცის. სააგარაკო ადგილად გამოდგება.

ამგვარად ქსანი ლიახვივით გიჟი არ არის, მაგრამ, თუნდაც გიჟი და გადარეული იყოს, ქართლისათვის სულერთია, ყოველ მდინარეს დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს, ჭირთან ერთად ლხინსაც უზართავენ მას გიჟმაჟი მდინარეები. მდინარეების შემწეობით, როგორც ყველგან, ისე ქართლშიაც, ირწყვის ბაღი, ბოსტანი, ყანა, ვენახი; ბრუნავს წისქვილები, მოცურავს ტივი; მდინარის წყალი უკლავს წყურვილს ადამიანს, ცხოველებს, მცენარეებს.

სიცოცხლის წყარო.

ერთხელ მატარებლით ყარაიას ველზე წავედით. დილიდან საღამომდე იქ ვიყავით. ბევრი რამ საინტერესო გავიგეთ. მასწავლებელმა დაიწყო:—ქართლის მდინარეებმა დროდადრო იციან ადიდება, კალაპოტიდან ამოვარდნა და არემარის წალეკვა, მაგრამ რა ვუყოთ, ეს ბუნების წესია. როგორ არ ადიდდეს, როცა ზაფხულობით მთებში თოვლი და ყინული მომეტებულად იწყებს დნობას და ლხობას, ან გაზაფხულისა და შემოდგომის გრილ თვეებში ხშირი წვიმების გამო მდინარის კალაპოტში უამრავი წყალი რომ ჩადგება. წვიმების დროს ისეთი ხევ-ხუვებიც კი იღვიძებენ და ცოფიანდებიან, რომელნიც მანამდე უსულოდ იყვნენ და მხოლოდ-ღა ამომშრალს, ქვითა და ლოდით სავსე უწყლო კალაპოტს წარმოადგენდენ. მდინარეს თავისი სიავე ეყოფოდა, ახლა კი მას ყოველი მხრიდან სიავეს მატებენ, როგორც მისი მუდმივი შენაკადები, ისე ეს დროებით აზვირთებული ხევ-ხუვები. მოდი და ნუ გახელდები! მართლაც გახელებული მდინარე თავის კალაპოტში ვეღარ თავსდება, ისე სრულდება, რომ ძველი საწოლი მას ევიწროება, იწევს მაღლა, გადმოლახავს ნაპირებს, ნამეტურ, თუ დაბალი ნაპირი აქვს, და გადაევლება ზარითა და ზათქით მისთვის ხელმისაწვდომ მიდამოებს.

მაგრამ განა მდინარის ბრალია, თუ იგი ამ დროს თავზე ხელაღებული ანადგურებს ყველაფერს, რასაც კი დაიმარტოხელებს! რა ვუთხრათ ჩვენს უსახსრობას და უვიცობას, თორემ ამ გიჟმაჟ მდინარეს ნაპირებზე კედლებს ამოვუშენებდით, კალაპოტს გავუმაგრებდით და ისეთს სალტეებს შემოვუჭერდით, რომ ამ ცხრაკლიტულიდან ცალი თვალითაც ვერ გადმოეჭვრიტა. მერე მიმდგარიყო და

თავიც ემტვრია თავის კალაპოტში, ჩვენ კი ვერას დაგვაკლებდა. ახლა კი... ბურთიც მისია და მოედანიც.

არა თუ ხელოვნურად არ ვაკავებთ ადიდებულ მდინარეს თავის კალაპოტში, არამედ, ასე გასინჯეთ, რაც ბუნებრივი ფარია, იმ ფარსაც ვამტვრევთ ზოგჯერ და ადიდებულ წყალს თითქო გზას ვულოცავთ ჩვენი ნახნავ-ნათესებისაკენ. ეს ბუნებრივი ფარი არის ტყე, რომელიც უვიცობისა და დაუდევრობის გამო დაუზოგავად იჩეხება. უტყეო ადგილებში კი წყალდიდობა ბევრად უფრო ძლიერია და გამანადგურებელი.

ზოგი ჭირიც მარგებელიაო—ნათქვამია და მართლაც ამ წყალდიდობას ერთგვარი სარგებლობაც შეიძლება მოჰყვეს: ნაპირებზე შლამი დასტოვოს და ჭალები გაანოყიეროს. მაგრამ არა. ქარის ნურც შემოტანილი გვინდა, ნურც გატანილი! შლამი იქნებ დასტოვოს, მაგრამ, ერთიც ვნახოთ, ამის სანაცვლოდ მთელი სარჩო-საბადებელი წაიძღვანოს და მშრალზე დაგვსვას!

მხოლოდ, რაგინდ დაუნდობელი იყოს წყალდიდობის დროს ქართლის მდინარეები, მათს აუგს ქართველს მაინც ვერ ათქმევინებ, ისეთი ამაგი მიუძღვისთ ამ მდინარეებს მის წინაშე. მაინც რა?

ქართლში მთებს შორის და მდინარეების ნაპირებზე გადაჭიმულია ვრცელი ველები, თვით მთელი ქართლის ტაფობი ერთს თვალუწვდენელ ველს არ წარმოადგენს განა? ქართლის ტაფობი, რომელიც მთებითაა შემოზღუდული და სამკუთხედის ფორმისაა, თითქმის მთლად ბრტყელია, ვაკე; სიგრძით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ამ ვაკეს 70 კილომ. სივრცე აქვს, სიგანით კი, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, თითქმის 30 კილომ. სივრცისაა. ეს ვეებერთელა ვაკე მხოლოდ ოდნავ არის დახრილი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ რის გამოც ყველა მდინარე ამ დახრილი ადგილებისაკენ მომდინარეობენ და მტკვრის კალაპოტში იყრიან თავს. **ქართლის ვაკე** მრავალი დიდი და პატარა ველისაგან შედგება, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია: **გორის ველი**, რომელიც მტკვრის გასწვრივ მდებარეობს შუა ქართლში (სურამის ქედიდან რეხულასა და ქსნის წყალგამყოფ მთამდე). გორის ველი თავისი სივრცით (830 კვ. კილომ.) ყველა დანარჩენ ველს აღემატება; **ტირიფონას ველი**—ლიახვის ნაპირას. **ქარელის ველი** და **ახალქალაქის ველი**, რომელნიც მდ. მტკვრისა და თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთებს შორის მდებარეობენ. ქარელის ველი ვრცელდება სოფ. ცხისიდან სოფ. ბანტამდე, მდ. ტანას ნაპირებზე, სამხრეთით

იგი ეკვრის თრიალეთის ქედის ძირს. ახალქალაქის ველი ქარელის ველის ქვევითაა გაშლილი, სამხრეთით მასაც თრიალეთის ქედის ფერდობები ზღუდავს, რომელნიც მტკვრისაკენ ეშვებიან და ვერ აღწევენ მის ნაპირებს, 2—5 კილომ. არიან ნაპირს დაშორებული. ეს ველი ყველაზე უფრო განიერია სოფ. ახალქალაქთან, რომლის სახელიც მას ჰქვიან. სოფ. ახალქალაქი მდ. თეძამის შესართავის ახლოა. **მუხრანის ველი** გაშლილია გორის ველიდან (რუხულასა და ქსნის წყალგამყოფ მთიდან) აღმოსავლეთით მდ. არაგვამდე; **საგურამოს ველი** —საგურამოს მიდამოებში, არაგვიდან ქართლის ქედამდე; **ყარაიას ველი**—მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ.



ქ ა რ თ ლ ი.

ქართლის ქედის იმ ნაწილამდე, რომელსაც ამ ადგილას გარეჯის მთა ჰქვიან; **კოდის ველი**—სოფ. კოდის ახლო, ტფილისიდან ათიოდე კილომეტრზე; შავნაბადას მთიდან. როგორც ხელის გულზე ისე მოჩანს ეს ველი თავის კუმისის ტბით. მას 180 კვ. კილომ. აქვს სივრცე. კოდის ველი ყარაიას ველის მეზობლადაა, მათ ერთმანეთისაგან ჰყოფს მდ. მტკვარი.

ეს ველები მარტოოდენ ბალახით იქნებოდენ დაფარული და ისიც მოკლე ხნით, გაზაფხულის გრილ თვეებში, თორემ ზაფხულის სიცხეებში მთლად გადაიტრუსებოდენ, რომ მდინარეების მეოხებით არ ირწყვოდეს მათი ზედაპირი. იმ ადგილებში, სადაც ამ ველებს მდინარის წყალი ბუნებრივად ვერ სწვდება, ქართლელის მარჯვენამ ხელოვნურად გაიყვანა იგი. ამის გამო ეს უსიცოცხლო ველები მორწყულ მიდამოებში გამოცოცხლდენ და ზოგან მშვენიერი ყანებით არიან დაფარული, ზოგან ბაღებით, ზოგან ვენახებით, სათიბებით და ა. შ. ხოლო იქ კი, სადაც ველზე არც ბუნებრივად უდგება წყალი და ვერც ხელოვნურად გაუყვანიათ დღემდე, მდინარის ცხოველმყოფელი ნაკადის უქონლობის გამო ბუნება მწირია, მოუსავლიანი, თითქმის უდაბნოდ ქცეული: იქ არც ბალახი ბიბინობს, არც ტყე შრიალებს, არც ყვავილების სურნელება გათრობს. თითქო ადამიანიც და ცხოველებიც გაურბიან მას.

ამგვარად ქართლის ველებისათვის მდინარეები ნამდვილად სიცოცხლის წყაროა!

არხების ქსელი.

ქართლში ხელოვნური რწყვა უძველესი დროიდან არის გავრცელებული. ეს რწყვა უბრალოდ, მარტივი საშუალებებით წარმოებს: წერაქვითა და ბარ-ნიჩბით შეიარაღებული ქართლელი მიადგება ხოლმე მახლობელი მდინარის ნაპირს, გათხრის თავისი ყანისაკენ ახალ კალაპოტს, გადმოუშვებს შიგ მდინარის წყალს და **არხს** გამოიყვანს; შემდეგ არხსაც გაანაწილებს უფრო ვიწრო კალაპოტებში და **რუებს** გაიყვანს. ეს არხები და რუები ქართლის ველებზე ქსელივითაა გაშლილი. მთა-ადგილებში მათი გაყვანა არ ხერხდება, სადაც მდინარეს ღრმადა აქვს კალაპოტი, ბარში კი, დაბალი ნაპირიდან, არხისა და რუების გამოყვანა არც ისე ძნელია. ლიახვი, ქსანი, არაგვი, მათი შენაკადები და მტკვრის სხვა შენაკადებიც კარგად რწყვენ არხებისა და რუების შემწეობით ახლო-მახლო ვაკე ადგილებს. ბაზალეთის ტბიდანაც კი გაიყვანეს არხი ყანების მოსარწყავად. აი, როგორ გამოუთქვამს ხალხს ლიახვიდან არხის გამოყვანა ერთს ხალხურ ლექსში:

ორიოდ დღის ყანა მოეხან,
სულ ამოვწყვიტე ხარია;
რაღაც რამ გვალვა დაუდგა,
ქერმა არა ქნა ტანია,

ავდექ და ლიახვზე წაველ,
მოვჭერ ცხრა ადლი ღარია,
ჩავდექ და მაგრა შევკარი,
გამოვიყვანე წყალია.

მტკვრიდან არხის გაყვანა ბორჯომიდან ტფილისამდე მარცხენა ნაპირზე არ ხერხდება, მხოლოდ მარჯვენა ნაპირას არის მოსახერხებელი ქარელისა და ახალქალაქის ველების მოსარწყავად წყლის გაყვანა. ამის მიზეზი ისაა, რომ მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ლიახვის შესართავიდან ქართლის ქედამდე თითქმის 75 კილომ. მანძილზე გადაჭიმულია ერთი მთაგრეხილი, რომელსაც აღმოსავლეთის ბოლოში 1700 მეტრის სიმაღლის მწვერვალი აქვს, დასავლეთის ბოლოში კი 1000 მეტრის სიმაღლისა. ამ მთაგრეხილს დასავლეთის ნაწილში სახელად **კვერნაკის მთა** ჰქვიან. მთაგრეხილს სიგანეზე, სჭრის რეხულას, ქსნის და არაგვის ქვედა დინება. ცხადია, ეს მთაგრეხილი აბრკოლებს მტკვრიდან მარცხენა ნაპირას არხების გაყვანას.

მხოლოდ ტფილისის იქით, სადაც მტკვარს დაბალი ნაპირები აქვს, ადვილად გაჰყავთ არხები. აი, მაგალითად, ეს ყარაიას ველი მტკვრის მარცხენა ნაპირას გაყვანილი არხებით ირწყვის. ყარაიას არხების ქსელი 15.000 დესეტინის მოსარწყავადაა გაყვანილი. ეს არხები რომ ერთმანეთს გადავაბათ, 110 კილომ. ექნებათ სიგრძე. ამათგან უმთავრესი არხის სიგრძე 18 კილომ. უდრის. ყარაიას არხები თავს იყრიან აგერ ერთს დიდ ორმოში, სადაც ყარაიას ტბა ჩნდება. ეს ტბა ჩვენ უძოდანაც დავინახეთ. საერთოდ ყარაიას ველი 30.000 დესეტინაა, ასე რომ ნახევარი ჯერჯერობით ურწყავია. ყარაიას ურწყავი ველი ნამდვილ უდაბნოს მოგვაგონებს.

არხებსა და რუებს დროდადრო გასუფთავება უნდა და დანალეკი სილისა და ქვიშის გამოცლა, თორემ შესაძლოა ისე დაისილოს, რომ ძველებურ სივრცეზე აღარ გამოდგეს სარწყავად. ამის საუკეთესო მაგალითია ყარაიას არხები, რომელნიც დიდი ხნის დასილვის გამო 13—15 ათასი დესეტინის ნაცვლად 5.000 დესეტინას ძლივს-ღა რწყვენ ამ ბოლო ხანებში. არხებს სწმენდენ, ასუფთავებენ. არხები და რუები წვიმებისა და წყალდიდობის დროს უფრო მეტად დაისილება, მაგრამ რაკი ჩვენი რუები მეტნაწილად მთის მდინარეებიდან არის გამოყვანილი, ხოლო მთის მდინარეებს უამრავი ქვა და ქვიშა მოაქვსთ, ცხადია ჩვეულებრივ ამინდშიაც უნდა დაისილოს. მაგალითად, მდ. კავთურა, რომლიდანაც სარწყავი რუებია გამოყვანი-

ლი, თუმცა პატარაა, მაგრამ ვეებერთელა ლოდებს და კლდის ნამზვლევებს მოაგორებს. ამაზე უთქვამს ხალხს:

კავთიხევურ კავთურასა
ქვა მოჰქონდა, ქვიშა ბევრი.

სოფელში რუებს რამდენიმე **მერუე** დარაჯობს; მერუეები არჩეული კაცები არიან, ისინი წყალს უზოგავენ სოფლის ყანებს და ჯილდოდ კალოობის დროს განსაზღვრული რაოდენობის ჩანახი მოსავალი მიაქვსთ. მერუეების უფროსებად დანიშნული არიან **მერაბები**. მერაბი არჩევს სოფლებსა და მერუეებს შორის მომხდარ გაუგებრობას და დავას.

ზოგიერთს სოფლებზე, რომელნიც ურწყავი ყოფილან, აი, როგორ ჩივის ხალხი:

რას ვაქნევ შაშვებ-ნაწრეტსა,
ტირიფონაზე მამულსა?
ვერც ნახავ წყალსა, წისქვილსა,
ვერცა ხილს ხეზე მოსხმულსა,
ვერცა მინდორსა ტყიანსა,
მხოლოდ ველს ბალახიანსა,
წითელი შეშის დამწველი—
ვწვავ წივას * ტალახიანსა.

ურწყავ ადგილებში მიწა სიცხისაგან გახურებულია და რაღა ნაყოფი უნდა გამოიღოს. მიწის ამგვარ სიმხურვალეს ასე გამოთქვამს ხალხი:

აგრე ახურდა ახრისი,
როგორც მიწაში სახნისი.

მიწაში ხომ ხვნის დროს სახნისი ძალზე ხურდება. ეს სოფელი ახრისი მდ. მეჯუდაზეა, მეჯვრისხევის დასავლეთით. მეჯვრისხევი ეს ის ხევია, რომელზედაც თქმულა:

მეჯვრისხევი, შემკობილი შვენებით,
წინ მინდვრებით, უკან ზურმუხტ ტყეებით,
მოგვაგონებს ქართლის ტურფა ველებსა,
ლხინს, ლიახვზე და სულით კვლავ დავტკბებით.

მეჯვრისხევის სილამაზე პატარა მდინარის—მეჯუდას წყალობაა. მეჯუდა პატარაა, მაგრამ გაზაფხულზე ისეთი ადიდება იცის, რომ ხალხი იტყვის:

---

* წივა—ხმელი ნეხვია. წივას შეშისა და ნახშირის მაგიერ სწვავენ უტყო ადგილებში.

ავტორი.

„ადიდებულა მეჯუდა,
დაუგლეჯია შინდები“—ო.

მეჯუდას მიდამოები არხების შემწეობით ირწყვის და ამ არხებში ეს პატარა მდინარე იმდენ წყალს უშვებს, რომ ზაფხულობით შესართავთან თითქმის მთლად შრება. ამაზე ამბობს ხალხი:

„ლიახვივით ავდიდდები,
მეჯუდასავით დავშრები“—ო.

სამაგიეროდ მეჯუდა ასულდგმულებს მიწაში გახურებული სახნისივით მხურვალე სოფლებს და კიდეც ამიტომ აქებს მას ხალხი:

„მეჯუდას ძირის ჭირიმე,
ირემს ჰგავს ქორბუდიანსა“—ო.

— მასწავლებელო, ჩვენი კავთურა კარგა მოზრდილი მდინარეა, მაგრამ ბოლომდე ასე დიდი როდია, რადგან სათავიდანვე რვა დიდი რუ მ ნდვრებში არის გადახევებული და ბოლოში კავთურაც პატარავდება. კავთურას წყალობით მახლობელი სოფლებიც მდიდარი არიან, წყალი რუებში ბლომადაა, ნიადაგი წყლით გამძღარია და მოსავალიც კარგი იცის.— ჩამოერია შიო.

— ამგვარად მტკვრის შენაკადების წყალობით ცოცხლობს ქართლის გაშლილი ველები,—სთქვა მასწავლებელმა—და, თუ ხალხი ორიოდე სოფელზე ამბობს:

„ბერბუკსა და სვენეთს შუა
ბევრი კაი რუებია“—ო,

დღეს მრავალი სოფელია დაჯილდოებული „ბევრი კაი რუებით“. მხოლოდ არხების ქსელი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გაშლილი. და, თუ ეს ქსელი საკმარისად გაფართოვდა, მაშინ ალარ იტყვის ჩვენი ხალხი იმას, რასაც სოფ. სკრის შესახებ საყვედურობს:

მინდა შაირი გამოვსთქვა
ამ სატიალე სკრისაო,
წინ ჭალა, უკან მინდორი,—
იალაღია ცხვრისაო;
ნახნავ-ნათესი ბევრია,
სარჩო ვერ მოჰყავთ წლისაო.

ან კიდევ პატარა ლიახვის ნაპირას მდებარე უპურო სოფლებისათვის გამოთქმულ ლექსს ბარის სოფლებზე ველარ გაიმეორებს:

„რა ოხერი სოფლებია:
ქვეში, ფლავი და არცევი!
ლუკმა პური არ მოუვათ,
იმათ რათ უნდათ საცერი“-ო.

წვიმა სად-ღაა?

—წვიმა სად-ღაა, მასწავლებელო, რომ ქართლის ველები მდინარეებისა და მათგან გამოყვანილი არხების ანაპარა ყოფილა! —ვკითხე ერთხელ მასწავლებელს.



შავი ზღვა.

—წვიმა არ სწყალობს ქართლს და აი, რატომ. წვიმას ხომ ღრუბელი იძლევა, ღრუბელი კი ზღვიდან უნდა წამოვიდეს ქარების შემწეობით. ჩვენი ქვეყნის ახლო ორი ზღვაა: შავი ზღვა და კასპიის ზღვა. კასპიის ზღვიდან ღრუბლის წამოღება მხოლოდ აღმოსავლეთის ქარს შეუძლია, ანუ როგორც ქართლში უწოდებენ, **ქვენა ქარს***. მაგრამ ქვენა ქარი მხოლოდ ზამთრობით ან გაზაფხულ-შემო-

* იმერეთში ქვენა ქარი დასავლეთის ქარს ჰქვიან, ზენა კი—აღმოსავლეთის ქარს; ცხადია, ამ ზექვეობის წარმომშობი სურამის ქედია. რომელიც ქართლისთვის დასავლეთიდანაა ზე, იმერეთისთვის კი, წინაუკმო, აღმოსავლეთიდან.

ავტორი.

დგომის ზოგიერთ დღეებში თუ მოაწვდის ქართლს ღრუბელს, თორემ ზაფხულობით, მთლად უღრუბლოა იგი. მაშასადამე ქვენა ქარს კასპიის ზღვიდან მცირეოდენი ღრუბელი მოაქვს, წვიმასა და თოვლს, საერთოდ ციურ ნალეკებს ძალიან ნაკლებად იძლევა იგი, ასე რომ თითქმის მხედველობაშიაც არ არის მისაღები. რაც შეეხება შავი ზღვიდან დასავლეთის ქარის ანუ **ზენა ქარის** მიერ ღრუბლების წამოღებას, მართლაც ერთადერთი იგი არის ქართლის ველებისათვის ნალეკების მიმწოდებელი. მაგრამ ზენა ქარსაც ცოტა მოაქვს ქართლში ღრუბელი: ჯერ ერთი იმის გამო, რომ შავი ზღვა შორსაა, მეორე—შავი ზღვიდან ქართლისაკენ წამოსულ ღრუბელს გზაზე გადაეღობება ხოლმე მთები, ღრუბლები რომ მთას მოადგება, ქარი მას მთის კალთებზე ადენის, რაც უფრო მაღლა ადენის, მით უარესი: სიგრილე მაღლა და მაღლა უფრო მეტია და სწორედ ეს სიგრილეა ღრუბლების მტერი. სიგრილეს ვერ გადაურჩება ღრუბელი და, როგორც ვიცით, წვიმად იქცევა (ზამთარში კი თოვლად). რაკი იმ მთის კალთებზე ჩამოწვიმს ზენა ქარით წამოსული ღრუბელი, ცხადია, ქართლის ველებისათვის ღრუბელი ცოტა გადარჩება. მაგრამ რაც მოაწევს, ისიც ქართლის მთიან ადგილებში ჩამოწვიმს მეტნაწილად, ვინემ ველებზე. რატომ?—ქართლის მთიან ადგილებში უფრო გრილა, ვინემ ბარში, რომელიც მთასთან შედარებით უფრო დაბალია და, მაშასადამე, ნაკლებად გრილი. ღრუბელი კი წვიმად იქ მოდის სადაც გამაგრილებელ მთას იპოვის და მხოლოდ შემდეგ გადაივლის ველებზედაც. ხშირად ასედაც ხდება, რომ ღრუბელი ქართლის ბარს თავს გადაივლება და, რაკი აქ მთას ვერ იპოვის, წვიმად არ ჩამოვა, განაგრძობს გზას და მთიან ადგილებში ჩამოწვიმს. მთიან ადგილებში წლიურად საშუალოდ 1000 მილიმეტრი ნალეკი ჩამოდის, ბარში კი 300 ან 500 მილიმეტრი.

— ის რომელი ქედია, ქართლისაკენ მომავალ ღრუბელს რომ ეღობება წინ და აქეთ არ უშვებს?—იკითხა მიხომ.

— რომელი უნდა იყოს, ალბად სურამის ქედია.—ვთქვი მე.

— დიაღ, სწორედ სურამის ქედია ამის მომქმედი.—სთქვა მასწავლებელმა.

— მე რომ ის ღრუბელი ვიყო, მთის კალთებს მაღლა არ შევუყვებოდი და თავს არ დავაჩაგვრინებდი.—სთქვა მიხომ.

— მეტი რა გზა აქვს, ის ხომ თავისი ნებით არ მოდის, ქარს მოაქვს, მისი ბედი ასეთია: ამყოლს უნდა აჰყვეს, დამყოლს კი დაჰყვეს!—სთქვა ღიმილით მასწავლებელმა.

მეორე დღეს დათომ გაკვეთილზე წარმოადგინა ამბად დაწერილი ქართლს მომავალი ღრუბელი.



ქართლს მომავალი ღრუბელი

შავი ზღვიდან ცაში ასულს ღრუბელს მობეზრდა ზღვის ცქერა და ქართლისაკენ გამოსწია. სურამის ქედს რომ უახლოვდებოდა, ქედი შორიდან ჯერ კიდევ პატარა მოჩანდა, ამიტომ ღრუბელმა გულდამშვიდებით განაგრძო გზა. შემდეგ მან გაიფიქრა: მოდი ერთს ვცდი, თვალდახუჭული შემიძლია თუ არა იმ მთამდე მისვლაო. მიდის ღრუბელი თვალდახუჭული და მხიარული.

მაგრამ დახეთ უბედურებას! უცებ ისე მაგრა მიეჯახა რაღაცას, რომ გული წაუვიდა და იქვე მუხლთ ჩაეკეცა.

— ეს რა ამბავია, ვინ დამეჯახა!—შეჰყვირა დედა მწვერვალმა, და ძირს გადმოიხედა.

— ვინა ხარ, ვის დაგეჯახე?—სთქვა ღრუბელმა და თვალი გაახილა. დაინახა მის წინ აღმართული ქედი.—რა სულიერი ხარ, რომ წინ გადამეღობე, ჩქარა ჩამომეცალე, მე ქართლს მივდივარ!

— სსუ, ბალღები არ გამილვიძო, თორემ შენი თვალის სეირს გაჩვენებ.—დაემუქრა დედა მწვერვალი.

— რაო? სეირს გაჩვენებო! კიდეც რომ მემუქრება!

— გემუქრება და კიდეც აგისრულებს.—გადმოსძახეს სხვა მწვერვალებმაც.—შენ ჩვენი ამბავი არ გცოდნია!

— ხახახა, რა სასაცილო ხართ, მე თქვენი მუქარა ვერ შემაშინებს!—მიუგო მშვიდად ღრუბელმა.

— ეს რა თავხედი ყოფილა!—გაიკვირვეს მწვერვალებმა.

— თავხედი თქვენ თვითონა ხართ, ჩამომეცალეთ ჩქარა, გზა!—შესძახა ღრუბელმა და ამაყად მაღლა აიწია.

— ახლავე წვიმად გაქცევთ!—გადმოსძახეს მწვერვალებმა.
და ამ სიტყვებს მოჰყვა შხაპუნა წვიმა.
ქართლისაკენ მომავალი ღრუბელი ქართლის ნახვას ვეღარ ეღირსა.
— კარგი სურათია.—მოუწონა დათოს მასწავლებელმა.
ეს ამბავი ჩვენც ყველას მოგვეწონა.

ღონიერი ნიადაგი.

— მერე, რომ იცოდეთ, რა ნოყიერია ქართლის ნიადაგი.— თქვა მასწავლებელმა.—წვიმებიც რომ ხელს უწყობდეს, ქართლის ველებზე არა თუ ერთფეროვანი და მოწყენილი იქნება ბუნება, არამედ ათასფრად მოკაზმული. რასაც დასთეს—ერთი-ათად ომიწევ, ოღონდ კი მიწაში საკმარისი სისველე იყოს. ნიადაგში იმდენი სინოყივრეა, რომ თითქმის შავია. ნიადაგს დამპალა აშავებს. რაც უფრო შავია ნიადაგი, იმდენად უფრო მდიდარია დამპალათი და, მაშ, ნოყიერიც არის. მეტნაწილად ქართლის ნიადაგი მოთიხნარია და შლამით დაფარული, აქა-იქ კირნარი ნიადაგიც გვხვდება. ქართლის ნიადაგი შუა ქართლის ველებზე, გორის ველზე, ტირიფონას ველზე, ქარელის ველზე, მუხრანის ველზე და სხვ. განთქმულია თავისი სინოყივრით. ნიადაგი მეტად ღრმადაა განოყიერებული. განსაკუთრებით დიდი ლიახვის სანაპიროებია ნოყიერი; აქ ბლომადაა შლამით დაფარული ნიადაგი, რის გამოც აქაური ნიადაგი მეტად ნოყიერია და ისეთს პურს იძლევა, რომ ღირსებით საუკეთესოა არა მარტო ქართლში, არამედ მთელ საქართველოში. მთიან ადგილებში ნიადაგის სინოყივრე ღრმად არაა, ზოგან აქ ნიადაგის ფენაში ქვა და გუნდაა, ზოგან ტიტველი კლდეა, ამიტომაც მიწის დამუშავება ძნელდება.

ნიადაგში სინოყივრე ღრმად თუ არის, ბევრიც რომ თესო წლითი-წლობით, ნიადაგი მალე არ გამოიფიტება, არ დამჭლევდება, სინოყივრე ადვილად არ გამოილევა; მოსავალიც, ცხადია, კარგი მოვა ასეთ ნიადაგზე. ამაზე იტყვიან: ქართლის ნიადაგი ღონიერიაო.

ზაფხულის პაპანაქება.

ზაფხულობით ქართლში, როგორც ვიცით, დასავლეთის ქარი (ზენა ქარი) იშვიათად ჰქრის, ამ დროს უფრო მეტად ჰქრის აღმოსავლეთის ქარი (ქვენა ქარი). ღრუბელი კი ამ ქვენა ქარს არ მოაქვს. ამგვარად ზაფხულობით ქართლის ცა უღრუბლოა. ღრუბელი ჭერის

მაგიერობას უწევს ქვეყანას. როცა მზე ზაფხულობით თავის მწველ სხივებს ქართლის ველებს დააცხუნებს, ღრუბელი მას ვერ გადაეღობება—არ არის ცაზე და იმიტომ—და მზის მცხუნვარებას ვერ შეანელებს. ამიტომ ქართლის ნიადაგი ძლიერ გახურდება. ამ დროს ჰაპანაქება სიცხე იცის, ნიადაგი შრება, ხმება და, როგორც იტყვიან, ყავარ-ყავარ სკდება. მხოლოდ-ღა დიდს სიღრმეზე თუ შეინახავს თავს სისველე. კიდეც ამით აიხსნება, რომ ქართლში ნიადაგს ღრმად ხნავენ. ამავე მიზეზით აიხსნება, რომ ქართლში გავრცელებულია შემოდგომობით თესვა. ჩვეულებრივ ხომ გაზაფხულზე ითესება ყანები, როცა ჰავა ათბება და წვიმებიც გახშირდება. მაგრამ ქართლში გაზაფხულის გარდა შემოდგომაზედაც იციან თესვა. შემოდგომამ გაზაფხულივით იცის ხშირი წვიმები, ნათესს ნიადაგში სისველე არ მოაკლდება, გაიხარებს და გაზაფხულამდე მოასწრებს წელის გამაგრებას, გაზაფხულისათვის იგი უკვე აღმოცენებული იქნება, გაზაფხულიც ცოტა ხანს ხელს შეუწყობს და შემდეგ წელში გამართულს მოსავალს ზაფხულის სიცხეები ძნელად თუ რასმე დააკლებს.

ზამთრის სუსხი.

მაგრამ ზამთარიც უჩვეულოდ სუსხიანი იცის ქართლში. დასავლეთის ღრუბლიანი ქარი (ზენა ქარი) ზამთრობითაც ისე, როგორც ზაფხულობით, იშვიათი სტუმარია და ქართლის ცა ზამთრობითაც ულრუბლო რჩება.

ზაფხულობით რომ მიწა გათბება, ზამთრობით ხომ უნდა გაცივდეს, სითბო მაღლა მიდის და, რადგან ცა ულრუბლოა, გზაზე მას ღრუბელი ვერ გადაეღობება—არ არის ცაში და იმიტომ—და ვერ დააკავებს, წავა თავისუფლად მაღლა, მაღლა და ქართლის არე-მარეს სულ გაეცლება. ამ დროს ქართლში სიცივე, ყინვა და სუსხი გამეფდება. თუ ზამთრობით ცაზე ღრუბელი გაჩნდა და ჩამოთოვა, ხომ რა კარგი! თოვლის თეთრი საბანი რომ ნიადაგს გადაეფარება, ნიადაგში სითბო შეინახება, რადგან თოვლის საბანი ნიადაგის სითბოს ზევით აღარ ამოუშვებს. თოვლიან ზამთარში დათესილი მარცვალიც ბედნიერადაა, ხარობს, ღვივდება. უთოვლო ზამთარში კი ნიადაგი სუსხისა და ყინვებისაგან ისე გაითოშება, რომ ნათესს დააზრობს და დააზიანებს. უთოვლო ზამთარი ქართლში ხშირი მოვლენაა, როგორც ულრუბლო ცის მხარეში.

ზამთრის სუსხს ისიც აძლიერებს, რომ ქართლის მდებარეობა საერთოდ მაღალია, თუნდაც ვაკე ადგილებისა. ქართლში არც ერთი

ვაკე არ არის ისეთი რომ ზღვის დონედან 200 მეტრზე უფრო მაღლა არ იყოს. ასეთს ვაკეს, რომელიც ზღის დონედან 200 მეტრზე უფრო მაღლაა, სახელად ვაკე-გორა ანუ **ზეგანი** ჰქვიან. ქართლის ველები ყველა ზეგნებია. ტფილისშიაც ვაკე, საბურთალო, დიდუბე და სხვა ვაკე ადგილები ყველა ზეგნებს წარმოადგენს. ქართლის ვაკე საშუალოდ 680 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან, ცალკე ველები კი, მაგალითად, ქარელის ველი თითქმის 660 მეტრის სიმაღლეზეა, ყარაიას ველი 305 მეტრის, ახალქალაქის ველი 540 მეტრის, მუხრანის ველი 515 მეტრის სიმაღლეზე და ა. შ. ტფილისში კი პლეხანოვის გამზირის ვაკე, დიდუბისაკენ, როგორც ვიცით, 404 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონედან. მაღალი მდებარეობის გამო ზეგნებზე უფრო გრილა, მით უმეტეს ზამთრობით, როცა დაბალ ადგილებშიაც კი ცივა, არა თუ მაღლობ ადგილებში.

ისეთი ყინვები, სუსხი და ჭირხლი, როგორიც ქართლში იცის, სხვაგან საქართველოში იშვიათია.

აი, როგორ აუწერიათ წელიწადის სხვადასხვა დრო ქართლში ჩვენს მწერლებს.

ზამთარი.

შუა ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე რბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია, მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილობით ჭირხლი ედებოდა, მხოლოდ შუადღის გულზე მზე პირდაპირ დახედავდა ჭირხლს, და ზოგს, წყლად ქცეულს, მწყურვალე მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქაიქ ატარებდა თავის თვალგადაუწვდენელ სირგძე-სიგანე სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჭუჭყიანი თავსახურავები მორთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და

სხვა და სხვა ხეხილი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალი თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეები, წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდანო.

თოვლი რომ გადაიღო, ბევრ ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველ თოვლში შეპარული დღის სითბო თოვლიდან ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებივით ეკიდა ხის ტოტებსა, ღობეების ნაპირებს და ჩარდახებისა და ბანების გარშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის სიბნელე და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის წივილ-კივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც, ახალ მოსულ თოვლს, ყინვადაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა, და თითო-ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილი ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდახან.

გაზაფხულის პირი.

ჯეჯილმა ამოიწია,
გადგა ბორჯი და ძირია,
იამ მოქარგა მინდორი,
ჩანს გაზაფხულის პირია!
სერზე შემდგარა მეცხვარე,
დასცქერის თავის ფარასა,
ბატკანი დედას დაეძებს,
დედა კი — მწვანე ბალახსა!
დაჰკრა, დაუკრა საკვნესმა, —
ეს ტკბილი სალამურია,
შროშანიც შემოფრენილა,
შაშვი ხომ შინაურია!
მთას ეზლაზნება ღრუბელი,
ძირს ეცრემლება ველებსა,

კურდღელი ყალყზე თამაშობს,
ფუნდრუკი გააქვთ მშველებსა!
ამოიწია ჯეჯილმა,
გადგა ბორჯი და ძირია,
მზემ გადმოუშვა სხივები,
ჩანს გაზაფხულის პირია!

გაზაფხული.

— ტიავ! ტიავ! ტიავ!
— ფრთხხ! ფრთხხ!
— გოგია! გოგია! ბიჭო გოგია!
— კუკუ! კუკუ! კუკუ!
— გუგუ! გუგუ! გუგუ!
— ტრრრ... ტრრრ...
— შრრ... შრრ...

გაისმა ჰაერში ათასნაირი ხმა ფრინველებისა. ერთი მეორეს ეჯიბრებოდა, ერთი მეორეს ეტოქებოდა. ბულბულის ტია-ტიას ისარივით მისდევდა შაშვის სტვენა. ბიჭო გოგიას ხმას ხეკაკუნას კაკუნი დიპლიპიტოსავით ასდევდა, ტოროლას მწვანე ჯეჯილის თავზე „ტრიას“ შემოძახილს ტყიდან გუგული ეხმაურებოდა; რუხრუხა წყარო, როგორც პატარძლებს პირსა ჰბანდა თავის გარშემო ჩამწკრივებულ ყვავილებს. სიყვარულით აღსავსე გვრიტი თხილნარიდან ეღუღუნებოდა მათ, ხოლო ნიავს კი, როგორც მარდ შიკრიკს, შრიალით მიჰქონდა მათი ჰანგები არემარის ყოველ კუთხისაკენ.

უხაროდა იას, რომელსაც კორდი ლურჯად დაეფერადებინა. უხაროდა ვარდს, რომლის კოკრებსაც საკოცნელად ტუჩები გადაეშალათ. ბალი ნაირ-ნაირი ხეხილის ყვავილით აჭრელებულიყო. ტყის მწვანე კაბას შინდი ყვითელი ქარვის თვლებით ჰქარგავდა. ვაზის კვირტს სიხარულის ცრემლები გადმოეფრქვია. მთას კი თავის კალთებიდან ნისლი აეკრიფა, წაეღო ზევით და იქ თავის მწვერვალზე აშენებდა მათგან ათასნაირ კოშკებს, ქალაქებს.

გამთბარიყო საქონლის ზურგიც. მინდორს ახმაურებდა ცხვარ-ბატკანი, ძროხა...

ოფლით მონამული გლეხის მკერდი სიამოვნებით ძგერდა და იმის მადლიანი მარჯვენა სცემდა დედამიწას თოხსა და ბარს.

ჰაერში კი განუწყვეტლივ ისმოდა ისევ ის:

— ტიავ! ტიავ! ტიავ!

— გუგუ... გუგუ... გუგუ!...

— კაკუ... ტრრ.. კაკუ... ტრრ...

და ნიავსაც დაუზარებლივ მიჰქონდა ეს ჰანგები გაზაფხულის გაცოცხლებულ არემარეში.

ზ ა ფ ხ უ ლ ი

— ჰარალო, ჰარიალალო, ჰარალოდაა...

გაისმა რიჟრაჟზე მეურმის ხმა და მისი შოლტის ტყლაშუნი. აღმოსავლეთი ისე შეღებილიყო წითლად, თითქოს იქ ვიღაცას ცეცხლის კოცონი აენთო. ამოდიოდა დიდებული, ცხოველმყოფელი მზე, მაგრამ მისთვის ხალხს უკვე აესწრო. მინდორი, ბაღი, ველი, ვენახი ყველა ხმაურობდა. ნამგალი ყანაში დასრიალობდა, თოხი ვენახ-ბაღებში. კალოში კი იშლებოდა ოქროს ფერი ძნა, რომ მზის ამოსვლისათანავე კევრს გაესრიალა ზედ და ნიშა ხარს ფერხული ჩაება. არ ეძინათ ფრინველებსაც: ზოგი მინდორ-ბაღებისაკენ მისრიალობდა საანადიროდ, ზოგს კი უკვე ენადირა და ბარტყებისათვის ნისკარტით საუზმე მოჰქონდა. ცელქი კურდღელი ნამიან ბალახს სწუწნიდა. ტოროლა ხან ჰაერში აინავარდებდა „ჭრიაჭრიას“ გალობით, ხან დაეშვებოდა ძირს ყანისაკენ, რომ თავთავისათვის ნისკარტი ჩაეკრა. მოღლილი ბულბული განთიადის გალობაში უკანასკნელ ჰანგებს აკვნესებდა. მალე წითლად შეღებილ აღმოსავლეთზე ამოცურდა უშველებელი ოქროს ბურთი და დაბლა ბარისაკენ სხივები გადმოჰყარა. ეს იყო მზე, ის დიდებული მზე, რომელიც ცის კიდეზე თვის ამოსასვლელ გზას მორთავს ხოლმე წითელი ფიანდაზით. სამუშაოდ გაშლილი ხალხის ხმაურობამ უფრო იმატა. მომკლებმა ნამგლის მოსმას დაუჩქარეს, ვენახში მომუშავეთ თოხის ცემას,—ეშურებოდენ სიგრილეს, ეშურებოდენ, ვიდრე დაცხებოდა...

მოატანა შუადღემაც. ხმაურობამ თანდათან იკლო. მზე ცის გუმბათზე მოექცა და ისე მძლავრად დააჭირა თავისი სხივები დედამიწას, რომ კაცს ეგონებოდა მალე ცეცხლის ალი ავარდება და მთლად გადაჰბუგავს არემარესო! ფრინველებმა ტყეს მიაშურეს, მუშებმა ჩრდილოს, ყველანი ისვენებდენ და ელოდენ, როდის გადაიხრებოდა მზე დასავლეთისაკენ, რომ კვლავ მისეოდენ სამუშაოს, ამ სიცხე-პაპანაქებაში არ ისვენებდა მხოლოდ გვრიტი.

— კრუ... კრუ... კრუ... დასძახოდა ის მიყუჩებულ არემარეს, თითქოს ეძახოდა სამხრობის გრილ ნიავს, როდესაც მეკალოეს ჰოროველა

და მომკლების „მუშური“ კვლავ აახმაურებდენ მინდორს, ვიდრე საღამოს ბინდ-ბუნდში არ ამოცურდებოდა ბადრი მთვარე, რომელიც შრომისაგან მოღლილ სოფელს დაანათებდა ზევიდან, ხოლო ბულბული კი ძილის პირს დასძახებდა მას.

შემოდგომის პირი.

ცა შემოსილა თალხადა,
მთას ნისლი მოუფენია;
ფერი წასვლიათ ველებსა,
მიდამოს მოუწყენია.
ტყე იძარცვება... ფოთლები
ქარს მიაქვს მთად და ბარადა:
ულრან ხევ-ხუვებს აბარებს
წივილით... გლოვის ზარადა.
ფრინვლებიც ეთხოვებიან
ნაცნობსა არემარესა;
გულსევდიანი „ჭყივ-ჭყივით“
მიჰქრიან უცხო მხარესა.
სევდიანდება ქვეყანა,
მთას ნისლი მოუფენია;
ჭკნება სიტურფის ბაღნარი,
ბულბულსაც მოუწყენია.

შემოდგომა.

ცა მოქურუშებული დაჰყურებს დედამიწას. მზე ხან გამოანათებს ღრუბლებიდან, ხან იმალება, თითქო შემოსწყრომია დაბლა არემარეს: მინდორს, ველს, ტყეს, მთას. დაჰბერა ჩრდილოეთის ცივმა ნიავმაც.

შრრ... შრრ... დაიშრიალა ბაღში ვაშლის ხემ და ჩამოჰყარა ძირს გაყვითლებული ფოთლები.

შრრ... შრრ... ასევე უპასუხა კაკალმაც და გაყვითლებული, დაავადებული ფოთლებით მოჰფინა დედამიწა.

ნიავმა რამდენჯერმე კიდევ გაურბინა ბაღს, შეარხია ნუში, ატამი, ვარდის ბუჩქი და სხვა მათი მეზობელი ხეები. ყოველ შერხევაზე ისინი იცრემლებოდენ, ტოტები ეძარცვებოდათ და დედამიწას კი ეფინებოდა თეთრი სუდარა.

ამ სუდარას შემოდგომა ახლა იმავ ფოთლებიდან ჰკერავდა, რომ-ლებითაც გაზაფხულმა ზურმუხტის ფერად აამწვანა ბაღი. ასევე ემართებოდა ტყესაც, მასაც შესეოდა შემოდგომა. მის ირგვლივ მინდორიც დაღონებულიყო; ჩაყვითლებულს, წელში მოტეხილ ბალახს თავი ძირს დაეხარა, თითქო სტიროდა იმ ბედნიერ დღეებს, როდე-საც მას ზაფხულის ნიავი არწევდა, ტოროლა თავზე დამღეროდა და მეზობელ ყანიდან ატკბობდა მწყერის ჭუკჭუკი.

მთა?! მთაც ხომ ერთიან გამოიცვალა და დაღვრემილი დასცქე-რის ბარს. მის მწვერვალებზე შავი ღრუბლებია, თითქო ომობენო, ირევიან, იხლართებიან ერთმანეთში. მერე უცებ შორდებიან ერთმა-ნეთს, ზოგი მთის ნაპრალში წვება, ზოგიც მოიზლაზნება ქვევით ბა-რისაკენ დინჯად, აქლემის ქარავანივით.

გაქრა, წავიდა ზაფხულის მხიარული დღეები. აღარც ბულბუ-ლი, აღარც მოლაღური, აღარც თავსავარცხელა ოფოფი და თეთრ-გულა და შავქათიბა მერცხალი! ყველა ცდილობდა გასცლოდა, გაქ-ცევოდა შემოდგომას. მხოლოდ ხანდახან მინდორს ახმაურებს გუთნის მეხრე თვისი წკრიალა ხმით და ახალისებს მოღლილ ხარ-კამეჩს. გუ-თანს კი ბელტო ბელტოზე გადააქვს, აშავებს დედამიწას, ზოლებად აწყობს კვლებს, რომ შემოდგომის წვიმამ მორწყოს ნახნავი და გა-ზაფხულმა კვლავ ააფეთქოს მწვანე ჯეჯილი.

თვეების ხასიათი.

ხალხური.

იანვარი მოწუწუნებს,
როგორც რომ მშიერი მგელი;
ხან დარი ქნა, ხან ავდარი,
მას სიცივე მოსდევს ძნელი.
ღობე-საბძელი სულ დაწვეს,
აღარ შეარჩინეს წნელი.
თებერვალმა დაუბერა,
როგორც კარგი საბერველი,
გაიარა სულ დარობით,
ყინვა ჩამოვარდა ძნელი.
ახლა **მარტი** მობრძანდება
ყველას დამადგინებელი,

აჰყარე ხარი, კამეჩი,
კიდევ ნახონ მინდორ-ველი.
მარტმა ერთ კვირას უკანა
მოიარა ტყე და ველი,
როგორც ჩვენმა პატარძლება,
დღით ხუთჯერ წაისვა ფერი.
ხან თოვლის ბური ტრიალებს,
ხან მზე გამოჩნდება ცხელი,
გაწყვიტა ხარი და ძროხა,
არ გაუშვა ჭაკი ცხენი.
აპრილმა შემოუთვალა:
„მარტო, ნუ ხარ ჭკუა თხელი!
ძველი ლორი ბევრი დამრჩა,
ახლა ახალს მივყავ ხელი“.
მარტს აპრილიც თან მოჰყვება,
მზესა დაედება ფერი,
დავფეროთ სახნის-საკვეთი,
მუშაობას მივყოთ ხელი
მაისიც დიდებულია,
შრომობს, მღერის ყველაფერი,
კაციც მაშინ გამთელდება,
მაშინ გაუთბება წელი.
თიბათვე რომ მობრძანდება,
თივა ვთიბოთ ლალის ფერი,
დამიძახეთ ვაჟკაცებსა.
ცელებს წამოავლონ ხელი.
ეს **მკათათვე** მობრძანდება,
ყანამ მიღერა ყელი.
დაუძახევით ბიჭებსა,
ახლა კი მკას მივყოთ ხელი.
კალოში კევრი შევაბათ,
ნამგალს გავულესოთ წვერი,
ძნა კალოზე მოიტანონ,
ყანა იყოს, გინდა ქერი.
მარიამობისთვეშია
სიცხე ჩამოვარდა ძნელი,
ციებ-ცხელებაც გაგვიჩნდა,

ქალებსაც წაერთვათ ფერი,
ენკენისთვე რომ დადგება,
მაშინ არის კალო-რთველი,
ყოველი სული გაძღება,
ყველას გაეშლება წელი.
სიმინდები მოიჭრება,
ხილი მოდის ბევრის ბევრი.
ღვინობისთვე რომ დადგება,
ვენახში გაჩნდება ოთველი.
იწურება ყურძნის წვენი,
ღვინო არის მეტად ბევრი,
დამიძახეთ ეაჟკაცებსა,
გამორეცხონ საწნახელი,
მოამზადონ ღვინისათვის,
ქვევრებს მოულერონ ყელი.
გიორგობისთვე დადგება
სახლში შეგვაქვს ყველაფერი,
გახშირდება ქორწილები,
პატარძლები მოვლენ ბევრი.
გიორგობისთვის ღამენი
გრძელია და მეტად ბნელი,
მაინც არა კეთდება-რა,
ქეიფს და ლხინს მივყოთ ხელი.
ქრისტეშობისათვეშია
თოვლი მოგვივიდა ბევრი,
ტყე სულ თოვლით დაიბარდნა,
დაეკიდა თეთრი წვერი.
ეს როგორი თვე დაგვიდგა,
დღე მოკლე და ღამე გრძელი.

— აი, ასეთია ქართლში წელიწადის სხვადასხვა დრო და თვეები,—გვითხრა მასწავლებელმა.

— თავთავის დროზე ყველა მოსაწონია.—ვთქვი მე.

— მართალია. თუ კაცი შრომობს და ყოველ დროს მომზადებული დახვდება, ცხოვრება არ გაუჭირდება. თორემ სულ ნაკლულევანებას რომ მივაქციოთ ყურადღება, არც ერთი დრო არ არის, რომ თავისი ნაკლი არ ჰქონდეს. ჩვენი ხალხის არ იყოს.

„ზამთარი ვარდსა გაახმობს,
ზაფხულს გვალვასა ჩივიან,
შევხედავ შემოდგომასა,
ხესა ფურცელნი სცვივიან“.



მცენარეები მაღალ მთაზე.

და, მაშ, ყველა სიცოცხლეს სცელავს და კაცს გასაჭირში აგდებს? შრომა და ცოდნა—აი, როგორი იარაღით შეიძლება დაიმორჩილო კაცმა ბუნების ყოველგვარი მოვლენანი.

მცენარეები და ცხოველები.

ერთხელ საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიური განყოფილება დავათვალიერეთ. მასწავლებელმა გვითხრა:

— ქართლში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირი ჰავაა და ამის შესაფერად მცენარეები და ცხოველებიც ბევრგვარია. მაღალ

მთებზე თოვლის მიჯნასთან დიდ-ტანიანი მცენარეულობა ვერ ხარობს, იქ დაბალ-ტანიანი ჩირგვი ან ბალახი, აგრეთვე ხავსი იცის. გრილ ადგილებში წიწვიანი მცენარეები სჭარბობს—ნაძვი, ფიჭვი და სხვ., უფრო თბილ და ზომიერ ადგილებში ფოთლოვანი მცენარეები—მუხა წიფელა, რცხილა და სხვ., თბილ ადგილებში—ბზა და სხვ. ხეხილი ბაღებშია მოშენებული და მებაღეობას ცალკე გავეცნობით. ტყეები ქართლში მხოლოდ ჭალებშია ან მაღლობ ადგილებში, მოსაზღვრე მთების კალთებზე, გაშლილ ველებზე კი ტყე აქა-იქ არის, ველებზე ბალახია—იონჯა, სამყურა, აგრეთვე ეკლიანი ბალახ-ბულახი; ტბების ნაპირას თავისებური მცენარეულობაა—ლერწამი, ჩალამ-კალამი, ფართოფოთლიანი და ღრუ-ღეროიანი მცენარეები. მშრალი ადგილებისთვის ქართლში დამახასიათებელია მშრალი ადგილის შემგუებელი მცენარეები, რომელთაც აქვსთ გრძელი ძირი, ბოლქვიანი ძირი, წვრილ-წვრილი ფოთლები, ბუსუსიანი ფოთლები და ბევრგვარი მღიერი-მცენარეები, რომელნიც ქვებსა, ლოდებსა და ზოგჯერ ხის ქერქზე თეთრად, შავად, რუხის ფრად და სხვა ფერებად არიან დაკრული და ერთის შეხედვით მცენარეს არც კი ჰგავან.

ცხოველებიც ბევრნაირია ქართლის მთასა და ბარში, ტყეებსა და ველებში, ტბებსა და მდინარეებში. მშრალ ადგილებში ცხოვრობენ მშრალი ადგილის შემგუებელი ცხოველები—მორბენალნი, მხტუნავი, მღრღნელი, სოროების მთხრელნი და ქვეწარმავალნი; ტბებში—ქვეწარმავალნი, მაგ., კუ, ჭიაღუები, წურბლები და სხვ., ფრინველთა გან იხვები, წყალჩიტები, გრძელფეხიანი და გრძელნისკარტიანი ფრინველები. მდინარეებში ბევრგვარი თევზებია. კერძოთ ტყეში კი აი, რადარა მცენარე, ცხოველი და ფრინველი შეიძლება ნახოთ:

ტ ყ ე

ტყეს რომ მიუახლოვდები, რაღაც გამოურკვეველ სიამოვნებას გრძნობ, თვალებში სიცოცხლე გეხატება, სმენა გიმახვილდება და პირისახე გიღიმის.

რათ შეტრფის ტყეს ადამიანი ასე გატაცებით?

მშვენიერება, ჩვენდა უნებურად, სავსებით იტაცებს მთელ ჩვენს არსებას.

დიდი რამ განძია ქვეყნისათვის ტყე! ის იფარავს ქვეყანას სიცხისა და ქარისაგან. იზიდავს ღრუბელს და აჩენს წვიმას; იცის სიგრილე და საკმაო სინესტე. სინესტეა რომ ბადებს ანკარას და ცივ

წყაროს, რომელიც ტყის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოჩუხჩუხობს. წყაროებია რომ აჩენენ ღელეებს, მდინარეებს და ქვეყანას რწყავენ.

თუ შიგ ტევრში შეხვალ, შენს ოცნებას საზღვარი არ ექნება: აქ ხედავ მოხუც მუხას, ცაცხვს, ვირხვს, ურთხელას, წიფელას, წაბლს, ნეკერჩხალს, თელას, ბზას, ძელქვას, რომელთაც ჯერ კაცის ხელი არ შეხებია.

ტყის ყვავილს ხომ ანგარიში არა აქვს. იქ ბიბინებენ საამოდ სოსანი, ია, ვარდი, შროშანი, ყაყაჩო და სხვა მრავალი. ხილი? მარწყვი, ხენდრო, პანტა, მაჟალო, შინდი, თხილი, წაბლი, ზღმარტლი, კრიკინა. ყველა ეს ცალკე და ერთად ბუნების ძვირფას სამკაულს შეადგენს.

აიხედავ ზევით და რას არ დაინახავ: აგერ მესკია თავისებურად წიწინებს, ფოთოლს უტრიალებს გარშემო, სასუსნს ეძებს; იქ ხურო კოდარა გამწარებული ურტყამს ნისკარტს ხის ქერქს, მატლი გამოიხტუნოს და შესანსლოს. თან „კიავ-კიავს“ გაკივის. მამალი გუგული „თესე-კაფეს“ გასძახის, დედალი კი გამჯდარა როკზე ანუ გამხმარ ტოტზე და ადამიანივით ხარხარებს. ქარვასავით ყვითელ მოლაღურს გიდელივით ჩამოუკიდია კაკალზე ბუდე და შვილებს „შვილო-გოგიას“ დასძახის, ნანას ეუბნება, არწევს. აგერ ოფოფი ხოჭოებს ეძებს სადილისათვის. ჩხიკვი, კაჭკაჭი, ყვავი და ყორანი ბუდეში თაგვებს მიარბენინებენ, შვილები შიმშილით არ დაგვეხოცონო. შაშვი კენწეროზე წამომჯდარა და გულამომჯდარი თავის სალამურზე გაკვნესის! ბულბულს მოურთავს თავისი ჩანგი და ქვეყანას უგალობს, ბუნების სიტურფეს შეხარის. ყურ-პანტურა, ყურ-ცქვიტინა გაქანებული გარბის წყლისკენ, წყურვილი მოიკლას, რომ მერე ისევ გემრიელი სამყურის ცუცნას შეუდგეს. მაღლა, ცის სივრცეში მძლავრად დასრიალებს არწივი და საკბილოს ათვალიერებს მიწაზე, რომ ისარივით დაეშვას და აიტაცოს. აგერ ხიდან ხეზე ისარივით გადასრიალდა კვერნის ბარტყი. ერთ ხეზე თრითინას მოუკალათნია, ზურგით ხეს მიბჯენია, ბამბურა კუდი აუბზეკია, კაკალი წინა ფეხებში დაუჭერია და გამწარებული ღრღნის, უნდა პირი ჩაიტკბარუნოს. ჩირგვის გადაღმა წყეული მელია ტყის ქათამს ეპარება, უნდა წაალრჩოს და გზას გაუყენოს. მიღმა, მოშორებით, გამოსულან მზეზე და გამოუშლიათ თავისი წიწილები კეკლუცა ხოხობს, როჭოს და კაკაბს.

თუ ცოტას შესდგები, ან შველი გამოხტება, ან რქა-ბორჯღალა-ყელმოღერებული ირემი.

რა ეშველებოდა კაცს ტყე რომ არ ჰქონოდა?

წყაროები, ღელეები და მდინარეები ნაკლებად იქნებოდა, და ფრინველების საამო ხმას ხომ იშვიათად გაიგონებდა. ცუდი დღე მოუვიდოდა მაშინ ადამიანს: არც სახლის მასალა ექნებოდა და არც შეშა.

— დიაღ, მასწავლებელო, აი, მაგალითად, ჩვენი კავთურა ერთ დროს, როცა მის ხეობაში ტყეები ხელუხლებლად იყო, ძალიან დიდი მდინარე ყოფილა, მას კალაპოტი ვრცელი ჰქონია, ახლა კი დაპატარავებულა, რადგან ტყის სიგრილე და ჩრდილი ვეღარ იფარავს მას მზის მცხუნვარებისაგან. თანაც კავთურამ ისეთი ადიდება იცის უტყეობის გამო, რომ უზარმაზარ ლოდებს მოაგორებს. გაზაფხულზე თოვლი ერთბაშად დნება (ტყე რომ იყოს, ჩრდილში ნელნელა დადნებოდა თოვლი), ან წვიმების დროს ნიაღვრები ერთბაშად მოვარდება ხეობის მონაპირე მთის კალთებიდან (ტყე რომ იყოს, ხეების ძირები ნაწვიმარ წყალს დააკავებდენ ცოტათი მაინც) და ეს პატარა მდინარე თავაღებული მოქუხს. ასე გასინჯეთ, ამ პატარა მდინარემ ადიდების დროს მტკვარი გაარღვია და ლოდები მტკვრის მარცხენა ნაპირს მიაყარა (თვითონ კი მტკვარს მარჯვენა ნაპირას ერთვის სოფ. ხანდაკთან). ის ლოდები მტკვარს დღემდე ვერ დაუძრავს და ახლაც არიან ამოშვერილი იმავე ადგილას.—სთქვა კავთისხეველმა შიომ.

— მართლაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ტყეს ადამიანისათვის,—დასძინა მასწავლებელმა.—გარდა სათბობი და საშენი მასალისა ტყე იმ მხრივაცაა სასარგებლო, რომ ტყიან ადგილებში რუ, ნაკადული, წყარო ზაფხულობით არ შრება, არც კლებულობს. აგრეთვე დიდი წვიმებისა ან თოვლის დნობის დროს წყალდიდობა იშვიათად დააზარალებს სოფლებს. წვიმებიც უფრო ხშირი იცის ტყიან ადგილებში. უტყეო ადგილებში კი გვალვა სულს უხუთავს მოსახლეობას და წყალდიდობაც დიდად აზარალებს. ტყეების აჩეხვა დიდი უვიცობაა ან ბოროტმოქმედება. სამწუხაროდ ტყეების აჩეხვა ახლაც გრძელდება ზოგან. აი, რას ამბობს ერთი მგზავრი, სახელად ფუხარა, ამის შესახებ: „ოსიაურის პირდაპირ, მტკვრის პირას, მოჩანს მუხრანის ტყე. წინათ ეს უზარმაზარი და გაუვალი ტყე იყო—ათასგვარ გარეული ხილით გავსებული. ამავე დროს ეს არის მტკვრის შემბორკავი, რომ მარცხნივ აღარ გადმოლახოს მინდვრები და არ გააოხროს ერთი უნოყიერესი ადგილთაგანი მთელი ქართლისა. ამ ტყეს უკვე რამდენიმე წელიწადია შეუჩნდენ უგუნურად და მუსრს

ავლებენ. ახლა ისეა შეთხელებული მისი ტევრი, რომ ერთი თავიდან მეორე თავში გაქცეულ კურდღელსაც კი დაინახავს კაცი... იმის ქვევით გომის თავზედაც იყო უკეთესი და ულამაზესი ტყე, რომელიც თაიგულივით უნდა შენახულიყო მთელი ქართლის დასამშვენებლად. გარდა მრავალ სიკეთისა—ეს ნამდვილი ცოცხალი მუზეუმი იყო მცენარეებისა და ცხოველებისა. ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის შემდეგ ისე გაანადგურეს მთელი ეს ბუნებრივი ედემი, რომ ახლა ნასახიც კი აღარა ჩანს. მხოლოდ ოსების სასაფლაოსთან დარჩენილა ნაშთად პატარა ბუჩქი. მაშინ მტკვარი როგორ გაბედავდა თავისი კალაპოტიდან გადმოცილებას. ეს ტყე კაი ქვითკირის კედლივით იყო მის წინ აღმართული, შემდეგ კი მტკვარმა იმდენი იძალა, რომ ორი კილომეტრით დაშორდა მარჯვენა კალაპოტს და ყოველ წელიწადს მრავალ სახნავ მიწებს არღვევს მარცხენა მხრიდან. ზემოაგარა და ქვემო-აგარა ნახევარზე მეტად ლამის უკვე აჰყარა ძველი ბინიდან. გომის ბოლოზეც ბევრი დაარბია და აჰყარა. მრავალი მამული გააოხრა. ცოტა მოზრდილ წყალდიდობაზეც რკინის გზამდე გადმოდის წყალი და ემუქრება დანგრევით“.

— ზაფხულის სიცხეებში უტყეო სოფელი მართლაც გატანჯულია, წყაროც კლებულობს, რუც შრება, ადამიანთან ერთად საქონელიც სულშეგუბებულია. წყალს ისე დავეხარბებით ხოლმე, რაკი წყარო დაკლებულია და თითის სისხოდ გამოდის წყალი, ისიც ერთი წყარო თუა სოფელში, რომ ხშირად ჩხუბით თავდება საქმე.—ჩამოერია მიხო.

— მართალია.—დაემოწმა მასწავლებელი.—აგერ წაგიკითხავთ ერთს ასეთს ამბავს, რომელიც ჩვენი მწერლის ნიკო ლომოურის კალამს ეკუთვნის.

წყაროსთან.

თიბათვის პირველი რიცხვები იქნებოდა, როდესაც მე ხუთი დღის მგზავრი, ვუახლოვდებოდი ჩვენი გორიძირის არემარეს. მზეს თუმცა კარგა დაბლა დაეწია დასავლეთისაკენ, მაგრამ 'მაინც საშინელი სიცხის ბუღი ტრიალებდა ჰაერში. სჩანდა, რომ ამგვარი სიცხე ცოტა ხანი არ არის რაც აწევს აქაურობას: ხეებს და ვაზს უდროოდ დაჰყვითლებოდათ ფოთლები; დაგვალულს სიმინდებს მწუხრად დაეკიდათ ძირს თავიანთი დამჭკნარი ტოტები; გახურებულს მიწას ვეებ-ვეებერთელად დახეთქოდა ზემოთა პირი... ბევრიც რომ აქეთ-იქით გეცქირნათ, მწვანე ბალახს მაინც ვერსად ვერ დაინახავდით მთელს

მინდორზე. მის ნაცვლად აქა-იქ ეყუნტენ გარუჯული და გამხმარი ნარეკალები. რამდენიმე სული საქონელი ბღავილით ამაოდ დახეტიალობდა ამ მოტიტვლებულს მინდორზე; გამხმარს მიწაზე ხოხიალით და ეკლების ჭამით მათ საცოდავად დასდიოდათ სისხლი ტუჩებსა და ცხვირზე.

შევედი სოფელში. აქ უფრო უარესობა დამხვდა! ჩვენი პატარა რუ ისე დამშრალიყო, რომ მის ძირს თითქმის მტვერი ასდიოდა. მხოლოდ აქა-იქა-ღა დარჩენილიყვნენ პატარ-პატარა გუბეები და ესენიც ადამიანის სასმელად სრულიად არ ვარგოდენ: მათში, ზედიზედ მიკრობილნი, ეყარენ დამშეული და სიცხისაგან ენა-გადმოვარდნილი კამეჩები და კუდების ნელი, ზარმაცული ქნევით იგერებდენ გუნდგუნდად მათზე მისეულს ბუზებს. რაც შეეხება ადამიანებს, ესენი კარგა ხანს ვერსად ვერ დავინახე სოფელში. სჩანდა საშინელ სიცხეს ისინი შეერეკნა მათს სოროს მსგავს მიწურს სახლებში. სოფელში ისეთი სიჩუმე იყო დამყარებული, თითქო აქ მცხოვრებნი აყრილან და სხვაგან გადასახლებულან სადმეო. მაგრამ აი, ჩავიდა მზე და მისი ცხარე სხივები მოშორდენ დედამიწას. ჰაერი ცოტაოდნად გაინძრა, გრილმა ნიავმა წამოჰბერა ჩრდილოეთიდან; სოფელში ნელნელა გაჩნდა ხმაურობა, ადამიანთა და შინაურ პირუტყვ-ფრინველთა მოძრაობა.

— ჩქარა, ჩემო დედამთილო, თორემ სხვანი მოგვასწრობენ...— მოისმა ქალის ხმა იქვე ახლო ბაკიდან.

ცოტა ხანს უკან ამ ბაკიდან, თითქმის სირბილით, გამოვარდა მხარზე კოკა მოდებული ერთი ახალგაზრდა ქალი. ამას ცუხცუხით გამოჰყვა სახლიდან პატარა, დაბალის ტანის, კარგა მოხუცებული, მაგრამ ჯერ ისევ ჭახმაკი დედაკაცი; ამასაც ხელში კოკა ეჭირა. ესენი მოუდგენ ერთმანეთს გვერდზე და ჩქარის ნაბიჯით გასწიეს სოფლის ზემო ნაპირისაკენ. ამათ შემდეგ მოება კოკიანი ქალი ქალს, გაჩნდა გაცხარებული მოძრაობა, რომელიც კარგა ხშირ ბინდამდე არ შეწყვეტილა. ამ მოძრაობის დენას გავყევი მეცა. გავედი სოფლის ზემო ნაპირას და გადავხედე. ჩვენს პატარა „ცაქცაქა“ წყაროს; დედაკაცების სიმრავლისა გამო კარგა ხანს თვალიც ვერ მოვკარ მეიმას. ისეთი მჭიდროობა იყო იქა, ისეთი ყაყანი, ლანძღვა და გინება ისმოდა იქიდან, რომ თქვენ გეგონებოდათ—ერთი რამ ხაზინა უპოვნია ამ ხალხსა, მისევია და ახლა თვის შორის იყოფს მასაო. ყველა ეს კი წყლის მეოხებით ხდებოდა.

— ბაბალე, დედაშვილობასა, აგრემც ღმერთი შეეწევა ი შენ ერთ შვილსა, ბარემ მანდა ხარ და აამსე ე ჩემი კოკაც...—უთხრა ჩვენს

ნაცნობ პატარა ბებერს ერთმა ლამაზმა, შავთვალწარბა, ახალგაზრდა გოგომა.

— მოიტა, შვილო, მოიტა.—მიუკო მას ბებერმა.—აიმსოს ე ჩემი კოკა, მერე შენც აგიმსებ.

— გიჟი ხომ არა ხარ, ბებერო.—დაიძახა ერთმა მაღალმა, შუა ხნის დედაკაცმა.—აუმსო, რაა იჯარით აგიღია შენ ე წყარო... აიმსე შენა და წადი ჯანაბასა.

— ჯანაბასაც წადი და დოზანასაც,—დაიჩიფჩიფა მოხუცებულმა ბაბალემ,—მოგიხდია თავზე ლეჩაქი და მთელს სოფელს შენგან მოსვენება არა აქვს... —სთქვა რა ეს, მოხუცებულმა გადასდგა იქით თავისი ავსებული კოკა და მისწვდა ლამაზი გოგოს კოკას.

— ი შვილები არ დამეხოცება, რომ არ აგამსებინებ...—დაიძახა ერთმა ზორბა დედაკაცმა და გადმოსდგა თავისი კოკა წინ.

— ახლა ეს წამომეჩხირა აქა,—დაიყვირა მაღალმა დედაკაცმა და გადახტა წინა, მიაგდო გვერდზე ლამაზი გოგოს კოკა და თავისი მიუდგა წყაროს.

— მაშ თავზე ლეჩაქი აღარ მეხურება, რომ შენც მე დამიბრიყვო; ამდენი ხანია აქ ვიცდი და შენც ჩემზე წინათ უნდა აამსო!!—დაიძახა სიანჩხლით ზორბა დედაკაცმა და გადაილაჯა წინ, მიჭერა ფეხი წყაროსთან მიმდგარს კოკას: კოკა წაიქცა, ეცა ქვას და ზედ შუაზე ვადაიყარა.

ამის დანახვამ მაღალი დედაკაცი თითქო დაამუნჯა: ის კარგა ხანს გაშტერებული იდგა ერთს ალაგას; მაგრამ მისი გაფითრებული სახე და მაგრა მოკუმული ტუჩები კი ცხადად აჩვენებდენ მის სულის და გულის მდგომარეობას. ის უცებ გადახტა და გააფთრებული ეცა ზორბა დედაკაცს, უკანასკნელი მომზადებული დახვდა: ჩაავლეს ერთმანეთს თმებში ხელი და კარგა ხანს უძრავად შეჩერდენ ესე... შემდეგ გაიქნ-გამოიქნიეს ერთმანეთი, ამ ქნევაში მაღალმა დედაკაცმა დასძლია თავისი მოწინააღმდეგე, წააქცია და ქორივით დააჯდა ზევიდან. ქვეშითას მიეშველა რძალი, ზემოთას გასათხოვარი ქალი. ახლა ამათ შუა გაჩნდა ბღლაძუნი: ლოყების კაწვრა, ჩქმეტა და თმის ბდღენა. დედაკაცები ჩაცვივდენ შუაში და იწყეს მოჩხუბართა გაშველება. ჩვენი ბებრუხუნა კი გამოძვრა, წამოიდო მხარზე თავისი სავსე კოკა და ცუხცუხით გამოსწია შინისაკენ.

— ბებერო, ბებერო, სად გაძვერი, სადა?—მოსძახეს ქვემოდან სიცილით,—ასტეხე ჩხუბი და შენ კი მოძურწე შინისაკენ!!

— თვალებიჩ გამოხეთქიათ! ე ჩემი კოკა ხო ავამსე და ახლა თუნდა ერთმანეთიჩ დაგიჭამიათ.—იძახოდა პატარა მოკუნტული ბებერი და თანაც გამალებული გარბოდა შინისაკენ.

— რძალი მოგიკლეს, რძალი, ბაბალე!—დაუძახეს კვალად ქვემოდან.

— უი, ჩემ დანელებასა!—წამოიძახა ბებერმა და შესდგა, მობრუნდა უკან, მიიდო შუბლზე გაშლილი ხელი და თავისი ბებრუხუნა თვალებით გაიხედა წყაროსაკენ; საჩქაროზე გაარჩია სხვებისაგან თავისი რძალი, რომელსაც ესარგებლა მოხსენებული ჩხუბით და თავისი კოკა მიედგა თითქმის დამშრალ, თითის სიმსხოთ-ღა გამომავალ წყაროსათვის.

— ვენაცვალე ჩემ მარიამაშა! იმაშ ხელ ვინ დააკარებს? მერე ავ დღეს დააყრის იმაშ მაგისი ქმარი!—თავისთვის სთქვა ბაბალემ და მიბრუნდა ისევ შინისაკენ. ამ დროს განმავლობაში მოჩხუბარნი დამშვიდდენ; მარიამამაც აავსო კოკა, შეიდგა მხარზე და სირბილით გამოუდგა უკან თავის დედამთილს: შუა გზაზე დაეწია მას და ორთავემ ერთად სიცილით და ლაპარაკით შეაღეს თავიანთი ბაკის კარი.

ქართლელი.

ოქროყანაში.

შორიდანვე გადაიშალა ჩვენს თვალწინ მთის კალთაზე შეფენილი სოფელი ოქროყანა, რომელიც მთაწმიდის თხემის ახლო, ორიოდე კილომ. მანძილზე მდებარეობს. რუხსა და უფერულ მიდამოებს ეს სოფელი თავისი ერთი მუჭა სიმწვანით ოდნავ მაინც აფერადებს და თავისებურ სილამაზეს ჰგვრის.

ვეწვიეთ. გული გულს იცნობსო—ნათქვამია და ჩვენც პირდაპირ ადგილობრივ სკოლას მივაშურეთ. მეცადინეობა არ იყო. მასწავლებელი დაღონებული დაგვიხვდა: რამდენჯერ ჩამოვუარე გლეხებს, ვთხოვე გამოეგზავნათ სკოლაში ბავშები, მაგრამ არ უშვებენ, ვერ ელევიან, სამუშაოს ვერ აცდენენ—შემოგვჩივლა მან. სკოლის დარაჯი გიორგი იქვე გაჩნდა და თვალიერება დაგვიწყო. ჩვენც ვისვენებდით და აქეთ-იქით ვიცქირებოდით. გარემოცული ბუნება თვალს არ იტაცებდა, მაგრამ მღელვარე ქალაქის სანახაობის შემდეგ ეს მყუდრო სოფელი მაინც გვიზიდავდა, რაღაც გამოურკვეველ კმაყოფილებას გვინერგავდა. სოფლის დუმილმა თითქო ჩვენც დაგვადუმა.

— ნეტავ, რათ დაერქვა ამ სოფელს ოქროყანა?— დავარღვიე ბოლოს სიჩუმე.

— აი, ვკითხოთ აქაურებს. კიდეც იმისთვის ამოვედით, რომ ყოველ კითხვაზე პასუხი აქ ვეძიოთ და ადგილობრივ გამოვარკვიოთ.— სთქვა მასწავლებელმა.

— მაგას კი დედაჩემი შოგახსენებთ. — მოგვეშველა დარაჯი გიორგი. და უმალვე გადასძახა დედას. მალე ჩვენთან მოვიდა ერთი ხანში შესული დედაკაცი, სალამი გავცვალეთ და შემდეგ, როცა გაიგო, რისთვისაც დავუძახეთ, დაჯდა და სიამოვნებით დაიწყო:

ლეგენდა—რათ დაერქვა სოფელს ოქროყანა.

უძველეს დროში აქ სანაქებო მოსავალი იცოდა, პურის ყანები ზღვასავით ღელავდა. ერთ ზაფხულში მკის დროს ერთმა გლეხმა ყანაში ოქროს თავთავიანი პური იპოვა. გლეხი სიხარულმა აიტაცა. მოსჭრა და ხელმწიფეს მიართვა ეს ოქროს თავთავი. ხელმწიფეს მოეწონა ეს დიდებული ძღვენი და სამაგიეროდ გლეხს თავის საჯინიბოდან საუკეთესო ბედაური აჩუქა, თან უთხრა: შეაჯექ ამ ბედაურს, გააჭენე და, რა სივრცესაც შემოურბენს ერთი დღის განმავლობაში, მთელი ის არემარე შენი კუთვნილება იყოს და მას სახელად ოქროყანა დაარქვიო. შეაჯდა გლეხი ბედაურს, გააჭენა და ერთს დღეში თვალუწვდენელი სივრცე შემოირბინა—წავკისი, შინდისი, ტაბახმელა და წყნეთი. ეს თვალუწვდენელი არემარე გლეხს მიაკუთვნეს და გლეხმა პირობისამებრ მას ოქროყანა დაარქვა.

მაგრამ ქონებას გონიერი მოვლა უნდა. გლეხი კი ლოთობას შეუდგა და ეს სიმდიდრე გაანიავა. ბოლოს ისე შემოეცალა ხელში თავისი სამფლობელო, რომ მხოლოდ-ღა ეს ხრიოკი და მწირი სოფელი შერჩა. ახლა კი მარტო ამ სოფელს ჰქვიან ოქროყანა.

— მე კი მეგონა ამ სოფელში ოქროს ყანები თუ იცოდა და ამიტომ დაერქვა ასეთი სახელი.—სთქვა ქეთომ.

— სოფელიც აგერაა და თქვენცა, აბა, თუ სადმე ნახავთ ოქროს ყანებსა.—სიცილით სთქვა გიორგის დედამ.

მოყვარე გამოგვადგა.

— ახლა კი სოფელი დავათვალიეროთ!—სთქვა მასწავლებელმა.

ავიშალენით და სოფლის დათვალიერებას შევუდექით. გავეცანით რამდენადმე სოფლის მდებარეობას, ბუნებას და მცხოვრებთა რაოდენობას.

სოფელს რომ ვათვალიერებდით, ამ დროს თვალი მოგვკრა ერთმა შუა ხნის დედაკაცმა, რომელიც დოიჯ-შემოყრილი იდგა თავისი სახლის წინ და ჩვენს მასწავლებელს თვალს არ აშორებდა. შემდეგ მან თავსაფარი გაისწორა, ტუჩებზე ორი თითი გადაისვა და ჩვენსკენ გამოსწია.

— ნათლიაჩემო, როგორ განზე დაიარებით, ერთი ჩვენთანაც შემოიხედეთ!—მიმართა მან ჩვენს მასწავლებელს.

— ჩემს ნათლიდედას ვახლავარ.—სიხარულით გასძახა მასწავლებელმა, ჩქარი ნაბიჯით შეეგება მას და ხელის ჩამორთმევით და

მხრებზე ამბორით ერთმანეთს მიესალმენ.—ჯერ სხვა საქმეს მოვრჩებოდით და მერე თქვენც მოგინახულებდით, ჩემო თინია, მაგრამ, რაკი არ ითმენთ, ახლავე მოვალთ თქვენსა.

ავედევნეთ კვალში მასწავლებელს და მისი ნათლიდედის სახლის წინ გავჩერდით. იქვე ჩამოვსხედით. სიჩუმე ჩამოვარდა.

— უი, ქა,—სთქვა გაკვირვებით თინიამ.—ამდენი ჯარი-ჯამაათი რა მშვიდად არის. თვალი კი დაუდგეს ჩემს ორ ქაჩალა გოგობიჭსა, ორნი არიან და სახლობას სუ მთლად იკლებენ.

— ჩემო ნათლიდედ, ესენიც თითქმის ყველანი სოფლელები არიან, მაგრამ ქალაქურმა ცხოვრებამ გამოსცვალა, იქ სხვა წესია და სხვა პირობები. თქვენი თაფლო და შაქრო, ის ჩემი ნათლულები, სხვაგვარ პირობებში ცხოვრობენ და ზნე, ხასიათი, ჩაცმა-დახურვაც თავისებური აქვსთ. ამ ჯგუფში რამდენიმე ქალაქელი ბავშიც მყავს, რომელთაც სოფელი არ უნახავსთ და ასე ჰგონიათ, სოფელშიაც ისეთი ყოფა-ცხოვრებაა, როგორც ქალაქში.

— მასწავლებელო, მაშ, როგორაა? — იკითხა ქალაქელმა ვახტანგმა.

— ხომ მართალი მითქვამს, ნათლიდედ, ხედავ—რას კითხულობს ვახტანგი, ერთი, გეთაყვა, გააცანი ამას შენი თაფლო და შაქრო.—მიმართა თინიას მასწავლებელმა.

— აბა, როგორ შევადარო ამ ყმაწვილს ჩემი თაფლო და შაქრო. საწყლები სამწყესურში მყავან, დღეს სკოლაშიაც ვერ გავგზავნე, სამუშაოს ვერ მოვაცდინე. ახლავე დავუძახებ, აქვე ახლო იქნებიან.

და გასძახა თინიამ თავის თაფლოსა და შაქროს.

— ნათლიდედ, ჩემი ნათლიმამა სად-ღაა რომ არ ჩანს, ხომ კარგადაა?

— კი მოგეხსენებათ, ჩვენი სოფლის ამბავი: მამაკაცები თითქმის ყველანი ქალაქს არიან წასული. ზოგი რძისა და მაწვნის გასაყიდად, ზოგი შავ მუშად, ზოგი მხერხავად. მაგრამ აი, მოდის კიდეც, დაბრუნებულა.—თინიამ შუბლზე გაშლილი ხელი მიიდო და მომავალ სესიას მიაჩერდა. სესია აღმართზე ნელა მოაბიჯებდა და თავის ლურჯა სახედარს მოერეკებოდა. მოვიდა. მოგვესალმა. ნათლიას ნახვა ესიამოვნა. ისედაც ხალისიანად იყო: მაწვნის ქილები სულ დაცლილი ამოიტანა ქალაქიდან და, ალბად, იმიტომ.

მალე თაფლო და შაქროც გამოჩნდენ და დერეფანში აიტუზნენ, ახლო მოსვლას ვერ ბედავდენ.

— აქ მო, შაქრო, ნათლიასთან.—მიმართა მას სესიამ.

შაქრო გაუბედავი ნაბიჯით მოგვიახლოვდა.

სოფლელი ბავშვი.

— ჰაიგიდი, როგორ არა ჰგავან ერთმანეთს სოფლელი და ქალაქელი ბავშვები.—სთქვა სესიამ და ჩიბუხი გააბოლა.—ჩვენი თაფლო და 'მაქრო აბა, რაში ჰგავან ამათა.

— მართლა და როგორ შევადარო თქვენი ვახტანგაი ჩემს შაქროსა.—სთქვა თინიამ, ხელი მოავლო ვახტანგს და თავისკენ მიიზიდა, შაქროც წინ დაუყენა და განაგრძო.— აბა, სად შენი ლაპლაპა წაღები—მიმართა მან ვახტანგს,—და სად ამისი გაცვეთილი ქალამანი—მიუთითა შაქროზე,—სად შენი ნაქსოვი წინდა და სად ამისი წინდა-პაიჭი; სად შენი მაუდის შარვალი და სად ამისი ფარფაშა ჩითის შარვალი—ისიც ძლივს ვუყიდე ახლა ქალაქში, თორემ აქამდე მე თვითონ ვუქსოვდი ხამი შალისაგან; სად შენი ლურჯი ტანისამოსი და სად ამისი რუხი ახალუხი—ისიც, დამიდგეს თვალი მის ურგებ დედასა, სულობით შემოეძარცვა; აგერ თეთრი პერანგი რომ გიჩანს სამაჯურზე, ამას ნარმის პერანგი ძლივს ვუყიდე შარშან საახალწლოდ, თორემ სულაც არ ცმია ამ ბედკრულსა. აბა, ერთი შენი ქუდი მიჩვენე.

ვახტანგმა თავისი ქუდი მიაწოდა.

— აბა, სად ეს ქუდი,—შეატრიალა თინიამ ხელში ვახტანგის ქუდი,—და სად ჩემი შაქროს ბოხოხი, ბიძამისის გამონაცვალი რომ ჰხურავს თავსა და ნახევრად ბეწვ-გაცვენილია. რომელი ერთი მოვთვალო, შვილო,—ამ სუსხიან ზამთარში ერთი უბრალო ტყავის თექაც ვერ ვუშოვე ამ უბედურსა. ანი შენი ტოლ-ამხანაგი როგორ შევადარო ჩემს თაფლოსა,—სთქვა თინიამ და ნუკაზე მიუთითა,—ჩემი თაფლო ნახევრად ფეხშიშველი დამიდის სამწყესურში დაკონკილი კაბითა.

ამ ამბავმა ყველანი დაგვალონა.

ჩაცმა-დახურვა.

— ბავშვები ხომ ასეთ ყოფაში არიან, მაგრამ არც დიდები ვართ უკეთეს დღეში.—დაუმატა სესიამ.— ქალამანი, პაიჭი, ძველი ჩოხა-ახალუხი, ტყავის თექა და ხელში სახრე—აი, ჩვენი სამკაული. საცვალი ხომ ან არა გვაქვს, ან ტანზე გვაცვდება. ქართლელი რომ ფერდის ძალიან თხელი ტყავისაგან უბრალო ქალამანს გაიწყობს, სიამოვნებით იტყვის:

ქალამანი ამოვასხი
დეკეულა, ფერთხელაო!

ეს კია, რომ, როგორც ბავშებში, ისე დიდებშიაც გამოერევიან ისეთნი, რომელნიც ადამიანურად ცხოვრობენ, მაგრამ მეტი წილი სიბნელეში და სიღატაკეში ვცხოვრობთ. ჩაცმა-დახურვის შნო კი აქვს ქართლელს, თუ რამე ეშოვება. აგერ მომაგონდა ჩვენებური ხალხური შაირი, თუ რადარანაირ ტანისამოსს პირდებიან ერთმანეთს ნათლია და ნათლიდედა:

— ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— წინდა-პაიჭს გიმზადებ,
ლეკვერთხებსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ქოშებს გიყიდი,
წვივ-საცმელსაც ზედაო.
ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ვბედავო?
— კაი პერანგს გიკერავ,
ახალუხსაც ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი კაბას მოგიტან,
კარგ სარტყელსაც ზედაო.
ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ჩოხას მოგიტან,
კაი ქამარს ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ლეჩაქს მოგიტან,
კაი ბაღდათს ზედაო.
ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
— კაი ქუდსაც მოგიტან,
ბურსეულსაც* ზედაო.
— ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ჩიხტას მოგიტან,
კაი კოპსაც ზედაო.

* ბურსეული — თხელი საპერანგე.

ბინა და ოჯახის მოწყობილობა.

— არც საცხოვრებელი ბინა გვაქვს სახარბიელო.—სთქვა საყვედურის კილოთი სესიამ.—აი, ჩემი სახლი: უბრალო, ბრტყელი რიყის ქვით არის აშენებული სილისა და კირის შემწეობით. ამისთანა სახლს **ქვითკირი** ჰქვიან. ჩემი ქვითკირი კრამიტით არის დახურული, ზოგისა კი ყავრით. ზოგი კიდევ თავის სახლს თიხის გამოუმწვარი აგურებისაგან ანუ ალიზისაგან აშენებს, იმისთანა სახლს **ალიზის სახლი** ჰქვიან. ალიზის სახლსაც ან კრამიტით ან ყავრით ჰხურავენ ხოლმე. ქვითკირის სახლს აი, ასეთი **დერეფანი** აქვს წინ, დერეფნიდან შეხვალ დარბაზში კარებიდან. კარების ორსავ მხარეზე კედელში სარკმელებია დატანებული. შეხვალ და იქაც სილარიბე გიწყალებს გულსა.

— არ შეიძლება, დავათვალიერებინოთ ბავშებს?—სთხოვა მორიდებულად მასწავლებელმა.

— რატომ არ შეიძლება, დასამალი რა არის. შემობრძანდით. — ნება დაგვრთო სესიამ.—აი, ფიცრის ტახტი.—განაგრძო სესიამ და გვაჩვენა ტახტი, რომელსაც დიდი ადგილი ჰქონდა მოკავებული და იატაკიდან დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლე ექნებოდა.—ტახტზე დაფენილია ნოხები და აწყვია რამდენიმე მუთაქა. აგერ ბუხარი —ერთერთ კედელში ამოშენებული, აგერ რამდენიმე ზანდუკი, სკივრი და წპურის შესანახი კიდობანი, კედლის გასწვრივაა გამწკრივებული, აგერ თაროზე ჯამ-ჭურჭელი; ქოთანი, ჯამები, ციცხვი, ქაფქირი, კეცები, შამფური, თაბახი, ტაბაკი, ხონჩა, როდინი, რძისა და ბაწვნის ქილები, ორიოდე ყანწი, ღვინის ხელადები, წყლისათვის

როდინი.



ხელსაფქვავი.

ლიტრები, წნილის ჩასადებად ხალამი, ქილა; აგერ ვარცლი, ხელსაფქვავი, ცხრილი, ცხავი, კოკები, თუნგი, კასრი. აგერ გარეთ ჩვენი ურემი, გუთანი, ორთითი, სამთითი, ფიწალი, ბარი, ნიჩაბი, თოხი, ფოცხი. არნადი. მაგრამ დასახელება მარტო რის მაქნისია, თუ მათი დანიშნულება არ გეცოდინებათ. ერთი პატარძლისა არ იყოს, თავისი უჭკუობით რომ ვერ გამოიყენა ოჯახის მოწყობილობა. იქნებ გაგონილიცა გაქვსთ ეს შაირი.—სთქვა სიცილით სესიამ.

— აბა, ერთი გვითხარი.—შევძახეთ ბავშებმა. სესიამ ულვაშებში ჩაიცინა და დაიწყო:

ახალი პატარძალი ვარ, ჭკუა ვერ მოვიგონეო;
ჩიქილით * სახლი დავგავე, ცოცხი ვერ მოვიგონეო;
ადგილზე ცომი მოვზილე, ვარცლი ვერ მოვიგონეო;
კედელზე პური დავაკარ, თონე ვერ მოვიგონეო;
საცერი ცეცხლსა მოვარქვი, კეცი ვერ მოვიგონეო.

სესიას შაირმა ბავშები გულიანად გაგვაცინა. მართლაც ბევრი ჩვენგანი იმ უჭკუო პატარძლის დღეში ვიყავით. მაგრამ სესიამ არ დაგვამადლა და ჩვენთვის უცნობი ნივთების დანიშნულება აგვიხსნა.

— **ბარი**—მიწის სათხრელია და საბარავია, **თოხი**—გასამარგლავად იხმარება, რომ ნათესს უვარგისი მცენარე მოაშორონ და ნათესი არ დაიჩაგროს, **ფიწალი** საქცევად და სანიავებლად იხმარება, **ფოცხი**—თივის შესაგროვებლად, **არნადი**—ხვავის შესაგროვებლად და ბზის შესაწევად, **ორთითი**—თივისა და ძნის მისაწოდებლად, აგრეთვე ლეწვის დროს საქცევად, **ნიჩაბი**—ნათხარი მიწის ერთი ალაგიდან მეორე ალაგას დასაყრელად.

— კარ-მიდამოსაც გაგვაცანი, ნათლია.—სთხოვა შემდეგ მასწავლებელმა.

— ესეც ჩემი კარ-მიდამო, ეზო-გარემო.—სთქვა სესიამ და მიგვითითა.—აგერ სათონე, ბოსელი, სასიმინდე, ბეღელი, ბაკი, სახლის მახლობლად რომ აგერ თავისუფალი ადგილია, ამ ადგილას კალო იმართება ხოლმე თავის დროზე. საყანე მიწები კი სოფლის გარეთ გვაქვს, მიწის დიდი ნაკლებობაა ჩვენს სოფელში. მეტნაწილად სხვა შორეულ ადგილებში გვაქვს აღებული საყანე მიწები. ასეთი სიღარიბეა ჩვენში. მაგრამ კიდევ არ ვემდური ბედსა, ძველად ჩემი მამა-პაპა უარეს დღეში იმყოფებოდენ. მზის სინათლეც კი მათთვის სანატრელი იყო, მიწის ქვეშ ბნელ სოროში ცხოვრობდენ. სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის წინათ ოქროყანელები ყველანი მიწის ქვეშ ვცხოვრობდით, ბნელ სოროში.

— როგორ თუ მიწის ქვეშ, სოროში?—გაიკვირვა ვახტანგმა.

— დიაღ, მიწის ქვეშ გვქონდა სადგომი გამართული, რომელსაც მიწურს ვეძახდით.

---

* ჩიქილა—ლეჩაქი.

მ ი წ უ რ ი.

— ჩვენს სოფელში ერთ ადგილას ახლაც დარჩენილია მიწური, მაგრამ შიგ აღარავინ ცხოვრობს, გნებავთ გაჩვენოთ.—სთქვა სესიამ.

— უთუოდ უნდა გვაჩვენო,—უთხრა მასწავლებელმა.

სესია წინ წაგვიძღვა. ცოტა რომ გავიარეთ, ვახტანგმა ჰკითხა სესიას:

— კიდევ შორსაა?



მ ი წ უ რ ი.

— უკვე ზედ დგახარ. ფრთხილად იყავი, ერდოდან არ ჩავარდე, აგერ ერდო.—სთქვა სესიამ. ყველა გავოცდით, ვისაც კი მიწური არ გვენახა.—წინიდან დავუაროთ.—გვირჩია სესიამ. მივყევით კვალში და მიწურის წინ კარებთან შევჩერდით.

— ეს როგორი სადგომია? რასა ჰგავს? მართლაც სოროა!—გაიკვირვა ვახტანგმა.

— გინდათ მიწურის აშენების წესს გაგაცნობთ?—იკითხა სესიამ.

— გვინდა, გვინდა!—შევძახეთ ყველამ.

— მაშ, ყური მიგდეთ. როცა სახლისათვის მასალას დავამზადებდით, გავთხრიდით მიწაში ოთხკუთხიან ‘ოზომილ ასეთს ორმოს და შიგ, მიწის იატაკზე, საძირკველს გავსკვნიდით. საძირკველზე ოთხივე კუთხეში ავმართავდით ბოყვებს, რომელთაც გვერდები შეჭრილი

ჰქონდა ფიცრების შესაწყობად. თუ სახლი დიდი იყო, ბოყვი ოთხ-ზე მეტი დასჭირდებოდა როცა კედლებს ავიტანდით, ზედ სარტყელს გადავავლებდით. სარტყელზე არდიგარდ გავაწყობდით ორ-ორს შუაზე კარგად ამოზნექილ ხეებს, მაგრამ ისე კი, რომ სახლის შუა ადგილი თა-ვისუფლად დარჩენილიყო კერასთვის. იქ, სადაც ხეები შეიყრებო-



დარბაზი (ერდოდან ჩამოსულა თვირნათენი—მზის შუქი).

დენ, ქვემოდან ავმართავდით ოთხს სვეტს ანუ დედაბოძს, რომელზე-დაც დამაგრებული იყო ზემოდან ბანდუში ანუ ბალიშები სიმაგრი-სათვის. ამგვარად ბანდუშებზე იდო დიდი ხეები. ამ ხეებზე გავაწყო-ბდით კოჭებს და კოჭებზე ვიწრო ფიცრებს. ფიცრებზე მივაყრიდით

მიწას და ბანიც მზად იყო. დედაბოძზე ზემოთკენ—თუ დარბაზად გვინდოდა სახლი—ავმართავდით გვირგვინს, რომ ზემოთკენ ადვილად ედინა კომლსა და სინათლეც საკმაოდ ჩამოსულიყო. გვირგვინი ღია იყო. ამ ღია ადგილს ერდოს ვეძახდით.

მიწურში უმთავრესი საცხოვრებელი ადგილი **დარბაზი** იყო. დარბაზში შეიძლებოდა შესვლა ეზოდან ანუ, როგორც ჩვენში იტყვიან, კარმიდამოდან. დარბაზის ბრტყელი ჭერი, მუხის ძელებისაგან გამზადებული და **დედაბოძებზე** დამყარებული, კომლისაგან იყო გამ-

მიწურის გვირგვინი ერდოთი.

ჭვარტლული. ზოგჯერ დედაბოძს ვაჩუქურთმებდით და ვალამაზებდით ბოლმე. ჭერის შუა ადგილას, სადაც **ერდო** გვქონდა, ძველად ჩამოკიდებული ჰქონიათ რკინის ჯაჭვზე ქვაბი და ამგვარად შუა დარბაზში **კერა** ყოფილა გამართული. მაგრამ შემდეგ კერა გააუქმეს და მიწურის ერთერთ კედელში ბუხარი ამოაშენეს.

მიწურის კედლები მეტნაწილად უფიცრო იყო, იატაკიც **მიწის** იყო, უფიცრო. სახურავი ბრტყელი ჰქონდა, თიხისაგან გამზადებული და ოდნავ იყო აცილებული მიწის ზედაპირიდან. ამგვარ სახურავს სახელად **ბანი** ერქვა.

დარბაზის მეტი ნაწილი ტახტს ჰქონდა მოკავებული. ტახტზე ეფინა ნოხები და ეწყო რამდენიმე მუთაქა. ამ განიერსა და ვრცელ ტახტზე სადილად სხდებოდა მთელი სახლობა, ღამით კი დასაძინებლად წვებოდენ ზედ. დარბაზში რამდენიმე კიდობანი ან კალათები იყო სხვადასხვა საჭიროებისათვის. თაროზე ჯამ-ჭურჭელი ელაგა. მაგიდა და სკამები სულაც არ იყო ხმარებაში.

დარბაზთან მეტნაწილად მიდგმული გვქონდა **ბოსელი**, სადაც ჩვეულებრივ ზამთრობით ვამწყვდევდით მუშა-საქონელს. აქვე ახლო გვქონდა **სათონე**, სადაც პურს ვაცხობდით. ბოსელი მოფენილი გვქონდა ტივის მზგავსად შეკრული მუხის ძელებით, რომელსაც **ზღვე** ერქვა. ბოსელის გასწვრივ თავისუფალი, ამოღრმავებული ადგილი იყო საქონლის განავალის დასაგროვებლად და შარდის სადინრად. განავალი ყოველდღე გარეთ გაგვქონდა ან გამოვყრიდით იმ ხვრელიდან, რომელიც განგებ გვქონდა ბოსელის ერთერთ კედელ'ში დატანებული. მიწურის მახლობლად მოწნული გვქონდა **ბაკი**, სადაც ზაფხულობით ვინახავდით მუშა-საქონელს. სახლის ახლო, ეზოს ნაპირას **საბძელი** გვქონდა, აგრეთვე **სახიმინდე**. ეზო-გარემოს, რომლის გარშემოც ეს შენობები იდგა, სახელად **სახლ-კარი** ერქვა. სახლკარის შუა ადგილას თავისუფალი საკალოე ადგილი იყო, სადაც კალოობის დროს კალო იმართებოდა.

დღეს თითქმის ასეთივე მოწყობილობისაა ჩვენი სახლ-კარი, მხოლოდ მიწურების ნაცვლად ქვითკირები ან და ალიზის სახლები გვაქვს მიწის ზევით აშენებული.—დაამთავრა საუბარი სესიამ.

— მე მაინც ის მიკვირს, ამგვარ მიწურში რა აძლებინებდა კაცს?—სთქვა ვახტანგმა.

— განა მეც ამგვარ მიწურში არ დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ რითა ვარ შენზე უარესი.—ითაკილა ნიკამ.

— არა მარტო შენ, მიწურს ბევრი დიდი მოღვაწე აღუზრდია, —სთქვა მასწავლებელმა.—აი, მაგალითად, თქვენი და ყველა ქართველი ბავშის გულის მესაიდუმლე, ჩვენი სიყრმის მეგობარი, ძია **შიო მღვიმელი**, ისიც ხომ მიწურში დაიბადა სოფ. ბრეთში. რომ დავიბადეო,—ასე მითხრა ძიამ,—ბოსელი, სათონე, საბძელი და საკალოე დამანათლესო. ან კიდევ ჩვენი გლეხობის ქომაგი, ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლი მწერალი **დანიელ ჭონქაძე** განა მიწურში **არ** დაიბადა სოფ. ყვავილში (ჭონქაანთ კარში) და იქ არ აღიზარდა! იმ მიწურის ნაშთი დღესაცაა დაცული სოფ. ყვავილში: დანიელის შვილის ოჯახს დიდი სახლი დაუდგამს ამ მიწურის ადგილას, მაგრამ თვითონ მიწურს კი იცავენ დღემდე სახსოვრად.

— ჩვენს სოფელშიაც ზოგიერთ ოჯახს სახსოვრადა აქვს შენახული თავისი ძველი მიწური.—ჩამოერია სოსო.

— არც ისე დასაწუნია მიწური. ჩვენებურ სუსხიან ზამთარში მიწური კარგ საქმეს გვიშვრებოდა, საკმაოდ თბილოდა შიგა; ან და ზაფხულობით პაპანაქება სიცხეში ჩვენს მიწურში კარგად გრილოდა. ერთი უბედურება ის სჭირდა, რომ, როცა ერდოდან წყეული ქარი შემოიჭრებოდა, მიწურში კომლს დაგვიბუგებდა და გაგვამწარებდა. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ ის მოვიგონეთ, რომ ერდოზე ჩამოცმული გვქონდა უძირო კოკა ან ქოთანი. არც ის იყო ჯან-ლონისათვის სასიკეთო, რომ ადგილის სივიწროვის მიუხედავად ზოგჯერ ზამთრობით საქონელიც გადმოგვყავდა ბოსლიდან მიწურში, რადგან ცეცხლის დანთება ორს ადგილას—მიწურშიაც და ბოსელშიაც—არ შეგვეძლო. მაგრამ ყველაზე უფრო მეტად სახიფათო იყო ნიაღვრის მოვარდნა, რომელიც სახლობას აგვიწიოკებდა ხოლმე.—დასძინა სესიამ.

— ნიაღვრის მოვარდნა და მიწურის აწიოკება კარგადა აქვს აწერილი ჩვენს მწერალს ნიკო ლომოურს,—სთქვა მასწავლებელმა, გადაშალა რვეული და წაგვიკითხა:

ნიაღვრის ძალა.

უცებ ცამ დაიგრიალა და გაისმა ქუხილის ხმა. ამ ხმამ მთელი სოფელი თითქო ღრმა ძილიდან გამოაღვიძა: სოფელში გაჩნდა ხმაურობა, ხალხი გამოიფინა ბანებზე.

ცა დაიფარა ლურჯ-მოშავო ღრუბლებით; გაჩნდა ჰაერში ჭექა-ქუხილი, შხაპუნა წვიმამ დაუშვა კოკიპირულად. უცებ ჰაერში გაისმა რაღაც გრიალი, ზუზუნი; გავიდა ორიოდ წამიც და უბედურ გორიძირელებმა ცხადად დაინახეს გვალვაზე არა ნაკლები თავიანთი ამომგდები მტერი—სეტყვა. ხალხი მიიმალ-მოიმალა. ცოტა ხანს უკან საყდრის ზარებს აუყენეს რაკა-რუკი, მაგრამ სეტყვა თავისას არ იშლიდა. ნახევარი საათის განმავლობაში მსხვილ თხილის ტოლა სეტყვას გაჰქონდა შესაზარი გრიალი მთელს არემარეზე. მიწა მოიფინა სეტყვით, გაჩნდა ნიაღვრები. დაქანებული მთიდან მოეცა სოფელს წყლის დიდრონი ნაკადულები.

— არიქათ, გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე, გვიშველეთ, ვიხრჩობით,—გაისმა უცებ დედაკაცის ხმა. ამ დაძახებამ მთელს სოფელში ასტეხა ხმაურობა.

— ხალხო, უშველეთ, უშველეთ... კაციაან ნიაღვარმა წაიღო.—მოისმა ვანოს ხმა. პატარა ხანს უკან გამოჩნდა თვით ვანოც. თავ-

შიშველ-ფეხშიშველა ის ყვირილით გარბოდა კაციაანთ სახლისაკენ; აი, მივიდა კიდეც ამ სახლთან. ნიაღვრის ვეებერთელა ნაკადული მისცემოდა ღრმად ჩათხრილ მიწურს, ჩამოეგდო კარები და გრიალით შედიოდა სახლში. ვანო საჩქაროზე გადახტა წყალში და ბარბაცით შეჰყვა მას სახლშია, სახლი ნახევრობამდე წყლით იყო სავსე. ძაღლი, ქათამი, ინდოური, კასრი, გოდორი და სხვა სულ ერთმანეთში იყვნენ არეული: ზოგი ამათგანი იხრჩობოდა, ზოგიც მოეტივტივებინა აქაფებულს წყალს და გაჩქარებით მიქონდ-მოქონდა აქეთ-იქით. სახლის პატრონ ცოლ-ქმართ ბავშები ფქვილის გოდრებზე შეესხათ, თვით კი, რაც მოხვდებოდათ, აყრიდენ კარებს.

— გვიშველე, შენი ჭირიმე, ვანო, გვიშველე! —დაიძახეს ცოლ-ქმართ, როდესაც ვანო მათ წინ გაჩნდა.

— ქვემო კედელი ხევისაკენ არის, აბა მივაწვეთ იმას, ეგები გადავანგრიოთ.—სთქვა ვანომ და გაჰქანდა კედლისკენ; მივიდა ამ კედელთან, მიაბჯინა ზურგი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაწვა მას. ცოლ-ქმარნი მიეშველენ ვანოს; ამ დროს სახლში შემოცვივდენ შვიდი-რვა გლეხკაცნი და ესენიც მიეხვივნენ ქვემოთა კედელს. კედლის ერთმა ნაწილმა დაიგრიალა და გადაწვა ხევში. დაგუბებულს წყალს მიეცა გზა, ოჯახობა გადაურჩა დაღუპვასა. მშველელნი გამოცვივდენ აქედან და გაჰქანდენ ახლა მეორე გლეხის სახლისკენ, საიდანაც ისმოდა საშინელი ჟრიამული.

— არიქათ, ბიჭებო, ჩვენ სოლომანას შევარდნია ნიაღვარი...— დაიყვირა ვანომ და მოუმატა სირბილს. უცებ გაუსხლტა ფეხი, დაეცა ძირს და თავი დაჰკრა ქვასა... სისხლი თქრიალით ჩამოედინა შუბლზე; მაგრამ ვანომ თითქო ვერც კი იგრძნო ესა: მსწრაფლად წამოხტა ისევ ფეხზე და ერთს წამს თავის ამხანაგებით მიიჭრა მოხუცებულ სოლომანას სახლთან. აქ უფრო დიდი ნაკადული შედიოდა სახლში; მეორე უბედურებაც მასში მდგომარეობდა, რომ ხალხი მთლად მიწაში იჯდა და არა ჰქონდა გასანგრევი კედელი.

— ნიაღვარი გადუგდეთ იქით, ნიაღვარი!—დაიძახა ვანომ.

რამდენიმე გლეხი ეცა ნაკადულს, ზოგნიც შეცვივდენ სახლში, კარებთან ესენი შეეფეთენ გიგოს, რომელსაც ხელში ეჭირა სოლომანა (მწოლიარე ავადმყოფი) და მოიწევდა კარებისკენ, მაგრამ აი, მიჰკრა მას მძლავრმა ნაკადულმა, დასცა ძირს და გორაობით წაიღო ქვემოთკენ. ახლად შესულები მიეშველენ გიგოს და სოლომანა საჩქაროზე გამოიტაცეს კარზე, მაგრამ ეს შველა გვიან-ღა იყო. დასუსტებულ, ავადმყოფ მოხუცებულისათვის ლოგინში მოესწრო ნიაღვარს,

ეყლაპებინა რამდენჯერმე წყალი და გიგოს ხელში დამხრჩვალიყო საწყალი. ამის გამოტანის შემდეგ უვნებლად გამოასხეს სახლიდან მისი ცოლშვილიც. კარებზე გაჩნდა ერთი საშინელი ტირილი და წიოკობა. მთელი სოფელი თავს დაედო ამ უბედურთა: ასე გასინჯეთ ბავშვებიც კი დასტიროდენ კეთილ, ჭკვიან მოხუცებულ სოლომანას.

რამდენსამე სხვა გლეხკაცთაც შეუვარდათ სახლში ნიაღვარი: ერთს მათგანს დაუხრჩო ხბო, მეორეს ხარი... სხვანი მშვიდობით გადაურჩენ უბედურებას; მაგრამ ვენახები, ვენახები!!!

— ჩვენს სოფელში მიწურები სულაც არაა და არც ისეთი ბწირი ბუნებაა, როგორც აქ ოქროყანაში.—ჩამოერია სიკო.

— მაშ, როგორია თქვენი სოფელი?—ჰკითხა ვახტანგმა.

ჩვენი სოფელი.

ჩვენი სოფელი—დაიწყო სიკომ—ძევს გაშლილ ვაკეზე. აღმოსავლეთით ჩამოუჩხრიალებს წმინდა ცივი, ანკარა მთის წყარო; ჩრდილოეთით აკრავს დაცემული ტყე; დასავლეთით და სამხრეთით თვალუწვდენელი სახნავ-სათესი. სოფელს რომ გადახედო, ყველას ეზოები ღობით აქვს შემოვლებული. ეზოს ერთ ბოლოში სამ-თვალიანი სახლი დგას. ორ თვალში სახლობაა მოთავსებული და მესამეში კი სამზარეულოა. სახლის უკან ბოსელია. ბოსლის გვერდზე აღმოსავლეთით ჭერის საღორეა. საღორეზე წნულისაგან მოღობილი ორსართულიანი საქათმეა მიდგმული. ზედა სართულში ქათამი და ინდოური ბინადრობს ზამთარში და წვიმის დროს, ქვედაში კი—ბატი და იხვი. ზაფხულში ღამე ქათამი და ინდოური ხეზე ჯდება, ან მათთვის განგებ გაკეთებულ ქანდარებზე. საქათმესთან არის ბაკი, სადაც ზაფხულობით საქონელს ამწყვდევენ.

ზამთარში ყველა ოთხფეხ საქონელს ბოსელში ამწყვდევენ, რომ არ შეცივდესთ და ნადირმა ზიანი არ მიაყენოს. ბოსლის გვერდით დგას ბეღელი და მის შემდეგ—სასიმინდე, სასიმინდე ქვეშ წნულით არის გამოღობილი და შიგ შეყენებულია ერთ მხარეზე ურემი და მეორეზე — გუთანი. სახლის დასავლეთის მხარეზე წინ ბოსტანია, უკან—ხეხილი და ამათ გასწვრივ გადაღმა—ვენახი. ვენახს მიყვება უკან სახარდნე, საწნელე და მიღმა პატარა ტყე. ეზო ნიგვზებით არის დაფენილი და მათ ქვეშ მწვანე მოლი მოღელავს.

მაგრამ გადაღმა რომ გადახვალ, გეწყინება: ვიწრო, მოკლე, დაკლაკნილი და ქვით მოუგებელი შარაგზებია. წვიმის დროს ამ გზა—

ზე ისეთი ტალახია, რომ ურემიც ვერ ამოვა. სოფელს გარეთ ყანები ოქროსფრად ღელავს: ბიბინებს პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი, შვრია, ღომი.

რთველი რომ გათავდება, სოფლელი აათვალიერებს თავის ბელელ-სასიმინდეს და, რაც მეტია, დაუდებს ურემს და ქალაქში ჩააქვს გასაყიდად. აღებულ ფულით სახლობას შველის: ცოლშვილს ტანსა და ფეხს აცმევს; მთავრობის გადასახადს იხდის. შეშაც ჩააქვს საზამთროდ ქალაქში, რომ ორიოდე გროში აიღოს და ოჯახს შეღავათი მისცეს.

ჩვენს სოფელშივე ამზადებენ ხამს, შალს, აშენებენ ფუტკარს, რომ აქედანაც ცოტათი ხელი მოითბონ. სოფელს საკუთარი წისქვილიც აქვს. შუა სოფელში სკოლაა მოთავსებული.

— მერე ასეთ სოფელში გლეხები უზრუნველად ცხოვრობენ?— ჰკითხა სიკოს მასწავლებელმა.

— მეტი წილი ღარიბად ცხოვრობს, მხოლოდ ზოგიერთი კი შეძლებულია. აი, მაგალითად, ჩვენებური საბრუა რას ამბობს:

საბრუას სახლკარობა.

ჩალური სახლი მიდგია,
ხულა[1], დერეფნით სრულია,
სხვენი აქვს წიფლის ფიცრისა,
კედლები გამოწნულია.
წინ და გვერდებზე კარები,
ურდულად დიდი კეტია,
ხულის კარებს კი რაზა აქვს,
შიგნიდან დასაკეტია.
შიგ შუა სხვენში ჰკიდია
ჩალხანის[2] საკიდარია,
ხულისკენ—თარო ჯამ-ჭურჭლით
და კრუხის საბუდარია...
კერასთან შუა ბოძია,
ბოძთან—ძმრის ქოცო თხლიანი,
ბოძს უკან—ფქვილის გოდორი
და კოდი ბარაქიანი!:
ულელი ხარი კარზე მყავს,
ძროხა და ერთი ფურ-ზაქი,

[1] ხულა—ქოხი. [2] ჩალხანა—კარდალა, ქვაბი.

ქათმები, კრუხ-წიწილები,
ქოსმენად[1] ერთი ბურვაკი!..
საღამო ხანზე ცოლშვილით
რომ მოვუჯდები კერასა,
მჭადს და ლობიოს მოვიდგამთ,
ღვინოზე ვიწყებ მღერასა!
დავაგურგურებ დიდს სათარს,[2]
ბალღებს მივაწვენ ჩულებზე,[3]
მეც იქვე წამოვგორდები,
არასა ვდარდობ ფულებზე!..

მაგრამ არც საბრუას ქონებაა მაინც და მაინც სახარბიელო, ისიც ღარიბად ითვლება, ტყუილად კი არ ჩივის საბრუა.

მაგრამ, რომ ვშრომობ დღედაღამ,—
ნეტავი გამაგებინა,—
ეს სიღარიბე რას დამდევს?
წამი არ მასუნთქებინა!..
ჩანს, შავი მიწის ბრძოლასაც
ზოგჯერ არა აქვს ხვავია...
მაგრამ რა ვუყო, ბეჩავმა,
ვის ვუთხრა სამდურავია?..
წელს კი—უნდა ვთქვა სულ-ქვეშა—
მიწას არ უმტყუნებია:
პური და ღვინო მოვიდა,
ნიგოზი, ბლომად ლებია.[4]

სიღარიბე

— რა მოხდენილად გამოუთქვამს, დაილოცოს მისი მარჯვენა მაგ ლექსის დაწერისათვის.—სთქვა სესიამ.—ჩვენი გლეხკაცობაც სწორედ ამას ჩივის. ჩვენთვის არც ბინაა, არც ჩაცმა-დახურვა, არც სასმელ-საჭმელი. ჩვენი სოფელი ხომ ქერისა და პურის მხარეა, მაგრამ მწირი მოსავლისა და სიღარიბის გამო მჭადის შოვნაც გვიჭირს. კიდეც ამიტომ გამოგვითქვა ხალხმა ხუმრობით ასეთი შაირი:

---

[1]) ქოსმენი—სასუქი ღორი.
[2]) სათარი—შეშა მოთრეული [3]. ჩული—ცუდი ფარდაგი ან საგები ნაბადი.
[4]) ლები, ლებანი—ნიგვზის გულის ნახევარი.

„მობრძანდი, მჭადო, გამხმარო,
თუ ჩემი ბედი ღირსაო,
წისქვილში ზურგით წაგიღებ,
აღარ გაკადრებ ვირსაო“.

მჭადი თუ ვიშოვეთ, ისიც დიდი სიკეთეა, მაგრამ განა ესეც ბედნიერებაა?

„მამკლა და ცეცხლი მამიდო
მჭადმა ნაცარში რეულმა“.

— განა მარტო თქვენ, ქართლში, ამ პურის მხარეში, ღარიბი გლეხკაცობა თითქმის სულ მჭადით იკვებება, ღარიბ ქართელს მჭადით ცნობილობენ. აი, რა შაირია ამაზე გამოთქმული:

ცხინვალთან კაცი ჩავარდა (ლიახვში),
იპოვნეს ხიდისთავშია.
ეძიეს, გამოიძიეს,—
— ეს სადაური კაცია?
იმითი იცნეს ქართლელი,
მჭადი ეჩარა ყბაშია.

საერთოდ კი ქართლელები მჭადს არ ეტანებიან, არ უყვართ **იგი.** კარგად გამოუთქვამს ხალხს მჭადის შესახებ ერთი ლექსი:

მჭადმა სთქვა: ერთსაც მე ვიტყვი,
მეც მოსავალში ვწერივარ,
პურსა კი არ დავედრები,
არც პურთან დასადრელი ვარ.
მთოხნიან, ძირს მიჩიჩქნიან,
წვალებით მოსასვლელი ვარ.
ქართლელი კაცი არ მყვარობს,
არცა მაცხობენ კეცშია,
ნეტავ ქართლს რა დავუშავე—
მაგდებენ თონის ცეცხლშია.
ლხინ-ქორწილს არ მაჩვენებენ,
არც წამიღებენ რთველშია,
ვინაც ღარიბი კაცია,
გუდით დავყავარ ტყეშია.
მშიერი კაცი კი მნატრობს:
„ნეტავი მომცა ხელშია.“
თუ ახლად გამომცხვარი ვარ,
ტკბილად ჩავივლი ყელშია.

სტუმარმოყვარეობა.

თუმცა ჩვენს ხალხს პურ-ძვირობას უსაყვედურებს ზოგი და ამბობს:

„ჩამოვიარე ავჭალა,
პური არავინ მაჭამაო“,

ან კიდევ ცნობილია ჩვენში ასეთი გამოთქმა: კარების დამცხეთურება, თითქო მცხეთაში იცოდენ კარების გამოკეტვა სტუმრისათვის და უპატივცემულოდ გამოშვება, მაგრამ საერთოდ ჩვენი ხალხი სტუმარმოყვარეა, პურ-ძვირი არ არის; აი, რა უთქვამს ერთს ქართლელს:

სტუმრისა მიყვარს სტუმრობა,
სტუმრისა არ ნახულისა,
დავაპე ურმისა მორგვი—
ზაფხულის შენახულისა,
დავწვი ფიწალი, არნადი,
ცეცხლი დავანთე გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ამოდგს,
დახე დახვედრა სტუმრისა!

ქართლელის პურადობა ძველადანვე განთქმულია, ამაზე უთქვამსთ: „პურადობა და მოლხენა ქართლელთა არ ეზრახვისა“, ე. ი. არ დაეწუნებაო.

— ნათლიაჩემო, სუფრა უკვე გაუშლია ნათლიდედასა და იმედია გვიკადრებთ.—სთქვა სესიამ.

მასწავლებელი ცოტა არ იყოს შეყოყმანდა, მაგრამ ნათლიობის ადათს ვერ უმტყუნა:

— რას წუხდებოდით, ნათლიდედ, ჩვენ საუზმე თან გვაქვს წამოღებული.—ეს-ღა უთხრა.

ნათლიდედამ პატარა, ფეხდაბალი, მოგრძო ხონჩა დერეფანში გამოიტანა და გაშალა.

— ყველი და პური—კეთილი გულიო, ჩემო ნათლია, დაბრძანდით, გვეწვიეთ.—სთქვა ნათლიდედამ.

— ჰაიგიდი, რა დღეში ვართ, თორემ ყველი და პური კი არა ამისთანა ძვირფას ნათლიას და ისიც იშვიათ სტუმარს სხვანაირად უნდა დახვედრა ჩვენი საუზმე ესაა: ყველი, პური, მწვანილი და ცივი წყაროს წყალი. ღვინო რომ გვქონდეს, ამისთანა საუზმე საღილის მაგივრობასაც გაგვიწევს.

ს ა ზ რ დ ო.

— ხორცით იშვიათად ვიკვებებით,—სთქვა სესიამ.—ჩვენ, როგორც ხვნა-თესვის მიმდევრები, მეტნაწილად ჭირნახულით ვიკვებებით. სადილად კარგად შეკაზმული წვნიანი ლობიო გვაქვს. წვნიანი შეჭამანდი სხვაც ბევრნაირი ვიცით: შინდის წვენი, ქლიავების წვენი, თხლის წვენი, ან და—მხალი, ჭინჭარი, ცერცვი, სოკო, პომიდორი, აგრეთვე მაწვნის შეჭამანდი, დო, ფაფა. მაწონსა და დოს ცივად, უმადაც გეახლებით. ვისაც შეძლება აქვს, იგი ფრინვლისა და საქონლის ხორცისაგან, ან და თევზისაგან ბევრნაირ ცხელცხელ საჭმელებს იმზადებს, ჩვენში უყვართ: ჩიხირთმა, ხარჩო, გუფთა, ორაგული; მოხრაკული საჭმელებიც ვიცით: მწვანე ლობიო ერბო-კვერცხში, ხმელი ლობიო და ცერცვი ერბოში, ისპანახი, დანდური. შემწვარ საჭმელებში ყველაფერს გვირჩევნია შამფურზე აგებული ცვრიანი შიშინა მწვადები ცხვრისა ან ღორის ხორცისაგან, შემწვარი წიწილა, გოჭი, ბატკანი; შეძლებული კაცის საუზმე მარტო ყველი და მწვანილი როდია, ქორფა მწვანილს კი მართალია ყოველ საუზმეზე ბლომად მივირთმევთ, მწვანილთა დედოფალია ტარხუნა, მაგრამ ოხრახუშს, ახალ ხახვს, პრასას და წიწმატსაც სიამოვნებით შევექცევით; ჩვენი საუზმეა: ყველი, კარაქი, კვერცხი, ლორი, ძეხვი, დოში, ცივად გოჭი და ქათამი და სხვ. ჩვეულებრივ პურსა და მჭადს ვიცხობთ, მაგრამ დღესასწაულებში საუკეთესო ღირსების ფქვილისაგან ვიცხობთ ქადას, ნაზუქს, ხაჭაპურს, საგანგებო დღეებში კი ცხვება შოთი და ლავაში პურები. ღვინო თუ გვეშოვება, სიამოვნებით ვსვამთ, მაგრამ დასათრობად კი იშვიათად. ლოთობა ჩვენში, აბა, რა სათქმელია, ვის უნახავს, ჩვენ ქეიფი და ლხინი გვიყვარს და არა ლოთობა! არაყი იშვიათადაა ჩვენს სუფრაზე. ახლა ჩვენი ტკბილეულიც მოვიგონოთ: ხმელი ხილი, ნედლი ხილი, გოზინაყი, თათარა (ფელამუში), ნაირნაირი მურაბა, ტკბილი კვერი, ჩურჩხელა, თხილი, ქიშმიში. ეჰ, რომელი ერთი მოვთვალო, პირის გემო კი გვაქვს ქართლელებს, მაგრამ თვალი დაუდგეს სიღარიბეს, ყველა ამას უმეტესობა მოკლებული ვართ. თამბაქოს წევა ჩვენს ხალხში არც თუ ისეა გავრცელებული. საერთოდ კი ჩიბუხს ვაბოლებთ. ამაზე უთქვამს ხალხს.

გალმით არის ტინიხიდი,
გამოლმით არის გორია,
ხელში მიჭირავს ჩიბუხი,
პირში გამომდის ბოლია.

ბუნების გვირგვინი.

— ჰაი, ჰაი, ჩვენს ქალაქში რა მდიდრული შენობებია და ოჯახებიც რა ხელგაშლილად ცხოვრობენ.—სთქვა ვახტანგმა და, მგონი, ამით სესიას თანაგრძნობა გამოუცხადა.

— ერთი ჩვენიცა სთქვი, ჩემო ძმაო,—ჩამოერია ბესო,—მე ქალაქში ვცხოვრობ, მაგრამ ჩემი ბინა მიწურზე უარესია. სადღაც სარდაფში ვართ დაბინავებული სინესტესა და სიბნელეში. ნეტავ მაინც თავს არ გვქონდეს წამოდგმული ხუთსართულიანი სასახლე და შიგ როიალის გრიალი არ გაისმოდეს!

— რა სოფელი და რა ქალაქი, უსამართლობა ყველგან არის,—სთქვა მასწავლებელმა,—ადამიანი, ეს ბუნების გვირგვინი, რათ უნდა იყოს თავის მშობლიურ ქვეყანაში შევიწროებული, უსახსრო. რათ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ქვეყნის დოვლათი ერთს მოხმარდეს ფუფუნებისთვის და მეორეს კი არსებობის საშუალებაც მოესპოს. ამ უსამართლობასთან ბრძოლა გვმართებს და ბრძოლისთვის კი საუკეთესო იარაღია ცოდნა, განათლება. დიაღ, ცოდნით უნდა შევიარაღდეთ, ცოდნით, თუ გვინდა, რომ ცხოვრება ყველამ გავიუმჯობესოთ.

ამის შემდეგ ავიშალენით, გამოვეთხოვეთ ჩვენს მასპინძლებს და მყუდრო ოქროყანადან ისევ მღელვარე ტფილისს დავუბრუნდით.

ოინი გვიყო.

— გინდათ დაგათვალიერებინოთ ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის და სვანეთის სოფლები თავისი კარ-მიდამოთი?—გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა.

— კი, მაგრამ როგორ?—შევფიქრიანდით ჩვენ.

— სულ ადვილად, თუნდაც ერთს საათში!—სთქვა ღიმილით მასწავლებელმა

— ერთს საათში? აი, ოინიც ამას ჰქვიან! - სთქვა მიხომ.

— აბა, დაიხურეთ ქუდი და გამომყევით.

ჯერ ვყოყმანობდით, გვეგონა—მასწავლებელი მართლა ოინს გვიქადიდა, მაგრამ, რაკი დავინახეთ, რომ აღარ ხუმრობდა, ჩვენც კვალში ავედევნეთ.

არ გაგვივლია რამდენიმე ათეული მეტრი, რომ მასწავლებელმა შეგვაჩერა ერთი დიდი შენობის წინ, რომლის დაფაზედაც ეწერა: საბოფლო მეურნეობის მუზეუმი. შეგვიყვანა ამ მუზეუმში, ჩაგვიყვანა

ქვედა სართულში და იქ გვიჩვენა ყველა ზემოდასახელებული სოფლები, რა თქმა უნდა, სახელდახელოდ გამართული.

— ჩვენი ოდა და ნალია! — წამოიძახა ერთმა ჩვენმა გურულმა ამხანაგმა.

— ჩვენი მიწური! — გაიკვირვა მიხომ.

იმერელმა და კახელმა მიაგნეს თავთავის სოფლებს და სიხარულით ცას ეწეოდენ.

— მასწავლებელო, ეს კოშკებიანი სოფელი ვიღასია? — ვკითხე მე.

— ეს სვანური სოფელია, — მომიგო მასწავლებელმა. — კარგად დაათვალიერეთ ყოველივე ეს და მერე თქვენი შთაბეჭდილებაც გამიზიარეთ.

— მასწავლებელო, ყველაზე უფრო ღარიბული ქართლის სოფელია! ჩვენი ოდა და ნალია ყველას მირჩევნია! — სთქვა სხაპასხუპით გურულმა.

გურულის სიტყვებმა ბავშებში უსიამოვნება გამოიწვია: ყველა თავთავის სოფელს ვაქებდით. დიდხანს ვიდავებდით, რომ მასწავლებელს არ გავეშველებინეთ.

რ ა ტ ო მ?

— გურული მართალს ამბობს, ქართლის სოფელი ყველაზე უფრო ღარიბულია. თუმცა ქართლის ბუნება მდიდარია, მეტნაწილად მოსავლიანი და ქართლელებიც კეთილდღეობით უნდა ცხოვრობდენ, მაგრამ ქართლის სოფლის გლეხობა სიღარიბისაგან წელში ვერ გამართულა დღემდე. რატომ? იმიტომ, რომ ძველად ქართლის ბუნების დოვლათი მთელ მოსახლეობას არ ხმარდებოდა. მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობდა ამ მხარის სიმდიდრით, მეორე დიდი ნაწილი კი, ჩვენი გლეხობა, მხოლოდ საწველ ფურად ჰყავდათ გადაქცეული. განსაკუთრებით ბატონყმობამ დააძაბუნა ქართლის გლეხობა. თუმცა ბატონყმობის გადავარდნიდან უკვე 60 წელიწადი გავიდა, მაგრამ მის მწვავე შედეგებს თითქმის ამ ბოლო ხანებამდე გრძნობს ქართლელი გლეხი. ბატონყმობის შემდეგ მეფის მთავრობა ჩაგრავდა გლეხობას. თუ ბატონყმობის დროს გლეხი ჩიოდა:

„ავი ბატონის ხელშიო
ვერ გავიმარჯე წელშიო“;

ან კიდევ:

„ქარბლი იმისთვის დავაგდე,
თოვლს დასდებს — აღარ აიღებს,

რაც მოსავალი მოგვივა,
მოვა—ბატონი წაიღებს"—ო,

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც აი, რას ამბობდა ჩვენი გლეხი:

„ბატონყმობა გადავარდა,
ასე როდი მეგონა,
თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის,
ასე როდი მეგონა"—ო.

და მართლაც მეფის მთავრობამ ვითომ ნაწილობრივ გაათავისუფლა გლეხობა ყმობისაგან, მაგრამ ნამდვილად კი ძველ მიწის პატრონს ახლა თვითონაც დაემატა და გლეხი ისევ ყმურ მდგომარეობაში დატოვა: მიწა არ მისცა და ათასგვარი გადასახადებით დატვირთა. გლეხი იძულებული შეიქნა ისევ მიწის პატრონს შეკედლებოდა, მის მიწაზე ემუშავნა და მოსავლის დიდი ნაწილი ამ უზრუნველი ყოფილი ბატონისათვის მიერთმია. მოუსავლიან წლებში ხშირად მემამულე გლეხს ამ გადასახადისაგან არ ათავისუფლებდა და წინა წლების დავალიანებას მომდევნო წლებში აზღვევინებდა. ამგვარად გლეხი წელში ვერ გაიმართა. ამას დაემატა, როგორც ვთქვით, მთავრობის გადასახადები, სოფლების აკლება და ბევრგვარი უსამართლობა. აი, როგორ იგონებს მეფის მთავრობის მიერ გლეხობის შევიწროებას და აკლებას ჩვენი ხალხი:

ბიას ჩადგა „ზეკუცია",
„პრიჰტავი" და „პომპოლიკი";
ჯერაც კი იქავე ჰყრია
მათი ცხენის ჩონჩორიკი!
ხალხის ცემა ძიელ იყო,
მათრახების ტონტორიკი.

ვითომ გათავისუფლებული სესია ტყუილად კი არ მოთქვამდა:

„ვხნავ, ვთესავ, ვებრძვი მიწასა,
ე შრომა მაინც ფუჭია,—
ვერ გადვირჩინე წლის სარჩო,
ვერ გამოვიძღე კუჭია...
მიწის პატრონიც მე მწიწკნის,
ჭინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი—
ყველა მე შემომცქერია...

ნეტავი გამაგებინა:
როდის-ღა მომასვენებენ?
ვერ შევესწრები, მგონია,
მინამ არ წამასვენებენ.“

ამგვარად ბატონყმობამ ხომ წელში გაღუნა ქართველი გლეხი, მაგრამ მისი გადავარდნის შემდეგაც იგი დაპეჩავებული იყო; მიწა, რომელიც გლეხის კეთილდღეობის უმთავრესი წყაროა, ისევ მემამულის საკუთრებად დარჩა; ვაჭრობას ქართველი არ ეტანებოდა, სოფლიდან ქალაქში სამუშაოზე ის იშვიათად თუ გადიოდა, თითქმის სულ არა, ცხოვრობდა იგი უსახსროდ, ღარიბად. ამიტომ ჩამორჩა ქართველი სხვა მის თანამოძმე ქართველობას. ამის შესახებ სხვა დროსაც გვექნება საუბარი, ახლა კი ეს ვიკმაროთ. დააკვირდით ქართლის სოფელს და, თუ მოვახერხეთ, ჩვენც გავაშენოთ სკოლაში ასეთი სოფელი.

მასწავლებლის აზრი ყველას მოგვეწონა. დავაკვირდით ქართლის სოფელს და უბის წიგნში ჩავინიშნეთ ზოგი რამ, რაც შემდეგ სკოლაში სოფლის გაშენების დროს გამოგვადგებოდა.

სკოლისაკენ რომ გამოვემართეთ, იქვე მახლობელი ბაღის ერთი კუთხიდან ფანდურის ხმა მოგვესმა. მივუახლოვდით და ვნახეთ—ბრმა მეფანდურე მწარედ აკვნესებდა თავის ფანდურს და გრძნობით დაშღეროდა ბატონყმობის დროინდელ ამბავს ორმოსა და ფეტვის შესახებ. იმ დროს მივუსწარით, როცა ამბობდა:

„ჩიტი ლობეზე შემოჯდა ასაკენკადაო,
ჩიტსა ჯოხი მოვუქნიე მოსაკლავადაო,
ჩიტი ბატონთან გაიქცა საჩივლელადაო,
ჩიტმა კაცი მოიყვანა დასარბევადაო,
იმან სრულიად წამართვა რაც რამ მებადაო.
დივლი დალალე, დალალე, დივლი დალალეო!“

თითქო განგებ ჩვენთვის მღეროდა. გაგვიკვირდა და თანაც გვესიამოვნა. დავაჯილდოვეთ ეს გულთამხილავი მეფანდურე და გზას გავუდექით.

რევოლიუციამდე.

— მასწავლებელო, გვიამბეთ დაწვრილებით ჩვენი ჩამორჩენის მიზეზები, ამას წინათ რომ დაგვპირდით.—მივმართეთ მეორე დღეს.

— სწორედ მეც დღეს მინდა გიამბოთ,— სთქვა მასწავლებელმა. —ბევრად უფრო ადრე, სანამ 1917 წლის დიდი რევოლიუცია მოხდებოდა, ქართლში იმოგზაურა ჩვენმა მწერალმა ნოე ჟორდანიამ და აგვიწერა ბატონყმობის შემდეგ-დროინდელი ქართლის სიავკარგე. გავეცნოთ ამ მწერლის შთაბეჭდილებებს და წავიკითხოთ მისი ნაწერის ზოგიერთი ნაწყვეტი.—მასწავლებელმა გადაშალა წიგნი და შემდეგი რამ წაგვიკითხა.

ყოფილი მებატონე.

„როგორც მიუახლოვდებით ქართლის სოფელს, მაშინვე შეამჩნევთ ერთს ან რამდენიმე შენობას, ნაირნაირად მორთულ-მოკაზმულს, ხოლო დანარჩენთ კი მიყრილ-მოყრილს და უშნოდ მიროხვილ-მოროხვილს. პირველი ეკუთვნის ადგილობრივ მებატონეს, მეორე კი გლეხობას. გლეხთა სადგომების გროვას ამაყად დასცქერის მაღლიდან ეს დიდი და მშვენიერი სასახლე, როგორც ოდესმე ბატონის ციხე-დარბაზი მთელ ხეობას გადაყურებდა. და ეს მე ძლიერ მეუცხოვა, მეტისმეტად გამაცვიფრა. მართალია კაი სახლები ბევრი მინახავს და იმის გვერდით ცუდიც, მაგრამ არაოდეს არ მინახავს ერთის მხრივ მხოლოდ კარგი და მეორე მხრივ მხოლოდ ცუდი. ქართლში ყოველივე ორ უკიდურეს სასწორზე დამდგარა, რამდენადაც შესანიშნავია ერთი მხარე, იმდენად მიწასთან გასწორებულია მეორე და ეს არა მარტო ნივთიერად, არამედ გონებრივადაც.

შევიდეთ სოფელში.

მებატონის სასახლე ჩვეულებრივად დგას მომაღლო ადგილას, მას გვერდით ან უკან უდგას ძველი ციხე, რომელიც ისტორიულ ქარცეცხლში სოფლის სიმაგრეს წარმოადგენდა და, სადაც ახლანდელი მებატონის წინაპარი „ისტორიას ქმნიდა“. ზოგ ალაგას ეს ძველი ნაშთი გადაუკეთებიათ, გაუთანამედროვებიათ და სასახლედ გადაუქცევიათ. ზოგან მხოლოდ გადაუხურავთ და საოჯახო საჭიროებისათვის გამოუყენებიათ, უფრო ხშირად კი ისევ ისე დგას, უხმარად და ხელუხლებლად. ძლიერ იშვიათია სასახლე უციხოდ, და ამ ციხეს, იცოდეთ, ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ცხოვრებაშიაც. ის მუდამ ახსენებს სოფელს, რომ ამის ამშენებელნი და პატ-

რონნი ამ სოფელს ფლობდენ, მტრისაგან იცავდენ და აი, იმათი ჩამომავალია ახლანდელი ბატონი, რომელიც სოფელს ისევ ფლობს, მხოლოდ მტრისაგან კი აღარავის იცავს. მებატონე, ეს ძველი დიდების ნაყოფი, ცხოვრობს თანამედროულად, ევროპიულად; მის სასახლეში ვერაფერს ნახავთ ძველებურს, გარდა საომარი და საქეიფო იარაღებისა, როგორც, მაგალითად, ძველი კაჟიანი თოფი, ძველი ხმალი და სხვ. ამას ზედ ერთვის ღვინის ჯამები, კულა, ყანწი, და სხვა სამხიარულო თუ საკრავი იარაღები (თარი, ჭიანური და სხვ.). აი ქართლის მებატონის ძველებური სამკაული, დანარჩენი კი ყველაფერი ევროპიულია. ასე გასინჯეთ, ერთ გვარიან მიყრუებულ სოფელში ისეთი სახლი ვნახე, რის მზგავსი ქალაქშიაც იშვიათი სანახავია.

გლეხის სადგომი.

„მივუბრუნდეთ ახლა გლეხის სადგომს. საზოგადოდ გავრცელებულია აზრი, რომ ქართლელი გლეხი მიწაში ცხოვრობსო. ეს შეიძლება მართალი იყო ამ 10—20 წლის წინათ, მაგრამ ახლა კი ეს



მ ი წ უ რ ე ბ ი.

ასე არ ითქმის. უმრავლესობა მიწიდან უკვე ამოსულა და წმინდა ჰაერზე მოსახლეობს. მხოლოდ უმცირესობა დარჩენილა ისევ ძველ სადგომებში და არასგზით თავის ძველ სოროებს არ შორდება. ამნა-

ირად ქართლელი ტეტია მიწაშიც ცხოვრობს და მიწის ზევითაც. რანაირია პირველი ბინა?

წარმოიდგინეთ ფერდო, გამოთხრილი ოთახის მზგავსად და შიგნიდან რიყის ქვის კედელი ამოყვანილი, ხოლო სახურავი კი მიწა—სიმაღლით დედამიწასთან გასწორებული—და თქვენ მიიღებთ მიწურ სახლს. უკანიდან ისე ახვალთ სახლის თავზე (ბანი), რომ ვერც კი შეამჩნევთ, აქ რაიმე სადგომიაო. ბანების რიგი ხშირად შარაგზად გეჩვენებათ და ზედ არხეინად დადიხართ, დარწმუნებული—გზაზე მივდივარო. მხოლოდ ძაღლის ყეფა გაგაგებინებთ, რომ აქ გზა კი არა, ხალხის ბინაა. სახლი შედგება ერთი ფართო ოთახისაგან და აქვს ერთი შესავალი წინიდან. ფანჯრის მაგიერობას ასრულებს ბანის ხვრელი, საიდანაც ჩამობჟუტავს ქვევით რაღაც სინათლესავით. შიგ შესვლისთანავე გეცემათ მძიმე ნოტიო ჰაერი, თუმცა მიწმენდილ-მოწმენდილობა და სისუფთავე აშკარაა. მიწის იატაკი დაგვილია, საწოლი და წვრილმანი ავეჯეულობა მილაგებულ-მოლაგებულია, მაგრამ, მარგალიტებიც რომ ეყაროს, მაინც ვერ გიხსნის იმ აზრისაგან, რომ ცოცხლად მიწაში ხარ ჩასული. ოთახში ერთადერთი გრძელი და ფართო ტახტია, ეს არის სუფრაც, სკამიც და საწოლიც. რაიმე ევროპიულ ავეჯეულობას აქ ვერ შეხვდები, გარდა უბრალო ლამპისა და საინისა. იქვე გვერდით არის პირუტყვის სადგომი, რასაც ბოსელი ეწოდება. ბოსელს აქ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ ადამიანის სადგომს.

გლეხის სიმდიდრე ბოსელით იზომება. ვისაც აქვს კარგი და დიდი ბოსელი—ის გამოჩენილი კაცია სოფელში. უბოსლო ოჯახი დაღუპული ოჯახია. ყველაფრის უქონლობა მოგეტევება, თვით სადგომის უქონლობაც, მხოლოდ უბოსლობა კი არაოდეს. და მერე რატომ? რატომ და ოთხფეხი პირუტყვი აქ მიუცილებელი საჭიროებაა, ხარი, ძროხა და კამეჩი—ეს გლეხებისათვის ყველაფერია. ის ოჯახს წარმოიდგენს პირველ ყოვლისა არა, როგორც ადამიანთა კრებას, არამედ, როგორც ხარებისა და ძროხების გროვას, თავისი ბოსლით. გლეხი რომ სადმე გადასახლდეს, პირველად უთუოდ ბოსელს ააშენებს და მერე სხვა რამეზე მოიფიქრებს. ზამთრობით გლეხს პირუტყვი ბოსლიდან თავის სადგომში გადაჰყავს და ასე ერთ ოთახში ატარებენ მთელ ზამთარს, თბილად ვიქნებითო. ან და თვითონ გადასახლდება ბოსელში. ასე რომ ხარი, კამეჩი, ძროხა, ხბო, ქათამი, ღორი, კაცი, ქალი, ბავშვი ერთად, ერთს ბინაში ზამთრობენ.

ასეთი სადგომები აქვთ მიწაში.

მიწის ზევით კი ცოტა იცვლება სანახაობა. შენობა ჩვეულებრივად რიყის ქვებით და ტალახით არის აშენებული. ხე აქეთ ძვირია, ხოლო ქვები უხვად ჰყრია ღელეების ნაპირას. და აი, ამ ქვებს აწყობენ ერთიმეორეზე და გამოდის სახლი. ერთი შეხედვით კიდევაც შეგეშინდებათ, ეს არის ჩაინგრევაო, მაგრამ ტალახის წყალობით გვარიან მაგრად არის აგებული. აქაც ერთი ოთახია თავისი გრძელი ტახტით, მხოლოდ აქა-იქ ზოგი ევროპიული ავეჯიც შეგხვდებათ, მაგალითად, სკამი, მაგიდა და სხვ. ცხოვრება მიწის ზევითაც ისე მიმდინარეობს, როგორც მიწის ქვეშ. ზამთრობით მაღლა მცხოვრებნიც ქვევით მიიკრიფებიან და ბოსელში სახლდებიან. ეს ბოსელი ყველას საყვარელი ბინაა.

სოფლის სიპატარავე.

„გლეხის სადგომები საზოგადოდ ერთმანეთზეა მიყრილი; გასაქანი ადგილი არა აქვთ, ერთის კედელი მეორის კედელიც არის. ქალაქშიაც არ არის ისეთი სივიწროვე, როგორც აქ. ამ მხრივ შესანიშნავია განსაკუთრებით სოფ. ახალქალაქი. ერთს პაწია ეზოში ოთხი და ხუთი მოსახლე ცხოვრობს. იმდენი მიწა აქვს, რომ თავისი ქოხი დადგას, მორჩა და გათავდა. ამათ, რასაკვირველია, არც ბოსელი აქვთ და არც სხვა რამე და რომც სურდეს გაკეთება, სად გააკეთოს, ალაგი არა აქვთ. მე არსად ისეთი უმიწობა არ შემხვედრია, როგორც ახალქალაქშია და მასთან, რასაკვირველია, უკიდურესი სიღარიბეც მძვინვარებს. და აი, წარმოიდგინეთ, ასეთ შევიწროებულ სოფლებში მოაქვთ ყანებიდან ძნა და აქ ლეწვენ. სახლის წინ რაღაც ხელის სიფართე მიწა აქვთ და ისიც კალოდ არის გადაქცეული. კალოს მტვერი და ბზე სახლში ცვივა და ეს არც არავის აწუხებს.

კალოობას მთელი სოფელი მოცულია მტვერიანი ჰაერით, სახლი, კარი, ტანისამოსი, თვით ადამიანი—სულ ბზით და მტვრით არის სავსე. კალო კახეთშიაც არის, მაგრამ სოფელში კი არა, არამედ სოფელს გარეთ. აქ კი სწორედ კარის ძირში მოუყრია თავი ყველაფერს, იქვე ბოსელი, იქვე კალო, იქვე ხალხი... ცხადია სოფელი უსუფთაო უნდა იყოს.

სოფლები გაშენებულია ფერდოებზე და გორებზე, ერთმანეთისაგან კი მანძილით დაშორებულია და შეიცავენ ცოტა რიცხვს მცხოვრებლებისას. არის ოთხ-კომლიანი სოფელი, არის ხუთასიანიც, მაგრამ ეს უკანასკნელი ძალიან იშვიათად: აქაური სოფლის კომლთა

საშუალო რიცხვი ასს არ წააცილებს. სოფლის სიპატარავის მიზეზი ასე ამიხსნა ერთმა მებატონემ: უთუოდ თითოეულ ბატონს სურდა თავისი საკუთარი სოფელი ქონებოდა და სხვა ბატონის გლეხს თავის სოფელში არ ღებულობდაო.

უმამულო გლეხი.

„თავისთავად ცხადია, რომ უმიწა-წყლოდ სოფელს ცხოვრება არ შეუძლია და აი, ეს მიწა-წყალი რამდენიმე კაცის ხელშია მოგროვილი. სოფელს და მის არემარეს ფლობს ბატონი და ამით ის ფლობს სოფლელებსაც. გლეხის სახნავი, სათესი საბალახო, ტყე, ვენახი, ბოსტანი — სულ ყველაფერი მემამულის საკუთრებაზე წარმოებს. როგორც კი გლეხი გამოვა თავის სახლიდან, მაშინვე ბატონის მამულზე დაადგამს ფეხს და მანამდე აქ ტრიალებს, სანამ უკანვე სახლში არ დაბრუნდება. ქართლის მამულები სიდიდით და სიფართოვით განთქმულია ჩვენში. მეტი შეძლება ნიშნავს აქ მეტ მამულს, ხოლო მეტი მამული მეტ ქვეშევრდომს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზემო ქართლი: აქაური მებატონე ნამდვილ ძველებურად ბატონობს თავის სოფელში. მის სამფლობელოში რამდენიმე სოფელი შედის. ერთი სოფელი ხომ საკუთრად აქვს, მეორე და მესამე, თუ საკუთრად არა, წილი მაინც უდევს შიგ. ის იტყვის: „ჩემი სოფელი“, „ჩემი ხალხიო“ და ამით ხატავს სრულ ჭეშმარიტებას. იმას ეკუთვნის არა თუ ის მიწა, რომელზედაც გლეხი მუშაობს, არამედ თვით გლეხიც.

... გზაზე ვიფიქრე, მოდი ერთი გლეხის ოჯახში შევიდე-მეთქი. დავბრუნდი უკან და პირველ შეხვედრილ სახლის წინ ჩამოვხტი ცხენიდან. სახლი ხისაა, წარმოადგენს ერთს ძლიერ პატარა სადგომს. კუთხეში ერთი ტახტია, შუაზე პურის მარცვალი ყრია, ლოგინზე ავადმყოფი ქალიშვილი წევს.—რა დაემართა ავადმყოფს?—ვკითხე სახლის პატრონს.—აციებს;—მომიგო მან.—ხინა ვერ დაალევინეთ?—კი, ბატონო, ვაძლევთ.—სად იყიდეთ?—ჩვენ არ გვიყიდია, ბატონმა მოგვცა.—ბოსელი გაქვს?—არა.—ბელელი?—არა,—ხარი?—ცალი მყავს.—ძროხა?—არა.—ქათმები?—ცოტა.—მაშ, რანაირად ცხოვრობ?—ისე, შენი ჭირიმე... ეს „ისე“ ძალიან ხშირად მესმოდა ქართლში და ბოლოს, როგორც დავრწმუნდი, „ისე“ სანახევროდ შიმშილობას ნიშნავს თურმე. ეს კია, რომ გლეხი ამას არ ამჟღავნებს, თაკილობს. ახალქალაქში ბევრი მაგალითები მითხრეს იმისი, რომ ქუჩაში შიმშილისაგან დასუსტებულნი წაიქცენ და საჭმელით მოაბრუნეს. ერთს ქალს

რძე მოქონდა გასაყიდად და უცებ გული წაუვიდა. მიცვივდა ხალხი, წამოაყენეს და, როცა გონზე მოვიდა, თქვა: პური არ მიჭამია სამი დღეა, რძე გვაქვს, პური კი არაო. ეს და სხვა ასეთი გულის შემზარავი ამბები გადმომცა დიდად პატივცემულმა ეკატერინე გაბაშვილისამ.

შეძლებული გლეხი.

„ქვემო ქართლი წვრილ და ღარიბ აზნაურების ბუდეს წარმოადგენს. ავიღოთ მაგალითად, სოფ. შინდისი. აქაურ კეთილშობილ წოდებას შეიცავს რამოდენიმე აზნაური. არც ერთი მათგანი არ წააგავს ზემო ქართლის მებატონეს, მამული იმათ ცოტა აქვთ, ეზო, სახლი და კარიც ღარიბი კაცის შესაფერი. ამისთანა მებატონე, რასაკვირველია, ხშირად გაჭირვებაში და უფულობაში უნდა იყოს. სტუმარი წასვლა-მოსვლა, ქეიფი მასაც უყვარს, როგორც დიდ მებატონეს; ხოლო ამის დასაკმაყოფილებელი საშუალება კი მცირე აქვს, რა უნდა ქნას? რა დარჩენია გარდა იმისა, რომ საჭიროებისამებრ თავისი მამული ნაჭრებად უნდა ყიდოს და ასე წვრილ-წვრილად ფულზე ახურდავოს. პატარა მამულის მყიდველი კი ყოველთვის მოიპოვება გლეხობაში და აი, ნაყმევი შეუდგა ნაბატონარის მიწა-ადგილების შეძენას. იმან ადგილ-მამული გაიფართოვა და ამნაირად ხელთ იგდო ქონება და დოვლათი. და ასე ნელ-ნელა, ეს გუშინდელი ღატაკი მალ-ლა-მალლა აიწია და თავის ბატონს ზედ თავზე გადაახტა, მან ახლა სახლიც კარგი აიშენა, მოჯამაგირეებიც დაიჭირა, პირუტყვიც გაიმრავლა, ფულიც მოაგროვა. ბატონი ქვევით დაეშვა, ყმა ზევით ავიდა. გლეხი ცხოვრობს ორსართულიან შენობაში, ბატონი კი ქოხში. პირველი უხვად ყიდის პურს და ბზეს, მეორეს კი ის სახმარებლადაც ხშირად ენატრება. პირველმა ძალა და გავლენა მოიპოვა, მეორემ კი ორივე დაკარგა. და ასე, როცა ერთისათვის ცხოვრება გაძნელდა, მეორისათვის გაადვილდა. ამგვარად სოფელი დანაწილდა თანახმად ქონებისა და არა თანახმად წოდებისა. ცხადია სუსტი მებატონე ხელსაყრელი ყოფილა გლეხებისათვის და სასარგებლო ქვეყნის აღორძინებისათვის. მაგრამ ამ მდგომარეობით ყველა გლეხი ხომ არ სარგებლობს. ეს მხოლოდ უმცირესობაა, რომელიც რჩეულთა რაზმში იკრიბება, უმრავლესობა კი ისევ იმ სიღარიბეშია, რომელშიაც ის ოდესმე იყო. რაც უნდა იყოს, ასეთი სუსტი მებატონის ხელში გლეხობა მაინც საზოგადოდ წელში გამართული და თავაწეულია. ის აღარ ამ-

ბობს: ბატონი გაწყრება, ბატონმა გვიბრძანაო და ვერც ბატონი იტყვის: ჩემი სოფელი, ჩემი ხალხიო...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავისი კულტურული ცხოვრებით ამ წელში გამართულ გლეხობასაც დაბეჩავებულ და უმამულო გლეხთათვის ვერ გაუსწრია. შეძლებული გლეხიც ტოვებს ზამთრობით სართულიან შენობას და ბოსელში ბინავდება, ისიც ისეთ ტანისამოსს ატარებს, როგორც ყველა. მას სრულებით არ ეტყობა ჩაცმადახურვით, სიტყვა-პასუხით, მიხვრა-მოხვრით, რომ ის მდიდარია. მას ჯერ კიდევ არ გაღვიძებია ახალი მოთხოვნილება, არ იტაცებს თავის გამოჩენა, სხვებისაგან განსხვავება, პატივ-მოყვარეობა; ის ცხოვრობს ისე, როგორც მის მამა-პაპას უცხოვრია და როგორც ცხოვრობს დანარჩენი გლეხობა. ის ქონებას ახმარს მამულების შეძენას, პირუტყვის გამრავლებას და სხვ. საოჯახო ავეჯეულობა, სახლის მიწყობ-მოწყობა მას სრულებით არ აინტერესებს. და ან რათ უნდა? სტუმარი თუ მოუვა—ეს ისევ გლეხებია, რომელთა მოთხოვნილება არ აღემატება მის მოთხოვნილებას. მათ რომ ტახტზე ფეხი არ მოაკეცინო და თითებით არ აჭამო—თავის თავს უპატივცემულოდ ჩასთვლიან. მაშასადამე მაგიდა, სკამი, დანა-ჩანგალი და სხვა ამისთანები მეტი ბარგია, და, თუ მაინც იყიდე, უხმარობით დამტვერდება და დაჟანგდება. გლეხს ორი საქმე აქვს: ან მიწას ჩაკირკიტებს, ან და ხატობაში მიდის. სხვა ყოველივე ამაოებაა. სკოლა, წერა-კითხვა, წიგნი, მიმოსვლა, ახალ-ახალი საქმეების დაწყება—არცერთი ეს არ სწერია მის დავთარში. შვილს, თორმეტიც რომ ყავდეს, ერთსაც არ მოიცილებს, ყველას საქმეს გაუჩენს: ზოგს ნახირს მიუყენებს, ზოგს გუთანზე დასვამს, ზოგს მეღორედ გახდის, ზოგს მეძროხედ და ასე ბოლომდე —რატომ სკოლა არა გაქვთ?—შევეკითხე ერთს კარალეთელ გლეხს.—რათ გვინდა, ჩვენი სკოლა ჩვენი გუთანია,—მიპასუხა მან. ეს კია, რომ, თუ ერთხელ დაარსდა სკოლა და რამდენსამე ხანს გასძლო, მერე არა უშავს რა. გლეხები ეჩვევიან და ბავშვებიც სიამოვნებით მოყავთ მასწავლებელთან.

...ქართველის დაძაბუნება პირდაპირ მისი ცხოვრების პირობების შედეგია. შეცვალეთ ეს პირობები და ტეტიაც ყველასგან აბუჩად აგდებული გლეხისაგან თანამედროვე მოქალაქედ გახდება გარემოების მიერ დაჯაბნებული ადამიანი ხელად გამოიცვლება და ერთიანად გადახალისდება, ის ისეთივე მოძრავი და მომქმედი გახდება, როგორც ყველა დანარჩენი და შეიძლება კიდევ მეტიც. განა შეუძლია ვისმე თქვას—ქართველი გლეხი უნიჭოაო? არა, სრულიც არა.

მას დიდი ნიჭი აქვს, მხოლოდ საჭიროა შესაფერი ასპარეზი, რომ მან თავი იჩინოს და ნაყოფი გამოიღოს. როცა ქართველი გლეხის ცხოვრების პირობები გაუმჯობესდება, მაშინ ქართლის განახლების ზარი დარეკს და ხალხიც გახარებული შემოსძახებს: წინ, წინო!".

მოსახლეობა.

—ქართლის მოსახლეობა,—გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა,—შეტნაწილად ქალაქ ტფილისშია დაგროვილი. საერთოდ ქართლში დაახლოებით 600 ათასამდე მცხოვრებია და ამათგან მარტოოდენ ქ. ტფილისში 234 ათასამდე მცხოვრები ითვლება*, დანარჩენი 366 ათასი მცხოვრები ქართლის სხვა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ. ქალაქების რიცხვი ქართლში მცირეა, გარდა ქ. ტფილისისა, ქართლში ქალაქებად ითვლება: გორი, ხაშური, ბორჯომი, სურამი, დუშეთი, ცხინვალი, მანგლისი და საბავშო ქალაქი ჯოჯორი. ქალაქები პატარ-პატარაა და მათი მოსახლეობაც მცირეოდენია. სოფლების რიცხვი კი ქართლში 1243 ღდრის. სოფლებიც პატარ-პატარაა, ზოგან 5—10 კომლი უკვე ერთს სოფელს შეადგენს, თუმცა არის დიდი სოფლებიც, სადაც რამდენიმე ასეული კომლი მცხოვრები ითვლება.

ქართლის მოსახლეობა მთასა და ბარშია გაფანტული. უფრო შეიდროდაა დასახლებული ბარი. გორის მაზრაში 1 კვ. კილომ. საშუალოდ 37 სული ცხოვრობს, დუშეთის მაზრაში კი 29 სული, ტფილისის მაზრაში—85 სული, მაგრამ აქ ტფილისის მეოხებით არის ასეთი სიმჭიდროვე; ქალაქ ტფილისში 1 კვ. კილომ. 5.850 სული ცხოვრობს.

ქართლში ქართველები მოსახლეობის თითქმის ნახევარი ვართ, შეტი არა. 600 ათასი მცხოვრებიდან 300 ათასამდე ვართ მხოლოდ ქართველები. თვით ქ. ტფილისშიაც, სადაც 234 ათას მცხოვრებს სთვლიან, ჩვენ, ქართველებს, მხოლოდ 80 ათასს გვთვლიან. ქართველებს გარდა ქართლში ცხოვრობენ აგრეთვე: სომხები, რუსები, ოსები, თათრები და სხვ. ამათგან უფრო მრავალრიცხოვანი სომხობაა, რომელნიც ქალაქებში ვაჭრობას მისდევენ.

---

* ტფილისის მოსახლეობის ეს რაოდენობა სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს, მაგრამ მაინც მოგვყავს, როგორც ოფიციალური ცნობა 1922 წლის ადწერის მიხედვით.

ოსები ქართლში ჩრდილოეთით ცხოვრობენ, კავკასიონის ქედის კალთებზე, ლიახვისა და ქსნის სათავეებში. მათს მხარეს სახელად **სამხრეთ-ოსეთი** ჰქვიან. ოსები თავის მხარეს თვითონ განაგებენ, მათ თავისი მთავრობა ჰყავსთ, რომელიც საქართველოს მთავრობას ექვემდებარება. ოსების მთავრობა ქ. ცხინკალში იმყოფება.

ქართლის ქალაქების მოსახლეობის შედარებითი რაოდენობა აი, როგორია (1922 წლის აღწერით):

ქ. ტფილისში	ცხოვრობს	234.000	სული
ქ. გორში	„	9.000	„
ქ. ხაშურში	„	7.019	„
ქ. ცხინვალში	„	4.549	„
ქ. სურამში	„	4.134	„
ქ. ბორჯომში	„	3.913	„
ქ. დუშეთში	„	1.510	„
ქ. მანგლისში	„	1.384	„
ქ. კოჯორში	„	314	„

მოსახლეობის შესახებ ზოგიერთი დიაგრამა შევადგინეთ.

სწავლა-განათლება.

— სწავლა-განათლების მხრივ ქართველი, როგორც ვთქვით, მეტისმეტად ჩამორჩენილია, სოფლებში სკოლების რიცხვი უმნიშვნელოა, წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მეტად დიდია. 1923/4 სასწ. წლის მიხედვით სწავლა-განათლების მდგომარეობა ჩვენში ასეთია:

საერთოდ საქართველოში სკოლები 1855 არის, ამათგან ქართლში 511 არის, მაგრამ ქ. ტფილისი ადიდებს ამ რიცხვს, მარტო ტფილისში ითვლება 183 სკოლა, მაშ, ქართლის სხვა ქალაქებისა და სოფლებისათვის უნდა ჩაითვალოს 3 8 სკოლა. რაც შეეხება მოწაფეთა რიცხვს, საერთოდ მთელს საქართველოში მოწაფეთა რიცხვი უდრის 229 899, ამათგან ქართლში არის 68.072, მაგრამ აქაც ტფილისი ადიდებს რიცხვს, მარტო ტფილისში ითვლება 43.508 მოწაფე, მაშ ქართლის დანარჩენ ქალაქებისა და სოფლებისათვის რჩება 24.564 მოწაფე. სტუდენტია რიცხვი მთელს საქართველოში არის 3.710, ამათგან ქართლში 698 სტუდენტია, მაგრამ აქ ტფილისი ადიდებს რიცხვს, მარტო ტფილისში მცხოვრები სტუდენტი 430 არის, ამგვარად ქართლის დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებზე 268 სტუდენტი მოდის, ეს კი ძალიან ცოტაა. **ამას-**

წავლებელთა რაოდენობა მთელს საქართველოში 8;858 უდრის, ამათგან ქართლში 3.425 მასწავლებელია, მაგრამ ამ რიცხვსაც ქ. ტფილისი ადიდებს, მარტო ქ. ტფილისში ითვლება 2.656 მასწავლებელი, მაშასადამე, ქართლის დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში 769 მასწავლებელია მეტი არა.

ამას ისიც დავუმატოთ, რომ ამ სათვალავში ყველა ეროვნების მცხოვრები შედის და არა მარტო ქართველი. მარტო ქართველებისათვის რომ ვიანგარიშოთ, მთელს საქართველოში სულ 1.358 ქართული სკოლაა, 176.236 ქართველი მოწაფე, 3.549 ქართველი სტუდენტი და 6.241 ქართველი მასწავლებელი. ამათგან ქართლში არის 266 ქართული სკოლა, 33.054 ქართველი მოწაფე, 718 ქართველი სტუდენტი და 1.486 ქართველი მასწავლებელი. გამოვაკლოთ ამას ქ-



ქართლის ქალაქების მოსახლეობა. (1—კოჯორი. 2—მ-ნგლისი, 3—დუშეთი, 4—ბორჯომი, 5—სურამი, 6—ცხინვალი, 7—ხაშური, 8—გორი, 9—ტფილისი).

ტფილისში არსებულთა რიცხვი (ქ. ტფილისში 42 ქართული სკოლაა, 15.289 ქართველი მოწაფეა, 366 ქართველი სტუდენტი და 937 ქართველი მასწავლებელი) და ქართლის 225.969 ქართველ მოსახლეობისათვის (უტფილისოდ, სადაც 80.084 ქართველს სთვლიან),

არის 224 ქართული სკოლა, 17.765 ქართველი მოწაფე, 352 ქართველი სტუდენტი და 549 ქართველი მასწავლებელი. ეს მეტისმეტად მცირეა!

ახლა დავითვალოთ წერა-კითხვის სრულიად უცოდინართა რიცხვი ქართლში: ქართლში საშუალოდ ასში 76 წერა-კითხვის უცოდინარია, მაშინ, როდესაც გურიაში (ამ ყველაზე უფრო დაწინაურებულ მხარეში) წერა-კითხვის უცოდინარი ასში მხოლოდ 21 არის! მაზრობლივ ქართლში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა ასეა განაწილებული: ტფილისის მაზრაში ასში 63,2, გორის მაზრაში ასში 81,3 და დუშეთის მაზრაში ასში 82,5. სწავლა-განათლების მდგომარეობაც შეიძლება დიაგრამებით გამოიხატოს.—დასძინა მასწავლებელმა და შემდეგი გაკვეთილისათვის აი, რა დიაგრამები შეგვადგენია.

წ.-კ. უცოდინართა (თეთრი არე) რაოდენობა მცოდნეებთან (შავი არე) შედარებით დუშეთის, გორისა და ტფილისის მაზრაში.

მ ი ს ა ნ ი.

— რათ ჩამორჩა ქართლელი სწავლა-განათლების მხრივ თავის თანამოძმე სხვა ქართველებს? ცხადია ამის მიზეზი ქართლელის ნივთიერი უსახსრობაა, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. ქონებრივ სილაბირეს ყოველთვის თან ახლავს გონებრივი სილარიბეც. ქართლელს ჯერჯერობით ვერ შეუგნია სწავლა-განათლების ფასი და ბევრი რჩევა-დარიგება გმართებთ, რომ ზოგიერთს მაინც შეაგნებინოთ ეს. კარგად აგვიწერს ამას ჩვენი მწერალი ილია ჭავჭავაძე.

მასწავლებელი ეკითხება ერთერთ თავის შეგირდს:

— ყველა, ყველა და შენ რატომ ჩემთან აღარ დადიხარ? მოგწყინდა განა, შე ცულლუტო, წიგნის კითხვა?

— მე რა ვიცი!—უპასუხებს ბიჭი.—მამაჩემი არ მიშვებს.

— რატომ არ გიშვებს?

— გეყოფა რაც ისწავლეო,—მეუბნება.

მასწავლებელი დაიბარებს ბავშის მამას და ეკითხება:

— კაცო, მართალია, შენს შვილს შენ უშლი სწავლას?

— მართალი გახლავთ, რა მაგის საქმეა? არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი, შენი ჭირიმე.— უპასუხებს თამამად პეტრე.

— როგორ თუ არა იყო გვარი მისი?

— ესე, შენი ჭირიმე! ჩვენ გლეხკაცებს გვეძახიან, დღე და ღამ ოფლი უნდა ვიწუროთ და პური ისე ვჭამოთ. ღმერთს ეგრე უბრძანებია: „ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო“, ეს ღვთის ბრძანება მარტო ჩვენ დაგვაწვა კისერზე და ვეწევით კიდეც. წიგნი რა ჩვენი საქმეა? ის ჩვენ დამშეულ კუჭს ვერ გაგვიძღობს. ჩვენი წიგნი დედამიწაა, ვენაცვალე იმის მადლს! როცა დედამიწას მწვანე ხავერდისავით ჯეჯილის ყდა გადაეკვრება, მაშინ მაზედ ვკითხულობთ ჩვენს ბედსაცა. ჩვენი კალამი დაულალავი გუთანია, მელანი კიდევ გულ-ღვიძლიდან გამოწურული ჩვენი ოფლია. ამოვაწებთ ოფლში გუთანსა, გადვუხსნით ხოლმე დედამიწას მადლიან გულსა, ჩავაყრით შიგ თესლსა, როცა დრო მოვა, მივალთ, და ის დალოცვილი მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს. ტყუილად კი არ ეძახიან მიწას „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ ძუძუსა, იმას დავხარით დღედაღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის არის, შენი კვნესამე! წიგნი კარგია, ვინ არ იცის? ბევრიც სხვა რამეა კარგი ამ ქვეყანაზედ, ჩვენ იქამდინ ხელი არ მიგვიწვდება... გაგიბედავთ, შენი ჭირიმე, და გეტყვით, ჯერ კუჭი უნდა გავიძღოთ, კუჭი!.. ჩვენი თავდაპირველი გულის-ტკივილი ეს არის...

— რას ბრძანებთ!—განაგრძობს პეტრე.—წელში ვერ გავსწორებულვართ, პირუტყვსავით მაღლა ვერ აგვიხედნია, სულ დედამიწას დავყურებთ, თითქო ჩვენი ბედი იქ დაკარგულა და ვეძებთო, ვინ ჩვენ და ვინ წიგნი.

— მე მესმის, ჭკვიანო პეტრეკ, შენი გულის ვითარება,—ეუბნება მასწავლებელი.—მე მოზიარე ვარ შენის გულის ტკივილისა!.. შენ გუთანი გირჩევნია წიგნსა, იმიტომ რომ შენ გუთანი დღეს პურს გაჭმევს.

— მართალი ბრძანებაა, შენი ჭირიმე!—მიუგებს პეტრე.

— ეხლა შენ ერთი ეს მითხარი: რომ არ გცოდნოდა, რომ ცეცხლში რკინა რბილდება, საიდან გააკეთებდი ბარ-საკვეთს, ცულსა, ეჩო-

სა, რომლითაც გუთნის ხესა სთლი? რომ არ გცოდნოდა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა? რომ არ გცოდნოოა, რომელ მიწას როგორ უნდა მოხვნა,—ღრმად ჩაშვება ბარ საჯვეთისა, თუ თხლად,—რა გეშველებოდა?

— შენი მტერი იქნებოდა, მე ვიქნებოდი.

— საიდამ იცი ეს ყველაფერი?

— როგორ თუ საიდამ?.. მამა-პაპით, შენი ჭირიმე! მადლობა ღმერთსა, თვალი მქონია—მინახავს, ყური მქონია—მსმენია, გულისყური მქონია—მივხვედრილვარ, ხსოვნა მქონია—გონებაში ჩამრჩენია.

— რაც გინახავს, გსმენია, მიხვედრილხარ, გონებაში ჩაგრჩენია,—ამას სულ ერთიანად რას ეძახი?

პეტრე ჯერ ჩაფიქრდა, თითქო არ იცის, რა სთქვასო, მერე კი ისე ჭოჭმანობით წამოიძახა:

— რა ვიცი შენი ჭირიმე, რას ვეძახი.

— მაინც?

— ჩემს გამოცდილებას, ჭირნახულობას, ჩემს ცოდნასა, შენი ჭირიმე!

— კუჭს გიძღობს ეგ შენი ცოდნა?

— მაგას რაღა პასუხი უნდა, შენი კვნესამე? თითონ შენ კარგად იცი, რომ უმაგისოდ წყალში გადასაგდები ვიქნებოდი.

— ეხლა ერთი ეს მითხარ კიდევ: რამდენი შენზედ უფრო მცოდნე კაცია ქვეყანაზედ?

— რა ვიცი, შე დალოცვილო? მგონი, თავზედ იმოდენა ბალანიც არა მქონდეს: მჯობს მჯობი არ დაელევა.

— იმ მცოდნე კაცების ჭირნახულობა, გამოცდილება, ცოდნა რომ შენსაზედ დაემატოს, კარგი იქნება? უფრო ადვილად არ გაიძღობ კუჭს, უფრო ცოტა ოფლით ბევრს არ მოიმკი?

— ღვთის წყალობა გქონდეთ, რომ კარგი ის იქნება, მაგრამ ხათაბალა ეს არის, რომ თვალი იმათამდინ არ მიმიწვდება და ყური. საიდამ სადაო, წმინდა საბაო: ამოდენა დედამიწის ზურგზე სად ვეძებო მე ისინი, რომ გამოვკითხო?

— მე რომ გიჩვენო იმისთანა რამე, რომ მთელი ქვეყნის ოსტატობა, ჭკვიან კაცების ნაცადი, ცოდნა, თუ მოინდომებ, სულ მუდამ ხელთა გქონდეს, ერთი სიტყვით, რომელ ჭკვიან კაცთანაც გინდა შორიდანვე გაგალაპარაკო,—რას იტყვი?

— იმას ვიტყვი, რასაც მთელი ქვეყანა ამბობს: ეგ ხომ მისნობა იქნება.

— აბა მაგისთანა მისანია წიგნი.

ამ საუბრის შემდეგ პეტრე დარწმუნდა, რომ სწავლა სასარგებლო რამ არის და შვილს ეუბნება:

— შვილო! ეს დღე დაიხსომე, ეს დღე მე და შენთვის მზიანი დღეა.

ცრუმორწმუნეობა.

— იქ, სადაც მატარებელი არ ჰკივის,—გვითხრა მასწავლებელმა,—ავტომობილი არ ღრიალებს, ტრამვაი არ დასრიალებს და ცაში ჰაეროპლანები მერცხალივით არ ჰკრავენ კამარას; სადაც ადამიანი თავისი მარჯვენის ანაბარაა და ყოველგვარ საქმიანობას უმანქანოდ ასრულებს; სადაც ადამიანი ვერ გაუმკლავდება ვერც გვალვას, ვერც სეტყვას, ვერც ჭექა-ქუხილს; სადაც ადამიანი მხოლოდ ლია ცის ქვეშ მოწეული ჭირნახულით ირჩენს თავს და ეს ჭირნახული ბუნების ძალთა დაუდგრომელ ხასიათზეა დამოკიდებული; სადაც ადამიანი უვიცობის გამო ვერ ითვალისწინებს ბუნების მოვლენათა წარმომშობ მიზეზებს და მათ შედეგებს, ცხადია, იქ ადამიანი ბუნების მონა უნდა იყოს, მისი შემყურე, მისი მავედრებელი.

ასეა სოფლად, სადაც ადამიანი შეუდარებლად უფრო ახლოა ბუნებასთან, როგორც თავისი კარ-მიდამოთი, ისე შრომით და ყოფა-ცხოვრებით, ვინემ ქალაქ-ადგილას, სადაც ბუნებას თვალით ვერც კი განიცდი, ძნელი შესამჩნევია, აქ დაღვრემილი ხევ-ხევი, ტყე-ღრე და მისთანანი საგონებელში ვერ ჩაგაგდებს, ბუნების ძალთა წინააღმდეგ ადვილად იბრძვის და იმორჩილებს კიდეც მათ თავისი კეთილდღეობისათვის შესაფერი ცოდნით აღჭურვილი ქალაქელი ესეც არ იყოს—ქალაქის შრომის ნაყოფს ბუნების ძალები, მაგ., სეტყვა, ნიაღვარი ვერ გაანიავებს, ვაჭრობა-მრეწველობისათვის, ფაბრიკა-ქარხნისათვის სულერთია — როგორი ამინდიც დადგება: მას უწვიმობა ვერას დააკლებს და ვერც წვიმიანობა შესძენს რასმე, ამიტომაც ქალაქელი ბუნებას თავსაც არ უყადრებს, არ ეჩაგვრინება, იმორჩილებს მას თავისი ცოდნითა და მოხერხებით.

სოფლელი კი გაოგნებული შეღაღადებს ბუნებას, გამოითხოვს მისგან შვება-სიამეს, ბრძოლით კი მას ვერას წაართმევს, რაკი საამისოდ არც ცოდნა აქვს და არც მოხერხება.

აქედან წარმოსდგება სოფლად ცრუმორწმუნეობის გავრცელება. გაუნათლებელი სოფლელის წარმოდგენით ტყეში ქაჯები და ჭინკებია, წყალში ალი, ცასა და მიწაზე ზოგი ავი და ზოგიც კეთი-

ლი სულები. და მათს სურვილზეა დამოკიდებული—სიავეს შეამთხვევენ ადამიანს, თუ სიკეთეს. რაკი ასეა—ავი სულის გული უნდა მოიგო ტკბილი სიტყვით, ძღვენით (უძველეს დროში მსხვერპლსაც კი სწირავდენ).

რაც უფრო ძველ დროს მოვიგონებთ, იმდენად უფრო მეტნაირ ცრუმორწმუნეობას ვხედავთ. რაც უფრო გაუნათლებელია სოფელი, იმდენად უფროა იქ გავრცელებული ცრუმორწმუნეობა, ზოგი ძველადანვე დარჩენილი, ზოგიც ახალი დროის შენაძენი. ზოგიერთი ცრუმორწმუნეობა სოფელს დიდ ზარალს აყენებს, ანადგურებს კიდეც.

ქართლელთა შორის ცრუმორწმუნეობა ძლიერ არის გავრცელებული. გავეცნოთ, თუნდაც, ნიკო ლომოურის მოთხრობებს—„ქაჯანა“, „ალი“, რომელნიც დიდს მასალას იძლევიან ქართლელის ცრუმორწმუნეობის შესასწავლად.

გავეცანით ამ მოთხრობებს და მართლაც ბევრი რამ საყურადღებო და დამაფიქრებელი ამოვიკითხეთ.

სიტყვამ მოიტანა და მასწავლებელმა ისიც გვითხრა, რომ ქართლში ბევრგვარი ცრუმორწმუნოება აღმოცენებულია უხსოვრის დროის წარმოთქმულ სარწმუნოებაზე. ერთ დროს ქართლელებიც ვყოფილვართ წარმართნი და თაყვანს ვცემდით თურმე ბუნებას, მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, ცხოველებს, მცენარეებს, ცეცხლს, წყალს და ბუნების სხვადასხვა მოვლენას. მოვიგონეთ, მაგალითად, უძოს ძირას მდებარე ნიში, რომლის ახლო ერთი ძველი ხე ძაფებითა და მჩვრებით ვნახეთ შემოსილი, უძეო ქალთა სავედრებელი; აგრეთვე არანისის ხატის-ტყე, სადაც ხის მოჭრა ცოდვად ითვლება და კიდეც ამიტომ შენახულა იქ დიდრონი ხეები; ან კიდევ დუშეთიდან 2-ოდე კილომ. მდებარე კვირიკეს მთა (914 მეტრის სიმაღლისაა ზღვის დონედან) ქოჩორა ტყით რომაა დაფენილი, ეს ტყეც საღვთო ტყეა, ვერც იქ ბედავენ ხეების მოჭრას და კვირიკობა-დღეს (15 ივლისს) დუშეთიდან და სხვა ადგილებიდან მოსული მლოცველები ერთერთ დიდ ხეს ანთებული კელაპტრებით ამკობენ.

ლ ა ზ ა რ ე ზ ე.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ქართლში ძველადან დარჩენილი წარმართული ჩვეულება—დარ-ავდრის ღვთაებისადმი ვედრება, რომელსაც ხალხი „ლაზარეზე“ სიარულს ეძახის. გვალვისაგან შეწუხებული ხალხი ლაზარეს ევედრება: აღარ გვინდა გორახი (ხმელი მიწის ბელტები), წვიმა მოგვიყვანე, ტალახი მოგვეო; მაგრამ,

თუ წვიმები ისე მოუხშირა, რომ ყანებისათვის მავნებელი შეიქნა, ისევ ლაზარეს მიმართავენ ვედრებით—აღარ გვინდა ტალახი, დარი მოგვიყვანე, გორახი მოგვეო.

— ახ, ლაზარე, ლაზარე!—შესძახა მასწავლებელს ვანომ. მას სხვებიც მიჰყვა და, რომ დროზე მასწავლებელს არ გავეჩერებიეთ, თითქმის ყველა ლაზარეს მავედრებლად გადავიქეცით.

— რა თქმა უნდა გეცოდინებათ, ვინც ქართლელი ხართ, ალბად მონაწილეც იქნებოდით ლაზარეზე სიარულში.

— როგორ არა, რამდენჯერ!—მოისმა აქეთ-იქიდან.

— არა თუ სოფელში, წინა წელს, ტფილისშიაც დადიოდენ ლაზარეზე.—სთქვა ერთმა.

— ვინ, რას ამბობ?—მიცვივდენ ბავშები.

— მე თვითონ მივიღე მონაწილეობა, ვაკის უბანში იყო ეს ამბავი.

— სოლოლაკის ხევშიაც დადიოდენ.—დაუმატა მეორემ.

— როდის იყო ეს ამბავი?—გაიკვირვა მასწავლებელმაც.

— შარშან თუ შარშანწინ, მთელი უბნის ქალები აიშალენ და ერთ-ერთ-ერთ დავდიოდით სიმღერით.—გვარწმუნებდა ეს ამხანაგი

— მაშ, ეს იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად არის გავრცელებული ქართლში ეს ჩვეულება.—სთქვა მასწავლებელმა.—აბა, მოვიგონოთ, ვის გახსოვსთ კარგად. შენა? მაშ, გვიამბე, ვანო!—მიმართა მასწავლებელმა ვანოს.

ვანო წინ წამოდგა და შემდეგი გვიამბო.

აღარ გვინდა გორახი!

გათენდა. მთელი სოფელი რაღაც ფაცა-ფუცშია. აგერ გამოჩნდა დედაკაცების გროვა. დაეშვნენ რიყეზე. მოძებნეს თიხა, გამოძერწეს გულმოდგინედ კაცი,—ვითომ ლაზარეაო, დააკრეფინეს გულხელი, გადაასვენეს ფიცარზე და ისევ სოფლისაკენ გამოსწიეს. ამოვიდენ თუ არა სოფლის ბოლოს, ხალხმა ჟივილ-ხივილით მიაძახა: ლაზარეს მოასვენებენო. ყველანი მოემზადენ ლაზარეზე სასიარულოდ. დაიძრა მთელი სოფლის მოსახლეობა. წავიდენ ლაზარეზე სასიარულოდ. აი, მიადგენ მდიდარაშვილიანთ ოჯახს და დაიწყეს მღერა:

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
მიდგა-მოდგა მხარესა,

დაემზგავსა მთვარესა.
ცხავი აცხავებულა,*
წვიმა გაჩქარებულა.
ღმერთო, მოგვე ტალახი,
აღარ გვინდა გორახი.
შენ მოიყვან წვიმასა,
ჩვენ დაგიკლავთ თიკანსა!

მდიდარაშვილებმა ცოტა ფული გადმოუყარეს და ზოგიც კვერცხი მისცეს.

— დედილო, ცოდვაა წყალს ნუ ასხამ.—მოისმა აივნიდან პატარას ხმა.

— წესი ასეა შვილო, უნდა გადავასხათ.—მიუგო პატარას დედამ და ლაზარეზე მოსიარულეებს წყალი გადაასხა.

— უი, ქა, უი, ქა, რა ცივი წყალია,—აიშალენ მოსიარულეები და აქეთ-იქით გაიფანტენ.

ასე დადიოდენ კარდაკარ სოფელში.

სოფელი რომ მიიარ-მოიარეს, ერთი მეზობლის სახლში დააგროვეს საჩუქრები და წავიდენ მდინარეზე საწუწავად. ჩაიტანეს მდინარეში გუთანი, ჩადგეს წყალში და ასხეს და ასხეს წყალი. ეს იმის ნიშნად, რომ ამ გუთნის მონახნავ ადგილას ასეთი წვიმა მოდიოდესო. მერე ერთმანეთს ასხამდენ წყალს და თავი გაიწუწეს. გული რომ იჯერეს, დაიწყეს ბაყაყების ხოცვა. ვაი იმ ბაყაყის ბრალი, რომელიც ქვის ქვეშიდან თავს გამოყოფდა. ბაყაყების ხოცვა იმისი ნიშანი იყო, რომ მოკლული ბაყაყი ლაზარეს შეეხვეწება და ლაზარეც წვიმასა და ნიაღვრებს დააყენებს, როგორც ბაყაყი არის წყალში დამალული, ისე შეაჯერებს ყანას წყლითაო.

გაათავეს თუ არა ყოველივე ეს, წავიდენ ისევ სოფელში. მოიტანეს ყველაფერი რაც კი საჩუქრები ჰქონდათ მოგროვილი, გაშალეს ერთ მინდორზე სუფრა, სადაც პატარა სახლის მზგავსი ეკლესიაც იდგა, მოიყვანეს თიკანი ამ ეკლესიის წინ, გამოვიდა მნათე, წაიკითხა ლოცვა და თიკანიც დაჰკლა. ჩაჰყარეს თიკნის ხორცი ქვაბში, მოხარშეს და სუფრაზე ჩამოარიგეს. ასე გაატარეს დრო.

---

* ცხავი—ერთგვარი საცერია; ქართლში იციან ხოლმე ხორბლის აცხავება ე. ი. გაცრა, რომ ხორბალს ბზე გამოშორდეს და ისე დაითესოს. „ცხავი აცხავებულა“—თესვისათვის სამზადისს ნიშნავს.

ავტორი.

მაგრამ იმ წელს შემოდგომამდე მაინც არ მოსულა წვიმა. ხალხი უწვიმობას თავის თავს აბრალიდა და ამბობდა: ალბად ვერ ვასიამოვნეთ კარგად ლაზარესო.

აღარ გვინდა ტალახი!

— მახსოვს ერთხელ სოფ. არანისში კოკისპირული წვიმა მოვიდა,—დაიწყო ახლა ქეთომ.—პატარა ბავშები შევიკრიბენით. გავაკეთეთ დედოფალა, დავიხადეთ ფეხთა, ორმა ხელში დავიჭირეთ დედოფალა და დავიწყეთ კარდაკარ სიარული. მივედით ერთს ოჯახში და გავაბით სიმღერა:

ახ, ლაზარე, ლაზარე,
ლაზარ მოდგა კარსა,
აბრიალებს თვალსა,
ცხავი აცხავებულა,
დარი გაჩქარებულა,
ღმერთო, მოგვეც გორახი,
აღარ გვინდა ტალახი,
შენ მოგვიყვან დარსა,
ჩვენ დაგიკლავთ ცხვარსა!

სიმღერა რომ გავათავეთ, გამოიტანეს ნაცარი და მიაყარეს ჩვენს დედოფალას, მოსიარულეებს კი კალათში კვერცხი ჩაგვიდეს. ასე შემოვიარეთ მთელი სოფელი, თითქმის დილიდან შუაღამემდე დავდიოდით.

მართლაც წვიმამ გადაიღო. მეორე დღეს მშვენიერი დარი იდგა. ყველა ლაზარეს ემადლიერებოდა.

— მაგრამ, რაც დრო გადის,—დასძინა მასწავლებელმა,—ცრუმორწმუნეობას ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება და შორს არ არის ის დრო, როცა იგი საბოლოოდ ამოვარდება. ამისი თავდებია ის, რომ ხალხში სწავლა-განათლება თანდათან ვრცელდება.

ქართველის შრომა.

შრომისმოყვარეობა.

— ბუნების დოვლათი იმას შეუძლია თავისი კეთილდღეობისათვის გამოიყენოს, ვინც ცოდნითაა შეიარაღებული და თანაც შრომისმოყვარეა. ქართლელს საზოგადოდ ცოდნა კი აკლია, მაგრამ საშაგიეროდ შრომისმოყვარეა. აბა, მოვუსმინოთ რას ამბობს ჩვენი მწერალი ილია ჭავჭავაძე ქართლელის შრომის-მოყვარეობის შესახებ.—მასწავლებელმა გადაშალა წიგნი და წაგვიკითხა შემდეგი:

„ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთი წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრივით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანსა და მოხდენილად მოყვანილ სახეს. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები მრისხანედ არ გამომეტყველებდენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს სახის მარილიანობას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზე. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახესა და თვალებს, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ, როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზე ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

მუშაობაში ხომ მთელ სოფელში ამას სწორი არა ჰყავდა თითქმის.

— ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო,—ამბობდენ გლეხკაცები.—ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია, დედამიწა უნ-

და შუაგულამდე ჩაანგრიოსო. მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და-შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მანამ თვითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამ-ტანიო.

ბევრს ამისთანას ლაპარაკობდენ გიორგიზე სოფელში და მუ-შაკაცობის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

— ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო.—ამბობდა ხოლმე ამისი დედა.—დიდი გამრჯელია, მაგრამ ცხონებული მამამისივით გულღია და გულმხიარული არ აოისო. ცხონებული ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო დროებასა და ლხინშიაო. ეს კი იმასავით გულმოდგინეა, დაუ-ზარებელი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შე-ცინებსო, სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო".

— დიაღ,—დასძინა მასწავლებელმა,—ბევრს ამისთანა გიორ-გის ზრდის ქართელი ოჯახი, ილიას სიტყვით რომ ვთქვათ, საქმის გულით ამყოლს და ბოლომდე გამტანს, ხელგამომავალს, გამრჯელს, გულმოდგინეს, დაუზარებელს, რომელნიც ისე შეეჭიდებიან საქმეს, თითქო დროებასა და ლხინში არიან, რის გამოც მათ მუშაკაცობის სახელი აქვთ გავარდნილი. ჩვენი მწერალი ნიკო ლომოურიც უქებს ქართელს შრომისმოყვარეობას და სამართლიანად ამბობს:

„ზოგიერთ ვაჟბატონ-ქალბატონებს დიდ სიბრძნეთ მიაჩნიათ შემდეგი სიტყვების წამოროშვა: ქართველი კაცი ზარმაციაო... ახ, ნეტავი როგორც შრომისა და გარჯის სურვილი არ აკლია მას, ისე ცოდნა-განათლება არ აკლდეს და სხვა მრავალი მძლავრი გარემო-ებანი არ უცარავდეს ხელსა... და მაშინ დაინახავდით, როგორ ჯა-რასავით დაატრიალებდა იგი თავის ბედისა და იღბლის ბორბალსა".

შრომის პირობები.

აუტანელ პირობებში უხდება ქართელს მუშაობა, მუდამ ოფლშია გაწუწული და მიწას ებრძვის, ხელები დაკორძებული აქვს, ფეხები დაწყლულებული და კისერი მზისაგან ამომწვარი, აქეცებუ-ლი. კარგად აუწერია ქართელის შრომის პირობები ჩვენს მწე-რალს რაფიელ ერისთავს:

რას შემომცქერი, ძმობილო? ოფლში ვარ გაწუწულია?
ნუ გიკვირს, მენა ჯაფაში არ გამტეხია გულია...
რათ გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი დაკორძებული ხელები?..
ცულს და ბარს მოვაჭნევინე, ვგრიხე და ვგრიხე წნელები...

ყინვაში, მიწის ბრძოლაში, ზოგჯერ არც დამიბანია!,
გინდა შანთს ავაღებინებ, არც კი ამეწვას კანია!..
რათ გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი დაწყლულებული ფეხები?
ეკლებში დავალ ყოველდღე და ტყეში დავეხეტები...
რათ გიკვირს ეს ბალნიანი გადაღეღილი მკერდია?..
გუთნით და ნამგლით ვიბრძოდი, შავს მიწას შევაბერდია!
ქარმა და ყინვამ, მზე-წვიმამ არ ამიქცია გვერდია,
არ შეეპუე მეც ივათ, გულადად გავუჩერდია!..
რათ გიკვირს, ძმაო, შენ ჩემი აქეცებული კისერი?..
ქედი ამომწვა მზე-ყინვამ, ლაპლაპებს, როგორც გიშერი...

სასოფლო მეურნეობა.

— შრომისმოყვარე ქართლელები ბევრგვარ საქმიანობას მისდევენ, რომ ბუნების დოვლათი თავის საკეთილდღეოდ გამოიყენონ. რაკი ქართლელები მეტნაწილად სოფლელები არიან, ქართლელის საქმიანობაც ანუ **მეურნეობა** სოფლურია. ქართლი **სასოფლო-მეურნეობის** მხარეა.

სასოფლო მეურნეობიდან ქართლში ყველაზე უფროა გავრცელებული: ხვნა-თესვა, ამას მისდევს მებაღეობა, მებოსტნეობა, მეცხვარეობა და ნაწილობრივ მევენახეობაც. როგორც ხედავთ, სასოფლო მეურნეობისათვის ვრცელი და თავისუფალი მიწა-წყალია საჭირო: ყანები, ბაღები, ვენახები და საძოვრები თუ ვრცელი არაა, რა სარგებლობას ნახავს მეურნე? ამიტომაც ამგვარი მეურნეობა სოფლად წარმოებს. ქალაქებში კი ისეთი მეურნეობა წარმოებს, რომლისთვისაც ბევრი ადგილ-მამული საჭირო არ არის, სახელდობრ: ვაჭრობა-მრეწველობა. ფაბრიკა-ქარხნებისა და მაღაზიებისათვის, აბა, რა დიდი მიწებია საჭირო!

გავეცნოთ ქართლის სასოფლო მეურნეობის უმთავრეს დარგებს. ამისათვის საჭიროა ქართლში მოგზაურობა და ყველაფრის ადგილობრივ დათვალიერება, მაგრამ, რადგან ჩვენთვის ეს მოუხერხებელია, ამიტომ ვისარგებლოთ ქართლელი მოწაფეების ცნობებით, აკი გქონდათ ყველას დავალებული, რომ ზაფხულის განმავლობაში დაკვირვებოდით გლეხის საქმიანობას, ნაწილობრივ კი ამ მიზნისათვის ძალიან გამოგვადგება სასოფლო მეურნეობის მუზეუმიც.

ხვნა-თესვა.

— ჩვეულებრივ ყანა იხვნება და ითესება გაზაფხულზე, მაგრამ როგორც ვიცით, ქართელი შემოდგომაზედაც ეწევა ხვნა-თესვას. გაზაფხულზე ერთგვარი ჯიშის პური ან ქერი ითესება, რომელსაც სახელად ახალთესლი ჰქვიან. შემოდგომის თვეებში კი ანეული ითესება.

შემოდგომით მოხნული მიწა სინესტით ივსება და ყინვისაგან იშლება კიდეც. ყინვა ბელტებს შლის, აფხვიერებს. ამის გამო გუთანსაც ადვილად გააქვს კვალი, ბელტებს რიგ-რიგად აბრუნებს და აწყობს. წვიმებიც მიწას არბილებს. წვიმების გამო უსარგებლო ბალახიც დალპება, გაიხრწნება და მცენარისათვის საკვებად გადაიქცევა. შემოდგომით მოხნული ანეული* გაზაფხულზე უნდა ითესებოდეს.

ხორბალი გაზაფხულზე თებერვალ-მარტში უნდა ითესებოდეს, შემოდგომით კი ენკენისთვესა და ოქტომბრის დამლევამდე. თესვა კარგ დარში უნდა წარმოებდეს. ქარიან დღეში თესვა მავნებელია, ქარი გაფანტავს თესლს. მთესველმა თესლი ზომიერად უნდა გადააბნიოს. ჩვენში ხვნა-თესვა მარტივი საშუალებებით წარმოებს, თუმცა ზოგან გაუმჯობესებული მანქანებიც არის შემოღებული.

ბარში მეტნაწილად პური და სიმინდი მოჰყავს ქართელს, მთაში კი ქერი. პურის მცენარეს არ უყვარს მოჭარბებული სისველე ნიადაგში. სწორედ ამგვარი ნიადაგია ქართლში, სადაც ციური ნალეკები საზოგადოდ მცირეა, ამიტომაც ქართლში უფრო გავრცელებულია პურის მცენარე. სიმინდს კი, წინაუკმო, ჭარბად უყვარს ნიადაგში სისველე. სიმინდი ქართლის ველებზე სულ ვერ გაიხარებდა ან ძალიან დაბალი ტანის გაიზრდებოდა და ტაროებსაც მომცროს გაიკეთებდა, რომ ქართელი თავის სიმინდის ყანებს ხელოვნურად არ რწყავდეს. ხელოვნური რწყვა პურისათვისაც საჭიროა, იმდენად ნაკლები სისველეა ქართლის ნიადაგში, ნამეტურ გვალვიან ზაფხულში, სიმინდისთვის მით უმეტეს.

მთაში, როგორც ვიცით, ზამთარი ხანგრძლივია, ზაფხული კი ხანმოკლე, და იქ ისეთი პურის მცენარე უნდა დაითესოს, რომლის

* ანეული—ზაფხულში მკის შემდეგ ან შემოდგომის დამდეგს მოხნულ მიწას ჰქვიან. ანეული ან ამავე შემოდგომაზე ითესება, ან მომავალ გაზაფხულზე. ზოგის აზრით ანეული გაზაფხულის ხნულს ჰქვიან, შემოდგომის ხნულს კი ნაოში ჰქვიანო. მე იმ მნიშვნელობით ვხმარობ, როგორც შუა ქართლში გლეხობისაგან გამიგონია და როგორც საბას აქვს განმარტებული.

ავტორი.

დასამწიფებლად მოკლე ზაფხულიც იკმარებს; სწორედ ასეთი მცენარეა ქერი. მაშინ როდესაც პურისა და სიმინდისათვის 3-თვიანი ზაფხული აუცილებლად საჭიროა, ქერისათვის 1-თვიანი ზაფხულიც კმარა. ქერი, რა თქმა უნდა, ბარშიაც კარგად ხარობს და თესვენ კიდეც აქ. ამგვარად პური და სიმინდი, აგრეთვე ქერი ბარში ითესება, მთაში კი მხოლოდ ქერი მოჰყავსთ.

მიწის მოსახნავად ქართლში თოხი ან ბარი არ გამოდგება, რადგან ამ იარაღებით მიწა ღრმად არ მოიხვნება. მიწის ღრმად მოხვნა მხოლოდ გუთნით შეიძლება. მხოლოდ მთაში, სადაც ნალეკები უფრო მეტია, ნიადაგიც საკმაოდ სველია და ნათესი თხლად მოხნულშიაც იშოვის სისველეს, შეიძლება მიწის თხლად მოხვნა, რისთვისაც კავი გამოდგება. მაშასადამე, ქართლელები მთაში კავით ხნავენ მიწას, ბარში კი გუთნით.

გავეცნოთ გუთანს. აი, გუთანი.

გ უ თ ა ნ ი.

გუთანი ქართლელის ოჯახის ბურჯია. იგი მიწის სახნავი იარაღია, რომელიც ნიადაგს ღრმად ხნავს. რაკი გუთანი ნიადაგს ღრმად ხნავს, ამიტომ მის გასაწევად დიდი ღონეა საჭირო; უღელი ხარი, რომელიც კავისათვის კმარა, გუთნისათვის არ კმარა. გუთანში რამდენიმე უღელი ხარ-კამეჩია შებმული. მეტნაწილად ქართლელები 7—8 უღელ ხარ-კამეჩს აბმენ გუთანში, ისიც ისე, რომ ბარ-საკვეთის გასაწევად, რომლითაც მიწა იხვნება და ამის გამო ზისი გაწევა საძნელოა, უღელში შებმულია კამეჩები, როგორც უფრო ღონიერი და გამწევი საქონელი. პირველ უღელში, რომელიც გუთანს მიაგორებს, ბორბლების გაგორება კი იმდენად ძნელი არ არის და არც დიდი ღონეა ამისთვის საჭირო, შებმულია ხარები; მეორე უღელში, რომელიც ბარ-საკვეთის გამწევია, როგორც ვთქვით, შებმულია კამეჩები; მესამე და დანარჩენი უღლები კი ან შერეულია (ხარი და კამეჩი ერთს უღელში) ან მორიგისად—ერთს უღელში ხარები, მეორეში კამეჩები და ა. შ.

გუთნის მუშაობას გუთნისდედა უთვალყურებს და იგი ბარ-საკვეთს კვალში ზისდევს, რომ ველი კარგად მოახვნევინოს და ალო გაიტანოს. გუთნის ერთერთი ბორბალი (მარჯვენა), რომელიც კვალში მიგორავს, უფრო დიდია, ვინემ მეორე ბორბალი (მარცხენა), რომელიც ველზე მიგორავს, რომ ამით წონასწორობა იყოს დაცული.

ყოველ უღელს აზის მეხრე, რომელიც ხარ-კამეჩს მიერეკება.

ჩვეულებრივი გუთანი 22—30 კვალს ხნავს.

აი, როგორაა გამართული გუთანი.



გუთანი.

1—ერკვნის ანუ გუთნის ხელნა, 2—ყელი, 3—სახნელი, 4—დედანი, 5—ფრთა, 6—ხელკუდა (მანჭი), 7—სახელეური, 8—კბილი, 9 სახნისი (ბარი), 10—საკვეთი, 11,11—ფარეში (სოლი), 12,12—საკვმბრო, 13—ჯამბარა, 14—სალეველ, 15,15—ლეკვი, 16—ღირეტა (ველის ბორბალი), 17 სოლი, 18—კვლის ბორბალი, 19—გაბისვენე, 20—კაკები.

გუთნის მომართვა.

გუთანი ისე გაიმართე,
როგორც რომ მართებულია:
პირველ გავთალე ხის **რგალი**
სახელდებული თელისა,

მოვუჭერ სახმლე შუაზედ,
შემოვუღერე ყელიცა,
ყელი კარგად მოუვიდა
და შუა წელი სრულია!
კაკლის დედანი შევაბი
შალაშინ გადასმულია!
ზედ გავუკეთე ხელ-კუდი,
როგორც რომ ჩამოსხმულია.
იფნის ხმალი გავატარე,
ფარეშით გათანგულია.
ღირლიტის მორგვი გავთალე
პიტალო კაკლის გულია.
მუხისა სოლი ვახმარე,
ხელეჩოთ დაწმენდილია.
ჯაგ-რცხილის ფერსოს მოვკიდე,
როგორც დუღაბი კირია.
ისე გავმართე გუთანი,
როგორც რომ მართებულია:
ზედ მოვუბი საყევრები,
წნელებით გადაბმულია;
შიგ დავუჭართე უღლები
ახალი დატუსულია,
შიგ ჩავუყარე ტაბიკი
დათლილი შინდის გულია;
შევაბი აპეურები
ახალი დაგრეხილია,
შევაბი ხარი, კამეჩი
რქა-კუდით შემკობილია;
ხარები იყო მაღალი
და კამეჩები სრულია.
ზედ შეუდგენ მეხრეები
სიმღერას ამბობენ ტკბილსა;
„მაჰამო, ხარო, შავთვალავ,
შინდას უსწორდი მხართანა!“
— აბა, ბიჭებო, გარეკეთ!
ივანეს ეტყვის ათანა.
— სახრე ფრთხილად მოიხმარეთ,

არ მოახვედროთ მხართანა.
ბიჭო, გუთნის თავის მეხრევ,
არ მოსდვა დიდი ველია,
გუთნის გადმოწევისაგან
არ მოიწყვიტო წელია;
სახრის ცემა არ დაუწყოთ,
გაუქნიევით ხელია.
ყველამ კარგად გაირეკეთ,
ნუ მოიგონებთ ძილსაო;
ეს არის მარჯვე გუთანი—
ველს მაღლა უზამს ძირსაო.
ძალიანს გაუჯავრდებით?
ბელტს გადააწვენს სხვილსაო!
ფარცხითაც ისე ჩავფარცხავთ,
როგორც წისქვილის ფქვილსაო.
შიგ რომ დავთესავთ თეთრ პურსა,
ყანას მოგვიყვანს ხშირსაო.

ამგვარად გუთნის უმთავრესი ნაწილებია: **რვილი, სახნისი** ანუ **ბარი, საკვეთი, ფრთა, კბილი, დედანი, მანჭა** ანუ **ხელკუდი, ხმალი.** **საკვეთი**—მიწას სჭრის შვეულად. საკვეთს რკინისას ან ფოლადისას აკეთებენ, სახე პირისკენ მოხრილ ხმალს მიუგავს, მისი ყუის სისქე თუ ერთი **გოჯია**, სიგანე ოთხი გოჯი უნდა ჰქონდეს, თუ სისქე მეტი აქვს, მაშინ ძნელად სჭრის მიწას და საქონელსაც უჭირდება მუშაობა. საკვეთი ქართულ გუთანში რვილაშია ამოყრილი და შიგ სოლებითაა გამაგრებული. საკვეთის ბოლო სახნისს უპირდაპირდება, მხოლოდ მისგან ცოტათი დაშორებულია. საკვეთი სახნისს წინ მიუძღვის, ხნავს მიწას, ამოაქვს მიწიდან ბელტები და ვადააქვს ფრთაზე. **სახნისი**—მიწასა სჭრის სიბრტყეზე, სახე სამკუთხედის მოყვანილობისა აქვს. მისი სიგანით ბელტის სიგანეც განისაზღვრება. სახნისი მეტნაწილად ნაწრთობი თუჯიდან კეთდება. ის მხარე, რომელიც მოძრაობისაკენ არის მიმართული, ამობერილი აქვს. **ფრთა**—ბელტს აბრუნებს, აწყობს კვლის პირზე და თანაც შლის. სხვადასხვა ნიადაგი სხვადასხვა სიგრძის ფრთას ითხოვს. მაგალითად, თიხნარი ნიადაგი გრძელ ფრთას ითხოვს, ქვიშნარისთვის კი გრძელი ფრთა არ არის საჭირო. ჩვენებურ გუთანს ფრთა ხისა აქვს, ისე კი მეტნაწილად რკინისას ან თუჯისას აკეთებენ. ხის ფრთას ძლიერ ეკვრის მიწა და ამიტომ მუშაობასაც აძნელებს. **რვილი**—ჩვენს გუთანს ხისა

აქვს, იგი ან სწორეა, ან მოხრილი, შუაწელი მომსხო აქვს, ყელი კი მოღერებული აქვს. ამ მოღერებულ ყელს, ანუ რვილის ახრილ თავს ის დანიშნულება აქვს, რომ იმით ჩვენ შეგვიძლია გუთანი დავაყენოთ, ე. ი. წინათვე დავნიშნოთ, როგორც კვლის სიგანე, ისე სიღრმე. ამის მაგიერობას ზოგიერთ გუთანში ე. წ. მოსამართი ასრულებს, ეს მოსამართი გუთანს წინ უკეთდება. **ხმალი, კბილი, მანჭა** ანუ **ხელკუდი** (გუთნის ხელის მოსაჭიდი) შეერთებულად გუთნის ტანს შეადგენს; ეს ნაწილები ჩვენებურ გუთანს ხისა აქვს.

გუთანი ისე უნდა იყოს გამართული, რომ მიწა ადვილად მოხნას, მოხნული ბელტები გადააბრუნოს, სწორე კვალი გაიყვანოს შესაფერ სიღრმეზე. გუთანი რაც უფრო ღრმად გადის, საქონელს მით უფრო უმძიმს მისი გატანა. კარგი გუთნისდედა შეუზომავს გუთნის სიმძიმეს საქონლის ძალას.

ქართული გუთნის ნაკლი ისაა, რომ იგი თავისი მოწყობილობით ძლიერ მძიმეა, 7—8 ულელი ხარ-კამეჩია საჭირო მის გასაწევად და მეხრეებიც ბევრი სჭირდება. ჩვენებურ გუთანს გრძელი და სწორე ფრთა აქვს, ასეთი ფრთა კი რიგიანად ვერ აბრუნებს მიწიდან ამოღებულ ბელტებს, სანამ გუთნისდედა ფეხის დაკვრით არ მიეშველება ხოლმე გადასაბრუნებლად. გუთნისდედას ძალა ადგება, რადგანაც გუთანი კვალში სწორედ არა დგება, ხტის ხოლმე. მეტადრე თუ გზაში შეხვდა ჩირგვი ან ქვა. გუთნისდედა ძლიერ მოხერხებული და გამოცდილი უნდა იყოს, რომ გუთანი სწორე კვალში შეიმაგროს და 4—6 გოჯის კვალი გაიყვანოს. თუ ძლიერ ღრმად უნდათ ხვნა, მაშინ ღირღიტას (ველისაკენ რომ თვალია) გამოუყრიან ხოლმე. ხოლო სიგანისათვის—კვალში რომ თვალია, იმას იქით გადასწევენ ხოლმე.

გ უ თ ნ ი ს დ ე დ ა.

გუთნისდედა გუთნის მუშაობას მეთაურობს. უიმისოდ გუთანი მიწას ვერ მოხნავს. აი, როგორი იგავი იციან ჩვენში გუთნისდედის მნიშვნელობის შესახებ.

ერთს კაცს ხვნა არ ენახა. წავიდა მინდორში, სადაც გუთნის მუშაობა ეგულებოდა. მივიდა, დახედა და გაკვირვებით წარმოსთქვა:

— დალოცვილს რკინის ნაჭერს რა ბევრი შესძლებია: ასე სწორედ, ღრმად როგორ მიაქვს კვალი და ასე მწყობრად როგორ გადააქვს ბელტი-ბელტზედაო.

გუთნის დედამ ამ თქმაზე ჩაიცინა.

— აბა, ახლა უცქირე, შენგან ნაქებ რკინის ნაჭერს რა უნარი აქვს,—უთხრა გუთნისდედამ ცნობისმოყვარეს,—და გაუშვა ორივე ხელი, სრულიად თავი მიანება გუთანს და ისე აედევნა უკან.

გუთანმა კვალი სრულიად არივ-დარია და აღარც მიწა გასჭრა.

— ერიჰა!—მიუგო ცნობისმოყვარემ.—თურმე აქაც კაცი ყოფილა თავდაპირველი მომქმედი, მე კი მარტო რკინა დავინახეო.

ახლა მოვუსმინოთ—რას ამბობენ გუთნის ნაწილები თავთავისი დანიშნულების შესახებ:

ჯ ა მ ბ ა რ ა.

ჯამბარამ სთქვა: „ჩემი საქმე
მაბეზღარამსაც მოსვლია:
წვიმა მოვა—დავრბილდები,
მზე—ცეცხლივით მომედება!“
დედანმა სთქვა: „გვერდზე ცურვით
გვერდის ტყავი გადამძვრება!“
ფრთამ სთქვა: „კვლისა ბრუნებითა
ნეკნები სულ დამემტვრევა!“
ბარმა სთქვა: „ქვეშ-ქვეშ ტარებით
მე მზის შუქი მენატრება.“
საკვეთმა სთქვა: „წინ ტარებით
წინა კბილი არა მრჩება!
მეტისმეტი თავში ცემით
თავის ტვინი დამებნევა!“
რვილმა სთქვა: „წელში წევნითა
წელის მძივი გადამწყდება!“
ღირღიტმა სთქვა: „ძახილითა
კრინი ხმა აღარა მრჩება!“
ხარმა სთქვა: „ეგ საქმეები
სულ ჩემ კისერს გადახდება!
მეხრე ულელს დამიჯდება,
თუ არ გასწევ, არ იქნება!
დაწყევლილი გუთნისდედა
კვალ-კვალ გამოიყურება!
იმას არ ეტყვის მეხრესა,
უდივრობა არ იქნება.
მოვა და ისიც გამარტყამს:

თუ არ გასწევ არ იქნება!“
დაიჩოქა და შებღავლა
მაღლა მეუფეს ცაშია!
— „მე რა გიყო, შე საწყალო?
მეც მაგინებენ ცაშია!“

გ უ თ ნ ე უ ლ ი.

— ამ შემოდგომის დამდეგს, სანამ სწავლა დაგვეწყებოდა, მე ჩემს სოფელში ანეული მოვხანი.—უთხრა მასწავლებელს ნიკამ.

— როგორ თუ მოხანი. მარტო შენ ხნავდი განა?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— განა მარტო მე, მე ერთი რას გავხდებოდი, მე მხოლოდ ერთერთი მეხრე ვიყავი და ჩემს ღვინიკ ხარს მივერეკებოდი. ისეთი გუთნეული გაჩაღდა, რომ, თქვენი მოწონებული!

— მაშ გუთნეულის ამბავი შენ კარგად გეცოდინება.—უთხრა მასწავლებელმა.

— რატომაც არა, ვიცი!

— მაშ გვიამბე.

— როგორც თქვენ ბრძანეთ,—დაიწყო ნიკამ,—ჩვენში გუთნეულის გასამართავად 7—8 ულელი ხარ-კამეჩია საჭირო. ჩვენს ღარიბ გლეხკაცობაში ამდენი საქონელი ერთს ან ორს, რასაკვირველია არ ეყოლება. ის კი არა გუთანი და მისი მოსართავიც ყველას როდი აქვს. ზოგს ერთი ულელი საქონელი ჰყავს, ზოგს ცალულელა; შევთანხმდებით ხოლმე რამდენიმე კომლი და თავთავის ხარ-კამეჩს გამოვიყვანთ. ჯერ ერთს მოვუხნავთ მიწას, მერე მეორეს და ყველას, ვინც კი ჩვენს ამხანაგობაში შემოვა.

— კარგი და იქნებ საქონელი სულაც არა მყავს, როგორ მოვიხნა მიწა?—ჰკითხა ვახტანგმა.

— განა საქონელია მარტო საჭირო გუთნეულისათვის?—სთქვა ნიკამ.—საქონელი თუ არა გყავს, სხვაც ბევრი რამაა საჭირო: თვითონ გუთანი, გუთნის მოწყობილობა, მეხრეები, გუთნისდედა, ან ერთ საქმეში გამოდგები, ან მეორეში.

— მაშასადამე გუთნეული შედგება ყველა იმ ხელსაწყო-იარაღებისა და მუშა-ხელისაგან, რაც კი ხვნის დროს არის საჭირო, არა?—ჰკითხა მასწავლებელმა.

— დიაღ, მასწავლებელო.— დაემოწმა ნიკა.

ა ლ ო.

— გუთნეულის მონაწილეებს როგორი ჯილდო ეძლევათ?— ჰკითხა მასწავლებელმა.

— გუთნეულის მონაწილეებს ჯილდოდ ალო ეძლევათ, ე. ი. ხვნის დღე.

— მერე და ყველას ერთნაირი რაოდენობის ალო ეძლევათ, ე. ი. ერთნაირი რაოდენობის დღეებში უხნავენ?—შეეკითხა მასწავლებელი.

— რათა, მასწავლებელო. ალო ამ ანგარიშით ეძლევათ გუთნეულის მონაწილეებს: თითოეულ ცალ საქონელზე თითო ალოა დაწესებული, ე. ი. ერთი ხარის პატრონს ერთ დღეს უხნავენ მიწას, გუთნის პატრონს $2^1/_2$ ალო ერგება, ე. ი. $2^1/_2$ დღეს უნდა უხნავ; გუთნის ნაწილებში—სახხისის პატრონს ერგება $1^1/_2$ ალო, წინა და უკანა ღვედის პატრონს—2 ალო, საკვეთელისა და ჯამბარ-აპეურისას—ნახევარ-ნახევარი ალო, გუთახზე მომუშავე 5 მეხრეს ორ-ორი ალო ერგებათ, ლაპის მეხრეს, რომელიც ლამით მწყემსავს გუთნეულის ხარ-კამეჩს, ერგება ორი ალო, თუ ლამის მეხრე გუთნეულშიაც იყო მონაწილე და ცალკე არ დაუქირავებიათ (ჩვეულებრივ დღის მეხრეებში ორს ესურველს ლამის მეხრედაც დანიშნავენ), სულერთია ორ ალოს დამატებით არგუნებენ. დღის მეხრეებიც, რომელნიც დღისით მწყესავენ გუთნეულის ხარ-კამეჩს, დამატებით თითო ალოს იღებენ. გაზაფხულის გუთნეული უფრო ხანგრძლივად მუშაობს და 40 ალოს შეიცავს (მარტის 15-დან, თითქმის შუა მაისამდე), შემოდგომის გუთნეული კი დაახლოებით 21 ალოს შეიცავს და სამ კვირას გრძელდება. ალოების განაწილება ერთნაირად ხდება როგორც გაზაფხულის, ისე შემოდგომის გუთნეულში. ამ პირობების შეცვლა გუთნეულის მონაწილეების ურთიერთი შეთანხმებით შეიძლება მოხდეს, მაგრამ მეტნაწილად დაჯილდოება ალოებით წარმოებს.

ჩვენში გლეხები თავთავისთვის ხნავენ მიწას, ისიც თითო ულელი ხარით, უბრალო კავით (სახნისით) ან თოხითა და ბარით.—ჩამოერია იმერელი.

— მართალია,—დაემოწმა მასწავლებელი.—თქვენში ნიადაგი წყლითაა გაჟღენთილი და ადვილი მოსახნავია. ქართლის ნიადაგის მოსახნავად კი გუთანი და 7—8 ულელი ხარ-კამეჩია საჭირო. ქართლელებს რომ ასეთი ჩვეულება არ ჰქონდესთ—ამხანაგობის შედგენა და გუთნეულის მონაწილეთა ალოებით დაჯილდოება, ალბად, ვერც

ერთი გლეხი ვერ შესძლებდა ქართლში თავისთვის ყანის მოხვნას და ულუკმა-პუროდ დარჩებოდა. ახლა გავეცნოთ დღისა და ღამის მეხრეებს. აი, როგორ აგვიწერს ჩვენი მწერალი შიო არაგვისპირელი დღის მეხრის მუყაითობას, რომელსაც გუთანში ცალი ხარიც ჰყავს შებმული.

დღის მეხრე.

— გუთნიდედამ ხომ არ გაიარა?—ჰკითხა სოსომ დედას.

— გუთნიდედა აქ გელის.—გადმოსძახა ღობის გარედან ქიტესამ, რომელიც სოსომ აქამდე ვერ შეამჩნია.

სოსო ამ ხმაზე გაწითლდა და დედას საყვედურის კილოთი უთხრა.

— აკი გითხარი დილაზე, როცა შენ ადგე, მეც გამალვიძე-მეთქი!

— არა გრცხვენია, მაგოდენა კაცი სხვამ უნდა გაგალვიძოს!— გაეხუმრა ქიტესა.

— როცა ლოგინში ჩაწვება ხოლმე, სულ იმას მეჩიჩინება: „დილაზე ადრე გამაღვიძე, გუთნისდედას მინდა ავუსწროო,“—ღიმილით უთხრა ბაბალემ ქიტესას.

— ეგ ისეთი ვაჟკაცი დადგება, რომ ამ ჩვენს სოფელში ცალი არ ეყოლება. ჯერ რა არის, სულ თითის სიგრძე ბალღია და...

— ჰო, მეთერთმეტე წელშია გადამდგარი,—გააწყვეტია სიტყვა ბაბალემ.

— ჰო და აკი ვამბობ, ჯერ თითის სიგრძე ბალღია-მეთქი და ახლავ ისეთ უნარს იჩენს, რომ კაცი ვერ წარმოიდგენს. ეგ რომ არა გვყავდეს გუთანზე, სულ უგემური იქნებოდა ჩვენი ხვნა. ამ ქალაქიადღე ისეთს „ოროველას“ დასძახის და ისე ერეკება წინა ხარებს, რომ კაცსაც და ხარსაც დაღალვას არ გვამჩნევინებს...

ბაბალეს გული სიხარულით თავის ადგილს აღარ უდგებოდა, როცა ქიტესა ასეთი ქებით ამკობდა სოსოს. სოსო კი ამ დროს ხბოს ეალერსებოდა და ქიტესას ქებას ყურს არ უგდებდა.

— ხარიც რო ისეთი ჰყავს? ი დალოცვილი და ქედმადლიანი ისე მუყაითად ეწევა, რო ტოლი არა ჰყავს მთელ გუთნეულში.

— ამის გაზრდილია. ექვსი წლისა იყო ჩემი სოსო, ენაცვალოს თავისი დედა, როცა ის ძროხამ მოიგო, და მას აქეთ სულ ეს უვლის ისე შეუყვარდა, რომ თითქმის ღამე გვერდით მიიბამდა ხოლმე და ისე ეძინა. ყოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალი ბალახი მოჰქონდა და თავისი ხელით აჭმევდა.

— კაი ხარი კი დამდგარა და... ღმერთმანი, სოსოზე და მაგის ხარზე ორი დღის ანეულიც ალალია. თუ ღმერთმა დარები დაგვიყენა, სწორედ ორი დღის ანეულს გადვუჭიმავ..

მადლობელი ვარ, ჩემო ქიტესავ, მაგრამ მოდგმებმა რო არ იყაბულონ? ჩემს სოსოს, როგორც დღის მეხრეს, ერთი დღისა ერგება; ცალ ხარს კიდევ—ნახევარი დღისა. აი, ულელი ხარი რო მყავდეს, მაშინ სხვა იქნება: მაშინ ორი დღისა გვერგებოდა.

— რას ამბობ, ადამიანო, რომელი მოდგმი არ მიყაბულებს?! განა ისინი კი არა ხედავენ, რომ ბიჭი ძალზე მუყაითად ეკიდება?

... სოსომ ხბოს თავი დაანება, წამოავლო ხელი საგუთნე სახრეს და ქიტესას დაედევნა.

ღამის მეხრე.

ღამის მეხრის შესახებ აი, რა ლექსი დაუწერია ჩვენს პოეტს რაფიელ ერისთავს:

ღამის მეხრე ვარ, ტლუ ბიჭი, ნაბადში გახვეულია,
გუთნის ხარ-კამეჩს ვდარაჯობ, უნდა ვხნათ ანეულია.
მზე რაკი ჩავა, გუთნეულს გამოვაყოლებ ჭალასა;
თუ მგელი ამოგვედევნა ფინთად ავუშლი ბალანსა!
რომ დაღამდება, ყურს ვუგდებ, არ ისმის ჩქამა-ჩქუმია!
მარტოკა მშიერ ხარ-კამეჩს გაუდის ხრამა-ხრუმია!
ხანდახან ჭოტის ხმა ისმის და გულს მიღონებს წყეული;
ისე საბრალოდ გასძახის, როგორც თიკანი ეული,
ჯეჯილის სანაპიროზე სძოვს და სძოვს გუთნეულია,
იმათ ცოხნაზე მალიმალ მომეკიდება რულია.
ვმაგრობ და ვფხიზლობ, თავს ვიჭერ, თან დავღიღინებ წყნარადა
შევხედავ, ხარი-პარიამ [1] ლამაზად გამოანათა!
მერე აღარა მიჭირს რა, გატყდება ღამე და ძილი;
მრავალიც [2] გადექანება, დიდი არ რჩება მანძილი.
მასუკან დილის რიჟრაჟი ცას გაანათებს და გულსა,
ტოროლაც შეინავარდებს, ძირს ველარ ვნახავ ნაბულსა;
მზე ყურს ამოჭყოფს, გუთნეულს დავირეკ შესაბმელათა...
ორი დღის ალო მერგება, გადამიხნავენ ხელათა.

---

[1]) ხარი-პარია—ცისკრის ვარსკვლავია.

[2]) მრავალი—ვარსკვლავთ-კრებული (ხოჭლი).

უმადური გუთნისდედა.

არის შემთხვევები, თუმცა იშვიათად, რომ გუთნისდედა უმადურობას გამოიჩენს და თავისი მოდგმის მიმართ პირობას პირნათლად არ შეასრულებს. ამგვარი უმადური გუთნისდედის შესახებ აი, როგორი შაირი გაგოუთქვამს ხალხს:

ჩემს საჩივარს რომ მოგიყვე,
იტყვი: ვაი, შენი ბრალი!
მეზობელსა მოვურიგდი,
ალოზე შევუბი ხარი.
ათი ალო თვითონ იხნა,
არ გამივლო ერთი კვალი.
პარასკევს შემატყობინა:
შაბათს შენი ალო არი!
მეხრეები დაარიგა:
გვიან მოლალევით ხარი!
მეხრეებს უჯავრდებოდა:
ნელა გარეკევით ხარი!
სამხარი რომ მივუტანე,
ერთი კვალიც არსად არი!

ს ა მ ხ ა რ ი.

— სამხარი რა არის, მასწავლებელო?—იკითხა ვახტანგმა.

— მე ვეტყვი, მასწავლებელო,—გამოეხმაურა ნიკა.—ხარ-კამეჩს და მუშა-ხელს ხომ დასვენება უნდათ და კიდეც ისვენებენ შუადღისას. დასვენების დროს საქონელს უღლიდან გამოუშვებენ და იქვე ცოტა ხნით აძოვებენ. მუშა-ხელიც ამ დროს სამხარს შეექცევა. ყანის პატრონი მოუტანს ხოლმე მუშა-ხელს ყანაში რამე შეჭამანდს და პურს ან მჭადს, ზედ დააყოლებინებს ღვინოს, ან არა და წყაროს ცივ წყალს. ჩვენს სოფელში მე ასეთი ლექსი გამიგონია იმ კაცზე გამოთქმული, ვისაც მუშა-ხელისათვის საკმარისი შეჭამანდი არა აქვს:

ალალმაქო, დალალმაქო,
დიდ მინდორში ყანა მაქო;
მუშა ბევრი შევიწვიე,
შეჭამანდი აღარ მაქო.

სამხრობის შემდეგ საქონელმა მხარი უნდა იცვალოს: იმ ხარ-კამეჩს, რომელიც კვალიდან ეჩა, ახლა ველიდან შეაბამენ, რადგან კვალში და ველზე მოსიარულე საქონელს ერთნაირი ჯაფა არ ადგას. ამაზე ითქმის:

მეხრეო, ხართა მლალავო,
ნიადაგ მოულალავო,
კიდევ გაავლე კვალია,
ხარმა იცვალა მხარია!

გუთნეულის ქება.

გუთნისა, გუთნისდედისა, მეხრეებისა და ხარ-კამეჩის მუშაობა კარგად არის ნაქები ლექსებსა და შაირებში. აი, როგორ აგვიწერს გუთნეულის მუშაობას რაფ. ერისთავი:

გადი-გამოდი, გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო,
სახნის-საკვეთო, გაუსვი, რომ კაჭაჭს ძირი უთხარო!
ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას მოაბი მხარია;
მეხრევ, გაუკარ შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია,
გააჭიმინეთ ჯამბარა, დამღერეთ „ოროველაო“;
გადააშავეთ მინდორი, რომ დაგვნატროდეს ყველაო...
ფრთას აუწიე, სახნისსაც უმარჯვე, გუთნისდედაო!
ყამირის * ბელტო, ნუ ნაზობ, გადადი ზედი-ზედაო!

აბა, ხალხური შაირებიც მოვისმინოთ გუთნეულის შემამკობელი:

გუთანო, შენი ჭირიმე,
შენი მიყოლა ძნელია,
ვინც შენ მიგყვება, გუთანო,
პური აქვს ძველის ძველია.

—

შენი ჭირიმე, გუთანო,
მაგ შენი მრუდე ყელისა,
წამოუწვები გვერდზედა,
აღება იცი ველისა.

—

გამარჯვებულმა გუთანმა
სამოცი კვალი იარა,

* ყამირი—ძველი კორდი, რამდენიმე წლის განმავლობაში დასვენებული მიწა.

ნეტა რა ხარმა გაუძლო,
და ან რა მეხრემ იარა?!

—

გუთნისა მიყვარს გუგუნი,
მეხრისა შემოძახილი.

—

შენ ჩემო გუთნისდედაო,
ხარი გიბია მტრედაო,
სიმღერა კარგი გცოდნია,
დასძახი ზედიზედაო!

—

კამეჩი მყავდა ლულია,
დასცხა და ველარ ვუვლია.

—

კამეჩი ლონიერია,
ულელსა ზიდავს ხისასა,
გაუჭირდება—წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

—

ჰო, ტპრუ, კამეჩო ლვინაო,
გასწი ყველაზე წინაო.

—

ჰო, ტპრუ, კამეჩო ლომაო,
შეკრულო ვარდის კონაო.

—

ხარო, ხარი ვინ დაგარქვა,
ხარო, სახე მშვენიერო,
ჩვენს ნუგეშად მოვლენილო,
ქედნაკურთხო, ლონიერო.

—

ხარო, დადგა მაისი;
ახლა ხორცით გაივსი;
წყალია და ბალახი,
გასუქდი და გალაღდი.

ბედი და უბედობა.

ხარი ქართლელი გლეხის დაუფასებელი შემწეა, მისი ოჯახის დედაბოძი. მადლიერი პატრონი თვალის ჩინსავით უვლის ამ მოამაგე პირუტყვს და, თუ ვინიცობაა მოუკვდა, თავს დასტირის თავის ერთგულ მარჩენალს. აი, როგორ დარდობს თანდილა, რომელსაც ხარი მოკვდომია. ეს ლექსი რაფ. ერისთავისაა:

ჩაფიქრებულა თანდილა, დაუკრეფია გულხელი,
ჩასცქერის დედამიწასა, ჩუმად ბუტბუტებს გულხელი[1]:
— მომიკვდა ხარი გიშერი, მოკვდა, გამიწყრა ღმერთია!
სადღა ვუშოვო მეუღლე, ცალად-ღა დამრჩა ერთია...
რიღათი მოვხნა ნაწრეტი,[2] რით ავიცილო შიმშილი,
რიღით გავუძღვე ქვეყანას, რიღით ვარჩინო ცოლშვილი?..
შენი ჭირიმე, გიშერავ! ჭირიმე შენი ქედისა,..
მომცილდი, მომკალ ბეჩავი—მწყევარი ჩემი ბედისა!
რა ვუყო შენ ცალ ირმასა, ვერ მოვიკარე თივითა.
დარბის თვალდაფეთებული, ყვირის ხარ-ირემივითა...

მაგრამ ყველა ხომ თანდილასავით არ დაუფასებს პირუტყვს ამაგს, აი, რას ჩივის ხარი ნიკორა ერთს ხალხურ ლექსში:

ატირდა ხარი ნიკორა
მარგალიტისა ცრემლითა:
„მექცევა ჩემი პატრონი
ქცევითა უდიერითა;
დამადგა მძიმე უღელი.
კისერზე ორის ხელითა...
არ მაღირსებენ აპეურს,
მაბამენ არყის წნელითა;
გახმება, შემომჭირებს.
მიწას-ღა დავლოკ ენითა!
თუ დავიჩოქე უღელ-ქვეშ,
დღე დამიბნელდა შავადა;
მომკერძდა სოფლის სიმუხთლე,
გუთანში გავხდი ავადა.
განა დამაცლის პატრონი,

[1] გულხელი—გულნაღვლიანი.
[2] ნაწრეტი—მოუხნავი მიწა.

სული დავლიო თავადა?!
წამიყვანს დაოსებულსა
მინდორში დასაკლავადა!..
მინდორო, მინდვრის დედაო,
ნიკორა შეიბრალეთა!
რომ მოკვდეს, თქვენსა კალთაში
მიიღეთ, მიიბარეთა!
ნუ გახდით საყვავ-ყორნედა,
შვილურად შეინახეთა.

ჯ ე ჯ ი ლ ი

აი გათავდა ხენა და, როგორც რაფ. ერისთავი იტყოდა:

ხარები მორჩენ ალოსა,
ბლომად გაჭიმეს ხნულები;
ახლა შინისკენ მიდიან
ჯაფისგან მოქანცულები.
გუთანი მიაქვთ ღრიჭინით...

ამის შემდეგ მოხნულ მიწას ფარცხით დაფარცხვენ და თესვას შეუდგებიან. დათესვას რომ მორჩებიან, ერთს კიდევ გადააგლებენ ფარცხს, რომ თესლი მიწაში ჩაიმალოს.

დათესვის შემდეგ თესლს იმ წამსვე მიწა უნდა დაეყაროს, ამ მოქმედებას დაფარცხვა ჰქვიან. ფარცხი ასე არის გამართული: კაბდოს უკეთებენ ფიჩხის ლასტს ორ კეტზე ჩაწნულად; კაბდოს წინ რვილს უკეთებენ; რვილზე უდგმენ ულელს საქონლის შესაბმელად. ფარცხი აფარებს თესლს მიწას და აფხვიერებს დაუშლელად დარჩენილ ბელტებს, ასწორებს თანაბრად ხნულს, სწმენდს ყველა უვარგისი ბალახისაგან და გააქვს ეს ბალახი მოხნული მიწის ნაპირას.

სათესლესაც შერჩევა უნდა. სათესლე კარგ პირობებში უნდა იყოს შენახული, თორემ შეიძლება აღმოცენების უნარი დაჰკარგოს. საამისოდ ქართლელი თხრის ორმოს, რომელსაც ბოთლის მოყვანილობა აქვს. ორმოს ამაღლებულ ადგილზე თხრიან. ამოთხრის შემდეგ ორმოს გამოსწვავენ: შიგ ჩალასა და ფიჩხს ჰყრიან და ცეცხლს უკიდებენ. გამოწვის შემდეგ ნაცარს ამოსწმენდენ და ძირში კარგა ბლომად ჩალას უგებენ (ეს კია რომ გვერდებზე არ უგებენ ჩალას, რაც საზიანოდ უნდა ჩაითვალოს თესლისათვის). შემდეგ ორმოს ყე-

ლამდე ავსებენ და ზედ ჩალას აფარებენ; მერე სარქველს ადებენ და ზედ კარგად ბლომად მიწას აყრიან. ქვითკირით ამოლესილ ხაროში უკეთესად ინახება თესლი. ორმოში ხშირად ფუჭდება თესლი, შმორდება, უმჯობესია ბეღელში შენახვა, რომელსაც ქარი უვლის.

ნათესს თუ წვიმები არ შველის, ხელოვნურად უნდა მოირწყოს. სველ მიწაში თესლი კარგად გაღვივდება, თესლისგან ფესვი და კვირტი გამოიწვერება; ფესვი მიწაში გაიძაბება და შემდეგ ძირად გადაიქცევა; კვირტი კი მიწის გულიდან ზევით აღმოცენდება. ამ დროს რომ ნათესს გადახედო, მთლად გადამწვანებულია. მთესველი იტყვის: აი, ჩემი ყანა დაჯეჯილდაო. შემოდგომის ბოლოს რომ ანეულის ჯეჯილი სიცივემ არ დააზროს, გადია ზამთარი მას თოვლის საბანს გადააფარებს. თოვლის ქვეშ ჯეჯილი ნეტარებაშია: თბილადაა, სიცივე არ აწუხებს. რომ თოვლი არ ბოსულიყო, ანეულს ცუდი დღე დაადგებოდა, სიცივე დააზრობდა და ვაახმობდა. ვაზაფხულისთვისაც დიდად სასარგებლოა ეს თოვლი: მზე რომ ქვეყანას გაათბობს, თოვლი დნობას დაიწყებს და მიწას გაჟღინთავს. წყლით გამძღარი მიწა თესლისათვის მისწრებაა, მალე ამოიყვანს ნათესს. სითბოც ზრდას უმატებს და ყანა ზღვასავით აღელდება. მუშა-კაციც გაიხარებს და თავის ჯეჯილს ასე მოუალერსებს ჩვენი პოეტის იოსებ დავითაშვილის ლექსით:

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო:
იკურთხოს იმის მარჯვენა,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!
ზეცამ გიგზავნოს ცვარ-ნამი,
მზემ შუქი გფინოს თანაო;
ქარმა გაღელვოს ზღვასავით,
მწყერმა მოგძახოს ნანაო:
ამაღლდი თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო!
იმისი საზრდო შეიქენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!

ყ ა ნ ა.

მწვანე ჯეჯილი დამწიფების შემდეგ ოქროსფერ ყანად გადაიქცევა. პურის ყანას დიდი შრომა და მოვლა არ სჭირდება, ოღონდ ბუნება ნუ უდედინაცვლებს და მუშა-ხელი ხვნა-თესვის შემდეგ, ვიდრე მკის დრო მოაწევდეს, თავს აღარ დატრიალებს ყანას. სულ სხვაა

სიმინდის ყანა. სიმინდი აღმოცენების შემდეგ უნდა გაითოხნოს, რომ ბალახ-ბულახი გამოცილდეს და სიმინდის ძირს მიწა კარგად შემოეყაროს, აგრეთვე გამოროდება უნდა, ე. ი. ხელახლა გათოხნვა, რომ ყაყიტას სიმინდის ყანის მზგავსად კაცს სიმინდების ღეროების სათითოოდ დათვლა შეეძლოს. ასე უალერსებს გლეხი თავის სიმინდის ყანას ჩვენი პოეტის აკაკის ლექსით:

ყანაო, მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ, ყანაო!
ცისკრის სხივებმა შეგმოსეს
და ნამმა ვადაგბანაო;
დაგქროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო;
ჟუჟუნა წვიმამ ზედ დაგკრა,
ზურმუხტად აგამწვანაო!
ყანაო, გულ-ხელ გაშლილო,
ქვეყნის მოკეთე ყანაო,
მოყვრულად შემოგსევივართ
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარგლავთ ბალახ-ბულახსა,
გა_თოხნით ყოველგანაო.

მოსავლის გამოცანა.

მოსავალს რომ კარგი პირი უჩანს, სიხარული მაინც ნაადრევია: ვინ იცის რა გამოტყვრება და ყანას გაატიალებს. ქართლში ხომ განსაკუთრებით გვალვა და სეტყვაა მოსავლის მტერი. გვალვა და სეტყვა მოსავლის გამოცანაა. აი, როგორ ლოცავს აკაკი ყანას:

აგშორდეს გვალვა და სეტყვა,
მოსავლის გამოცანაო!
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო,
ყანაო, ჩემო ყანაო!

გ ვ ა ლ ვ ა

ზაფხულის განმავლობაში უწვიმო და სიცხიანი დრო ხშირად თვეობით გრძელდება. ამას გვალვა ჰქვიან. გვალვა ჯეჯილისა და ყანის უმთავრესი მტერია ქართლში. აი, როგორ აგვიწერს გვალვას რაფ. ერისთავი:

პაპანებაა, ბული დგას, უჭირს საბრალო ყანასა,
გაჭირდა, გვალვას ვერავინ ვერ უძლებს ამისთანასა!
დაგვიშრა წყლები, ნაკადი, გახმა და დასქდა მიწები!
სუნთქვა სჭირს, ლონე მიმეღო და ზეზეურად ვიწვები!
იჭექა! გრგვინვა მოისმა, იელვა სადღაც ცაშია,
მაგრამ ნამი კი არა ჩანს არსად ცის კამარაშია!..
უფრო და უფრო ჩამოცხა, მიწუხს მაშვრალი სულია,
არსაით იძვრის ნიავი, ცა რაც-ღა მოღუშულია...

ს ე ტ ყ ვ ა.

სეტყვა ასე ჩნდება: როცა მაღლა ცაში ღრუბელი წვიმის წვეთებად იქცევა და ეს წვეთები დაბლა მიწისკენ დაეშვება, ზოგჯერ ზაფხულობით მოხდება ხოლმე, რომ წვეთები ჰაერის ცივ ფენაში გამოივლის, გაიყინება, ყინულის მარცვლებად ანუ სეტყვად გადაიქცევა და მაშინ წვიმის კეთილისმყოფელი წვეთების ნაცვლად დაუშენს გამანადგურებელი სეტყვა. ქართლში სეტყვა ხშირად იცის, ზოგჯერ აქ სეტყვა კაკლისოდენაა, ზოგჯერ უფრო დიდიც. აი, როგორ მოთქვამს ტეტია სეტყვისგან დაზარალებას რაფ. ერისთავის ლექსით:

ნეტა რა წყალში ჩავვარდე, რით გამოვკვებო ცოლშვილი?
ი დასაქცევმა სეტყვამა კარს მომაყენა შიმშილი!..
რას ვიფიქრებდი, ბეჩავი?—ცა კამკამებდა ლურჯადა,
სამი დღის ყანა სამკალი, ზედ კარზე მედგა ბურჯადა!..
უცებ გამოჩნდა პაწაწა, მუშტისოდენა ღრუბელი,
მერე გადიდდა, იგრგვინა და წამოვიდა სულ ბნელი...
დასავლეთიდან დაჰბერა, წამოგვაყარა კოხია,
ბალღები დამიწიოკა, მოაძებნია ქოხია.
ისროდა მუშტისოდენას და გრიალებდა წყეული,
მირეგვ-მორეგვა ხეხილი, გაწყალდა ანაზდეული*!..
ყანა წამიხდა, რა ყანა, ავ თვალს არ ენახებოდა,
თავთავს ქვეშ იხნიქებოდა, სიმძიმისაგან წვებოდა!..

კ ა ლ ი ა.

გვალვისა და სეტყვისაგან გადარჩენილი ყანა შეიძლება კიდევ დააზიანოს სხვა რომელიმე დაუპატიჟებელმა სტუმარმა. გაგიგონებათ კალია, რომელმაც ქართლში იცის ხოლმე შემოსევა და ყანების გავერანება. აი, როგორ აგვიწერს ერთი ხალხური ლექსი კალიის შემოსევას:

* ანაზდეული, ანაზდად—მალე, მსწრაფლ.

ორშაბათ-დილა გათენდა,
ნამგალს დავასხი ტარია.
ჩავიჩანჩხარე გვერდაზე,
ჩამოსეულა კალია.
სულ ერთიან იქ წავასხი—
სოფლის ქალი და რძალია.
ქალებმა ვერა უყვეს-რა,
ქვრივებმა უყვეს ძალია.
ერთი პატარა თეფში მაქვს,
ისიც იქ ჩავიტანია.
მალმალე დავაწკარუნებ,
ეგებ წავიდეს კალია.
ისე მიბრუნდა-მობრუნდა,
როგორც ლილოზე ცხვარია.
გადავხტი მარდად ვენახში,
მოვგლიჯე დიდი სარია,
დავუქნიე და დავკარი,
დაოსდა ერთი კალია.
მე იმას ზედ დავაჯექი,
ქვაზე ვუხალე თავია,
შვიდი ადლი კბილი ჰქონდა,
რვა და ცხრა ადლი მხარია.

ურწყავი მიწა.

გვალვიან ზაფხულში თუ ყანა ურწყავია, მოსავალს დიდი ზიანი შოელის. აი, როგორ აგვიწერს სოფ. ძაღლის-ხევის უბედობას ჩვენი მწერალი ს. მგალობლიშვილი.

„სოფელი ძაღლის-ხევა მდებარეობს ქართლში, კარგა მაღლობ ადგილზე, მაგრამ სწორზე; ორგან არის გადაჭრილი ხეებით, რომელ შიაც ჩაფენილია სახლები. სამასამდე კომლი კაცი იქნება; სახლები ძაღლისხეველებს მომეტებულ ნაწილად დათვის სოროსავით მიწაში აქვთ; სანამ მგზავრი ზედ არ წაადგება და არ დაინახავს საბძლებსა და შუა ცეცხლისათვის შაქრის თავივით გაკეთებულს მაღალ ერდოს, მანამ ვერ წარმოიდგენს, თუ აქ ადამიანი ცხოვრობს.

ძაღლის-ხევას აქვს საუცხოო და სასიამოვნო ადგილები: შიგ სოფელში ოთხივე კუთხით არის მწვანე, ხავსის ფერი ბალახით შემოსილი მინდვრები, საიდანაც სოფლის წვრილ ფეხ საზრდოობს; გა-

დადგებით მაღლობზე და თქვენს თვალს წარმოუდგება დიდი ღელე, მთელი ხეობა, სიგანით 4 კილომ. და სიგრძით რამდენიმე ოცი კილომ. ვიდრე მტკვრის პირამდე. ეს ღელე თავიდან ბოლომდე ავსებულია ვენახებით; აქა იქ ხედავთ მრავალფოთლოვან სიმინდს და კაკლის ჭალებს.

ამ მშვენიერ ჭალებს, სიმინდებს და ვენახებს შუაში ჩამოუთამაშებს მდინარე ფრონე, რომელიც ანკარა წყალს მოათამაშებს და მოჩხრიალებს; მაღლიდან ეს მდინარე ერთს პიტალო სარკესა ჰგავს, რომელიც, როცა ეცემიან მზის სხივები, ათასფერად ბრჭყვიალებს და ციმციმობს; მთელი ეს იმოდენა ჭალები, ვენახები შიგ გადაჰყურებენ ფრონეს, შიგ იხედებიან და ელამაზებიან თავის თავს, როგორც კოხტა პატარძალი. ამის მნახველი უნებლიეთ იტყვის: „ოხ, რა მშვენიერი ხარ, ფრონეე, რომ ამ სიმშვენიერესთან ერთი სისაძაგლე არ გჭირდეს, ერთი ისეთი სიავაზაკე, რომლითაც შენ უკლავ გულს ძაღლისხეველებს! ეს პაწია მდინარე ხანდახან გლეჯს საწყალი გლეხის ვენახების გვერდებს და ისედაც ღარიბსა და დაჩაგრულს გულს უწყალავს.

დიდძალი სახნავი მამული არტყია ძაღლის-ხევას; შიწა შავია როგორც მელანი, მაგრამ ურწყავია. თუ ძაღლისხეველებს ცა გაურისხდა და პატარა ნამი არ მოაწოდა, შენი მტერია—მათი საქმე ცუდად დატრიალდება ხოლმე: მოელის ათასი მწუხარება, ვარამი.

უნდა კი გითხრათ, რომ ძაღლისხეველები ძალიან მშრომელი ხალხია. გაზაფხულდება თუ არა. სახლში ამათ ვერ დაინახავთ, ისინი ჭალა-მინდვრების შვილებად ხდებიან: იქა სძინავთ, იქ შრომობენ, იქ ასველებენ სისხლის ოფლით მინდვრებს და ხანაც იქვე ჩავლენ საფლავსა. ხელის სისქედ აქვს ძაღლისხეველს მზისაგან დამწვარი კანი ხელ-პირზე გადაკრული; ფეხების სიდამსკდრეში თითი გამოივლება; ფეხების წყლულს, მიწა-მწვარას, დაშაშვრას, ეკალ-უკალში კენჭების ხვეწას ის არ უტყდება, მიუხედავად ამისა ამგვარი შრომა დღიურ ლუკმასაც ძლივს იძლევა.“

—განსაკუთრებით სიმინდისათვის არის სახიფათო ურწყავად დატოვება.—დასძინა მასწავლებელმა.—აი, წავიკითხოთ ეს ამბავი:

შეგნებული დახმარება.

ჩვენი სიმინდი მთის ძირას იყო დათესილი. მაისის ხშირი წვიმებისაგან იგი ლაღად ამოვიდა, მაგრამ დადგა თიბათვე და ცა ისე შეიკრა, რომ მთელი თვე დედამიწას წვიმის ერთი წვეთიც არ დასცემია. მიწა გახმა, დაკოშტდა, ნაკადულები დაშრა, მინდვრის ყვა-

ვილებსა და ბალახებს კინძი დასწყდათ, ფოთლები დაუჭკნათ, დაუყვითლდათ.

ჩვენს სიმინდზე რაღა გითხრათ: ისე დამჭლევდა, ისე დაილია, რომ მის გამობრუნებას ვერავინ იფიქრებდა.

ეს დრო იყო, რომ ჩვენი სოფლის მასწავლებელი ჩვენსა მოვიდა. მამა-ჩემი რომ დალონებული ნახა, მიზეზი ჰკითხა. მამაჩემმა უთხრა: „როგორ არ ვიწუხო, შენი ჭირიმე, ამოდენი ჭირნახული ხელიდან მეცლება, სამი დღიური სიმინდი მიხმება, ვიღუპები სხვა რა არა იყოს რა, ცოლშვილი შიმშილით დამეხოცება“.

— მაგაზე კაი ხანია მინდა შენ და შენს მეზობლებს მოგელაპარაკოთ, —უპასუხა მასწავლებელმა; შე დალოცვილო, როგორ ვერ ხედავ, რომ გაზაფხულის ნიაღვრები უბარაქოდ გვეკარგება, ხანდახან ზარალსაც კი გვაძლევს—მინდვრებსა და ყანებს გვიოხრებს, ახლა კი ცვარი წყალი არ მოგვეძებნება, რომ სიმინდს ვუშველოთ. ასე არ ივარგებს იცი რა გითხრა,—ცოტა ხნის დაფიქრების შემდეგ დაუმატა მასწავლებელმა: მომიმზადე ხელსაწყო-იარაღი, რამოდენიმე ხე და ფიცარი—და ხვალვე წავიდეთ ხევის სათავისაკენ—ეგებ რამე გავაკეთოთ.

—თუ რამე გაეწყობა, ყველაფერს გაახლებთო,—უთხრა მამაჩემმა.

მეორე დღეს დილით ადრე მე, მამაჩემი და ორი ჩვენი მეზობელი მასწავლებელს გავყევით. მასწავლებელმა ჩაგვიყვანა ხევში, რომელიც ჩვენსა სიმინდს მარჯვენა გვერდით ჩამოუდიოდა, და მიგვიყვანა ხევის ყელში, სადაც მისი სიგანე ოთხი მეტრიც არ იქნებოდა. აქ უცებ მასწავლებელმა წამოიძახა: ამისთანა ადგილის პატრონს წყალი თავზე სასხმელი უნდა ჰქონდესო, აბა მომაწოდეთ წერაქვი და ხეებიო. ჩვენ მივიტანეთ ყველაფერი და მუშაობა დავიწყეთ. სამი მსხვილი ბოძი დავასეთ—ერთი შუაში და ორი ნაპირებზე. ბოძები ძლიერ გავამაგრეთ და ზედ მუხის ფიცრები ავაკარით. ამგვარად ნიაღვარს გზა შევუკარით. წყალი შეჩერდა და მაღლა აიწია. შუა ბოძთან ხის განიერი ღარი გავაკეთეთ და მერე გავჭერით არხი სიგანით ორიოდე მეტრი; სიგრძით კი იმდენი უნდა გაგვეთხარა, რომ მოგვეყვანა მახლობლად მდებარე დაცემულ ადგილამდე, სადაც უშველებელი ტბა გაიმართებოდა. ეს სამუშაო ჩვენ მეორე დღისათვის გადავდევით.

იმავე დღეს ეს ამბავი სოფელს გაეგო და, გათენდა თუ არა, დიდი და პატარა ყველა სამუშაოზე მოვიდა. ვინ ბარით, ვინ თოხით, ვინ წერაქვით. მოესია ყველა და მალე არხი გაიყვანეს; დიდი სიჩქარით წამოვიდა წყალი და დაცემულ ადგილზე

გაჩერდა. გაჩნდა ტბა, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და უცებ უშველებელი გახდა. „ტბას ნაპირები გაუმაგრეთო,“ დაიძახა მასწავლებელმა, რომელსაც ორივე ხელები დაკაპიწებული და ტალახით დასვრილი ჰქონდა. ბიჭები ეცენ ტბის ნაპირებს და ქვებით და აყალო მიწით აამაღლეს და გაამაგრეს. ახლა მასწავლებლის განკარგულებით ხელი მიჰკვეს ტბიდან წყლის გამოსაყვანი მილის გაკეთებას. ამ მილით წყალი უნდა გასულიყო არხებში ყანების მოსარწყავად. აი, მილიც გააკეთეს და მას საკეტავიც მოუწყვეს. ეს საკეტავი უნდა გახსნილიყო მაშინ, როცა წყალი სარწყავად დასჭირდებოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სულ დაკეტილი უნდა ყოფილიყო.

—ახლა ყველა არხები გაიყვანეთ ყველა საყანეშიო,—სთქვა მასწავლებელმა,—და საქმეც დასრულდებაო.

მოირწყო ყანები და მინდვრები. სიმინდი გამოცოცხლდა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი სოფლელები წელში გაიმართენ. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა—უზომოდ მადლობელი იყვნენ მასწავლებლისა და არ იცოდენ სამაგიეროდ რით გადაეხადათ: იგი არ იღებდა არც ძღვენს და არც მადლობას. „რათ მინდა მადლობა, მე თითონ დაჯილდოებული ვარ იმით, რომ მომეცა საშუალება თქვენი დახმარებისაო,“—ამბობდა იგი, და ამ დროს მას სახე გაბრწყინვებული ჰქონდა და სრული კმაყოფილება და სიხარული ეტყობოდა.

მორწყული სიმინდი.

—როცა სიმინდის ყანა მორწყულია, მის შეხედვას არაფერი სჯობს, გვალვის შიში კი, აბა, რა სახსენებელია. აი, მოვიგონოთ ს. მგალობლიშვილის მოთხრობიდან ერთი ნაწყვეტი—ყაყიტას სიმინდი.

„მდინარე ფრონის პირზე ყაყიტას სიმინდი ჰქონდა დათესილი. მკათათვის გასული იდგა; სიმინდი დატაროებული იყო, საამურად გაჰქონდა მას ღაღანი და შრიალი. ყაყიტას ისე გამოეწმინდა სიმინდი თოხით, რომ ადამიანი სათითოოდ დასთვლიდა ყოველი სიმინდის ღერს, რომელიც გალაღებულიყო, თავი მაღლა აეღო, ტარო უხვად დაეხა და ოქროს ქოჩორს ცელქ ნიავს აბურძგვნინებდა. ამ გაფუფუნებულს ყაყიტას სიმინდს მარჯვნივ წისქვილის რუ ჩამოუდიოდა, რუს გაღმით ვენახი მდებარეობდა, მარცხნივ მდინარის მახლობლად იდგა უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის ჩრდილი ოდნავ ხვდებოდა სიმინდს. ხე მდინარეს გადასცქეროდა; ერთი მისი ტოტი ფრონის ზვირთებს ელამუნებოდა, ქარი სწევდა ტოტს და წყალი ეშხა-

პუნებოდა; წინწკლებით შეპკურებული ფოთლები მარგალიტით ნაკერს სახ ს მოგაგონებდა. ფრონე თავის პატარა, მაგრამ გიჟმაჟ წყალს უშხაპუხებდა იმ კედელს, რომლის გვერდითაც ამართული იყო კაკალი; კაკლის ძირში ტრიალობდა წყალი, გაეკეთებინა მორევი, რომელიც სოფლის ბავშვებს საბანაოდ ამოერჩიათ.

— ნათლი ყაყიტა! ვერ გაათავე სიმინდის რწყვაი?—გადმოსძახა ვენახიდან მეზობელმა.

ყაყიტამ შუბლზე ხელი მიიჩრდილა და გვერდზე გადახედა.

—გუშინ ჩაუგდე და აქამდე რა დაგემართა, ნათლი? ძნელი სარწყავი თუა?



ბ ა რ ი.

— რა სათქმელია!—დაიყუდა ყაყიტა ბარზე და უთხრა მეზობელს.—ძნელი არ არის, ნათლიაშვილობამ, მაგრამ ჯანი აღარ მომდევს; სიბერე ძნელი ყოფილა. შენოდნობისას ემოტოლა მიწას ერთ წამს მოვრჩებოდი, მაგრამ რა გაეწყობა?—თქვა ბერიკაცმა თავის ქნევით.

— კარგა დაგიბუჟუჟებია! ოჰ, შენი მადლის კი ჭირიმე. რა აღელვებულა ე დალოცვილი, ესა!

ყაყიტას სიამოვნების ჟრუანტელმა გაურბინა და სიხარულით გული აუტოკდა; მიუნაკადლა წყალი, აიმართა და ალერსით გადახედა მოღაღანე სიმინდს.

თ ო ხ ი.

— აქ კიდევ რა არის!—სთქვა გულგაკეთებულმა ყაყიტამ; აბა, აი, კაკლისკენ წაიარე. ნაკორდალია, წრეულს გადავბარე ასეთი სიმინდია, რომ ცხენიან კაცს გაუძნელდება გავლა, სულ მაჯის სისხო ტარო აყრია.

— იცი, ნათლი? მე მივუნაკადლებ ბოლოში... აღარა ჰკლებია-რა, და მერე ჩაუგდებ ჩემს სიმინდში. ერთი კვირაა თან დავდევ მერუეებსა.

— წაიყვანე, შვილო, მე რა დამშლელი ვარ; წყალი ქვეყნისაა“.

— განა ყველა ყაყიტასავით მსჯელობდა: წყალი ქვეყნისაო! იყვნენ ქვეყნად ისეთებიც, რომელნიც რუს მითვისებით გლეხების უბედურებაზე თავის ბედნიერებას აშენებდენ. ამას შედეგად მოჰყვებოდა რუს გადაგდება ძალით, რასაც ხშირად კაცის მსხვერპლიც თან სდევდა, აბა მოვისმინოთ ნიკო ლომოურის მოთხრობიდან —„ბედი უბედურთა“ ერთი ნაწყვეტი.—სთქვა მასწავლებელმა და შემდეგი წაგვიკითხა:

რუს გადაგდება.

ა.

თუ ცოტაოდნად მაინც ამინდი შესწევს, გორიძირელებს სამყოფი ჭირნახული მოსდით ხოლმე. საუბედუროდ ამგვარი ამინდიანი წელიწადები ხშირად არ უდგება აქეთ მხარეს! ადამიანის უჯიათობას, მომავალზე უზრუნველობას და ხალხის უმეცრებას გაუწყვიათ ტყეები იქ მთებზე, რომელნიც დღეს მოხრიოკებულნი, მზისგან დამწვარნი და დახურებულნი, შემოხვევიან ამ მხარეს თითქმის ყოველი მხრიდან. ამის გამოისობით აქეთკენ გვალვა ძლიერ ხშირი სტუმარია. ხქვენს მტერსაც ნუ დაადგება ის დღე, რა დღეც ჩვენ გორიძირას დაადგება ხოლმე თუ გვალვამ რამოდენსამე კვირას, ანუ თვეს გასტანა! პატარა რუ, რომელიც ზემოთ სოფლებზე გამოდის და შემდეგ ჩამოდის გორიძირაშიაც, ყოველ ამ დროს საშინლად პატარავდება. ზემოთა სოფლების სარწყავებსაც ბევრს ველარას შველის ხოლმე ესა!.. აბა გორიძირამდისინ ვინ-ღა მოაღწევინებს ამისთანა დროს წყალსა!.. მოურწყავობისაგან ვენახები და სიმინდები სულ მთლად ამოვარდებიან ხოლმე; ბალახი ჭქრება მინდორზე, წყაროები შრებიან! გლეხკაცნი სწყევლიან თავიანთ ბედს და გაჩენის დღესა. მალმალ ჩხუბობენ ერთმანეთში... მათი და მათი ცოლშვილის ვაი-ვაგლახი უერთდება დამშეული, დასიცხული საქონლის ბღავილს და ტრიალებს ხოლმე მთელს არემარეზე ერთი საშინელი საცოდაობა. ქვეყნად მოვლინებული ჯოჯოხეთია გლეხობისათვის ამისთანა დრო! სწორედ ამისთანა ჭირი დაადგა წლეულ ჩვენს უბედურ გორიძირას!

ბ.

— შვილო, გიგო, ვერა მორწყევი-რა დღესაც?

— ვერა, დედა! დღესაც ვერა მოვრწყევი-რა: სიმინდი, სიმინდი ამოგვივარდა, მაგრამ რა სიმინდი! ვენახი გახმა, ვენახი!

— „ვენახი გახმა, ვენახი,“ განიმეორა, თითქო, დაცინვით ბებერმა.—თქვენ კი გულხელი დაგიკრეფიათ და დაილაჯებით სოფელში. ჩემი სულის ცხონებამა, ე ჩიქილასი რო არა მრცხვენოდეს, დღესვე გავვარდებოდი შინიდან, ან რიყელებს ზედ შევაკვდებოდი და ან წყალ აქეთ გამოვუშვებდი!..

— აფსუს, რო ვაჟკაცი არა ხარ, ჩემო დედა! რამდენი ვეჩიჩინე ხან ერთ, ხან მეორეს ამ ოჯახდასაქცევ ჩვენებურებს, მაგრამ პირჯვარი ვერავის დავაწერინე! დღესაც პირობა გვაქვს: უნდა ლოცვის შემდეგ შევგროვდეთ და წყლის თაობაზე ვილაპარაკოთ რამე.

გიგოლას ჯერ არც კი გაეთავებინა უკანასკნელი სიტყვა, რომ ბაკის კარებიდან მოისმა ხმა:

— გიგო, გიგო, გამოდი, ხალხი გროვდება საყდრის კარებზე!

გიგო საჩქაროზე წამოხტა, გადაიცვა ჩოხა და გავარდა კარზე.

8.

— ე რისთვინაც შეკგროვდით, ერთი ეს გავათავოთ-და!—დაიძახა მამასახლისმა.

— აბა, თქვი...—წასძახეს აქეთ-იქიდან.

მამასახლისმა თავი დაუქნია გიგოს; გიგო საჩქაროზე წამოდგა წინა და ხმამაღლა დაიწყო: აგერ ერთი წელიწადია რაც სულ გვინდა შევგროვდეთ და ე რუზე გადავწყვიტოთ რამე და ვერ მოვახერხეთ ერთად თავის შეყრა. ეხლა ყველანი აქა ვართ და უსათუოდ უნდა გადავწყვიტოთ რამე.

— გადავწყვიტოთ, გადავწყვიტოთ...—გაისმა რამდენიმე ხმა.

— ე სიმინდ-ვენახები დაგვიხმენ ამოდენა გვალვისაგან,—განაგრძო გიგომ.—ე ჩვენ რუს სულ აღარ გვანებებენ... რათა, ძმაო? ეს რუ ჩვენ მამაპაპასა და ჩვენც ისე გვიხმარია, როგორც რიყელებს! გამოვიდეთ კომლზე კაცი, წავიღოთ ბარი, ნიჩაბი და ავიდეთ რიყეში. თუ დაგვანებეს წყალი ხომ კარგი, თუ არა და, ძალა ვიხმაროთ: თავები დავიხოცოთ და წყალი კი გამოვიყვანოთ; თორემ შიმშილით დავიხოცებით წრეულს და ვენახებს სამუდამოდ გამოვეთხოვებით; თავათ კალიამ მოგვიძოვა და აგვიოხრა პური, თუ სიმინდებსა და ვენახებსაც არა ვუშველეთ-რა, სულ დავნიავდებით... წავიდეთ, გამოვუშვათ რუ.

— წავიდეთ, წავიდეთ.—დაიგრიალა ხალხმა.

— ბარ-ნიჩბები აიღეთ ხელში, თითო-ოროლა პური გამოიხვიეთ კალთაში და ეხლავე წავიდეთ...—დაიძახა მოხუცებულმა სოლომანამ.

— აბა, მაშ ჩქარა ბარ-ნიჩბები...— დაიყვირა გიგომ.

ხალხი უცებ დაიფანტა და საჩქაროზედვე ბარ-ნიჩბებ მხარზე გადებული შეგროვდა.

— აბა, ვანო, გაგვიძეღ წინ...—უთხრეს აქეთ-იქიდან ვანოს.

ვანო თავ-მოწონებით გადავიდა წინ, გაიდო მხარზე ერთი უშველებელი კეტი და ნელის ნაბიჯით დაიძრა. მას მიჰყვა მოხუცებული სოლომანა, მამასახლისი, გიგო და სხვანი. გაჩუმებული, დაფიქრიანებულის სახით გავიდა ეს კრება სოფლიდან და დაადგა რიყის გზას.

დ.

ხალხი პატარა ხანს უკან წყევლა-გინებით წაადგა გამოსაგდებ რუსა.

— ერთი შეხედე, ამ უღმერთოებს, როგორ მოუმსიათ ე ჩვენი რუ მიწითა და ქვითა!—სიბრაზით დაიძახა გიგომ.

— ბიჭოს!—წამოიძახა გაკვირვებით ვანომ.—ე ჩვენი რუ სარიყო. რუზე კი არ ყოფილა გადაგდებული, სათავადაზნაურო რუზეა... მაშ აბა, მაგრა უნდა ვიყვეთ!

— რაღასა დგეხარ, ხალხო,—დაიძახა მამასახლისმა.—ზოგმა ე ჩვენი რუდამ ამოყარეთ ქვა და მიწა, ზოგმაც იმათ რუში ჩაყარეთ ქვა და ბელტი.

ხალხი გაიყო ორად და მუყაითად იწყო მუშაობა. წაქეზება და ბარაქალის თქმა გლეხობისთვის საჭირო არ იყო. ვანომ დააგდო თავისი კეტი; ეცა იმ ქვას, რომელზედაც იჯდა, და გადაგორებით წაიღო ის სათავადაზნაურო რუსაკენ... საათიც არ იქნებოდა ჯერ გასული, რომ საქმე ბოლოზე მიაყენეს. სათავადაზნაურო რუ გაჰყვეს შუაზე: ნახევარი ისევ ძველ გზაზე გაუშვეს, მეორე ნახევარი კი თავიანთ სარუეზე ფადმოუგდეს. ამგვარად თავდებოდა საქმე, როდესაც ერთმა გლეხთაგანმა დაიძახა:

— არიქა, მოდიან!

ხალხი, ცოტა არ იყო, შეკრთა.

— აბა, ბარები და კეტები დაამზადეთ!—დაიძახა გიგომ.

— დაიცადეთ ჯერა,—სთქვეს ერთხმად მოხუცებულმა სოლომანამ და მამასახლისმა,—იქნება მშვიდობით დაგვანებონ წყალი.

ამ დროს ცხენდაცხენ მოცვივდენ რუზე ორნი ძმანი ხმამაღალა-შვილები, სამნი ძმანი, აზნაურნი, ყლაპიაშვილები. ამათ ყველას ეჭრათ ხანჯლები და ორს მათგანს მხარზე თოფებიცა ჰქონდათ გადა-

დებული, მათ უკან მოჰყვათ ოცამდე გლეხკაცობა. ამათ ზოგს ეჭირათ კეტები და ზოგსაც—ბარები.

— ე რა ამბავია?— დაიღრიალა ჭახმაკმა მოხუცებულმა თონიკე ხმამაღალაშვილმა,— ესეც შეიძელით, რომ მე ჩემ საკუთარ რუს მიწყვეტამთ, თქვე მამა ძ... თქვენა! სუ ისე ამოგხოცამთ ექა, რო ერთი თქვენგანი ცოცხალი აღარ დაბრუნდეს შინა!

— არა, შენი ჭირიმე,— წარსდგა წინ სოლომანა და კრძალვით მოახსენა;—ჩვენ ჩვენი წილი რუ გამოვუშვით აქეთკენ; თქვენი წილი თქვენვე მოგართვით, შენი ჭირიმე!

— როგორ თუ „ჩემი წილი და შენი წილიო“!—დაიყვირა მიხეილ ყლაპიაშვილმა.—მამა გიცხონდა, დიდი მონაწილე არა ხარ ხმამაღალაანთი.

— აშალეთ ეხლავე ე რაღაც მიგიქარამთ,— დაიძახა არჩილ ყლაპიაშვილმა, თორემ ი მამაჩემის სულის მზემა, სუ ამოგხოცამთ ექა!.

— ვერა, შენი ჭირიმე, ვერ ავწლით! —მიუგო სოლომანამ.—სახნავსათესი ამოგვივარდა უწყლოობით! ვენახები და სიმინდები დაგვ...

— აშალეთ-მეთქი, აშალეთ თქვე... დაიღრიალა თონიკემ.

— ვერ ავშლით, ვერა!—დაიძახა ვანომ. გორიძირელებმა განიმეორეს ეს სიტყვები.

— ექ თავებ დავიხოცამთ და წყალი კი უნდა გავიყვანოთ...— დაიძახა გიგომ.

— თავებ დაიხოცამთ და, აბა, დაჰკარით ამ მამა ძ... ბიჭებო,— დაიყვირა რევაზ ხმამაღალაშვილმა და ხანჯალ-ამოღებული ცხენდაცხენ გაჰქანდა ხალხისკენ. მას მიჰყვნენ სხვა ცხენოსნებიც; მათთან მოსული გლეხკაცებიც ნელნელა და უნდომრად წამოდგენ წინა.

— არიქათ, ბიჭებო, სოლომანა!— დაიძახა გიგომ და ბარმოღერებული გაჰქანდა რიყელებისაკენ: მას მიჰყვა თორმეტიოდ ყმაწვილი ბიჭი.., გაჩნდა საშინელი კეტების ტრიალი. გორისძირელები შეცვივდენ შიგ შუა რიყელებში, სადაც სამ-ოთხგან თავპირდამტვრეული და სისხლში მოსვრილი მოხუცებული სოლომანა დაცემულიყო მუხლებზე და ქანცმიხდილი იგერიებდა მტერსა. გიგომ დასტაცა მას ხელი და გამოიტაცა თავიანთკენ.

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება გორიძირელებს დარჩათ. ამის შემდეგ დაშოშმინდა ხალხი. გორიძირელებმა იწყეს თავპირდამტვრეულების გაბანვა და მოსულიეოება.

— ჩვენს სოფელში კი კავთურას წყალობით რუებს წყალი ბლომად მოაქვსთ, მინდვრები კარგად ირწყვის, ყველა კმაყოფილი

ვრჩებით და მეზობლებს ჩხუბი არ მოგვდისთ რუების გადაგდებისათვის.—სიქვა შიომ.—მხოლოდ იქნებ ზოგიერთს წყალი დაუგვიანდეს და მაშინ მერუეს მივმართავთ, თუ მერუემ არ მოგვხედა, მერაბთან გავასაჩივრებთ. მერუე ვალდებულია მერაბის განკარგულება შეასრულოს და რუ თავ-თავის დროზე გადაუგდოს ხან ერთს, ხან მეორე გლეხს, დაწესებული რიგის თანახმად.

ანდრიას ყანა.

— ახლა გავეცნოთ ნიკო ლომოურის მიერ აწერილ ანდრიას ყანას, რომელიც ხელოვნური რწყვის შემწეობით მნახველის თვალს ატყვევებდა.—გვითხრა ერთხელ მასწავლებელმა და წაგვიკითხა შემდეგი:

„ჩემს წინ იყო გადაშლილი თვალგადაუწვდენელი ტრიალი მინდორი, რომლის ნაპირიც შორს, შორს ლაჟვარდი ცის დასავალს და ტყით შემოსილ მაღალ მთების კალთებს უერთდებოდა. ზედ შუა მინდორზე მარდად გარბოდა პატარა მდინარე, რომლის მოჩქრიალე ანკარა წყალიც მზის წითელ სხივებზე სარკისავით ელვარებდა. მის ზურმუხტის ფერი ნაპირებიდან მრავალი პატარ-პატარა ნაკადული მხიარულად აქეთ-იქით მიწანწკარობდა და უხვად რწყავდა მთელი მინდვრის შავსა და ლონიერ ნიადაგს. ამ გარემოებას და გლეხკაცის დაუღალავ მარჯვენას ეს ამოდენა არემარე ერთ დიდ, რაღაც საოცნებო წალკოტად გადაექცია. ყველგან, საითკენაც კი უნდა გაგეხედათ, დაინახავდით ერთგულად შემუშავებულს სხვა და სხვა გვარი მოსავლით სავსე მინდორსა, რომელიც დაყოფილი იყო უთვალავ სწორ და მოგრძო ოთხკუთხიან უჯრებად—სახნავ-სათეს მიწებად. ამ მიწებში ეთესა: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, დიკა, ასლი, მუხუდო, შვრია, ფეტვი, უგრეხელი და სხვა. რადგან ყველა ეს ჭირნახული ერთსა და იმავე დროს არ შემოდის, და იმ ჟამადაც არ იყო ერთნაირად გამხმარი, ამის გამო სხვა და სხვა ნაირად იყო აჭრელებული, სხვა და სხვა ფერად ტურფად ჰყვავოდა მთელი მინდორი!.. იგი წარმოადგენდა ერთს დიდებულ სურათს ადამიანისა და ბუნების ძალთა შეერთებული მოქმედებისას. შემოსული და სრულიად გამხმარი ქერები ყვითლად გამოჩანდენ და სიცოცხლე მოსწრაფებულნი თითქო შურით გასცქეროდენ მათ გვერდზე მწვანეთ მოღალანე ტან-დაბალ ფეტვსა და ყელმოღერებულს, წითელ-ქოჩრიან სიმინდებს. კარგა ლაზათიან შემხმარ ყანებს მოწითალო ფერი დასცემდა და დილის გრილ ნიავზე ზღვასავით ღელავდენ. გაჭიკნილი,

დიდრონი თავთავები ღეროებს ველარ დაემაგრებიათ და ღრმად მოხუცი ადამიანივით წელში მოხრილიყვნენ, ერმანეთს მძიმედ მისწოლ-მოსწოლოდენ, თავები დაბლა დედამიწისაკენ დაეღუნათ და გაბმული ნელი შრიალით, თავთავების დინჯი რხევით, თითქო რაღაც საიდუმლო ამბებს ეჩურჩულებოდენ თავის მოამაგე დედას—შავ მიწას. შეთეთრებული დიკა გვერდში კოხტად ამოსდგომოდა სამერმისოდ დამზადებულს დიდრონ ხნულებს, რომელნიც გადაჭიმულიყვნენ შიგადაშიგ ჭირნახულებში და აყვავებულ ველ-მინდორს შავად აფერადებდენ.

ლამაზი ღულუნა მტრედები, ჩასუქებული გვრიტები, კაი ვარიის ტოლი ყელ-სახვევიანი ქედნები და სხვა. მრავალი ფრინველი გუნდგუნდად მოსდებოდენ ამ ხნულებს და, უკვე დასაუზმებულნი, ერთმანეთს მხიარულად ეთამაშებოდენ. უზარმაზარი, ასწლოვანი მუხები მინდორს აქა-იქ ყარაულებივით ჩასდგომოდენ და თავისი ომახიანი ტოტების დინჯი რხევით თითქო „აქშა, აქშა-ს“ უძახოდენ ყანებზე მოსულ ფრინველების ბრბოთა. მუხების გარშემო წიწილ-კრუხივით გაფანტულიყვნენ პატარ-პატარა მწვანე ბუჩქები, რომლებშიაც უთვალავ პაწაწკინტელა მწერებს მოეყარათ თავი და ერთი გაცხარებული ბზუილ ჭრიჭინი გაჰქონდათ. წმინდა გაკრიალებულ ჰაერში მარად მხიარული მერცხალი ისარივით დაჰქროდა და კოპწია მარდი ტოროლა ზარივით წკრიალა გალობით ლაჟვარდ სივრცეში დაქანაობდა. ყოველი მხრიდან მოისმოდა გოგმანა მწყრების ერთგვარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ყუტ-ყუტი, რომლის ძახილითაც იგინი თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. მაღალ, დაუსრულებელ ცის სივრცეში რომელიღაც ონავარი ფრინველი დინჯად დასცურავდა და ამპარტავნულად გადმოსცქეროდა მის ქვეშ გადაშლილ ბუნების უხვსა და მდიდარ სუფრას. ის ნელნელა უვლიდა ჰაერში წრესა და თითქო ყურადღებასაც არ აქცევდა ყვავლა იმას, რაც იმ დიდებულ სუფრაზე ყოვლად შემძლებელ მასპინძელს კაცთა სანუგეშოდ და თავის სადიდებლად გამოეფინა“.

პურის მკა.

— შუა ზაფხულმაც მოატანა, მკათათვე დადგა. დამწიფდა პური. ყანა სამკალია. დრო საშურია, ყანას უნდა მიუსწრო, სანამ ჩამარცვლიანდება ან გაავდარდება. ფიცხელი მუშაობა უნდა გაჩაღდეს. ქართლელის ყანის მოსამკელად ერთი და ორი მუშა არ კმარა, აქაც, როგორც ხვნის დროს, ბევრი მუშა-ხელია საჭირო. რამდენი-

მე კომლის მუშა-ხელი შეამხანაგდება, გაიმართება **მამითადი,** მომკელები ერთი გამოცდილი მეთაურის ხელმძღვანელობით შეესევიან ყანას ნამგლებით და მკიან გულმოდგინედ. როგორც ხვნის დროს მეხრეების „ოროველა“ გაისმოდა ყანაში, ისე ახლა მამითადის „ჰოოპუნა“ ამხნევებს და აქეზებს მუშას დაუღალავი შრომისათვის. მამითადის მონაწილეები ერთი მეორეს შველიან მკაში: ჯერ ერთი მონაწილის ყანას მომკიან, შემდეგ მეორისას და ა. შ. ვისაც ყანაში მამითადი ჰყავს, იგი უმასპინძლდება მუშა-ხელს, რითაც კი შეუძლია. მკაში საქონელი აღარ ჩანს: მუშა-ხელი ნამგლებს ატრიალებს მხოლოდ. მოვიგონოთ რაფ. ერისთავის ლექსი:

თინიას მამითადი.

მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის იმის ლხინია.
ციბრუტივითა[1] ტრიალებს საწყალობელი თინია!..
ქვრივ-ოხერს, ბეჩავს თინიას ჰყავს ერთად ერთი შვილია,
პაწია, წვითა და დაგვით, ვაებით გამოზრდილია.
დღის მეხრე იყო, მოუხნეს ერთი დღის მიწა ნაოში[2];
მაგრამ სათესლე გაჭირდა—არ გახლდათ საკუჭნაოში!
ჩამოითხოვა თინიამ ორ-ორი მუჭა ხორბალი,
მოთესა, უცებ ზღვა გასკდა, შიგ დატრიალდა ღვთის თვალი!..
თავთავმა თავი დახარა, ყველამ გაღესა ნამგალი,
თინას კი გული უსკდება, ვინ მისცა ამას მომკალი?
თუ სანახევროდ სხვას მისცეს, რაღაა გასაყოფელი!..
თუ არა, ღონე არა აქვს, მისი ღონეა სოფელი...
ჩამოუარა სოფელსა, სთქვა: „ყველას დავეღრიჯები“...
დილა-ადრიან მოადგენ კარზე რჩეული ბიჭები.
ჰოოპუნათი, კიჟინით მოედვენ ქვრივის ყანასა!..
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..
თინა მასპინძლობს გულუხვად: მოუტანია მჭადები,
მაწონი, ორი დედალი, მუშისთვის დანამზადები...
ცოტა არ იყოს რცხვენია, ღვინო არა აქვს საწყალსა,
მაგრამ ზედიზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივ წყალსა!
ჰოოპუნა და კიჟინი უხდება ქვრივის ყანასა!..
არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა!..
ციბრუტივითა ტრიალებს საწყალობელი თინია:
მამითადი ჰყავს თინიას, დღეს არის იმის ლხინია!..

— აი, ჩვენი პოეტის იოსებ დავითაშვილის ლექსიც:

---

[1] ციბრუტი—ფიცართ სახვრეტელი.

[2] ოოშვა—ხნულის გადახვნა კავით.

მკათათვე.

მკათათვე დადგა, ჩამოცხა,
ხმელია ყანა სამკალი,
სიცხისა ლული ტრიალებს
მუშის მტანჯველი, ტიალი.
ბიჭები მკიან ყანასა,
ნამგლებს გაუდით ელრიალი,
ჰაერი ალარ მოძრაობს,
არ ისმის ფოთოლთ შრიალი.
სამკლისა პირსა პანტას ქვეშ
დარბიან გოგო-ბიჭები.
ლორ-ხბო დაყრილა ჭალის პირს,
სიცხით შეჰკვრიათ კრიჭები.
არსად ჩანს კაცის ერთგული
ქოფაკი ძაღლი თოლია,
ჩირგვს ქვეშა წამოწოლილა,
სადაც რომ რბილი მოლია.
მუშა იძახის „ჰოპუნას“,
გადულელიათ გულები;
ყანის მკას მწკრივად მისდევენ,
ვით ერთად გადაბმულები.
მზე გადიხარა, აგრილდა,
მიწყნარდა ნამგლის ტრიალი,
ფრინველთა მორთეს გალობა,
ფოთლებმაც იწყეს შრიალი.
შინ ბრუნდებიან მუშები,
სიმღერას გააქვს გრიალი;
ძნით დადებულმა ურმებმა
უსაპნოდ მორთეს ჭრიალი.
მოდიან გოგო-ბიჭები,
უკან მოსდევენ ხბორებსა,
თოლიაც თავის თეთრ კუდსა
მოდის და მოაქროლებსა.

— საუცხოოდ აუწერია მკა ჩვენს პოეტს შიო მღვიმელს, აი, იმისი ლექსიც:



ნ ა მ გ ა ლ ი.

მ კ ა შ ი.

გასწი, ბიჭო, გაუტიე,
დღეს ნამგალი ფხიანდება;
გამოუსვი ხელეურსა,
თორემ დაგვიგვიანდება.
მზის სხივები გაასკეცდა,
ყანა ფიცხობს, პრიალდება:
შიგ ჩაიწვის მოსავალი;
სარჩო გაგვიტიალდება.
აბა, მეძნევ, გენაცვალე,
არ დაზოგო მუხლის თავი,
მარდად შეჰკარ და შეპოჭე
სალეწი და დასაფქვავი.
გზა-გზა თავთავს ნუ დააბნევ:
ბლომად დადგეს ეგებ ხვავი;
შინაც გვეყოს, გარეთაცა,
და არ გავხდეთ საძრახავი.
დაგელოცოს, ყანავ, მადლი,
სულ არ გირევია ჭვავი,
სიმძიმისგან მიწას ჰკოცნი,
მტრისაც კი ხარ სანახავი...
ბიჭო, ჩქარა ხელეური,
ბიჭო, ჩქარა სველი ულო,
თორემ დადგა მეძნეური,

შე ზარმაცო, შე ორგულო!
ეგრე, ეგრე, მესეიურო,
გასჭერ ყანა, გადუყელე,
შემოსძახე, ჰოოპუნა,
შენთან სხვებიც გაახელე!
თავში გახვ ლ, თუ ბოლოში,
აიმართე, ჩაახველ ე,
ცხელი ოფლი მოიწმინდე,
ყელი ღვინით ჩაისველე.
ჩამორჩენილს უთხარ მკვახედ:
ჩამოდექი სიყმე-მჭრალო,
დღეს შენ ღვინო არ გერგება,
მარტო წყალი უნდა სცალო!!
გასწი, ბიჭო, გაუტიე.
თორემ ძალზე გვიანდება,
თუ დროზე არ მივეშველეთ
ყანა ჩამარცვლიანდება!

— ზოგიერთ ღარიბ გლეხს ისეთი პატარა ყანა აქვს, რომ მკაში მამითადის მოწვევას მისთვის აზრი არა აქვს; სხვების დაუხმარებლად, თავისთვის მკის ასეთი გლეხი ყანას. ამაზე უთქვამს ერთ ღარიბ გლეხს:

სამკალად რომ მოვემზადე,
შევაბი საბძელს კარია,
გავლესე ჩემი ნამგალი,
მაგრა დავაგე ტარია.
დედაჩემი მეუბნება:
შვილო, იჩინე ძალია,
სადილად შეგაპატივებ,
დავნიშნე სამი ვარია.

კალოობა.

პური კაი ხნის მომკილი იყო და ზვინად იდგა. საკალოე ადგილიც მოწმენდილი გვქონდა. ძამამ კევრს პირიანი კაჟები ჩაუყე-



ოთითი.

ნა და გამართა; მხოლოდ ამინდს ვუცდიდით, რომ ლეწვა დაგვეწყო. დამდეგ აგვისტოს მშვენიერი ამინდი დადგა. მოწმენდილ კა-



სამთითი.

ლოზე ძნა გავშალეთ, კევრში ხარები შევაჩით და მუშაობაც გაჩაღდა. მამა კევრზე იჯდა და კალოს გარშემო ხარებს დაარბენინებდა.

ნიჩაბი.

ჩვენ ძნას ვუშლიდით და კალოს ნაპირებს ფიწლებით ვუვლიდით. ბაილეწა პური. ბზე და მარცვალი ერთმანეთში აირია. მზემ გადაი-



არნადი.

ხარა, სიომ დაჰბერა. გალეწილ პურს ავუდევით ფიწლები და მხიარული ყიჟინით ჰაერში შევისროლეთ. სიომ ბზე ცალკე გადაჰყარა,

ფიწალი.

მარცვალი კი ერთად დახვავდა. მარცვალი, მაგრამ რა მარცვალი, შინდის კურკას ჰგავდა ის დალოცვილი! ბზე საბძელში შევინახეთ, მარცვალი კი გავრეცხეთ, გავაშრეთ და მესამე დღეს ჩვენსას თონეში ახალი პურის ლავაშები ამოაკრეს.

— ამგვარად კალოობის დროს დღისით, როცა პური ილეწება მზეა საჭირო, რომ ჩაშლილი ძნები გაფიცხდეს, გამოშრეს და შემდეგ ადვილად გაილეწოს; საღამოს კი, როცა ლეწვას მორჩებიან ნიავია საჭირო, რომ ერთმანეთში არეული ბზე და მარცვალი განიავებით დააცალცალკევონ. აი, როგორ მღერის მეკალოე გლეხი:

შენ დილის მზეო, ლამაზო,
ოქროსფერ სხივებიანო,
შენ გელოდება სოფელი,
ამო, არ დაიგვიანო.
კალოზე ყანა გავშალეთ,
ოქროს თავთავი ფრთიანი,
სხივი დაუშვი, გაფიცხდეს
ლამაზი მარცვლებიანი.
ნიშა-ნიკორაც დაუვლის,
კევრი დაიწყებს სრიალსა,
დღისით შენ გიმღერ, შეგხარი,
საღამოთი კი ნიავსა.

— კევრში ხარებს აბმენ, ზოგჯერ ცხენსაც. გუთანში ქებული კამეჩი კევრისათვის არ გამოდგება. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ კამეჩი ერთს ხალხურ ლექსში:

კამეჩმა სთქვა: სიშავისგან
ტყავი მიმიგავს ბერსაო,
ზამთრის სიცივეს ვერ ვიტან,
ზაფხულში სიცხეს ბევრსაო;
ეს ცუდი ხასიათი მაქვს—
ვერ გავეწყობი კევრსაო.
კევრიდან კი გამომიშვი,
გინდა მაბრძოლე ძელსაო.

— მკა და კალოობა გლეხის საყვარელი საქმიანობაა. ზაფხულის პაპანებას ამ დროს არავინ ემდურის, ის კი არა შეხარიან კიდეც. ზაფხული ყველასათვის შვება და სიხარულია, იგი ქვეყნის დამაპურებელია. სამართლიანად აქებს და ადიდებს ზაფხულს ჩვენი მწერალი ია ეკალაძე.

ზაფხულის ქება.

... მე რო მკითხოთ, წელიწადის რომელი დრო უფრო მოგწონსო, გიპასუხებდით—ზაფხული-მეთქი და აი, რათა:

შემოდგომა ჰგავს ბებერ დიდ-დედას, ჯიბე-უბეები სავსე რომ აქვს ხოლმე ყოველგვარი ხილეულობით,—თავისი შვილიშვილებისათვის შენახული.

ზამთარი მიაგავს ‹მოხუც ბაბუას, წარბშეკრული, ბამბასავით გადაპენტილ თმა-წვერ-ულვაშებიანი, მთელი დღე ბუხრის წინ რომ ზის ხოლმე და ღრმა ფიქრებში გართული, დაუსრულებლივ აბოლებს ჩიბუხს.

გაზაფხული ემზგავსება თვალჟუჟუნა კოპწია გოგონას, დილით საღამომდე ყვავილებით რომ ირთვება ხოლმე და კისკისობს, კისკისობს განუწყვეტლივ.

ზაფხული კი... მე მაგონებს ჯანღონით სავსე ვაჟკაცს: გამბედავს, მხიარულს, დაუღალავს, გამრჯეს, შრომის ხვითქი რომ გადასდის ხოლმე სახეზე და მუხლ-ჩაუკეცავად რომ დატრიალობს სასიცოცხლო ძალთა გასაშლელად და ყოველგვარი საუნჯის მოსახვეჭად.

შემოდგომა მცივანაა, ზამთარი—ყინვიანი, გაზაფხული—ცვალებადი. მარტო ზაფხულია მტკიცე ხასიათის,—სიმტკიცე კი ყველაფერში მოსაწონია!..

მე მიყვარს ზაფხული ჩვენი სოფლისა, ერთი ულამაზესი სოფელთაგანი რომ არის მთელ ქართლში და კოხტა მაყარივით რომ ჩამჯდარა მთებს შუა!

იქვე მთის ძირას, მოჰქუხს ლიახვი და გამალებით მოაქანებს ლურჯ წყალს ადგილ-ადგილ—დაღმართზე მდინარე ჯავრობს და ვეებერთელა ლოდებს თავგანწირვით აწყდება, ადგილ-ადგილ კი—ვაკეზე წყნარად მოდუდუნებს, თითქოს რაღაცას ლაპარაკობსო. ჩრდილოეთით შორს, შორს აღმართულა იალბუზი*. მის გვერდით მძინარე დევებივით მიყრილ-მოყრილა სხვა ქედებიც და პირდაპირ ჩვენს სოფელს გადმოჰყურებენ.

თქვენ უნდა ნახოთ, როგორი სიძლიერით აპრიალებს ხოლმე ზაფხულის მზე თოვლით დაფენილ იალბუზის მწვერვალს, ან როგორ ოშხივარს აადენს ხოლმე ჭალა-ღელეებს, რომ აღტაცებით წამოიძახოთ:

---

* ეს იალბუზი ბრუტსაბძელაა და არა ნამდვილი იალბუზი, იხ. გვ., 57.

ავტორი.

— ბარაქალა, ზაფხულო, ბარაქალა შენს ცხრათვალა მზესაო!..

აბა, რა შესადარებელია ზაფხულის მზესთან მტირალა მზე შემოდგომ სა, ან მწყრალი და მცხრალი მზე ხამთრისა, ან კოპწია მზე გაზაფხულისა, ცბიერის თვალებივით რომ იცინის ხოლმე!..

ყველაზე მადლიანი, დამაპურებელი სამუშაო ხომ მკა და ლეწვაა, და რა უნდა ჰქნას ქართველმა გლეხმა, თუ ზაფხულის მზე მას არ გაამხნევებს?

აკი არცა ბოდიშობს! ჩამოიხსნის ხოლმე საკინძეს, წაიკრავს თავზე ხელსახოცს და გალესილი ნამგლითა თუ ცელით ცეცხლივით მოედება ხოლმე ყანას, ხელეური ხელეურზე გადადის, სვე სვეზე წვება!

მეულოეები ვერ ასწრებენ ხელეურების ძნად შეკვრას, მეფოცხენი—ბულუღლის დადგმას!

მომკელებსა და მცელავებს ხელებიდან ნაპერწკლები სცვივათ!..

გამამხნევებელი სანახავია მკის დროს ჩვენი სოფლის მინდვრები!

ყველა გარეთაა, შინ აღარავინ რჩება. ზოგი მკის, ზოგი ცელავს, ზოგი ურმით ეზიდება ძნასა და ბულულებს, ზოგს უკვე კალოც გაუჩაღებია და კევრის ულელში გაბმული ხარების გასამხნევებლად „ჰოროველას“ დასძახის. ერთის მხრიდან მოისმის „ჰოოპუნა“, მეორიდან—ულამის ყიჟინა. აქ მუშები უკვე საუზმობენ, იქ დედაკაცებს აჩქარებით მიაქვთ ჯერი: დიდი ქოთნით ლობიო, მოზაურით ღვინო, ხურჯინით ნამცხვარი და ჯამ-ჭურჭელი, ერთგან სოფლის გოგო-ბიჭები დამწყერაობენ, მეორეგან გაჭმარტოებული ხის ჩრდილში დასასვენებლად შეგროვილი მუშები ოხუნჯობენ და შაირობენ..,ირგვლივ სიცოცხლეა... ირგვლივ შრომა, სიამე და სიხარული გამეფებულა!..

— ბარაქა, შენს ყანას, ქიტესა!.. გამარჯობა შენს ხარ-კამეჩს, შენს მარჯვენას, გია!—ეხმაურები მინდვრებში გაფანტულს მეზობელ გლეხებს.

— გადღეგრძელა ღმერთმა!.. გაგიმარჯოს შენც!—ალერსიანად გიპასუხებენ ისინიც და გრძნობ, რომ თქვენს შორის დიდი რაღაცა ნათესაობა არის. შენ გიყვარს შენი ხალხი ისე, როგორც ეს მშვენიერი მთა-ველი, როგორც ეს დიდებული ბუნება, როგორც შენი თავი. მაგრამ... არა! შენ ხომ მარტო შენს თავს არ ეკუთვნი!.. შენ ეკუთვნი სოფელს, ქვეყანას, მშრომელ ხალხს და ოცნებად გადაქცეული, აქეთ-იქით ხარბად იყურები, რომ დასტკბე შენი საშობლოს მზერით, ჩვენი გლეხის შრომისმოყვარეობით, ზაფხულის ძლევამოსილებით!

— მაშ, დიდება ზაფხულის მზეს!..

მოსავლიანობა.

— ქართლელის შრომა, როგორც ვხედავთ, აუტანელია, მაგრამ ამალგრილი ოფლი მაინც არ რჩება დაუჯილდოებელი. საერთოდ საქართველოშა 1921 წელს მკუოვრებლებმა მოიწიეს დაახლოებით 22 მილიონი ფუთი პურეული (პური, სიმინდი, ქერი და სხვ.). აქედან მარტო ქართლის მოსავალი $3^1/_2$ მილ. ფუთს, ე. ი. საქართველოს მოსავლის მეექვსედ ნაწილს უდრიდა. (უკეთესი მოსავლიანი წლები იცის ჩვენში, მაგ, ომამდე საქართველოში მოდიოდა 35 მილ. ფუთი პურეული, მაშინ ქართლშიაც მეტი მოსავალი იცოდა).



ქართლისა (ხაზები) და საქართველოს (თეთრი არე) შედარებითი მოსავლიანობა.

ყოველი დათესილი ერთი დესეტინა მიწა იძლევა საშუალოდ 50 ფუთ პურს. მართალია ზოგან რამდენიმე ასეული ფუთიც მოდის, მაგრამ ჩვენ საშუალოდ ვანგარიშობთ.

ეს მოსავალი საკმარისი არ არის: ქართლში ბევრი მიწაა სახნავ-სათესად გამოუყენებელი. დაახლოებით $^1/_2$ მილ. დესეტინა მიწა ქართლში გამოუყენებელი. ქართლში რომ ხელოვნური რწყვა საკმაოდ იყოს გავრცელებული, ეს $^1/_2$ მილ. დესეტინაც გამოსადეგი იქნებოდა ხვნა-თესვისათვის, ურწყავობის გამო კი ამდენი მიწა გამცდარია. ქართლში სახნავ-სათესად გამოყენებულია მხოლოდ 134 605 დეს. მიწა. ამათგან მორწყულია მარტოოდენ 24.847 დეს. დანარჩენი 109.758 დეს. მიწა ურწყავია.

მაგრამ, რაც იხვნება და ითესება, ის მიწებიც უფრო მეტ მოსავალს უნდა გვაძლევდეს: 50 ფუთის ნაცვლად თითოეულ დესეტინაზე შეგვიძლია მივიღოთ 109 ფუთი და უფრო მეტიც. მერე რატომ არ ვიღებთ ამდენს?

ქართლში ყანებს კარგი მომვლელი არა ჰყავს: მიწა დროდადრო უნდა განოყიერდეს, გასუქდეს, თორემ იგი თესვაში თანდათან მჭლევდება. ჩვენში მიწის განოყიერება ჯეროვანად არ იციან, სულ დიდი, ნაკელი ანუ პატივი მოაყარონ ნიადაგს, ესეც იშვიათია, ნიადაგის განოყიერება სადაც იციან, იქ საუკეთესო მოსავალი მოუდისთ.



სახნავ-სათესი (ზერტილები) და გამოუყენებელი (თეთრი არე) მიწები ქართლში

ამასთანავე საჭიროა, რომ ჩვენებური მარტივი იარაღები — ხის გუთანი, რკინის გუთანი, უბრალო ნამგალი, ფარცხი, კევრი და სხვ. შეიცვალოს გაუმჯობესებული მანქანებით. ქართლელის მიწის სამუშაო იარაღები მეტისმეტად მოძველებულია, ასეთ იარაღებს ახლანდელ დროში განათლებულ ქვეყნებში აღარსად არ ხმარობენ. სადგაგონილა 7—8 ულელი ხარ-კამეჩი და 5—10 მუშა-ხელი გაცდეს რამდენიმე დღიურის მოსახნავად! ყანაში უნდა მუშაობდეს 1 ან 2 მუ-

შა-ხელი, მას უნდა ჰქონდეს ისეთი გუთანი, რომელიც თვითონ მოძრაობს უხარკამეჩოდ, ელექტროს ძალით. ამგვარი გუთანი მალე მოხნავს, ნაკლებ ჯან-ღონეს შეიწირავს და საქონელი ხომ სულაც აღარ იქნება ამისთვის საჭირო. ფარცხვა, თესვა, მკა, ლეწვა, განიავება— ყოველივე ეს გაუმჯობესებული მანქანებით უნდა წარმოებდეს. აი, მაშინ ქართველი ცოტა ხნის განმავლობაში, ნაკლები ჯანღონის დახარჯვით და უხარკამეჩოდ გაცილებით მეტს მოსავალს მოიწევს, ვი-



მორწყული (რკალები) და ურწყავი (თეთრი არე) მიწები ქართლში.

სემ დღეს. გლეხი წელში გაიმართება, ნივთიერად გალონიერდება, გონებრივი განვითარებისათვისაც მეტი დრო და საშუალება ეცნება. მეტი ცოდნა მეტს ნაყოფს გამოაღებინებს მიწას და პირუტყვ ლაბასთან ერთ ბედ-ქვეშ მყოფი ტეტია მოწინავე მოქალაქედ მოგვეელინება. ჯერჯერობით ქართლში მხოლოდ აქა-იქ, იშვიათად მოიპოვება გაუმჯობესებული მანქანები.

პურის მხარე.

— მასწავლებელო, რატომ უწოდებენ ქართლს პურის მხარეს? —ვიკითხე მე.

— იმიტომ, ჩემო გია, რომ ქართლში მეტნაწილად პური ითესება. აი, მაგალითად, 5.715.500 ფუთს წლიურ მოსავალში სიმინდი

მხოლოდ 666.200 ფუთი მოსულა ქართლში, დანარჩენი კი ყოფილა პური—3.472.700 ფუთი, ქერი—1.439.200 ფუთი და სხვ. საერთოდ აღმოსავლეთი საქართველო 19.165.900 ფუთს წლიურ მოსავალში სიმინდს იძლევა—1.315.000 ფუთს, დასავლეთი საქართველო კი-17.509.000 ფუთ წლიურ მოსავალში სიმინდს 17.002.000 ფუთს იძლევა ე. ი. თითქმის მთლად სიმინდს! აქედან ცხადია, რომ აღმოსავლეთი საქართველო პურის მხარეა, დასავლეთი საქართველო კი—სიმინდისა. (საქართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად იყოფა სურამის ქედით).



პურეულის მოსავალი ქართლში.

— რა უნდა იყოს ამის მიზეზი, მასწავლებელო, ნუთუ იმერლებსა და სხვებს, ვინც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობს, მჭადი ურჩევნიან ჩვენებურს პურსა?—იკითხა შაქრომ.

— არა, ჩემო შაქრო, ეს ყველაფერი ნიადაგის თვისებით აიხსნება. აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოთ ქართლში, ნიადაგი მშრალია და ასეთს ნიადაგში პური უფრო კარგად ხარობს; დასავლეთ საქართველოში კი ნიადაგი წყლითაა გაჟღენთილი (თუ, რასაკვირველია, გვალვები არ დაუდგათ, გვალვა იქაც იცის და ამის გამო ხე-

ლოვნური რწყვა მათთვისაც საჭიროა) და ასეთს ნიადაგში სიმინდი კარგად ხარობს, პური კი არა.

— პური და სიმინდი ერთნაირად აჯილდოებს მთესველს? — ვკითხე მე.

— არა, მოსავლის რაოდენობით სიმინდი უფრო ხვავიანია. 1 დესეტინა მიწაზე პური საშუალოდ 50 ფუთს მოსავალს იძლევა, სიმინდი კი 80 ფუთს. — მომიგო მასწავლებელმა.

— მაშ, სიმინდის თესვა უფრო სარფიანი საქმე ყოფილა, — სთქვა შაქრომ.

— არა, სამაგიეროდ პური უფრო ძვირად ფასობს, ვინემ სიმინდი.

შემდეგისათვის ჩვენ ასეთი დიაგრამა დავიმუშავეთ.

სახნავ-სათესის სიმცირე.

— მასწავლებელო, რაგინდ კარგი მოსავალი მოუვიდეს გლეხს, თუ სახნავ-სათესი მიწა მ კირეოდენი აქვს, მოსავალიც ხომ მცირე მოუვა, შეიძლება წლის სარჩოდაც არ ეყოს. — ჩამოერია სოსო.

— მართალია, სახნავ-სათესის სიმცირე მოსავალსაც შეამცირებს. თუმცა ქართლში სახნავ-სათესი მიწები დიდ სივრცეზეა გადაჭიმული, მაგრამ დღემდე გლეხობა მიწების სიმცირით შევიწროებულია, რაღა იქნებოდა ძველად, რევოლიუციამდე, როცა გლეხი მთლად უმიწო და უმამულო იყო თითქმის. სხვათაშორის სახნავ-სათესის სიმცირე ერთერთი მიზეზიც იყო სოფლების სიპატარავისა. აი, გავეცნოთ ნიკო ლომოურის მოთხრობიდან ერთ ნაწყვეტს:

„სოფელ გორიძირას, ვგონებ, თვით თვისის მდებარეობიდან დარქმევია სახელი: იგი არის მოკრუნჩხული ერთს იმ მომწვარს და მოტიტვლებულს გორის ძირთაგანში, რომლის მსგავსს ასე ხშირად ხედავთ, რაკი ჩვენს კურთხეულ ტფილისს ზემოთკენ გასცდებით. „მოკრუნჩხულა-მეთქი იმისთვის ვამბობ, რომ ამ სოფელს უჭირავს ძიელ პაწაწკინა ალაგი, თუმცა მასში ას კომლამდისინ გლეხობა და სამიოდ კომლი თავად-აზნაურნი სცხოვრობენ. თუ შინაურულად არ იცით ამ სოფლის გარემოება, მის მცხოვრებთა რიცხვის გამოცნობაში თქვენი თვალი უსათუოდ მოსტყუვდება, არც იქნება ეს საკვირველი; აქაურ გლეხკაცთ ისე მიუსხავთ და მიუკრუნჩხავთ ერთმანეთზე თავიანთი ღრმად ჩათხრილი მიწური სახლები, რომ გეგონებათ — აქ ოციოდ მოსახლეზე მეტი არ იქნებაო.

— რათ სცხოვრობთ, ძმობილო, ასე შევიწროებულნი, ასე ერთი ერთმანეთზე მიმსხდარნი?—ვკითხე ერთს გლეხს, როდესაც ამ გარემოებამ პირველად მიიზიდა ჩემი ყურადღება.

— რა ვქნათ, შენი ჭირიმე,—მომიგო მან,—ჩვენ რო გან-განზე ღავდგეთ, სახხავ-სათესი მინდორი სულ დაგვიპატარავდება. ჯერ ეხლაც არ გვყოფნის მარული და, აბა, შენი კვნესამე, სოფელიც რო გაგვეჭიმ-გამოგვეჭიმა, რიღათი გვეცხოვრა!?"

შეგალეობა.

ერთხელ მასწავლებელმა იცით სად წაგვიყვანა?—ხილის საწყობში. მივადექით ამ საწყობს და გარედან წარწერა წავიკითხეთ: მეხილეთა ამხანაგობა ქართლი. ჩვენ გაგვიკვირდა; სად სკოლა და სად ხილის საწყობი! და ამ გაკვირვებას ველარ ვმალავდით. მასწავლებელმა ერთს მეხილეთაგანს ხელი ჩამოართვა და გამოელაპარაკა.

— ამოტოლა ჯარი-ჯამაათი შენია?—ჰკითხა მეხილემ მასწავლებელს.

— კი, ჩემო ილიკო, და, იცი რისთვის მოვიყვანე, ეს საწყობი უნდა დაგვათვალიერებინო და გვითხრა—რადარა ხილია აქ და ან რა სოფლებიდან მოგიტანიათ.

— არხეინად იყავი, მაგისი ამბავი მე მკითხე.—გამხიარულდა ილიკო და ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო. გავიგეთ, რომ ქართლის სოფლებიდან ბევრგვარი ხილი გამოაქვსთ გასაყიდათ, ზოგს აქვე ჰყიდიან ქალაქში, ზოგს კი ყუთებში აწყობენ და შორიშორს გზავნიან გასაყიდათ. ისიც გვითხრეს, რომ გორში ქარხანაც არისო გამართული, სადაც ხილს საგანგებო კოლოფებში ტკბილად ინახავენ და ბაზარზე ბლომად გააქვსთ გასაყიდად.

— რადარანაირი ხილი არ ვნახეთ, მასწავლებელო.—სთქვა მიხომ, როცა სკოლაში მეცადინეობა განვაგრძეთ.—სულ კბილები მიკაწკაწებდა, ერთი ჩამაკბეჩია-მეთქი.

— დუქნის ხილი რა სახარბიელოა,—ჩამოერია ლექსო,—საქმე, ისაა მსხმოიარე ხეხილს კენწეროზე რომ მოექცევი, ჩაჯდები დახუნძლულ ტოტებში და ალარ იცი—რომელ ერთს ჩაავლო კბილი, ყველა გხიბლავს და თავისკენ გეპატიჟება.—ამ სიტყვებზე ლექსოს, მგონი, ნდომის ნერწყვიც მოერია პირში.

ცოტა ხანს ასე ვიმასლაათეთ, დავისვენეთ და შემდეგ მასწავლებელმა დაიწყო.

— ქართლში მებაღეობას ბევრგან მისდევენ, ზოგიერთი სოფელი განსაკუთრებით მებაღეობით არის განთქმული. ქართლელებს მოჰყავს საუკეთესო ჯიშის ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვ. ქართლის ხილი მეტად ტკბილია, სურნელოვანი და გამძლე. რატომ? იმიტომ, რომ ქართლის ნიადაგი ნაკლებადაა სველი და ხილი წყლით არ იჟღინთება. ზედმეტი წყალი კი ხილს გემოს უკარგავს, სუნსაც უქარვებს და უდროოდ ალპობს. ამასთანავე ქართლის პაპანება კარგად ამწიფებს ხილს. რაკი ქართლის ხილი ტკბილია, სურნელოვანი და გამძლე, ამიტომ იგი შორიშორს გააქვსთ გასაყიდად. ხომ ნახეთ — საწყობში რამდენი ყუთი იყო ხილით დატვირთული და სხვა ქალაქებში გასაგზავნად გამზადებული.

ბაღს კარგი მოვლა უნდა. მებაღე თავისი საქმის კარგი მცოდნე უნდა იყოს. ხეხილი თუ თავის ნებაზე მიუშვი, უგემურსა და მომცრო ნაყოფს მოისხამს, მაგრამ, თუ მცოდნე ხელი უვლის მას, დროზე შეკვეცავს, უმჯობეს ნერგს შეარჩევს, საუკეთესო ჯიშებს ამყნობს, მაშინ ხეხილი გემრიელს, სურნელოვან და დიდროვან ნაყოფებს მოისხამს. რაც უფრო მეტი მცოდნე მებაღე გვეყოლება ქართლში, მით უფრო მეტად განვითარდება აქ მებაღეობა. მებაღე გლეხი ნივთიერად უფრო ლონიერია.

ნიკო ლომოურის მოთხრობაში კარგად არის აწერილი ერთი გლეხის ანდრიას ხეხილი. გავეცნოთ ანდრიას ხეხილს და გავიგოთ — რა კარგი მებაღე ყოფილა ანდრია. — მასწავლებელმა გადაშალა წიგნი და წაგვიკითხა შემდეგი:

ანდრიას ხეხილი.

...„ლობესა და ვაზებს შუა სამი საჟენი სიგანე, მწვანე ბალახით დაფენილი ველი იყო დარჩენილი. ამ ველზე იყო პირდაპირ გამწკრივებული მსხმოიარე, დახუნძლული ხეხილი: ყინვარე შაქარივით ტკბილი თურაშაული მჟავე და გამძლე კიტრა-ვაშლს გასცქეროდა და წითლად დატკრუცული გემრიელი აბილაური წვრილ, საბებრო შეყვითლებულ ქაშა ვაშლს გადაჰხვევოდა. მუშტისოდენა გულაბები ისეთის ეშხით გამოიჭყიტეპოდენ მწვანე ფოთლებიდან, თითქოს ეუბნებიან ვისმე: მოდი, ერთი ჩამკბიჩე, როგორ თაფლივით ჩაგადნე პირშიო. დახუნძლულ ხეჭეჭურებს, მაგარ საზამთრო შავმსხალს, სეფნიაურს, საჩირე ბორბალას და საზაჟხულო, უკვე შეთქვირებულ მსხლებს ისე ლონივრად დაეზნიქათ ტოტები, თითქოს სანაძლეო დაედოთ ერთმანეთში: აბა, რომელი ჩვენგანი უფრო მალე ემთხვევა ჩვენს მოამაგე დედამი-

წის გულსაო... აქვე ღობის ძირას იყო ჩამწკრივებული ათიოდე ახალი, კარგა მოზრდილი ნამყენები. გამოცდილი ხელით შეკვეცილი ტოტები თამამად აეშვირათ მაღლა მზისაკენ, რომლის მეოხებით შიგადაშიგ მათ ქორფა ტოტებში ახლად მოსხმული ნიშნები გამოსჩანდენ.

— თითო ეს ნამყენი თითო შვილად მიღირს! — სთქვა ანდრიამ და სათითოოდ ყველას ჩამოუარა, ყველას ხელი ფრთხილად მიუსვამოუსვა და თვითეულს მათგანს რამდენიმე საალერსო სიტყვა უთხრა ისეთის აღტაცებით, ისეთი გრძნობით, თითქო ამათ ესმოდათ რამე და ყოველ მის სიტყვას სათითოოდა ჰკრეფავდენ.

— ოი, თქვენი ჭირიმე, თქვენი!.. — აღგზნებული თვალებით შეჰხაროდა ანდრია, — თქვენი კვნესამე, ჩემო ბიჭებო, ჯერ უწვერ-ულვაშო ახალგაზრდებო! გაიზარდენით, თქვენს ჯანს ვენაცვალე, გაიზარდენით, და ერთი მალე ამომიდექით ძმურად მხარშია, თორემ გაჭირდა საქმე!..

ლამაზ, კოპწია ნამყენებს სუფთა, ნორჩი ყლორტები ნელნელა ენძრეოდენ: ხან მაღლა-მაღლა ადიოდენ, ხანაც გვერდზე ანდრიასაკენ იზნიქებოდენ, ფოთლებს ნაზად აშრიალებდენ და ამ საიდუმლო ენით თითქო პასუხად უგალობდენ: გმადლობთ, გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო მამავ, ჩვენო კეთილო მფარველო, ჩვენო მოამაგე მეგობარო!.. ნუ გეშინია, გავიზრდებით ჩვენცა და ერთი ათად გადაგიხდით შენს დიდს ამაგსა!

მეოთხე გვერდზედაც აგრეთვე ხეხილი იყო ჩამწკრივებული. ჩემს სიცოცხლეში ამაზე მსხმოიარე ხეები ამის მეტად ჯერ არსად არ მენახა და განუზომელის აღტაცებით ვურბენდი გარეშემო ყოველს მათგანს. ამათ ირგვლივ ტოტები დედამიწამდისინა ჰქონდათ დაშვებული, ასე რომ, თუ ხის ქვეშ შესვლას მოინდომებდით, დაზნექილი ტოტები ხელით უნდა გაგეწივ-გამოგეწიათ და, როდესაც შიგნით მოექცეოდით, თქვენს თვალს წინ წარმოუდგებოდა რაღაცა საოცნებო, ზღაპრული, მწვანე ფოთლებისა და მსხმოიარე ტოტების მშვენიერი კარავი. დაიხედავდით თუ არა ძირსა ძალაუნებურად ჩაგეკეცებოდათ მუხლები და სიამოვნებით მოისურვებდით ერთ თავისუფლად გადაგორებას, ნებივრად განსვენებას იმ რბილ კეწ-კეწ ხალიჩაზე, რომელიც ყოვლად ძლიერს შემოქმედს გადაეშალა აქა".

— ქართლში ბაღებს საკმაოდ დიდი ადგილი აქვსთ მოკავებული, — დასძინა მასწავლებელმა, — დაახლოებით 7.000 დესეტინა. მებაღეებს კარგი შემოსავალიც აქვსთ.

მევენახეობა.

რომ იცოდეთ—როგორ ჩამრჩა ხსოვნაში ერთი ექსკურსია, რომელიც მოვაწყვეთ ყოფ. საუფლისწულო მარნების დასათვალიერებლად. ღვინის მარანი და ასე ვეებერთელა, ასეთი მდიდარი და დიდებულად მოწყობილი, მე ჯერ არ მენახა. დაილოცოს ქალაქი, რას არ ნახავს აქ თვალი. კახელ ბავშებსაც გაუკვირდათ, თუმცა მათს სოფლებში დიდი მარნები ყოფილა. მე კი, აბა, სად ვნახავდი ასეთს მარანს. ჩვენს სოფელში ღვინო სულაც არ მოდის.

— ამდენი ღვინო საიდან მოდის?—ვკითხე მასწავლებელს.

— მეტნაწილად კახეთიდან.—მომიგო მან.

— განა ქართლში ღვინო სულ არ არის?

— როგორ არა, მაგრამ იმდენი არა, როგორც კახეთში. ქართლელებსაც აქვსთ ვენახები, მაგრამ ცოტა და ისიც ზოგიერთ ადგილებში. ამის შესახებ შემდეგ ვისაუბროთ. ახლა კი აქაურობა დავათვალიეროთ და, რამაც დაგაინტერესოთ, ჰკითხეთ მემარნეს.

დავათვალიერეთ მარანი. შევკრიბეთ ზოგიერთი საინტერესო ცნობები და სკოლაში დავბრუნდით.

ვაზის გაშენება.

ვის არ გვიგემია ყურძენი? ვის არ გაგვიკეთებია აკიდოები და ჯაგნები? ვის არ მოვვიგლეჯია ჩხა, მტევანზე კუფხალი, მაგრამ ყველამ იცის მისი ამბავი? არა! სავენახედ ის ადგილია სუკეთესო, სადაც ჩრდილოეთის ქარი არა ქრის და სამხრეთისაკენ არის დაქანებული, რომ მზე დღის განმავლობაში დიდხანს უცქერდეს მტევანს. მზეს უყვარს ისეთი მიწა, რომელიც თიხა-კირნარევია და ფხვიერი. კირნარ ნიადაგზე გაშენებული ვენახი ტკბილ ღვინოს იძლევა. თიხიანზე კარგად ხარობს და კეთილ სურნელოვანი ღვინო მოდის. მხოლოდ ქვიშნარზე გაშენებული ვენახი უგემური და უფერულია.

სავენახე ადგილი ჯერ ღრმად უნდა მოიხნას და კარგად მოინაკლოს. მერე გაითოხნოს და კვლებად დაიყოს. ასე დამზადებულ მიწაში შემოდგომაზე ვაზებს ძირეულად ჰფლვენ,—უფრო ხშირად კი რქებით ამრავლებენ. ან კიდევ ძირეულ ვენახისგან ტოტებს დაღუნვენ, მიწაში ჩაფლვენ, ბოლოს ზევით ამოაშვერინებენ და შუაზე მიწას მიაყრიან. ამგვარ გაშენებას გადაწიდნვა ჰქვიან.

გაზაფხულზე ან შემოდგომაზე ვენახს გასხლვენ, ორ რქაზე დაიყენებენ, მაგრამ ამ ორ რქასაც ორ კვირტზე მეტს არ შეარჩენენ.

მერე რამდენჯერმე გათოხნიან, ან დაბარვენ, რომ მიწა შეირყეს და უფრო დამუშავდეს. გაზაფხულზედვე ვაზს ხარდანს ან ჭიგოს დაუსობენ და შეყელვენ.

ვაზს თუ ფუროცელი ან ყლორტი მოერია, ზედმეტს მოაშორებენ. ამას გაფურჩქვნას ეტყვიან. ახალი ვენახი მეორე წელს გამოიტანს კუნწს. კუნწზე გამოვა კლერტები, კლერტებზე—მარცვალი. კლერტზე ასხმულს მარცვლებს მტევანი ჰქვიან, დაუმწიფებელ მტევანს—ისრიმი. აგვისტოში მტევანი შეითვალება, სექტემბერში კი დამწიფდება. მწიფე მტევანს ჰქვიან ყურძენი. დამწიფებულ მტევნის ნაგლეჯს—კუფხალი. როდესაც ყურძენი დამწიფდება, კრეფენ, ყრიან საწნეხელში, სწნეხენ და ტკბილად ქვევრებში ასხამენ. ტკბილი დულდება და დროზე ღვინო დგება.

— რაკი ქართლში ცივი, სუსხიანი ზამთარი იცის,—დასძინა მასწავლებელმა,—ამიტომ ვაზი აქ კარგად ვერ გაიხარებს. მხოლოდ ისეთ ადგილებში ხარობს აქ ვაზი, რომელი ადგილიც მოფარებულია და დაცულია ცივი ქარებისაგან. ზამთრობით ქართველი თავის ვაზს მიწაში ჩაფლავს ხოლმე, რომ სიცივემ ეს ნაზი მცენარე არ დააზროს. ამგვარად ქართველს ვაზის მოსავლელად დიდი შრომა სჭირდება, მაგრამ მაინც ზოგ ადგილებში კარგი ვენახებია გაშენებული. ყველაზე უფრო განთქმულია ქართლში ვენახებით სოფ. მუხრანი, ხიდისთავი, ატენი.

თუ მევენახე მცოდნე კაცია და ვენახს ჯეროვანად უვლის, მას დიდი სარგებლობის და მოგების შეძენა შეუძლია. გახსოვსთ რა დიდი მარანი ვნახეთ ღვინით სავსე. ისეთი მარნები სხვაც ბევრია ჩვენში. ამდენი ღვინო რომ ფულად იქცევა, რა თანხის პატრონი უნდა შეიქნეს ჩვენი მევენახე გლეხი! ჯერ მარტო ტფილისში წლიურად საშუალოდ 30 მილიონი ბოთლი ღვინო იხარჯება ($1^1/_2$-2 მილ. ვედრო), ე. ი. დაახლოებით 20 მილიონი მანეთის! საერთოდ ქართლში (1917 წლის მოსავლის მიხედვით) დაახლოებით $3^1/_2$ მილ. ბოთლი ღვინო მოსულა (216 ათას ვედრომდე). ამგვარად ქართლის მოსავალი მარტო ტფილისის მოთხოვნილებას მეათედად თუ აკმაყოფილებს, მეტად ვერა. ქართლში მევენახეობას გაუმჯობესება სჭირდება და მოსავალიც, ცხადია, ბევრად იმატებს. მხოლოდ, როგორც ვთქვით, ქართლში ყველგან ვერ გაიხარებს ვაზი. მთაში,—ხანგრძლივი სიცივეების გამო, ვაზი არ ხარობს, ბარში კი ხარობს, მაგრამ ისიც აქა-იქ. ამიტომაც უთქვამს ხალხს:

არ მინდა მთაში მოყვარე
რკო უდგია და წიფელი,
ქართლში სჯობია მოყვარე—(ე. ი. ბარშიო)
ღვინო უდგია წითელი!

ქართლის ვენახების მტერი ჯერ ერთი ზამთრის სუსხია, შემდეგ ზაფხულის გვალვა, მაგრამ სეტყვაც არ აკლებს ხელს. აი, როგორ დაუსეტყვავს ერთხელ ვენახებით განთქმული სოფ. ხიდისთავი:

ხიდისთავს სეტყვა გროვდება,
ნამქერი მოდის სვეტადა,
უფლისციხური მინდვრები
დასეტყვა მეტისმეტადა,
ხიდისთავს ქვევრი მოგლიჯა,
დაუდო კარებს სვეტადა.

ვაზაფხულზე ზოჯჯერ ვენახებს რთვილიც ახდენს ხოლმე:

მაისში რთვილი მოვიდა,
ვაი ქვეყნების ბრალია,
სულ დაგვირთვილა ვენახი,
აგვაღებინა ხელია.

დართვილვას ქართლელები „იალბუზს“ (ბრუტსაბძელას) და რაზმითის მთას აბრალებენ. აი, რა უთქვამს ხალხს:

იმ წყეულმა იალბუზმა
გადაივარცხნა წვერია,
კალოობა მოიყვანა,
აღარ გვაჩვენა რთველია!

საერთოდ ჩვენს ხალხს და კერძოთ ქართლელებსაც ვაზის მცენარე, როგორც ღვინის მომცემი, ძალიან უყვართ და მიაჩნიათ. აი, როგორ შეხარის გლეხი ვენახს რაფ. ერისთავის ლექსით!

მევენახის სიმღერა.

ვაზის ჭირიმე, ვაზისა, უფლისგან კურთხეულისა,
წითელი ღვინის დედაა, გამხარებელი გულისა.
ვაზო, შვილივით ნაზარდო, ულვაში გადგიგრეხია;
ჩაჭკონებიხარ ჭიგოსა, შუაზე გადგიტეხია;
ჭირიმე შენი ფესვისა, მოვკვდები მე შენს ძირშია;
შენით ვარ მხნე და გულადი, იმედით გასაჭირშია.
შენის ზედაშის მადლს ვფიცავ, შენ არ მოგაკლო ბარია,
გაგსხლა, შეგყელო, გაგთოხნო, არც კი ჩნდეს მონათხარია;
შეგფურჩქნო, გაგალამაზო, როგორც რომ პატარძალია,
არა დავზოგო მე შენთვის ჩემი ღონე და ძალია.

ანდრიას ვენახი.

— აი, როგორი ვენახი ჰქონდა გაშენებული ანდრიას.—სთქვა მასწავლებელმა და წაგვიკითხა ნიკო ლომოურის მოთხრობიდან ერთი ნაწყვეტი:

„მართლაც და საუცხოო, სასიამოვნო სანახავი იყო ანდრიას ვენახი! გარშემო კარგი მაღალი და ეკლიანი ძეძვით გამაგრებული ღობე ჰქონდა შემოვლებული... ვენახების თავში ჩრდილოეთისაკენ იდგა რამდენიმე, ვინ იცის ვისგან და ვის დროს დარგული, უზარმაზარი კაკლის ხეები, რომელთა ქვეშ შეუწყვეტლივ მოსისინებდა გრილი ნიავი და სასიამოვნოდ აბიბინებდა ხავერდივით მოლაპლაპე წმინდა პრასა ბალახსა... შევედით ვაზებში. ზოგიერთ ვაჟბატონ-ქალბატონებს დიდ სიბრძნეთ მიაჩნიათ შემდეგი სიტყვების წამოროშვა: ქართველი კაცი ზარმაციაო... ახ, ნეტავი როგორც შრომისა და გარჯის სურვილი არ აკლია მას, ისე ცოდნა-განათლება არ აკლდეს და სხვა მრავალი მძლავრი გარემოებანი არ უცარავდეს ხელსა... და მაშინ დაინახავდით, როგორ ჯარასავით დაატრიალებდა იგი თავის ბედისა და იღბლის ბორბალსა! მაღალი, სწორე სარები, როგორცა სჩანდა, ღონივრად იყვნენ მიწაში ჩარჭობილი; ამათ, გულწრფელ სატრფოსავით, ძირიდან წვერამდისინ შემოჰხვეოდენ განიერ და ხასხას მწვანე ფოთლებიანი ვაზები, რომელთა შორის ერთსაც ვერ დაინახავდით ან გვერდზე წაწოლილს, ან ძირს დაცემულს, ისე კოხტად ყელმოღერებულნი იდგენ ერთმანეთის გვერდზე. ამასთანავე სრულიად თავისუფლად შეგეძლოთ დავლა-დათვალიერება მთელი ვენახისა. ვერც ერთგან ვერ შეხვდებოდით აქ თავის ნებაზე დარჩენილ გაშლილ გაბარდღნულ ვაზსა, რომლის აქეთ-იქით გაბმულ-გამობმული რქები ასე აწუხებენ, ასე აბრკოლებენ ყოველ ნაბიჯზე უხეიროდ შემუშავებულ ვენახში მოსიარულესა. ცხადადა სჩანდა, რომ ამ ვენახის პატრონს სამაგალითოდ სცოდნია, როგორც გასხლვა, ისე შეყელვა და შეფურჩქვნა ვაზისა! მაგრამ ყველაზე გასაოცარი აქ ყურძნის მსხმოიარეობა იყო. რომ იტყვიან, ფოთოლზე უმრავლესი ასხიაო, სწორედ ამ ვენახზე შეიძლებოდა ამის თქმა. ასე გეგონებოდათ, ყურძნის ჯაგნები მოუტანიათ და განგებ დაუკიდნიათ აქაურ ვაზებზეო! შავ-კაპიტოს შეხედავდით, თუ წითელ კლერტოებიან საფერავსა, მსხვილ-მარცვლებიან ხარი-თვალას, თუ გამოსავლიან თეთრ ყურძენსა, ნაზ თხელ-კანიან ბუდეშურს, თუ მოგრძო და თაფლივით ტკბილ თითას,—ყველა ატყვევებდა მნახველს.

ანდრია სახე-გაცოცხლებული იდგა და აღტაცებით შესცქეროდა მსხმოიარე ვენახსა. მერე დაიჩოქა, მოხვია ხელი ერთ ვაზსა და ხმამაღლა შესძახა: ოი, ვეთაყვანე თქვენს მადლიან ძირსაო!

კარგა სანს ვიდექით ვაზებში. ვიცქერებოდი აქეთ-იქით და ვტკბებოდი იმ სურათით, რომელიც ჩემს გარშემო იყო გადაშლილი.“

— ყურძენი რომ დამწიფდება,—სთქვა მასწავლებელმა,—სოფელში რთველი გაიმართება. რთველში დიდი მხიარულებაა. კარგად აგვიწერს რთველს რაფ. ერისთავი:

რ თ ვ ე ლ ი.

ყურძენი დამწიფებულა! დახე, როგორ წითლად ღუის!...
ჩქარა, ჩქარა რთველი, თორემ კოლო, ბუზი თავს დაბზუის!
შეიკრიბენ მკრეფავები, ამოუდგენ თითო ვაზსა,
ყურძენს კრეფენ, იცინიან—და მოაბეს მხარი მხარსა.
მტევნებს კრეფენ, გლეჯენ, სჭრიან, გაჰკრეს, გაჰკრეს ვენახს ხელი!
კალათები იტვირთება და შეიქნა ხშირი რთველი!..
საურმეზე გოდრებს სდგამენ, კალათს სცლიან ზედიზედა...
აბა, ბიჭო, მარნისაკენ, თორემ ძლიერ გაიჭედა!..
იკიდებენ მძიმე გოდრებს სიცილით და ღიღინითა
ურმით მიაქვთ საწნახლისკენ ნება-ნება*, ჭრიჭინითა!..
აბა, ვიგო, ქრჩხა თუ გინდა, ან ჯაგანი, ან აკიდო,
შენი წილი ზამთრისათვის, მოდი, ზურგზე წამოგკიდო...
ჩვეულება ესეთი გვაქვს: ხილს ვინახავთ საზამთროსა...
ყურძენი სჯობს შესანახად ნესვებსა და საზამთროსა...
მზე ჩავიდა, საწნახლიდან მოწკრიალობს ტკბილი წყარო;
აბა, ბიჭო, შეადექით, ახლა წურვას მოვუჩქარ ოთ!..
ბიჭებმა ფეხთ დაიბანეს, შემოადგენ საწნახელსა,
გადიან და გამოდიან, უმადლიან ყურძნის რთველსა.
აგერ ტკბილმაც მოიმატა, ძლივს-ღა იტევს ვიწრო ღარი,
ჩქაფა-ჩქუფით მოჩქრიალობს, ქვევრი დახვდა უმაძღარი!..

* ნება-ნება—ნელა-ნელა.

— ღვინის შესანახად ქართველს მეტნაწილად დარბაზში მიწაში აქვს ჩადგმული ქვევრი, თუ ქვევრები ბევრია, მაშინ ცალკე გა-

ს ა რ ც ბ ი.

იმართება ბარანი. ღვინოს სანამ ჩაასხამდენ, ქვევრს ასუფთავებენ, რეცხავენ სარცხით და ნარეცხი ამოაქვსთ ხაპირით. ღვინოს ქვევრი-

ხ ა პ ი რ ი.

დან ორშიმოთი იღებენ. ჩვეულებრივ ყურძენს ფეხით წურავენ და წნეხვენ საწნეხელში, ზოგჯერ კი ამისთვის საგანგებოდ გამართულ ღვინის საწურავ მანქანაში.

ო რ შ ი მ ო.

მებოსტნეობა და მებაღჩეობა

ერთს მშვენიერს დღეს ორთაჭალას ვეწვიეთ. დავათვალიერეთ. მოგვეწონა.

— აი, ტფილისის ბოსტანი და ბაღჩა,—გვითხრა მასწავლებელმა.—მეტნაწილად ჩვენს ქალაქს ზამთრობით ეს აწვდის ბოსტნეულს. გაზაფხულიდან კი ორთაჭალის გარდა ქართლის სხვადასხვა სოფლებიდანაც მოგვდის ბოსტნეული. ორთაჭალა, როგორც უფრო მახლობელი, ადვილად მისამხრობი უბანი, ტფილისისთვის საუკეთესო ბოსტნად ითვლება, ნაწილობრივ ვერის ბაღების ბოსტნებიც აწვდის ქალაქს ბოსტნეულს.

ქართლის სოფლებში ბოსტნები და ბაღჩები ბლომადაა. ნიკოლომოურის მოთხრობაში რომ ანდრიას ყანას, ბაღსა და ვენახს გავეცანით, იმ ანდრიას ბოსტანიც კარგი ჰქონდა:

„ვენახის ბოლოში, კაკლების გასწვრივ, ბოსტანი იყო გამართული. სწორე კვლებად დაყოფილი, მუყაითის ხელით სუფთად გაბ-

რგლილი, სავსე იყო ის ყოველგვარი მწვანილეულითა, ხახვსა და კა-
რთოფილს ყველაზე დიდი ადგილი ეჭირა; შემდეგ მათ მისდევდა
კომბოსტო, კიტრი, ჭარხალი, ქინძი, წიწმატი და სხვ. მრავალი.

— ბიძაჩემმა ერთი კალთა ქორფა, შუშა კიტრები მოიტანა და
ჩემ წინ წამოყარა მწვანე ბალახზე, მერე ჩოხის საქისედან ამოიღო
პატარა მარილის თვლები: ერთი მე გადმომიგდო, მეორე თვითონ
დაიჭირა ხელში და ამის შემდეგ ორივემ მადიანად ვიწყეთ კიტრე-
ბის ფცქვნა და ჭამა!"

— ბაღჩაში ითესება ნესვი, საზამთრო, გოგრა (კვახი) და სხვ.
მისთანანი. მებოსტნეობას და მებაღჩეობას დიდი სარგებლობა მოაქვს
ქართლელისათვის. მას შეუძლია მარტო ამ მეურნეობით ირჩინოს
თავი. ბოსტნეულს მოკაზმულადაც ჰყიდიან კოლოფებით, მაგ. ბად-
რიჯანს, წიწაკას ანუ პილპილს და სხვ. ამის ქარხანა (ბოსტნეულის
კონსერვების ქარხანა) ტფილისში და გორში არის გამართული.

ორთაჭალაში ცოტა ხანს დავრჩით და შემდეგ სკოლაში დავ-
ბრუნდით.

მეცხვარეობა.

ქართლის ველების თვალუწვდენელი სივრცე ხელს უწყობს მე-
ცხვარეობის განვითარებას. საძოვრები ბლომადაა, დაახლოებით
215.000 დესეტინა. მეცხვარეობას მთაში მცხოვრებნი უფრო მისდე-
ვენ: მთიულები, მოხევეები, ოსები მეცხვარეობით ირჩენენ თავს,
თორემ სხვა რა მოსავალი აქვსთ მათ, ქერის მეტი რა ხარობს პურე-
ულ მცენარეებში და ან მათი ბაღები და ბაღჩები რა სახსენებელია.
რომ მეცხვარეობა არა—მთაში მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩაც-
ვივდებოდენ.

არაგვის ხეობაც განთქმულია მეცხვარეობით. ეს სჩანს ამ ხალ-
ხურ ლექსში:

ყველა წყლისა უფროსია
მტკვარი, არის ხელ-წიფენი,
არაგვსა შემოუთვალა,
შენ ვეზირი იყავ ჩემი.
შენ სამწვადე წამოიღე,
შამფურები ნომაქვს ბევრი.

(არაგვი სამწვადეს წამოიღებს, რადგან ცხვარს ხშირად ახრ-
ჩობს, მტკვარს შამფურები მოაქვს, ე. ი. ხე-ტყე, ტივები).

გაზაფხულზე და ნამეტურ ზაფხულობით ბარის მეცხვარეები მთაში არეკავენ ხოლმე ცხვარს, რომ ბარის სიცხეებს მოარიდონ; ამ დროს ველებზე ბალახი სიცხისაგან თითქმის მთლად გადატრუსულია და წყალიც დამშრალია; ოქტომბრიდან მარტამდე კი ისევ ბარში მორეკავენ ფარას და ზამთრის სიცივეებში ფარეხში ამწყვდევენ.

წველის დროს მეცხვარეები აგროვებენ ყველს, ერბოს, კარაქს. ქართლში ყველაზე უფრო განთქმულია ოსური ყველი. მეცხვარეები რძის ნაწარმოებს გარდა თვითონ ცხვარს და მის მატყლსაც ბლომად ჰყიდიან. ზაფხულობით თრიალეთის ქედი, სურამის ქედი და სხვა ახლო-მახლო მდებარე მთები, სადაც კი ბალახი ბიბინობს, ცხვრის ფარითაა დაფარული. მეცხვარეობა სასარგებლო მეურნეობაა, მხოლოდ გაუმჯობესებას საჭიროებს: ცხვარს უკეთესი მოვლა-მოშენება უნდა და რძის ნაწარმოებიც უკეთესად უნდა მზადდებოდეს.

გავეცნოთ რაფ. ერისთავის ლექსს „მეცხვარე თრიალეთზედა“, რომელშიაც გამოყვანილია შირაქის ველიდან (კახეთშია) მოსული მეცხვარე და გავიგოთ—როგორი საძოვარია თრიალეთის ქედის კალთებზე:

მეცხვარე თრიალეთზედა.

ცხორი ავდენე შირაქით
თრიალეთისა მთაზედა,
მეც მოქანცული, მოღლილი,
ჩამოვჯე ჩემდა ქვაზედა.
თვალ გადავავლე ძინდვრებსა,
თვალ არ გადასწვდა განზედა,
ტურფად სჩანს აქით მთა-ველი,
უკეთ სხვა ქვეყანაზედა...
...აქებდენ თრიალეთის მთას,
კარგი ყოფილა წყეული,
აქ მწვანედ ღელავს ბალახი,
ჭრელავს ყვავილი რჩეული,
ხმაც ისმის ხარი-ირმისა,
გაჰყვირის გადარეული!..
ცოტად მცხა, მაგრამ ნიავი
მეხვევა, მკოცნის გულშია,

ბროლივით წყარო წყურვილს ჰკლავს,
მზეს ჰფერავს ნაკადულშია.
ცხორი მაძღარი დაყრილა,
იცოხნის პაწა რულშია*,
ნავარდობს ბიჭა-ბატკანი...
მიყვარს, ჩავისომ სულშია!..
ჭირიმე თრიალეთისა,
ეს არის ჩემი სულია,
კალმახი იცის ოქროსი,
დაწინწკლულ-დაჩითულია;
ყველს მაძლევს, მატყლსა საჩოხეს,
რად მეჭირვების ფულია?..
მე უფულოდაც დღე და ღამ
მიმღერის ლაღი გულია!..

ცხვარი კვერნაკზე.

კვერნაკის მთაზედაც არის კარგი საძოვრები და ცხვარი იქ ბლომადაა. აი, როგორ აგვიწერს აქაური მეცხვარე თავისი ფარის სიმრავლეს ერთს ხალხურ ლექსში:

განა არ იცი, ბატონო,
კვერნაკი დიდი მთა არი?
ძმა და ძმისწული ცხვარში მყავს,
მოჯამაგირე სხვა არი,
სამოცი ძაღლი ცხვარში მყავს,
პარკის გოშია სხვა არი;
სამოცსა ცხვარსა ვაჩუქებ—
ვითომც მუნია თხა არი!

ცხვარი მთაში.

მეცხვარეობის გასაცნობად წავიკითხოთ აგრეთვე ალ. ყაზბეგის მოთხრობის ერთი ნაწყვეტი, სადაც აწერილია „საზაფხულო სადგური სნოსა და გუდამაყრის ხეობის მეცხვარეებისა, რომელთაც ლაღ ბუნებასთან ერთად თავადაც გული ულაღდებათ“.

„ზაფხული იყო. ბურსაჭირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იდგა. მწყემსებს ჯალაბობა საწველად მიეყვანათ და ურიცხვ ყველსა და ერბოს

* რული, ლული— მცირე რამ ძილი.

ამზადებდენ. ბუნებისაგან დაყვავებული და გამხიარულებული მთიელები სიცოცხლის სიტკბოებას ეძლეოდენ. ყველა მხიარულებდა, ყველა ხარობდა, ბუნების მშვენიერებით აღძრული გული მოუსვენრად ფართხალობდა,გალაღებული საქონელი თამამად დაფუნდრუკებდა.ნამით გაღვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალვებოდა; გაშმაგებული ფუტკრები მინდვრის კეკლუცო თავს ევლებოდენ და წყნარი ნიავი მათ ცელქად შესთამაშებდა, მზის შუქი ცას აწითლებდა და ოქროსფერად მოჰფენოდა ურიცხვს გოლიათებს. ყვავილის კოკრებს, ახლად გამონსკულებს, ოდნავ გადაეხადათ მწვანე პირბადე და გაღიმებული სახე მორცხვად გამოეჩინათ. აქა-იქ მთის წვერებზე მოჩანდენ მწყემსები და ამ განთიადს მიეგებებოდენ სიმღერით, ან ჩამავალის მზის შუქს ესალმებოდენ.

... ზაფხულმა გაიარა და მშვენიერ, მწვანით მოსილს ბუნებას ფერი ჰკრთომოდა. დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა. ყვავილებმა თავები დახარა, ბალახი მოიშუშა, მოდუნდა და ჩამჩვარდა; მწყრებმა დიდი ხანია თბილს ქვეყნებს მიმართეს და აღარც მერცხლების ჭიკჭიკი ისმოდა სადმე. მხიარული, მოღიმარე ცა ტყვიის ფრად შეიცვალა და მოჭმუხვნილი-მობურული სატირლად ემზადებოდა. გასუქებული, გათქვირებული საქონელიც გაჩუმებულიყო და მხიარული ბღავილი აღარსად ისმოდა. ათასში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ დაჰკრავდა სადმე,რომ შეცივებული სხეული შეეთბო და გათოშილი სისხლი მოძრაობაში მოეყვანა. მწყემსებიც კი ძალზე იჭუჭკებოდენ ნაბდებშიდა-დაბუზულებს, თავპირის გამოჩენა ეზარებოდათ. ღელეში ნისლი ჩამოწვა კუთ-კუთად და შავად ჩამოაბნელა იქაურობა; ყველა ფერი დაღონდა, ყველას მგლოვიარის სახე დაედო, გული ჩაიხურა; ჰაერი დანესტიანდა, დამძიმდა და წყაროს მხიარულს ხმაურობას აყრუებდა. ღამეები გადიდდა, ნადირი ცხვარს ეტანებოდა უფრო მეტად და ძაღლები აღარ ისვენებდენ. გამოდარებული, მოწმენდილი ჰაერი სწრაფად აიშლებოდა ხოლმე; აქა-იქ გაჩნდებოდა ნისლი, რომელიც თითქო მიწიდან იზრდებოდა და ბოროტის ხელის მახვილსავით მთის წვერებზე მიცურავდა, გამოჩნდებოდა მეორედგან და გაიძაბებოდა, მესამედგან მტვერსავით აღმა ავარდებოდა და ერთბაშად ტრიალს და რევას დაიწყებდა. ორპირი ქარი ერთმანეთს გრიალით შეეჯახებოდა და მედგრად ერთმანეთს მოხვედრილი, ორს თავ-გადადებულს ფალავანსავით, მოუტრიალდებოდა ერთმანეთს. ისმოდა სტვენა, ზუზუნი მოუსვენარი ქარისა და მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა. ძალდატანებული კლდე იშლებოდა და დაბლა გრიალით ძო-

დიოდა; ავდრის წინამორბედი ჩკები და ყვავები ტრიალებდენ და უსიამოვნო ჩხავილით სევდით გულსა ბურავდენ.

აიყარა ცხვარი და გასწია ჯერ სოფლებში ჩასასვლელად და შემდეგ ზამთრის უფრო თბილ ადგილებში გასამგზავრებლად. ყველანი ცდილობდენ, რომ მგზავრობაში წინ მოქცეულიყვნენ, რადგანაც ბურსაჭირის გასავლელი ვიწრო იყო, დიდი სიფრთხილე უნდოდა და გავლის დროს მეტად აგვიანებდა; ზამთარი კი ახლოვდებოდა და მუდამ ჩაკუმშული ნისლი ამ ფლატო-ფრიალოებს არა შორდებოდა, ჟინჟღლავდა და ავდარს ექადებოდა. გაიკრიფა ყველას ცხვარი, გარდა ჯათიასი, რომელიც როგორღაც გვიანობდა. ბოლოს ისიც დაიძრა და დაცარიელდა გაცხოველებული ადგილები. მხიარული ხმაურობა შესცვალა სავაგლახო, უსიამოვნო, გულის მომწყვლელმა ხმაურობამ".

ს ა თ ი ბ ი.

— საძოვრებს გარდა საჭიროა სათიბებიც,—სთქვა მასწავლებელმა,—რომ ზამთრობით საქონლისათვის მოთიბული ბალახი მომარაგებული ჰქონდეს გლეხს, თორემ, თუ თოვლი დასდო, საქონელი საძოვარზე ბალახს როგორ-ღა მოსძოვს. ცივსა და თოვლიან ზამთარში საქონელს დიდი ხიფათი მოელის, თუ მის პატრონს საკვები ბალახი არა აქვს მარაგად შენახული. სათიბები არის ქართლში, მაგ-



ცელი.

რამ საძოვრებთან შედარებით ძალიან ცოტა. საძოვრებს ხომ 215.000 დესეტინამდე სივრცე უკავიათ ქართლში, სათიბებს მხოლოდ 18.000 დეს., უმჯობესი კი იქნებოდა, რომ სათიბები სჭარბობდეს სივრცით საძოვრებს.

სათიბში მშვენიერი ბალახი ბიბინობს. როცა თიბათვე დადგება სათიბს მთიბავები ცელებით შეესევიან და სთიბვენ, ააბულულავებენ თივას და ზვინებად დადგამენ.

აი, როგორ აგვიწერს სათიბს რაფ. ერისთავი:

აყვავებულა მინდორი,
ლურჯად ბიბინებს სათიბი;
შიგ ღალღა გამოიძახის,
უხდება ჭრელი ქათიბი.
აგერ იელა ცელმაცა,
წამოაწვინა მოლია.
თან მოჰყვა ტურფა ღიღილო,
ყაყაჩო, თომა, ფოლია.
ნორჩი სურნელი ბალახი
გვერდზე წამოწვა წყობითა,
ახარებს გულსა მცელველის
სიმწვანით, ყნოსვის ტკბობითა.
გაჩოშრა, ააბულულეს,
შედგა და შედგა ზვინები;
შიგა გორავენ ბალღები,
წამოდგეს დიდი ძირები.
პირუტყვის სარჩო მზადა მაქვს.
ზამთარს გავუძლებ მგონია,
აბრეშუმივით თივა—ხარს:
იგი ხომ ჩემი ღონეა!

სათიბებსაც გაუმჯობესება სჭირდება ქართლში: ბალახი თავის ნებაზე კი არ უნდა იყვეს მიშკებული, შერჩევით უნდა ითესებოდეს საუკეთესო საკვები ბალახი. სათიბები მეტნაწილად ველებზეა, როგორც, მაგალითად, ყარაიას ველზე. სათიბებისათვისაც ხელოვნური რწყვაა საჭირო ქართლის ველებზე. ურწყავი სათიბი ისევე ნაკლებ მოსავლიანია, როგორც ურწყავი ყანა.

შ ე ჯ ი ბ რ ბ ა.

ცხვარს, როგორც ვთქვით, დიდი მნიშვნელობა აქვს: იგი იძლევა ხორცს, რძეს, მატყლს, რძისაგან ბევრი ნაწარმოები მზადდება. ერთს ხალხურ ლექსში ასეა გამოყვანილი ცხვრის შეჯიბრება აბრეშუმ-ბამბა-ნახშირთან.

ნახშირმა სთქვა: მე მაჩივლე,
ვნახო ჩემი სამართალი:
ყველა ჩემით კეთდებოდა
სახნისი და საკვეთელი,—
კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი იარაღი მჭრელი.
იმას **ბამბა** წამოუდგა.
მე რითა მჯობს ფერი შენი?
ჩემი მუშა არ მოცდება—
ჩიხრიხი და საპენტელი!
პარკის ჭია წამოუდგა:
მე რითა მჯობს ფერი შენი?
თავადები დავამშვენე,
ახლა მივყავ გლეხებს ხელი!
ამას **ცხვარი** წამოუდგა:
მე რითა მჯობს ფერი შენი?
ცალ მხარეზე მატყლი მიძევს,
სამ კუნჭულზე—კვერი ყველი.
ბაკის კარებთან ვყუდივარ,
შიგნით ბატკანს გამოველი!

— მეზამბეობა და მეაბრეშუმეობა ქართლში ნაკლებად არის გავრცელებული. ბამბას უმთავრესად ყარაიას ველზე თესვენ. აბრეშუმზე უფრო მეტად ბამბისათვისაა ხელის შემწყობი ქართლის ბუნება, ამიტომაც უთქვამს ხალხს:

ჩარირამა ბებიაო,
აბრეშუმმა გვიღალატა,
ბამბა მაინც მეტიაო.

მეფუტკრეობასაც ნაკლებად მისდევენ ქართლელები, თუმცა ამ დარგისათვის ბუნება საკმაოდ ხელის შემწყობია.

შინამრეწველობა.

ქართლელები ბუნების ნედლი მასალიდან ბევრგვარ ნივთებს ამზადებენ, ე. ი. სამრეწველო საქმიანობასაც მისდევენ. მაგალითად, ტყავს გადაამუშავებენ და ფეხსაცმელებს ჭკერავენ, თიხისაგან ათასგვარ ჭურჭლეულს ამზადებენ, ხისაგან სხვადასხვა ჭურჭელს ამზადებენ, ჩალისაგან წნავენ, მატყლის ძაფისაგან ქსოვენ და ა. შ. ჯლეხ-

კაცის ოჯახი ირთვება და იკაზმება მეტნაწილად ასე საკუთარი ხელით დამზადებული ნივთებით: სახლის ავეჯი, ფარდაგები, ქეჩა—ქართლელის ხელითაც კეთდება; სამგზავრო ხურჯინი, მაფრაშა, ტომარა, თოკი, ცხენის მოსართავი, აგრეთვე სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო იარაღები —გუთანი და სხვ., ტვირთის საზიდავი ურმები და სხვ.—ყველაფერი შინ მზადდება შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამისთანა მრეწველობას, რომელიც ხალხის შინაურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, სახელადაც **შინამრეწველობა** ჰქვიან. ქართლში შინამრეწველობის შემდეგი დარგებია უფრო განვითარებული: შალების ქსოვა, კალათების წნვა, თიხის ჭურჭლეულის დამზადება: ქვევრების, ქოთნების, დოქების, ლიტრების, კოკების, კეცების, ჯამების, ქილების და სხვ., ხისაგან სხვადასხვა ნივთების დამზადება: თაბახის, გობის, ვარცლის, ჯამის, კოვზების, სავარცხლის, სამეურნეო იარაღების, ურმების და სხვ.; ცოცხის კეთება, საცერის კეთება და ა. შ.

აგრეთვე გავრცელებულია ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვაც. ამაზე უთქვამს ხალხს:

ერთი ნათლიდედა მყავდა
ქვემო ხანდაკსაო,
ჯერა ქსოვდა ხალიჩასა,
მერე ფარდაგსაო.

ამგვარად შინამრეწველობას ქართლელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტეს, რომ თუმცა ეს ნივთები, შეიძლება ფაბრიკა-ქარხანაში დამზადებულიყო, მაგრამ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა ქართლში საკმაოდ განვითარებული ჯერ არ არის.

მრეწველობა.

მრეწველობა ვითარდება ფაბრიკებსა და ქარხნებში. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის ნაწარმოები არა თუ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, უცხო ბაზრებზედაც გადის გასაყიდად, მაგრამ რაკი ჩვენში ეს მრეწველობა ახალი დაწყებულია, ამიტომ ჯერ არა თუ უცხო ბაზარი აქვს მოპოვებული, ადგილობრივ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს.

ფაბრიკა-ქარხნები თითქმის ყველა ტფილისშია თავმოყრილი. ტფილისი ჯერჯერობით ერთადერთი საფაბრიკო საქარხნო ქალაქია საქართველოში. ტფილისში საკმაოდ კარგადაა გამართული ბამბის

საპენტი, ბამბის ძაფის სართავი, შაბიამანის, საპნის, ასანთის, ვერმიშელ-მაკარონის, თამბაქოს, ტყავეულობის და სხვა ფაბრიკა-ქარხნები. ფაბრიკა-ქარხნებში, როგორც ვიცით, ნედლი მასალის გადამუშავება წარმოებს. რაკი ნედლი მასალა ქართლში ბევრგვარია და უხვადაც არის, ამის გამო შესაძლებელია ქართლში ბევრგვარი ფაბრიკა-ქარხანა ამუშავდეს და მრეწველობა გაჩაღდეს.

სასოფლო მეურნეობასაც შეიძლება სამრეწველო ხასიათი მიეცეს, თუ მოწეულ ჭირნახულს გადავამუშავებთ. დღემდე კი სასოფლო მეურნეობა ქართლში ნაწილობრივ ატარებს სამრეწველო ხასიათს, მაგალითად, პურისაგან მზადდება ვერმიშელ-მაკარონი, ბოსტნეულისაგან—საკვები კონსერვები, ხილისაგან—ტკბილეულის კონსერვები (მოიგონეთ გორისა და ტფილისის ქარხნები) და ა. შ.

მრეწველობის განვითარებაზეა დამოკიდებული ქართლის წინსვლა. დღევანდელ დროში ის ქვეყანაა დაწინაურებული და წელში გამართული, სადაც მრეწველობაა განვითარებული.

ვ ა ჭ რ ო ბ ა.

სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარებასთან ერთად აუცილებლად საჭიროა ვაჭრობის განვითარებაც: მოწეული ჭირნახული თუ ფაბრიკა-ქარხნის ნაწარმოები უნდა გაიყიდოს და ფულად იქცეს. ქართლში ვაჭრობა განვითარებულია, მაგრამ ვაჭრები თითქმის ყველანი არა-ქართლელები არიან. ქართლელები მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ჩნდებიან ვაჭრობაში და ისიც ნელა, შეუმჩნევლად. ამით აიხსნება, რომ ქართლის ქალაქებში, სადაც ვაჭრობა წარმოებს და არა სასოფლო მეურნეობა, მეტნაწილად არა-ქართლელები ცხოვრობენ.

ქართლელების ვაჭრობა ჯერ-ჯერობით იმით განისაზღვრება, თუ ზოგიერთ გამონაკლისს არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქალაქებში, განსაკუთრებით ქ. ტფილისში ჩამოაქვსთ თავისი სასოფლო მეურნეობისა და შინამრეწველობის ნაწარმოები და ჰყიდიან, ასე ვთქვათ, ფეხზე ვაჭრობით. ვის არ უნახავს ტფილისის ქუჩებში მაწვნითა ან ნახშირით დატვირთული ვირები, რომელთაც ქართლელები „თოქმის“ ძახილით მიერეკებიან. მგონი მაწვნით ვაჭრობა ერთადერთი საქმეა, რომელშიაც ქართლელებს არავინ ეცილება! ტფილისის ბაზრებსა და ქუჩებზე ქართლელებს დააქვსთ გასაყიდად ბოსტნისა, ბალჩისა და სხვა ნაწარმოები; აგრეთვე შეშა, შინაური პირუტყვი, ფრინველები, კვერცხები და ა. შ.

სოფელ-ქალაქის ურთიერთობა.

ძნელი სათქმელია—რომელი რომელს უმაგრებს ზურგს ქართლში: სოფელი ქალაქს, თუ ქალაქი სოფელს. ორივე მათგანი ურთიერთისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. სოფელი, როგორც ზემოთ ვთქვით, აწვდის ქალაქს ყოველდღიურ სარჩოს—სასოფლო მეურნეობის სხვადასხვაგვარ ნაწარმოებს; არა თუ მახლობელი, ზოგჯერ საკმაოდ შორეული სოფლებიდანაც კი გლეხებს მეტნაწილად ფეხით ჩამოაქვსთ ქალაქში გასაყიდად თავისი ნაჭირნახულევი. მოიგონეთ, მაგ., ეკატ. გაბაშვილის მოთხრობები „მაგდანას ლურჯა", „ღვინია გადაიჩეხა". მაგრამ არის შემთხვევები, საკმაოდ ხშირიც, რომ გლეხს არაფერი მოეძევება ქალაქს ჩასატანად და გასაყიდად, რის გამოც იძულებული ხდება იგი, მარჯვენის გასაქირავებლად ჩავიდეს ქალაქში. უნდა ითქვას, რომ ამ უკანასკნელ ხანებამდე, ქართლელები სოფლიდან ქალაქში ჩამოსვლას სამუშაოზე ვერ ეწყობოდენ, მაგრამ თანდათანობით ამასაც ეჩვევიან. მოიგონეთ, მაგ., ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „მშიერაძის ოჯახი", რომელშიაც აწერილია სოფლიდან ქალაქში სამუშაოს საძებრად ჩამოსული სვიმონა მშიერაძის ჭირ-ვარამი.

ქალაქი, თავისი მხრივ, აწვდის სოფელს თავის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობისა და სახელოსნოების ნაწარმოებს. ქალაქი ამასთანავე სოფლის მანათობელი ჩირაღდანია, აქედან ეფინება სოფელს სწავლა-განათლება, ურომლისოდაც სოფელი ვერ დაწინაურდება. ქალაქის გავლენას ყველაზე უფრო ძლიერად განიცდიან ახლო-მახლო სოფლები, რომელნიც ქალაქს ადვილად ემხრობიან. თუ სოფელი ბუნებრივად მდიდარია, ან ისეთს გზაზე მდებარეობს, რომელზედაც მიმოსვლა ხშირია, არა თუ ქალაქის გავლენის ქვეშ მოექცევა, არამედ ადვილად შესაძლებელია თვითონვე გადაიქცეს ქალაქად. ქართლის ქალაქები მეტნაწილად სოფლებისაგან არიან წამომდგარი.

მცირე ქალაქი.

ქართლში ბევრი დიდი და მცირე ქალაქია, გაცილებით უფრო მეტი კიდევ სოფლები. რაც დრო მიდის, ქალაქები და სოფლები ვითარდებიან, იზრდებიან და მდიდრდებიან. ყველაზე უფრო სწრაფად ვითარდებიან ის სოფლები და ქალაქები, რომელნიც დიდს შარაგზაზე ან განსაკუთრებით რკინისგზის გასწვრივ მდებარეობენ, ან

გზა-ჯვარედინებზე. ამ "გვარი მდებარეობის გამო ვითარდება ასე სწრაფი ნაბიჯით ქ. ტფილისი, თანდათან წინ მიიწევს მცხეთა, გორი, ხაშური და სხვა.

შორიშორს მდებარე სოფლები და ქალაქები კი ღარიბულად არიან მოწყობილი, მოვიგონოთ, თუნდა ქ. დუშეთი.

ქ. დუშეთი უფრო ჰგავს დიდ სოფელს, რომელიც ეს-ესაა დასდგომია წინსვლის გზას, ვინემ ნამდვილ ქალაქს. როგორც სოფელში, ისე ამ ქალაქში, ყანები თითქმის შიგ შუა ქალაქშია გაშლილი. ყოველ მოქალაქეს, ისე როგორც სოფლელს, ჰყავს აქ თავისი ძროხა, ხარი, კამეჩი, ღორი, ბატი და სხვ. და ნახირი ქუჩებში თავისუფლად მიდი-მოდის.

დილით დუშელები 5—6 საათზე იღვიძებენ. ქუჩაში ამ დროს ბლავილით მიიზლაზნება ნახირი, ღორები, ბატები. შავი კამეჩის ბლავილზე უნებურად გაგიღვიძება, რაგინდ ტკბილ ძილში იყო. პირის დასაბანად მოქალაქეები წყაროზე მიდიან, ბუნების წიაღში. რა თქმა უნდა, ყველა არა, მაგრამ საკმაოდ ბევრი მათგანი.

ქუჩები ოღრო-ჩოღროა, ვიწრო და თავის ანაბარა შიტოვებული. მხოლოდ ზოგიერთი დაწესებულების წინ თუ ნახავ ქვაფენილს ან რიყულს. შენობები უბრალოა, სადა, ზოგან ხისა და ზოგან ქვისაგან აშენებული. ფოსტა-ტელეგრაფის სამართველოს ორიოდე ოთახი უკავია ერთს უბრალო ორ-სართულიან შენობაში. დაწესებულებაში სულ რაღაც 4 კაცი მსახურობს. ტელეფონის ხაზი დუშეთში ერთია და ტელეფონი ორ-სამ დაწესებულებას თუ უდგას, მეტს არა. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მხოლოდ ერთია, ისიც მეტად ღარიბული, მოთავსებულია ყოფილი დუქნის ერთთვალიან სადგომში. სამკითხველოს გაზეთები მიუდის, იქ გაზეთს კვირაში ორჯერ თუ წაიკითხავს კაცი, ისე, რომ სამშაბათის ნუმერი იქნებ პარასკევს მივიდეს, ზოგჯერ უფრო დაგვიანებითაც მიდის. მკითხველებიც ძალიან ცოტა დადის სამკითხველოში. ეტლებით მიმოსვლა დუშეთში სულ არ არის. იქ ორიოდე „ლინეიკაა", რომლის საშუალებითაც მგზავრს შეუძლია წასვლა მცხეთას, ანანურს და სხვა განაპირა ახლო-მახლო ადგილებში. ქალაქი იმდენად პატარაა სივრცით, რომ მიმოსვლის საშუალება მაიხც და მაინც საჭიროებას არ წარმოადგენს, ფეხითაც სულ მალე შემოივლი მთელ ქალაქს. მხოლოდ კვირაში ორჯერ თუ გაივლის გზად ტფილის-კავკავს შორის მოსიარულე საფოსტო ავტომობილი, ან ადგილობრივი მთავრობის დაწესებულებებს თუ ეწვევა ტფილისიდან ვინმე ავტომობილით. საზოგადოდ დუშეთისაკენ ზაფ-

ხულობით უფროა გახშირებული მიმოსვლა. დუშეთში ერთი პატარა ელექტროსადგურია, რომელიც სინათლეს აწვდის ზოგიერთ დაწესებულებას, ორიოდე ქუჩას და ბაღს. ოჯახებში კი განათება თითქმის არსად არაა გაყვანილი. წყალსადენი არა აქვსთ, წყალს წყაროებიდან იღებენ. მხოლოდ ერთი თულუხი გაივლის ზოგჯერ ქუჩაში, რომელსაც წყალი მიაქვს საავადმყოფოში ან სხვა დაწესებულებაში. თეატრი და კინო დუშეთში მეტად უმწეო მდგომარეობაშია. სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება აქ არაა მეტი. ერთი ცხრა-წლიანი სკოლაა, რომელიც ყოფილ ყაზარმის შენობაშია მოთავსებული და, თუ არა ერთგული მასწავლებელი და მოწადინებული მოსწავლე ახალგაზრდობა, სხვა იმ აუწერელ პირობებში სწავლა-განათლების საქმეს ვერ წარმართავს; სხვა რომ არა ვთქვათ რა, მეტნაწილად კლასებს უმინო სარკმლები აქვს და ზამთრის სუსხი შიგ თავისუფლად თარეშობს. ქალაქში არსებობს ერთი საპარიკმახერო და ორიოდე სადალაქო, სადაც არ მოიპოვება ცოტად თუ ბევრად ხეირიანი ხელსაწყოები, არ არის დაცული სისუფთავე, ბნელა და სინესტეა. კერძო სავაჭრო დუქნები ცოტაა და მოუწყობელი. მხოლოდ ერთი ცეკავშირის სავაჭროა შედარებით რიგიანი. ბაზრობა კვირაობით იმართება და აქაც ვაჭრობა მეტად ნაკლებია. მოქალაქეები ღარიბად ცხოვრობენ და ჯანმრთელობის მხრივაც არ იმყოფებიან სახარბიელო მდგომარეობაში.

საღამოობით დუშეთში ისევ ის ნახირი, ღორები, ბატები ჩამოივლიან ქუჩებში ხმაურით. ახალგაზრდობა და ორიოდე ინტელიგენტი ან დაწესებულებათა მოსამსახურეები გამოდიან სასეირნოდ ბაღში. ბაღი ერთია და უბრალო; ზოგჯერ იქ მუსიკაც უკრავს. დაახლოებით ღამის 9 თუ 10 საათზე ქალაქის მაჯისცემა შეწყდება და ყოველივე ძილს მიეცემა (ისიც ზაფხულობით). გაისმის მხოლოდ ქუჩებში მოდარაჯე ძაღლების ყეფა და ნაშუაღამევს მოუხშირებენ ყივილს მამლები, ეს აქაური განთიადის მოკიქულები.

მიმოსვლა და ურთიერთობა.

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება მიმოსვლისა და ურთიერთობის პირობებზე ბევრადაა დამოკიდებული.

ძველადანვე იყო ქართლში გამართული შარაგზები (მოიგონეთ საქართველოს სამხედრო გზა, იმერეთის სამხედრო გზა, მესხეთის სამხედრო გზა, კახეთის შარაგზა და სხვ.) დაახლოებით 50 წლის წინათ მიმოსვლა გაუმჯობესდა რკინისგზის გაყვანით. რკინისგზით ქარ-

თლი საქართველოს ყოველ მხარესთან და აგრეთვე მეზობელ ქვეყნებთანაც არის დაკავშირებული.

ურთიერთობის დასამყარებლად ქართლში არსებობს ფოსტა, ტელეგრაფი, რადიო, ტელეფონების ქსელი. მიმოსვლის, კერძოთ რკინისგზის, უმთავრესი კვანძი, როგორც ქართლისათვის ისე საქართველოსა და მთელი კავკასიისათვის, როგორც ვიცით, არის ქალაქი ტფილისი. ურთიერთობის საშუალებანიც მეტნაწილად ტფილისშია თავმოყრილი.

ქართლში მიმოსვლის გაცნობის დროს არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ქართველი კაცის განუყრელი თანამგზავრი—**ურემი**. ურემი უხსოვარი დროიდან მიმოსვლის დროს თითქმის ერთადერთი ტვირთის გადამზიდავი და მგზავრთა (განსაკუთრებით ქალებისა და ბავშების) გადამყვანი ეტლია, თუ ცხენოსნობას არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ურმის მაგივრობას მეტნაწილად ვერ გასწევს. ჩარდახიანი ურმით ქართლელი კაცი ჭირშიაც მიდის და ლხინშიაც, შორს თუ ახლო. ურემი, მეურმე და მისი მომხიბლავი სიმღერა ურმული ისე შეესისხლხორცა ქართლელს, რომ ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ალბად, სანამ იგი თვითმოძრავი, ევროპიული ეტლებით შეიცვლებოდეს. თვითმოძრავი, ევროპიული ეტლები (ავტომობილი, ავტობუსი, ტრამვაი და სხვ.) ქართლში მხოლოდ ქ. ტფილისშია, სხვა ქალაქებში კი ტრამვაი სრულიად არ არის, ხოლო ავტომობილებიც ხშირი სტუმარი როდია.

ურ ე მ ი.

სოსო და **შალიკო** ტყეში მიყვებოდენ მამას. სოსო კოფოზე წამომჯდარიყო და, დიდივით, ხარ-კამეჩს ერეკებოდა; შალიკო კი ბორბლების ტრიალს დასცქეროდა: უკვირდა მათი ამბავი. ბოლოს მიუბრუნდა ძმას და უთხრა: ნეტა ვიცოდე, როგორ აკეთებენ ურემს! სოსომ თვითონაც არ იცოდა ურმის ავან-ჩავანი და მამას შეეკითხა: მამილო, გვითხარი, როგორ აკეთებენ ურემსო!

— რატომაც არ გეტყვი, შვილო, რატომ!—სთქვა მამამ და დაიწყო: აი, რაშიც ღერძს გაუყრიან, იმას **მორგვი** ჰქვიან. მორგვს აკეთებენ კაკლის ხისაგან, თუ კი სადმე იშოვიან. ამ ხისაგან. იმიტომ აკეთებენ მორგვს, რომ იშვიათად სკდება, დიდხანს სძლებს და მსუბუქიც არის. მორგვს გარედან ამოჭრიან რკინის სატეხით და შიგ ოფნის (კოპიტის) სოლებს გაუყრიან მაგრად, რომ რყევა არ ჰქონდეს.

სოლებზე გადმოვლებულია ზემოდან ფესვი ანუ **ფერსო.** ფერსოდ ყველა ხეს რცხილა სჯობს: მსუბუქია და მტკიცე. აქეთ-იქით ღერძის ბოლოები გახვრეტილია და შიგ ზის **ჭინჭილაქი,** რომ ბორბალი ღერძზე არ წაძვრეს. **ღერძი** ნაქებია პანტის და მაჟალოსი, რადგან ერთობ მაგარია. ღერძზე შედგამენ იფნისაგან გაკეთებულ **უბეს;** ეს ხე სწორეა, რცხილასავით მტკიცე და მსუბუქი. უბის შუა გალაგებულია **ლართხები** (ფიცრები); ქვემოდან უბეს ორ ალაგას აქვს სიმაგრისათვის **დანდლები** (დანდალი—ხელნებში გაყრილი ხეები) და მორგვებისაკენ—**ბუძუები,** რომ უბე არ ილესებოდეს ბორბლებზე. ქვემოდან უბეს ბუძუებთან აქვს აქეთ-იქით ორი **კბილი,** ღერძზე მოსადები, რომ არ გადავარდეს.



ს ა ძ ნ ე უ რ ე მ ი.

(1,1—უბის ხელნა, 2—უკანა ქვედა კოფო, 3—უკანა ზედა კოფო, 4—წინა კოფო, 5,5—ზეწრები, 6,6—ჭალები, 7,7—დანდლები, 8—ღერძი, 9—ბორბლის ფერსო, 10—სოლი, 1,1—მორგვი, 12—ჭინჭილაქი, 13—უღელი, 14,14,1,4—ტაბიკი, 15—აპეური, 16—კონკილა).

უბეზე ამართულია **ჭალები;** ჭალებზე გადატარებულია **ზეწრები** ორივე მხარეზე. უბეს წინ და უკან აქვს **კოფო.** წინ უბის თავში მოძღვანებულია **უღელი ტაბიკებით.** უღელს აქეთ-იქით აქვს ოთხი ტაბიკი **აპეურებით.** შუაზე აქვს უღელს მეხუთე ტაბიკი, რომელიც იჭერს მას **ხელნაში.** (ხელნა—ურმის გასაწევი წვრილი და გრძელი ორი ძელი ანუ ლატანი). ხელნები სადაც თავდება, იქაა **თათი.** თათებში უღელი უყრია. ქვეშ აქვს უბეს წინისკენ **კონკილა,** რომელზედაც შეაყენებენ ურემს დასვენების დროს, რომ საქონელს **კისერი** არ დააწვეს. აი, შვილო, ეგეც შენი ურმის ამბავი.

ჩემი ურემი.

— კარგად აუწერია ურმის გამართვა რაფ. ერისთავს, აი, ნაწყვეტი ერთი მისი ლექსიდან, — დასძინა მასწავლებელმა და გაგვაცნო შემდეგი ლექსი:

ურემი, ჩემი ურემი,
გამყოლი არის ხარისა,
არ ეფიქრება კლდე-ღრისა,
არცა მთისა და ბარისა...
ღერძი უდგია წიფლისა,
გასაპნულ-გაპოხილია,
ზედ თვლები ნიგვზის მორგვებით
გახეშილ-გაჭედილია;
უბე გავაწყე ლართხებით,
ღანდლებით გადაბმულია,
ისე გაუძლებს ასს ქვასა,
არსად დასჭირდეს ცულია.
თვლები დავკვერცხე, რა თვლები,
რგოლივით ჩამოსხმულია,
ჯაგ-რცხილის* ფესვებს მოვკიდე
ხოლებად იფნის გულია...
გინდ გავატარებ ფოკზედა,
არ მოკვდეს ჩემი თავია!..
გაუწი, შინდავ, გიშერას,
ნუ სცრუობ, ნუ ხარ ავია!..
გაუწი, ქედის ჭირიმე,
გიშერა ცოდო ხარია,
უშველე, ნურას ცულლუტობ,
ტოლს დაუჭირე მხარია...

— ქართლში ორგვარი ურემია გავრცელებული: **საძნე** და **ბაბარო**. საძნე ურემს მაღალი ჭალები აქვს, საბაროს კი უფრო დაბალი. — გვითხრა მასწავლებელმა. — საეროოდ ქართლის ურმები მეტნაწილად დიდროვანია, რადგან მათ გაშლილ ველებზე უხდებათ სიარული. ურმით ტვირთის გადაზიდვა იციან: საბარო ურემი მძიმე ტვირთის საზიდია, საძნე ძნისა, თივისა და მისთანათა. აი, მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან ერთი ნაწყვეტი:

* ჯაგი — მომაღლო ჩირგვი, ჯაგ-რცხილა — ჩირგვი-რცხილა

ღვინის ურმები.

„შუა ზაფხული იყო. მინდვრები და ქედები გვალვას სულ მთლად გადაეჭკნო და ფერი ეცვლევინებინა. იმ დღეს, რა დღიდანაც ვიწყობთ ჩვენს ამბავს, ასეთი ცხარე მზე სწვავდა ქვეყანასა, ასეთი პაპანაქება იდგა, რომ დედამიწას ბუღი ასდიოდა, თითქო გახურებული თორნეაო. კაცი სიცხისაგან დაოსებული ძლივს სულს იქცევდა. ამისთანა დღეს საქონელ გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგენ მწკრივად ლოჭინის ხევის პირს. ხევში წყალი გვალვისგან ისე მილეულიყო, რომ ძლივსღა მოიპარებოდა ქვებს შორის რიყეზე. საცოდავი ძეურმეები, ქანც-გაწყვეტილნი სიცხისაგან, გულდალმა გაშო-



საბარო ურემი.

ტილიყვნენ კონკილაზე აყენებულ ურმებს ქვეშ. ყოელას ეძინა,—მარტო ორიოდ ბიჭი კალთებ აწეულნი, იდგენ გუბის პირას და ხის ჯამებით ასხამდენ წყალს პირდაღებულს, დასიცხულ კამეჩებსა, რომელნიც გუბეში ეყარენ. აქეთ პატარა მოშორებით თავი მოეყარათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ გუბის პირას, თვალებ-დახუჭვილნი იცოხნებოდენ და კუდით იგერიებდენ მოუსვენარ ბუზებსა.

მზე გადაიხარა; თბილმა შეგუბებულმა ჰაერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენა-ჩავარდნილმა ადგილმა გაიხმაურა. აიშალენ მეურმეები თვალების ფშვნეტითა; პირზე წყალი შეისხეს და შესაბმელად მორეკეს საქონელი, რომელიც სიცხის გატეხაზე მინდვრად გასულიყო და სცოხნიდა გვალვისაგან გამხმარს ბალახსა.“

ურმული.

მთვარიანი ღამე იყო, ჩუმი და წყნარი. მაგრამ ამ სიჩუმეში ხანდახან მოისმოდა ხოლმე ტყიდან რაღაც საოდუმლო ჩურჩული, ტკბილი და საამო ბაასი. კოკორ-აშლილი ხეები, ამწვანებული შინდი და თეთრკაბა ტყემალი ერთმანეთს ემუსაიფებოდენ. აქ ტყის წიაღში, ხეების ტოტებში ემზადებოდა გაზაფხული, ფრთებს შლიდა, ფერადდებოდა, ირთვებოდა მთვარის სხივებზე, რომ დილის მზეს კოხტად და კოპწიად დახვედროდა.

— შრრრ .. გაუვლიდა სიჩუმეში ტყეს ნიავი, გაიჭრებოდა ნაპირს და წყნარადვე მიარხევ-მოარხევდა მწვანე ჯეჯილს, თითქოს აღვიძებდა განთიადის დასახვედრად.

არაგვი კი, ცელქი არაგვი, არც ამ მყუდრო ღამეში ისვენებდა. ის ხან ჩხრიალით გადადიოდა ქვიდან ქვაზე, ხან ლიკლიკებდა, ხან კი აწკრიალდებოდა ნაზად, თითქოს ნიავმა შეარხია ჩანგის სიმებიო, და უგალობდა ტკბილ საგალობელს დილის ცისკარს.

აფრინდა ქორი, აფრინდა,
არაგვი ჩაინადირა,
მცხეთას დაეცა დედალსა,
ავჭალას მტვერი ადინაა დაა..

გაისმა ამ ჯადოსნურ ღამეში მეურმე ივანეს ნაღვლიანი ხმა და ნელნელა, ზარმაცად, მაგრამ ტკბილად მისწყდა კოდორის მთის ნაკვთებში.

— შრრრ... გააცილა უკანასკნელი ჰანგი ნიავმაც და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ალალო, დილის ნიავო,
მე შენთვის მიტირნიაო!
— შენ ჩემთვის რა გატირებდა:
რა სიკეთე მიქნიაო!

დაარღვია სიჩუმე ახლა ახალგაზრდა მეურმე შიოლას ურმულმა. ეს ხმა ამოდიოდა გულის წიაღიდან, თან ამოჰქონდა იქ შეგუბებული ცრემლები და წყაროს შხეფებივით აბნევდა მთვარის სხივებზე; თან ამოჰქონდა პატარა დატანჯული გულის ნაღველი და მიჰქონდა ზეცისაკენ, თითქოს დედამიწაზე ვერ ეპოვა თავისი თანამგრძნობი.

ობოლი სული ქვითინებდა ურმულის ჰანგებში...

— ჰეი! რა ასატირებლად მღერის ჩვენი შიოლაი!—წაიდუდუნა ივანემ და მთლად სმენად გადაიქცა. მას გაუკვირდა კიდეც შიოს სიმღერა, რადგანაც, მართლაც და შიოს, რაც ის ხარივით შეება ოჯახის უღელში, არ დაუღიღინია: მასაც ხარსავით წაერთვა ენა...

ღამის სიბნელე თანდათან იწურებოდა. აღმოსავლეთიდან ბინდბუნდში ნელნელა მოიპარებოდა განთიადის შუქი. ნიავნაც თანდათან მოუხშირა; მოუხშირა შრიალი ტყე მინდორმაც, თითქოს ერთმანეთს ატყობინებდენ განთიადის მოახლოვებას, მეურმეებმა გადაიარეს არაგვი, გამოვიდენ მცხეთის გზაზე და გაუდგენ დილმის მინდვრით ქალაქისაკენ.

მომავლის იმედი.

ქართლი არც ქონებრივად და არც გონებრივად, გარდა მისი დამამშვენებელი ტფილისისა, არ არის წელში გამართული, მაგრამ მომავალი მას ბრწყინვალე გამარჯვებას უქადის. დღევანდელი ქართლი, რომელიც ბუნების მოვლენათა მონაა, მომავალში ბუნებას დაიმორჩილებს და თავისი კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ გამოიყენებს. ეს მით უფრო დაჩქარდება, რაც ქართლელის შრომა უფრო გაადვილდება, მისი მარჯვენის მუშაობა შეიცვლება მანქანების მუშაობით და საკმაო დრო დარჩება მას თვითგანვითარებისა და წინმსვლელობისათვის. ქართლელი ნაკლები დროის განმავლობაში, ნაკლები ძალღონის დახარჯვით ბევრად უფრო მეტს სარგებლობას გამოართმევს ბუნებას, ვინემ დღეს.

ამისი საწინდარია ის, რომ ქართლი მთის მდინარეებით მდიდარია. ამ მდინარეების ძალა, ე. წ. „თეთრი ნახშირი“, მომავალში გამოყენებული იქნება სინათლისათვის და მამოძრავებელ ძალად. „თეთრი ნახშირის“ შემწეობით ქართლში მრავლად გაიმართება ელექტრო-სადგურები; ამ სადგურებით მოპოებული ელექტრო, როგორც სინათლის ხყარო და თან მამოძრავებელი ძალა, მომარჯვებული იქნება ყველა იმ სამეურნეო საქმიანობაშიაც, სადაც ახლა ქართლელი გლეხი თავის მარჯვენით და ხარ-კამეჩის ძალ-ღონით ეწევა ჭაპანს. ელექტრო გაათავისუფლებს ქართლელ გლეხს მოჯსვენარი შრომისაგან, აამოძრავებს მის მეურნეობაში თვითმომქმედ მანქანებს.

ქართლის მდინარეები დაახლოებით 1 მილიონი ცხენის ძალით არიან დაჯილდოებული, რაიც დიდ სიმდიდრედ უნდა ჩაითვალოს. თითო ცხენის ძალა 10 მუშა-ხელის ძალ-ღონეს უდრის.

ელექტრო არა მარტო ქართლს უქადის აყვავებას, არამედ მთელს საქართველოს. იმ ქვეყნებს შორის, რომელნიც „თეთრი ნახშირით“ მდიდარი არიან, საქართველოს ერთი პირველთაგანი ადგილი უკავია. მაგალითად სვედეთში (შვეცია) „თეთრი ნახშირი“ საშუალოდ $4^1/_2$ მილ. ცხენის ძალით განისაზღვრება, იტალიაში—4 მილ. ცხენის ძალით, შვეიცარიაში 2 მილ. ცხენის ძალით, საქართველოში კი 3—$3^1/_2$ მილ. ცხენის ძალით (აქედან მარტო ქართლზე მოდის თითქმის 1 მილ. ცხენის ძალა).

თანამედროვე ქართლი.

ძველად ქართლი ბევრად უფრო ვრცელი და დიდი მხარე იყო, ვინემ დღეს. მის ფარგალში შედიოდა თანამედროვე ქართლს გარდა მესხეთ-ჯავახეთი, ბორჩალო და სხვ. თანამედროვე ქართლი კი ძველთან შედარებით პატარაა.

თანამედროვე ქართლი წარმოადგენს სივრცეს სურამის ქედიდან ქართლის ქედამდე მდინარე მტკვრის აუზის ფარგალში. იყოფა სამ ნაწილად: **ზემო ქართლი, შუა ქართლი** და **ქვემო ქართლი.** ზემო ქართლი იწყება სურამის ქედიდან და თავდება ქარელთან; ქარელიდან გორამდე—შუა ქართლია, გორიდან აქეთკენ—ქვემო ქართლია.

ზემო ქართლში შედის: სურამის ქედის აღმოსავლეთი ფერდობები თავისი ხევებით—სურამის წყლისა, ალის-ფრონისა, აბანოსფრონისა, ფცის-ფრონისა, ფშანის-ფრონისა და სხვ. აგრეთვე სურამის ველი ბორჯომიდან ქარელამდე მტკვრის გასწვრივ, ეს ველი ეკვრის თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებს.

შუა ქართლში შედის: ქართლის ველი დიდი და პატარა ლიახვისა და მეჯუდას აუზში, ქარელის ველი ქარელიდან გორამდე, ეს ველიც ეკვრის თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებს.

ქვემო ქართლში შედის: მტკვრის აუზი გორიდან აქეთკენ ტფილისის მაზრის სამხრეთ საზღვრამდე, ახალქალაქის ველი მდ. მტკვრის სამხრეთით, კვერნაკის მთა და მდ. ქსნის აუზი.

ამ ნაწილებს შორის ყველაზე უფრო დიდია შუა ქართლი, რომლის დედაქალაქი ქ. გორი არის. ეს ის გორია, რომელიც 1920 წლის თებერვალში დაუნდობელმა მიწისძვრამ საფუძვლიანად შეარყია და თითქმის მთლად გაანადგურა. ამის შემდეგ ეს ქალაქი კვლავ შენდება, მაგრამ ჯერჯერობით წელში ვერ გამართულა.

ადმინისტრატიულად ქართლი 3 მაზრად არის გაყოფილი, რომელთაგან ქართლს მხოლოდ გორის მაზრა ეკუთვნის მთლიანად; ტფი-

ლისის მაზრა და დუშეთის მაზრა კი მთლიანად არ ეკუთვნის ქართლს. ტფილისის მაზრა მხოლოდ გარეჯის მთამდე ეკუთვნის ქართლს, დუშეთის მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ფშავ-ხევსურეთიც ქართლს არ ეკუთვნის.

სამაზრო ცენტრებია: ტფილისის მაზრაში ქ. ტფილისი, გორის მაზრაში ქ. გორი და დუშეთის მაზრაში ქ. დუშეთი.

მაზრები თემებად არიან დაყოფილი, თითოეულ თემში რამდენიმე სოფელია გაერთიანებული. სოფელს თავისი საკუთარი სოფლის მთავრობა ჰყავს, თემს—თემის მთავრობა, მაზრას—მაზრისა და შემდეგ ეს მაზრები სახელმწიფოს ექვემდებარებიან.

ქართლის უმდიდრესი და ულამაზესი ქალაქი ტფილისი არა მარტო ქართლის მედროშეა, იგი ამავე დროს საქართველოს ყველა მხარეების წინამძღოლია და ამიტომაც საქართველოს დედაქალაქად იწოდება.

გამოსალმება.

კვირა დღე იყო. ჩვენს სკოლაში საზეიმო დილა იმართებოდა. ქართლის შესწავლა დავაგვირგვინეთ იმით, რომ ჩვენი ნამუშკვარი საჯაროდ გამოვფინეთ და ზოგი რამ სცენაზედაც გავითამაშეთ. ერთს ოთახში გვქონდა გაშენებული ქართლის სოფელი, რომელიც მთელი თავისი თავისებურობით გამოიყურებოდა.

ჩვენი ჯგუფის ამხანაგები სიხარულს ველარ ვმალავდით.

ქართლის შესწავლა დამთავრდა, ქართლს უნდა გამოვესალმოთ! თანაც გვახარებდა ეს გარემოება, რადგან ამით გვიადვილდებოდა შემდეგი ნაბიჯის გადადგმა—საქართველოს დანარჩენი მხარეების გაცნობა, თანაც გული გვწყდებოდა: შევეჩვიეთ ქართლს, ქართლელს, გავიზიარეთ მისი ჭირი და ლხინი, და განშორება გვენანებოდა.

მაგრამ აი, უკანასკნელად აიხადა ფარდა ჩვენი სკოლის პატარა სცენაზე და გამოჩნდა გიგლა. გიგლამ ფეხი წინ წამოდგა, თავი დაგვიკრა და შემდეგი ლექსი წარმოსთქვა ჩვენი პოეტის ვახტანგ ორბელიანისა:

„მშვიდობით ველნო, საყვარელნო, ზურმუხტნო ველნო!
ბორცვნო, ჭალაკნო, მშვენიერნო, ტურფა არენო,
მთანო ამაყნო, ახოვანნო, ცათ მიბჯენილნო,
წყალნო ალმასნო, მოცინარნო, მოკამკაშენო!“

და გამოსალმების ეს უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ.

ამ წიგნში მოხსენებული ადგილ-გარემო.

(სფ—სოფელი, მდ.—მდინარე, მთ—მთა, ქ.—ქალაქი, აგ—აგარაკი).

ავჭალა (სფ)
ალგეთი (მდ)
ალევი (მთ)
ალის ფრონე (მდ)
ანანური (სფ)
არაგვი (მდ)
არაგვის ხეობა
არანიაი (სფ)
არცევი (სფ)
არჯევანი (მთ)
ატენი (სფ)
ატენის ხეობა
ახალქალაქი (სფ)
ახალქალაქის ველი
ახალციხე (ქ)
ახრისი (სფ)
აჭარის ქედი
ბაზალეთი (სფ)
ბაზალეთის ტბა
ბათომი (ქ)
ბაკურიანი (აგ)
ბაკურიანის მთა
ბანჯა (სფ)
ბაღები (სფ)
ბენდეოის მთა
ბერბუკი (სფ)
ბია (სფ)
ბოდორნა (სფ)
ბოდორნას წყარო
ბორბალო (მთ)
ბორჯომი (აგ)
ბორჯომის ტყე
ბორჯომის ხეობა
ბრეთი (სფ)
ბრუტსაძეელა (მთ)
ბურსაჭირის ულელტეხილი
„ ფრიალო
„ ღელე
გარეჯის მთა
გომი (სფ)
გორი (ქ)
გორის ველი
გორის ციხე
გრაკალი (სფ)
გუდალურა (მდ)
გუდამაყრის არაგვი (მდ)
„ ხეობა
გუდაური (სფ)
დარიალის ხეობა
დევდარაკის მყინვარი
დვანის ფრონე (მდ)
დიდგორის მთა
დუშეთი (ქ
დუშეთის ველი
„ მთები
„ ტყე
„ ხევი
ერიქალი (მთ)
ვახანის ფერდობი
ვერე (მდ)
ზანდუკლის ხევი
ზებეყურის მთა

ზემო-აგარა (სფ)
თამარის წყარო
თერგი (მდ)
თეძამი (მდ)
თორის მთა
თორის-წყალი
თრიალეთის ქედი
ია ლბუზი (მთ)
იალნო (მთ)
იმერეთის სამხ. გზა
კავთურა (მდ)
კავკავი (ქ)
კავკასიონის ქედი
კართანა (სფ)
კასპი (სფ)
კასპიის ზღვა
კახეთის შარაგზა
კვერნაკის მთა
კიკეთი (აგ)
კობიანთ-კარი (სფ)
კოდი (სფ)
კოდის ველი
კოჯორი (აგ)
კოჯრის მთა
„ ციხე
„ ტყე
კოჯრის ციხის მთა
კუმისის ტბა
ლარსი (სფ)
ლაკვის მთა
ლეგოს მთა
ლეგოს წყარო
ლიახვი (მდ)
ლილოს მთა
ლისის ტბა
ლომისის მთა
„ წყარო
ლოჭინის ხევი
მანგლისი (აგ)
მახათას მთა
მახვილოს მთა
მესხეთის ქედი
მესხეთის შარაგზა
მეჯვრისხევი (სფ)
მეჯუდა (მდ)
მთაწმიდა (მთ)
მთაუნაგირა (მთ)
მთიულეთის არაგვი (მდ)
„ ფერდობი
მირალის ხევი (მდ)
მლაშე ტბები
მლეთი (სფ)
მტკვარი (მდ)
მუხრანის ველი
„ ტყე
მყინვარწვერი
მშხლები (მთ)
მცხეთა (სფ)
ნაოზა (სფ)
ნარეკვავი (მდ)
ნატახტარი (სფ)
ნაციხარის სიმაგრე
ნაწრეტი (სფ)
ნიშნის მთა
ნორიოს მთა
ორბოძოლა (მთ)
ორწყარო (წყ)
ორწყალი (სფ)
ოსიაური (სფ)
ოქროყანა (სფ)
ჟინვანი (სფ)
რაზმითი (მთ)
რეხულა (მდ)
საბადურის ყელი

Საგურამო (სფ)
საგურამოს ველი
სათოვლია (მთ)
სამადლო (მთ)
სამგორი (მთ)
საქ. სამხ. გზა
საშაბურის წყარო
საცხენის მთა
სვენეთი (სფ)
სკრა (სფ)
სნოს ხეობა
სოლოლაკის მთა
სტეფანწმიდა (სფ)
ურამი (აგ)
სურამის ულელტეხილი
სურამული (მდ)
სურამის ქედი
„ ციხე
სხალდიდი (მთ)
სხალნარა (მთ)
ტანა (მდ)
ტაბახმელა (სფ)
ტინიხიდი (სფ)
ტინის მთა
ტირიფონის ველი
ტფილისი (ქ)
უფლისციხე
უძო (მთ)
ფასანაური (სფ)
ფლავი (სფ)
ფშავის არაგვი (მდ)
ფცის-ფრონე (მდ)
ქარელი (სფ)
ქარელის ველი
ქართლის ქედი
ქვემო-აგარა (სფ)
ქვემო-ხანდაკი (სფ)
ქვეში (სფ)
ქვიშხეთი (სფ)
ქსანი (მდ)
ქსანი (სფ)
ღართისკარი (სფ)
ყარაიას ველი
ყვავილი (სფ)
ყელის ტბა
ყერძენის მთა
შავი ზღვა
შავნაბადა (მთ)
შარაშეთის მთა
შაშვები (სფ)
შავ წყალი (მდ)
შინდისი (სფ)
ჩიჩოს მთა
ჩხირიმელა (მდ)
ცემი (აგ)
ციხისძირის მთა
„ კონცხი
ცხისი (სფ)
ცხრა ძმის მთა
ცხრაწყაროს ულელტეხილი
ძამა (მდ)
წავკისი (სფ)
წავკისის მთა
წავკისის წყალი
წაღვერი (აგ)
წითელი ხატის ტბა
წილკანი (სფ)
წილკნის ველი
წიფორი (მთ)
წყნეთი (სფ)
წყნეთის მთა
ჭონქაანთ-კარი (სფ)
ჭოპორტა (სფ)
ხანდოს მთა
ხაშური (ქ)

ხარული (მთ)
ხატის ტყე
ხევსურეთის არაგვი (მდ)
ხიდისთავი (სფ)
ხოვლის-ხევი (მდ)
ხრამი (მდ)
ჯამჯამა (მთ)
ჯვრის უღელტეხილი.

ქართლის ზოგიერთი ადგილის სიმაღლე ზღვის დონედან.

ავჭალა	437 მეტრ.	კოჯორი	1.440 მეტრ.
ალევის მთა	1.953 „	კოჯრის-ციხე	1.390 „
ანანური	710 „	კუმისი	780 „
არაგვი ჟინვანთან	723 „	ლეგოს წყარო	1.300 „
„ შესართავთან	441 „	ლილო (სოფ.)	870 „
არჯევანი	2.756 „	ლოჭინო	525 „
ატენი	686 „	მანგლისი	1.220 „
ბაკურიანი	1.830 „	მახათას მთა	658 „
ბაღები	786 „	მელოტი მთა (მანგლისის თავზე)	1.961 „
ბერშუეთი	887 „	მეტეხი (სოფ.)	573 „
ბორჯომი	794 „	მეჯვრისხევი	832 „
ბრეთი	727 „	მთაწმიდა (თრიალეთის ქედზე)	740 „
ბურსაჭირის უღელტ.	2.390 „	მთაწმიდა (იგივე ჩიჩოს მთა)	3.047 „
გომი	545 „	მლეთი	1.512 „
გორი	600 „	მუხრანი	550 „
გუდაური	2.431 „	მცხეთა	442 „
დირბი	729 „	ნატახტარი	522 „
დიღომი	505 „	ნიშნის მთა	1.525 „
დუშეთი	888 „	ნორიო (სოფ.)	938 „
ერთაწმიდა	890 „	ოქროყანა—წყარო	735 „
ვარიანი	646 „	„ უმაღლ. ადგ.	765 „
ზედაზენი	1.198 „	ჟინვანი	733 „
ზემო-სობისი	794 „	საბადურისყელი	1.480 „
თელეთი	918 „	საგურამოს მთა	1.388 „
თერგვისი	870 „	სამთავისი	692 „
თორის-წყალი (შესართავთან)	770 „	საქაშეთი	982 „
იალნო	2.060 „	სოლოლაკის მთა	488 „
კიკეთის მთა	1.382 „	სტეფანწმიდა	1.749 „
კობი	1.970 „		
კოდი	570 „		

სურამი	738	„
სურამის უღელტეხ.	1.195	„
ტფილისი ობსერვატორ.	404	„
ფუნიკ. ქვ. სად.	510	„
მამა დავითის ეკლ.	570	„
უძო, ძირი, ნიშთან	1.380	„
„ მწვერვალი	1.440	„
ფასანაური	961	„
ფხვენისი	885	„
ქსანი (სოფ.)	488	„
ქსოვრისი	646	„
ლართისკარი	491	„
ღვთაება	1.298	„
ყარაია	305	„
ყვითელი მთა (მანგლისში)	2.000	„
შავ-წყალი (შესართავთან)	781	„
ცხრაწყაროს უღელტ.	2.390	„
ცემი	1.116	„
ცხინვალი	740	„
წავკისი	652	„
წალვერი	914	„
წილკანი	559	„
წყნეთი	931	„
ჯვრის უღელტეხ	2.481	„

ქართლის ზოგიერთ ადგილებში საშუალო წლიური ტემპერატურა.

	სიმაღლე ზღვ. დონ.		საშ. წლ. ტემპერატურა.
ყარაია	305	მეტრ.	— 12,9°
ტფილისი	404	„	— 12,6°
გორი	600	„	— 10,9°
სურამი	738	„	— 10,2°
ბორჯომი	794	„	— 9,3°
მლეთი	1.512	„	— 5,9°
კობი	1.970	„	— 3,5°
გუდაური	2.431	„	— 3,4°
ჯვრის უღელტეხ.	2.380	„	— 0,1°

ქართლის ზოგიერთ ადგილებში ნალეკების საშუალო წლიური რაოდენობა.

ყარაია	420	მილიმეტ.	მცხეთა	624	„
დიღომი	439	„	ქსანი	637	„
გორი	495	„	სტეფანწმიდა	717	„
ტფილისი	497	„	ანანური	735	„
დამპალა	515	„	კოჯორი	833	„
მანგლისი	540	„	ფასანაური	964	„
ცემი	568	„	კობი	1.174	„
ბორჯომი	572	„	მლეთი	1.336	„
დუშეთი	614	„	გუდაური	1.470	„
სურამი	621	„	ჯვრის უღელტეხ.	1.661	„

ა ვ ტ ო რ ი ს ა გ ა ნ.

მხარისმცოდნეობას ჩვენში თითქმის მეოთხედი საუკუნის ისტორია აქვს, მაგრამ დღემდე იგი, როგორც შემთხვევითი ხასიათის მოვლენა, მოკლებულია შესაფერ სიმდიდრეს არა მარტო თეორეტიული აზროვნებისა, არამედ ნედლი მასალის დაგროვების მხრივაც.

დღეს, როდესაც მხარისმცოდნეობა მეცნიერულ არხიდან სასკოლო რუში გადმოიღვარა, მოზარდი თაობა და მასწავლებლობა ყველაზე უფრო მტკივნეულად განიცდის ამ დანაკლისს. ცხადია, დანაკლისის შევსებაზე ისევ მასწავლებლობამ უნდა ვიზრუნოთ და ამ საქმიანობაში ორგანიზაციულად ჩავაბათ მოწაფეობაც, მხოლოდ იმ აუცილებელის პირობით, რომ: მეცნიერული მხარისმცოდნეობიდან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს სასკოლო მხარისმცოდნეობა და არ უნდა განმეორდეს ჩვენს სკოლებში იმგვარი უცნაურობა, როგორიც მომხდარა ერთერთ რუსულ სკოლაში, სახელდობრ ძველი საფლავების გათხრა მოწაფეების მიერ არქეოლოგიურის მიზნით!

მხარე და მისი შესწავლა მეცნიერული მხარისმცოდნეობისათვის **თვითმიზანია**, სასკოლო მხარისმცოდნეობისათვის კი მხოლოდ **საშუალება** სწავლა-განათლების შესაძენად. ამ ძირითადი განსხვავებიდან გამომდინარეობს აგრეთვე სასკოლო მხარისმცოდნეობის ის თავისებურობაც, რომ მეცნიერული მხარისმცოდნეობა, როგორც კრებული სამეცნიერო დასციპლინათა, სკოლის კედლებში, რაკი გატარდა პედაგოგიურ დარჯაკში, გარდაიქმნა არა ცალკე დისციპლინად (როგორც ზოგიერთს ჰგონია—გეოგრაფიად), არამედ მხოლოდ სწავლების გეზად, ხელმძღვანელ პრინციპად.

და აი, მხარისმცოდნეობა, როგორც ხელმძღვანელი პრინციპი, სწავლების გეზი, საფუძვლად დაედო კიდეც ჩვენი სკოლის მუშაობას განსაკუთრებით ოთხწლედის ფარგალში. ეს ბუნებრივია და პედაგოგიურის საზრისით აუცილებელიც. ბავშის ცნობიერება ჯერ თავს დატრიალებს უშუალო გარემოს და შემდეგ ამ გარემოს აფართოებს, ავრცელებს გონებრივ ძალთა მომწიფების კვალობაზე.

მხარისმცოდნეობა ოთხწლედში ორგვარი სახისაა: ვიწრო მხარისმცოდნეობა და საკუთრივ მხარისმცოდნეობა. პირველში უნდა ვიგულისხმოთ ის **უშუალო გარემო**, რომელშიაც ბავში იზრდება და ვითარდება, რომელიმე ცალკე აღებული სოფელი ან ქალაქი; მეორეში კი—ამავე უშუალო გარემოს შემცველი, მაგრამ უფრო **ვრცელი გარემო**, რომელიმე ცალკე აღებული მხარე, მაგ., ქართ-

ლი ან იმერეთი და სხვ., რომლისთვისაც გამოსავალ წერტილად ისევ ეს უშუალო გარემო რჩება. ოთხწლედის I და II ჯგუფში უმთავრესად უშუალო გარემო ისწავლება, მე-III ჯგუფში ვრცელი გარემო, ხოლო მე-IV ჯგუფში თავს იჩენს უკვე ქვეყნისმცოდნეობა (მთელ საქართველოს შესწავლა), მაგრამ ესეც მხარისმცოდნეობის პრინციპთან არის შეგუებული (ცალკე მხარეებიდან მთლიან საქართველოსაკენ).

იმ გარემოებამ, რომ ჩვენში არა თუ მხარისმცოდნეობითი ნარკვევი, არამედ ჩვეულებრივი გეოგრაფიული ნარკვევიც კი იშვიათია, და მასწავლებლისათვის არც თუ ისე ადვილია მიმოფანტული, ზოგჯერ უვარგისი მასალის დაგროვება, გადამუშავება და შემდეგ გამოყენება, გამაბედვინა წიგნის სახით გამომეცა ის მასალები, რაც ჩემი მოწაფეებისათვის მქონდა დამუშავებული. ჯერ გამოვეცი უშუალო გარემოს—ტფილისის მხარისმცოდნეობითი ნარკვევი (იხ. დავ. დონდუა—საქართველოს დედაქალაქი ტფილისი, ტფ 1923 წ.) და ამჟამად ვაქვეყნებ ვრცელი გარემოს—ქართლის მხარისმცოდნეობითს ნარკვევს.

ამ ნარკვევში მასალა სამი ძირითადი საკითხის გასაშუქებლად, როგორიცაა ბუნება, ადამიანი და მისი შრომა, სამ უმთავრეს ნაწილად დავყავი: ჯერ განხილულია **ქართლის ბუნება**, შემდეგ **ქართლელი** და ბოლოს **ქართლელის შრომა**.

მასალების წიგნად გამოცემამ ნაწილობრივ შეუნახა მათ სასკოლო მეცადინეობის სახე (აქა იქ გაკვეთილების ანარეკლი ჩანს), ნაწილობრივ კი, როგორც ამას საკითხავი წიგნის ბუნება მოითხოვდა, მეცადინეობის მსვლელობა დაირღვა, თუმცა გარეგნულად იგი მაინც საერთო მეცადინეობაში ჩაექსოვა წიგნის მთლიანობისათვის. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რაკი მიზნად არა მქონია მეთოდიურ სახელმძღვანელოს შედგენა და ჩემი ყოველდღიური მეცადინეობის გადმოცემა.

წინამდებარე წიგნი საკითხავი და დამხმარე წიგნია, ასე რომ მასალის დაჯგუფება, განხილვა და სიუხვე მხოლოდ ამ საზრისით უნდა იქმნას შეფასებული და გამართლებული.

ამას გარდა გეოგრაფიული ნომენკლატურის სიუხვე, ცხადია, მათი დამახსოვნებისათვის არ არის მომარჯვებული, არამედ მხოლოდ შთაბეჭდილებისათვის და აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ ქართლის სხვადასხვა სოფელ-ქალაქებს ეპოვათ ამ მასალაში თავისი ადგილი, ვინძლო მეცადინეობის დროს გამოსავალ წერტილად გამომდგარიყვნენ.

წიგნში არ არის წარმოდგენილი ქართლის მთა-ადგილები (ხევი, მთიულეთი, ოსეთი და სხვ.) მთელი თავისი თავისებურობით, რადგან უმჯობესად მიმაჩნია, მისთვის ცალკე ნარკვევი დამუშავდეს.

სტატისტიკური ცნობებისათვის აქ აღებულია გორისა, დუშეთისა და ტფილისის მაზრები, თუმცა ორი უკანასკნელი მთლიანად არ შედის ქართლის ფარგალში.

სურამის ქედის სათავედ ბრუტსაბძელაა ნაჩვენები, თუმცა იგი უშუალოდ ზეკარის მწვერვალიდან იწყება. ბრუტსაბძელაც იქვეა, ზეკარიდან ცოტა აღმოსავლეთით, მისგან გამოდის მდ. დიდი ლიახვის შენაკადი ფაწის-წყალი. ბრუტსაბძელა ანუ „იალბუზი“ უფრო ნაცნობი და პოპულიარული მწვერვალია ქართლში და ამიტომაც მივაკუთნე მას უპირატესობა უცნობი ქედის მითითების დროს, თანაც მანძილი მათ შორის იმდენად უმნიშვნელოა, რომ უხეშ შეცდომად არ ჩაითვლება ეს.

ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის სიმაღლე ზღვის დონედან პირველად იქმნა ამ წიგნისათვის გაზომილი, ან უკვე გაზომილი ხელახლა შევამოწმე სიზუსტისათვის ობსერვატორიის სინოპტიური განყოფ. თანამშრომლის ალექსანდრა ჯაფარიძის დახმარებით, რისთვისაც მას მეგობრულ მადლობას ვუძღვნი.

ვფიქრობ, რომ, როგორც ჩემი პირველი ნარკვევი („ტფილისი“) გამოსადეგია სხვა ქალაქების შესწავლის ნიმუშად, ისე ეს მეორე ნარკვევიც („ქართლი“) გამოდგება სხვა მხარეების მხარისმცოდნეობითი საზრისით შესწავლის ნიმუშად, თუმცა პირდაპირი დანიშნულება ისა აქვს, რომ სამსახური გაუწიოს, როგორც ყველა სკოლას, სადაც კი საქართველოს მხარეებს სწავლობენ, ისე კერძოთ და განსაკუთრებით ქართლის სკოლებს.

დავ. დონდუა.

იანვარი, 1925 წ. დედაქალაქი.

მინაწერი: ეს წიგნი ხელნაწერის სახით უკვე განხილულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიური სექციის მიერ და მიღებულია, როგორც საკითხავი და დამხმარე წიგნი შრომის სკოლების III და IV ჯგუფის მოწაფეთათვის (ოქმი № 16, ივლისის 10, 1925 წელი.).

ამ წიგნში მოთავსებული ორი სურათი—იალბუზზე ასვლა და მდინარის სათავე მყინვარში (მდ. მესტიას-წყალის სათავე ლეხზერის მყინვარში) გადაღებულია იალბუზ-სვანეთის ექსპედიციის დროს გ. ნიკოლაძის მიერ. დ.

იანვარი, 1926 . დედაქალქი.

სარჩევი.

ლია ბარათი

ქართლის ბუნება

თრიალეთი

	გვერ.
საშემოდგომო შეხვედრა	7
პირველი გაკვეთილი	7
მინდიასავით	8
უძოსაკენ	8
თრიალეთის ქედი	11
ზღვის დონედან!	13
მტკვარი თრიალეთის თანამგზავრი	19
აი, თურმე სად მდებარეობს ბორჯომი	21
ტფილისიდან ბორჯომამდე	22
ქვიშხეთის მთებში—სილოვანი	22
ბორჯომის ხეობა	23
აგარაკი ბორჯომი	26
ბაკურიანის ტოტი	31
აგარაკი წაღვერი—მოწ. გ. ბოლქვაძე	32
აგარაკი ცემი	33
აგარაკი ბაკურიანი—მოწ. ნ. შარაშიძე	33
დავკმაყოფილდით	35

ნაბიჯი წინ

დამშვიდდით, გიამბობთ	37
სურამის ულელტეხილი	38
სურამის ქედი	38
ქართლის ქედი	39
ქართლის ტაფობი	42
სურამის ციხე	46
სურამის წარსული	48
სურამი დღეს	49
ხან ავია, ხან კეთილი	49

კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი.

მზიანი დღე 50
გამოჩნდა მყინვარწვერი 51
მყინვარწვერზე ასვლა 52
მწემსი-ქალი და მყინვარწვერი 59
ყინულის დევი 62
თერგი 65
დარიალის ხეობა 67
თერგი კავკავთან 72
გუდამაყარი და ბურსაჭირი 72
უმზირეთ! 74

არაგვის ხეობა.

მცხეთისაკენ 76
არაგვის შესართავი 76
არაგვის ორი სათავე 78
ხევი, მთიულეთი. გუდამაყარი 79
მგზავრის შთაბეჭდილება 79
მორბის არაგვი 84
კრებულს ვკითხულობთ 84
ბიდორნა და არაგვის ხეობა—მოწ. ვ. მანჯავიძე და ვ. გამრეკელი 85
მოგზაურობა სოფ. არანისში—მოწ. ს. ომანიძე . . 90
ბაზალეთის ტბა—მოწ. ვ. მანჯავიძე და ვ. გამრეკელი . 92
ერთერთი ლეგენდა 93
მეორე ლეგენდა—მოწ. ა. ლობჟანიძე . . . 93
მესამე ლეგენდა 94

ქართლის ტაფობში.

აი, რა გამოვძერწეთ 95
სამდურავია, თუ საქებარი? 96
გიჟი ლიახვი— ეკ. გაბაშვილისა 100
წყალგამყოფი 105
გორის ციხე. 109
უფლისციხე. 111
დაგვამწყრალა—მოწ. ა. ქოსაშვილი 113
გიჟიც გამოსადეგია 114

სიცოცხლის წყარო 116
არხების ქელი 119
წვიმა სადღაა? 123
ქართლს მომავალი ღრუბელი—მოწ. დ. ლომაძე . . 125
ლონიერი ნიადაგი 126
ზაფხულის პაპანაქება 126
ზამთრის სუსხი 127
ზამთარი — ი. ჭავჭავაძე 128
გაზაფხულის პირი— ი. ევდოშვილი 129
გაზაფხული—ი. ევდოშვილი 130
ზაფხული—ი. ევდოშვილი 131
შემოდგომის პირი—გ. ქუჩიშვილი 132
შემოდგომა—ი. ევდოშვილი 132
თვეების ხასიათი 133
მცენარეები და ცხოველები 136
ტყე — ნაწილი ა. ქუთათელაძის „წყაროდან“ . . 137
წყაროსთან 140

ქ ა რ თ ლ ე ლ ი

ოქროყანაში 144
ლეგენდა—რათ დაერქვა სოფელს ოქროყანა. . . 145
მოყვარე გამოგვადგა 145
სოფლელი ბავში 147
ჩაცმა-დახურვა 147
ბინა და ოჯახის მოწყობილობა 149
მიწური — მიწურის მხოლოდ აშენების წესი აღოღებულია „წყაროდან“ 151
ნიაღვრის ძალა 155
ჩვენი სოფელი—„წყაროდან“ 157
საბრუას სახლკარობა—რაფ. ერისთავისა . . . 158
სიღარიბე 159
სტუმარმოყვარეობა 161
საზრდო 162
ბუნების გვირგვინი. 163
ოინი გვიყო. 163
რატომ? 164
რევოლიუციამდე 167
ყოფილი მებატონე 167

გლეხის სადგომი 168
სოფლის სიპატარავე 170
უმამულო გლეხი 171
შეძლებული გლეხი. 172
მოსახლეობა 174
სწავლა-განათლება 175
მისანი 177
ცრუმორწმუნეობა 180
ლაზარეზე 181
აღარ გვინდა გორახი!—მოწ, ივ. მჭედლიშვილი . . 182
აღარ გვინდა ტალახი!—მოწ. ქ. ზანდუკელი. . . 184

ქართლელის შრომა.

შრომისმოყვარეობა 185
შრომის პირობები 186
სასოფლო მეურნეობა 187
ხვნა-თესვა 188
გუთანი 189
გუთნის მომართვა 190
გუთნისდედა (იგავი ან-მანისა) 193
ჯამბარა 194
გუთნეული 195
ალო 196
დღის მეხრე 197
ღამის მეხრე 198
უმადური გუთნისდედა 199
სამხარი 199
გუთნეულის ქება 200
ბედი და უბედობა. 202
ჯეჯილი 203
ყანა 204
მოსავლის გამოცანა 205
გვალვა 205
სეტყვა 206
ქალია 206
ურწყავი მიწა 207
შეგნებული დახმარება 208
ჭორწყული სიმინდი—ი. ოცხელის და სხვ. ქრესტ. . 210

რუს გადაგდება	212
ანდრიას ყანა	216
პურის მკა	217
თინიას მამითადი	218
მკათათვე	219
მკაში	220
კალოობა—პირველი ნაწყვეტი „მნათობიდან“	222
ზაფხულის ქება	224
მოსავლიანობა	226
პურის მხარე	228
სახნავ-სათესის სიმცირე	230
მებაღეობა	231
ანდრიას ხეხილი	232
მევენახეობა	234
ვაჭის გაშენება—„წყაროდან“	234
მევენახის სიმღერა	236
ანდრიას ვენახი	237
რთველი	238
მებოსტნეობა და მებაღჩეობა	239
მეცხვარეობა	240
მეცხვარე თრიალეთზედა	241
ცხვარი კვერნაკზე	242
ცხვარი მთაში	242
სათიბი	244
შეჯიბრება	245
შინამრეწველობა	246
მრეწველობა	247
ვაჭრობა	248
სოფელ-ქალაქის ურთიერთობა	249
მცირე ქალაქი	249
მიმოსვლა და ურთიერთობა	251
ურემი—„წყაროდან“	252
ჩეჩი ურემი	254
ღვინის ურმები	255
ურმული—ირ. ევდოშვილი	256
მომავლის იმედი	257
თანამედროვე ქართლი	258
გამოსალმება	259
დამატება	260
ავტორისაგან	265
სარჩევი*	268

ხაქ. სამხ. გზის გეგმა

---

* სარჩევში მხოლოდ ის ავტორები მოხსენებული, რომელნიც ტექსტში არ მომიხსენებია.



საქ. სამხ. გზის სადგურების სიმაღლე ზღვის დონედან და მანძილი მათ შორის.


ბალთა
ლარსი
დარიალის ხიდი
დარიალის სიმაგრე
ყაზბეგი
სტეფანწმიდა
ნინო (ლუდუშაური)
ბაზალეთის ტბა
ქსოვრისი
ნაიბა
ბაზალეთი
ბაზალეთის ტბა
ბაგისი
ბაგური
ბაგლაჩაური
ბოლოკანი
ბოლოკანის ტბა
ბოლოკანი
ბოლოკანი
ბოლოკანი

91
Გ 742

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ.